ემიგრანტის წერილი - 2016

ემიგრანტის წერილი - 2016
გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი 2016. გვ. 202.

წიგნში შესულია ქართველ ემიგრანტთა საერთაშორისო გაერთიანებისა (ყოფილი თესალონიკის ქართული დიასპორის კონფედერაცია) და ლიტერატურული გაერთიანება «ქართული სალონის» პროექტის, ლიტერატურული კონკურსის - «ემიგრანტის წერილი 2016»-ის პრიზიორებისა და ფინალისტების ნამუშევრები.

წიგნი გამოცემულია დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის უშუალო მხარდაჭერითა და დაფინანსებით, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდით დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს, ბატონ გელა დუმბაძეს.

პროექტის ავტორი
და რედაქტორი: **რუსუდან გოგბერაშვილი**

მხატვარი: **ლადო თევდორაძე**

ტექნიკური რედაქტორი: **ლევან ბოჭორიშვილი**

ISBN - 978-9941-0-8816-2

„ემიგრანტის წერილი“ მნიშვნელოვანი ინიციატივაა!

არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველ ემიგრანტთა საერთაშორისო გაერთიანებამ“, საბერძნეთის ქალაქ თესალონიკში მოქმედ „ქართულ სალონთან“ პარტნიორობით, წელს უკვე მეორედ მოაწყო ლიტერატურული კონკურსი – «ემიგრანტის წერილი».

ლიტერატურული კონკურსის მიზანია, ხელი შუწყოს საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართულენოვანი ავტორების გამოვლენას, ქართულ ენაზე შექმნილი საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებების გაცნობას ქართველი მკითხველისათვის, მათი ბეჭდური და ელექტრონული წიგნების სახით გამოცემას, გავრცელებასა და პოპულარიზაციას.

ტრადიციულად, კონკურსში მონაწილეობას იღებენ როგორც უცხოეთში, ისე, საქართველოში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები. კონკურსის პირობების თანახმად, საკონკურსოდ წარდგენილი ნაწარმოებები მხატვრული ფორმით ასახავენ ქართული ემიგრაციის ყოფასა და მის სირთულეებს, ტკივილსა და ნოსტალგიას, ემიგრანტთა სულიერ ღირებულებებსა და მისწრაფებებს, უცხო ქვეყანაში ადაპტირების, პრობლემათა გადალახვის, წარმატებების მიღწევის, თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციის პროცესებს.

ლიტერატურული კონკურსი – «ემიგრანტის წერილი» – არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელიც უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს აძლევს შესაძლებლობას, გაბედულად მოსინჯონ საკუთარი კალამი, ესაუბრონ ქართველ მკითხველს, განახორციელონ სრულყოფილი ინტეგრაცია ქვეყნის კულტურულ და საზოგადოებრივ სივრცეში და გზა გაიკვალონ ლიტერატურულ სარბიელზე.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი მიესალმება ყველა მსგავს ინიციატივას და ძალისხმევას არ იშურებს, რათა, შეძლებისდაგვარად, ხელი შეუწყოს ქართული დიასპორის ჩართულობას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში, მათ შორის – ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში.

სულ ახლახანს,დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, ამავე მიზნით, ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი გააფორმა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, რის საფუძველზეც ლიტერატურის, მუსიკის, ფერწერის, არქიტექტურისა და ხელოვნების სხვა დარგებში უცხოეთში მოღვაწე ჩვენს თანამემამულეებს საშუალება მიეცემათ, მონაწილეობა მიიღონ საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების ყოველწლიურ კონკურსში- „თბილისი“.

იმედს გამოვთქვამთ, რომ მსგავსი შესაძლებლობები არა მხოლოდ გაზრდის შემოქმედებით მუხტს უცხოეთში მყოფ ჩვენს თანამემამულეებში, არამედ, ხელს შეუწყობს ემიგრანტული შემოქმედების განვითარებას, რომელიც, ტრადიციულად,ახალი, მოწინავე იდეებითა და ტენდენციებით ამდიდრებდა ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ,ფილოსოფიურ თუ შემოქმედებით აზროვნებას და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ეროვნული ცნობიერების ფორმირებაში.

გელა დუმბაძე,
დიასპორის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრი

რედაქტორისგან

„ქართველ ემიგრანტთა საერთაშორისო გაერთიანებამ“ და საბერძნეთის ქალაქ თესალონიკში მოქმედმა **„ქართულმა სალონმა“** ემიგრანტ შემოქმედთა კონკურსი – **«ემიგრანტის წერილი» 2014** წელს გამოაცხადა. განისაზღვრა ორი ნომინაცია: **პოეზია და პროზა.**

ლიტერატურულ კრებულში – **„ემიგრანტის წერილი 2016“,** შესულია უკვე მეორე ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულ ავტორთა ნაწარმოებები.

კონკურსის მხარდამჭერები არიან: **საქართველოს დიასპორის სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საინფორმაციო სააგენტო „ივერიონი“, ჟურნალი „ცისკარი“, კომპანია „ჩვენი ტური“ და „Georgia-Israel“ დიზაინერ მეწარმეთა ასოციაცია.**

წელს პირველად დაწესდა **გრიგოლ რობაქიძის** სახელობის პირველი პრიზი**“არჩიბალდ მეკეში,“** რომელიც კონკურსში გამარჯვებულ პირველი ადგილის მფლობელებს გადაეცემათ როგორც პროზაში, ასევე პოეზიაში. გაიცემა სხვადასხვა პრიზებიც.

გულწრფელად ვულოცავ ქართველ ემიგრანტებს ქართული ემიგრანტული ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენლის სახელობის პრიზის დაწესებას ამ ლიტერატურული კონკურსისთვის და ვუსურვებ, გულით ეტარებინოთ ყველგან და ყო-

ველთვის მშობლიური კულტურის სიყვარული და პატივისცემა. წარმატებით ეღვაწოთ მის განვითარებასა და პოპულარიზაციაში თავიანთი წვლილის შესატანად.

საბერძნეთის ქალაქ თესალონიკის ქართველ ემიგრანტთა გაერთიანების სახელით, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კონკურსის მხარდამჭერებს გაწეული დახმარებისა და თანადგომისთვის.

მიხარია, რომ ეს კარგი და სასარგებლო წამოწყება ტრადიციად იქცა.

რუსუდან გოგბერაშვილი
კონკურსის ორგანიზატორი და რედაქტორი

პროზა

ირმა გოდერძიშვილი
I პრიზი. დიდი ბრიტანეთი

ახალი, უცხო

შეღამებული იყო, პირველად რომ შევხსენით მოყვითალო ფერის სახლის კარი. სპეციფიკური სუნი იდგა, დახშული და დანესტილი. ახლახანს დაცალეს მდგმურებმაო, მოიბოდიშასავით უძრავი ქონების სააგენტოს თანამშრომელმა. მერამდენე სახლი იყო უკვე, შევიდოდით და უკმაყოფილო სახეებით გამოვტრიალდებოდით ხოლმე მე და ბენჯამინი.

ძალიანაც კი მინდოდა, რომ დიდი სახლი გვქონოდა, დიდი ოთახით, სადაც ბენჯამინი და მისი სათამაშოს ყუთები შესახლდებოდნენ, მაგრამ კანონი კანონი იყო. დიდ ბრიტანეთში, უმუშევარ, მარტოხელა დედას, მხოლოდ იმ სახლის ქირის გადახდაზე თანხმდებოდნენ, რაც მისთვის და მისი შვილებისთვის იყო ხელმისაწვდომი.

ადგილი არ იყო ცუდი. ახლოს იყო პარკთან, ბაღთან და მაღაზიასთან. ოთახები იყო პატარა, მაგრამ სახლს პატარა ეზო ჰქონდა წინ, სადაც ბენჯამინი ველოსიპედს გაიტანდა, როცა არ იწვიმებდა.

არც ისე დიდი ფიქრის მერე, სააგენტოს დავურეკე და ვუთხარი, რომ თანახმა ვიყავი, გვექირავებინა ეს პატარა, ყვითელი სახლი.

ახალი სახლი

ნოემბრის ყვითელ, მოღუშულ დღეს შევბარგდით ჩვენს ახალ, მოღუშულ სახლში. ბენჯამინი პალტოს გაუხდელად დაჯდა სავარძლის კუთხეში, მობუზული. ხელები, დიდი კაცივით,

მუხლებზე დაიდო და უფრო დიდი კაცივით თავი ჩაქინდრა.

– ეს არის ჩვენი ახალი სახლი. წინ ჩავუქროლე.

ჩავუქროლე არაა სწორი ალბათ, როცა 8 თვის ფეხმძიმე ვარ, მაგრამ ავხტი კიდეც და ტაშიც შემოვკარი გაღიმებულმა.

ახალი ყველაფერი ახარებდა. ახალი ყველაფერი კარგი უნდა ყოფილიყო და ამ სახლსაც, თუ ახალი იყო, წესით უნდა გაემხიარულებინა ბენჯამინი, მაგრამ თავიც კი არ ასწია, ისევ მოწყენილი და შემცბარი სახით დაჰყურებდა თავის პატარა ხელებს, დამოკლებული პალტოს მაჯებიდან რომ მოუჩანდა.

გვერდით მივუჯექი. ძველი სავარძლიდან ამოშვერილი ზამბარა მეორე მხარეს გადახტა და გახუნებული ნაჭერი ახლა სხვაგან ამოიბურცა.

ხელი მოვხვიე, თავი თავზე დავადე და გავახსენე, რომ სულ რამდენიმე დღეში მისი დაბადების დღე იყო, ხოლო, მისი დაბადების დღიდან რამდენიმე კვირაში, მისი პატარა ძამიკოც გაჩნდებოდა და მერე კი, მალევე, თოვლის პაპაც მოვიდოდა საჩუქრებით.

– აი, ახლა, თოვლის პაპამ იცის სადაც ვცხოვრობთ, ბენ, იცის ჩვენი ახალი სახლის მისამართი და მოვა კიდეც, ადრე არ იცოდა, რადგან ხან ვისთან ვიყავით და ხან – ვისთან.

– მამას მისამართი ხომ იცოდა?

– ჩვენ მერე მამას სახლში ხომ აღარ ვცხოვრობთ და იქ რად გინდა, რომ მივიდეს შეცდომით და დატოვოს შენი და შენი ძამიკოს საჩუქრები?

– მე იქ მინდა რომ დატოვოს.

– რატომ იქ?

თავს წევს უფრო დაბლა, ლამის მუხლებამდე და მხრებს იჩეჩავს.

– ერთი წუთით მომხედე ბენ. შენ ხომ უკვე დიდი ბიჭი ხარ? ახლა, რამდენიმე კვირაში უფრო დიდი გახდები. რამდენი

წლის, აბა გამახსენე?

– სამის.

– ჰოდა, სამი წლის რომ გახდები და დაბადების დღე რომ გექნება, მე და შენ უნდა წავიდეთ ერთ კარგ ადგილას.

– სად? იმ პარკში მე, შენ და მამა რომ ვიყავით?

– კი, იმ პარკში სწორედ.

– და მამაც იქნება იქ?

– შეიძლება, არ ვიცი, ზუსტად. მაგრამ ის კი ვიცი, რომ იმ პარკში ახალი საქანელები ჩამოკიდეს და აი, ამ ჭერამდე კი არა, ამ სახლის სახურავამდეც კი ადის, ისეთი მაგრებია!

– და თუ იქნება მამა იქ, ეტყვი, რომ მოვიდეს ამ ახალ სახლში? ან პარკიდან რომ წამოვალთ, წაგვიყვანს თავის ძველ სახლში?

– ერთი წუთი დაიცადე, ბენ, გაგხადო ეს პალტო. სულ დამავიწყდა. სახლში შემოვედით და არც ერთს არ გაგვიხდია პალტოები- ვუცინი და ღილებს ვხსნი. თვითონ უყვარს ღილების გახსნა. რამდენიმე კვირაა, რაც ისწავლა, მაგრამ ხელს არ მაშველებს. დგას ჩემს წინ, ძირს თავის ფეხსაცმელებს დასჩერებია და დაპატარავებული პალტოს მაჯებიდან ხელები უფრო გრძელი უჩანს, ვიდრე აქვს.

– აი, ესეც ასე. ახლა ქუდიც მოგაძრო... როგორ დამავიწყდა, არა?!

– ის წიგნი სადაა?

– რომელი, აბა?

– აი, ის, „გრაფალოუს ბუქ“-ი.

– გრაფალოზე წიგნი? დაიცა, ვიპოვნოთ, აბა. ამდენ ბარგში ახლა ვიპოვნით თუ არა, ვინ იცის. დაიცა, აბა დავიწყოთ... რომელი ჩანთიდან დავიწყოთ, ბენ?

უყვარდა ძებნა და მერე პოვნა რაღაცის, საქმიანად შეუდგა ჩანთიდან სათამაშოებისა და წიგნების ამოლაგებას, თან

თითო- თითო პატარა სათამაშოს აკვირდებოდა, ისე თითქოს ახალი რამე ეპოვნა, ხელს უსვამდა და ნელა დებდა ხალიჩაზე. ჩავიკუნტე მის გვერდზე, ტოლები ვიყავით.

– აი, ის კუ!

– შენი საწოლის ქვეშ იდო ხოლმე, არა?

– და აბა, თუ გახსოვს ვინ მიყიდა? – მეკითხება და მიღიმის.

– ვინ?- მახსოვს, მაგრამ არ ვპასუხობ.

– ვინ და სუ გრენდმამ

– აჰ, ჰო, გამახსენდა.

– წავიდეთ სუ გრენდმასთან?

– აი, რომ გათენდება, მერე. გაიხედე, ახლა უკვე, დაღამებულია. კუ ნელა დადის ხო, ძალიან? შენ გახსოვს ის ზღაპარი კუზე?

– ჰო.

– აბა, მომიყევი მაშინ.

– შენ მომიყევი-მეუბნება და კუს ჩემს მუხლებზე დებს.

უმეტესი ზღაპრებისა ჩემი მოგონილია, მაგრამ რომელი იყო კუზე, ვერ ვიხსენებ.

– იყო და არა იყო რა, იყო ერთი კუ. კუს ძალიან უყვარდა ნელ – ნელა სეირნობა მწვანე მინდორზე. როგორც კი გათენდებოდა, ისაუზმებდა, ჩაის დალევდა და ბუჩქებიდან გამოძვრებოდა ხოლმე. მერე ღიმილ-ღიმილით გასწევდა მინდვრის შუაგულისკენ და იქ თამაშობდა. ერთხელაც, კუს გზა აებნა. შეღამებული იყო უკვე და ვეღარაფერს ხედავდა.

– მთვარე თუ ამოვა, გაანათებს და დაინახავს, ხო?

– კი, დიდი მთვარე თუ ამოვა, გაანათებს მინდორს, მაგრამ პატარა, ნამგალა მთვარე თუ იქნება, მაინც ებნელება.

შეფიქრიანებულმა სათამაშო კუს დახედა ჩემს მუხლებზე.

– ფეხები დამიბუჟდა, მე სავარძელზე დავჯდები და იქიდან მოგიყვები, კაი?!

იღებს კუს ჩემი მუხლებიდან და მომყვება.

– მერე?

– მერე ის, რომ კუ დაიკარგა, გზა აებნა და თავისი მაყვლის ბუჩქებიანი სახლი ველარ იპოვნა. დაიწყო სიმღერა: – ჭიამაია, მა – პოვ?. .

– ნინე, მე შენ დედას გაპოვნინებ-მყვება უგერგილოდ, მაგრამ მაინც მყვება. ასე ვიცი ხოლმე, ვუყვები ზღაპარს და ვიყოლიებ, რომ ენა უკეთ გაიტეხოს. აი, ბაღში რომ მივა, ვშიშობ, ქართული დაავიწყდება, ინგლისურ გარემოში იქნება მთელი დღე.

– და აპოვნინებს?

– დაიცა, ჯერ, ბევრჯერ უნდა თქვას ჭიამაია მაპოვნინე, ასე არაა?

– ...

კუს ჩემს გვერდზე სვამს და სათამაშოებისკენ მიდის.

– აღარ გინდა ზღაპარი, ბენ?

– არა.

– მაშინ მოკლედ გეტყვი, რაც მოხდება.

ტრიალდება ჩემსკენ და მიყურებს.

– კუ დაიღლება გზის ძებნით და ტირილის დაიწყებს.

სახე ეღუშება და ჩემსკენ მორბის. -ამასობაში კუს დედა გამოდის ბუჩქებიდან და იძახის, ჭიამაია მაპოვნინე ჩემი პატარა კუ, და მე შენ დედას გაპოვნინებო. ჰოდა, ჭიამაია მოფრინდება და კუს დედას წინ გაუძღვება.

– გაძღება რა არის?

– აი, ასე, მე შენ წინ მიგიძღვები, რომ შეგიყვანო ტუალეტში, მაგალითად. წამო, გამომყევი აბა... მომყვება. ტუალეტი ჭუჭყიანია.

– დაიცა, ერთი წუთი ბენ, მოვალ ახლავე. გავწმინდო ერთი, ცოტათი მტვრიანია.

– მერე ჭიამაია აპოვნინებს? – მომძახის უკნიდან.

– დაიცა მოვალ და გავაგრძელებ.

– ჰოდა, ჭიამაია გაუძღვება წინ. აი, წინ გაუძღვება დედა კუს და მიიყვანს თავის შვილთან, რომელიც ტიროდა- დედა მინდაო და გზა ამებნაო. დედას გაუხარდება თავის შვილს რომ დაინახავს, თავს თავზე მიადებს და აკოცებენ ერთმანეთს. მერე თავიანთ მაყვლის ბუჩქებიან სახლში წავლენ ერთად და დაიძინებენ.

– სადაა მაყვლის ბუჩქებიანი სახლი? – თვალებს ისრესს, ეძინება.

– მინდვრის ბოლოს, ხვალ მოვძებნოთ გინდა?

– მამას სახლთან, თუ ამ სახლთან ახლოს?

– ჩვენს ახალ სახლთანაა, ბენ.

– დავრეკოთ ახლა მამასთან, აბა?!

– რისთვის, ბენ?

– რომ ვკითხოთ როდის მოვა?

– აჰა, კითხე როდის მოხვალ და მე შენთან მინდა თქო, ეგეც უთხარი, კარგი?

– ჰო, მასე უნდა ვუთხრა.

იღებს ტელეფონს და დასჩერებია გაღიმებული სახით.

მერე, იწყებს ლაპარაკს და ცოტა ხანი არ ჩუმდება. უხარია, ესმის მამამისის ხმა და ეუბნება ყველაფერს, რაც დღეს ნახა, სადაც იყო, სადაც არის, რაც მოსწონს და არ მოსწონს და მერე ეუბნება, მოდი, ახლა და წამიყვანე შენთანო. გული საგულეში, ბავშვი მუცელში, გრძნობები ყელში მეჭედება. ვუსმენ მამამისის ხმას, რომელიც უხსნის, რატომ ვერ მოვა დღეს საღამოს და რატომ მოვა მარტო შაბათობით ხოლმე. ბენს არ მოსწონს პასუხი და წკმუტუნებს, მე შენთან მინდაო. ვიციო, პასუხობს და მაინც უარს ეუბნება მოსვლაზე.

– რატომ ტირი? – მეკითხება, სახეს მის ამოჩეჩილ ზედაში

ვმალავ.

ტელეფონს ძირს აგდებს და ხელებს მხვევს, ვერ გაუგია ვერაფერი. ან ესმის ის, რომ ცუდად ვარ, ვერ ვეგუები ვერც მე უმამისობას, ისე, როგორც თვითონ, რადგან უცებ მეკითხება, მამამ გაგაბრაზა ისევო?

– კი, ვპასუხობ და სახეს ვარიდებ.

– რატო?

– აი, რომ თქვა, უნდა წავიდეო და წავიდა კიდეც.

– დავურეკოთ აბა, კიდევ და შენ უთხარი ახლა, მოდი თქო, კარგი?!

მაწვდის ისევ ტელეფონს. ვრეკავ და აღარ იღებს.

ვწევარ, არ მეძინება.

მესმის ბენჯამინი თავისთვის მღერის იმ სიმღერას, მამამისთან ერთად რომ მღეროდა ხოლმე. ასე იცის ძილის წინ. მთელ საათიან კონცერტს გამართავს ხოლმე თავის საწოლში და სიმღერებში ეძინება მერე.

რა კარგია, ბავშვები აწმყოში რომ ცხოვრობენ, მალე ივიწყებენ წყენას, არ ადარდებთ მომავალი.

ბოლო სიმღერა იყო, ვხვდებოდი, რადგან სიტყვები აერია და ამოიოხრა დიდი კაცივით. მერე გაჩუმდა. მერე, პატარამ დაიწყო მუცელში ტრიალი და ბორგვა; მერე, მე ვერ ვიპოვნე ბალიშზე თავისდასადები, ძილისმომგვრელი ადგილი და მერე, მთელი ღამე ჩემს თავს ვეჩხუბე, რომ თუ არ დამეძინებოდა, დილით არაფრად ვივარგებდი, ვერ წავიდოდით პარკში, იხვებს ვერ ვანახებდი ბავშვს, ვერ წავიდოდი მერე იქიდან მაღაზიაში, მერე სახლში მოსული ვერ გავაკეთებდი სადილს და ისევ მარტო კვერცხს შევწვავდი. რაც უფრო მეტად ვიბრაზე, მით უფრო მეტად ამივარდა ძილი თავში.

ავდექი რამდენჯერმე, ცოტა შიშით, ცოტა მორიდებით.

სიბნელის ყოველთვის მეშინოდა, მაგრამ მინდოდა დამეხედა ბენჯამინის ულამაზესი სახისთვის. მინდოდა, მისი სუნთქვა გამეგო, ან ხელი დამედო ლოყაზე და მისი სითბო ამეღო პეშვით.

ვაკოცე საწოლიდან გადმოგდებულ ხელზე, ხელი ისეთი უმწეო იყო, ისეთი პატარა, ისეთი დაღლილი, მოთელილი, რომ გული საგულიდან ამომიგდო.

ბავშვმა მუცელში დაიწყო ბორგვა. ადრე ვიტყოდი თამაში მეთქი, მაგრამ მხოლოდ ბედნიერი ბავშვები თამაშობენ ბედნიერი დედის მუცელში.

დავჯექი ბენჯამინის საწოლის გვერდზე, ჩემსავით ფხიზელი ძილი ჰქონდა. თვალები გაახილა ნელა, ან დამინახა, ან – ვერა, მაგრამ მიხვდა, რომ იქ ვიყავი. დედაო, ქართულად თქვა და გადატრიალდა მეორე მხარეს.

გარედან დღის სინათლე რომ შემოვიდა, გამიხარდა. ახალი დღე დაიწყო და ჩემთვის თუ არა, ბავშვისთვის მაინც უნდა გავმაგრდე მეთქი- სარკეში რამდენჯერმე გავუმეორე ჩემს თავს ეჭვშეპარული ხმით და თვალებით და თავი ვერ დავაჯერე.

ბენჯამინმა რომ გაიღვიძა, გამიხარდა. დამიძახა საწოლიდან და კი არ ავგორდი კიბეებზე, ავქანდი.

წითელი ჰქონდა ლოყები, არაბუნებრივად წითელი, თვალებიც წითელი. ტუჩებით შევეხე შუბლზე, ხელებით-კისერზე, ცხელი იყო.

– აი, ახლავე, ბენჯამინ, წყალი მოსვი და წამალს ამოგიტან ახლავე, სიცხე გაქვს დედას ბიჭო!

– რომელ წამალს?-შუბლს იკრავს.

– შენ რომ გიყვარს, მარწყვის გემო რომ აქვს, იმას--ვუცინი და ლაპარაკს ვაგრძელებ სამზარეულოდან. ისიც ლაპარაკობს, მაგრამ რას, არ ვიცი და არც ვუსმენ. ვერ ვპოულობ

წამლების ყუთს, ან სად ვიპოვნი გაბერილ ცელოფნებსა და ჩანთებში. ვყრი ყველაფერს იატაკზე, ზოგი რაღაც ბრახუნით ეცემა, ზოგი, უხმაუროდ, უმეტესი ბენჯამინის ნივთია, ან ჩასაცმელი და გული მეკუმშება ჭუჭყიან იატაკზე რომ იყრება და ზემოდან სხვა რაღაცეები ეყრება.

მეძახის, ვიცი რომ მეძახის, მაგრამ სანამ არ ვიპოვნი წამალს, რა აზრი აქვს იქ არბენას და ისევ ძირს ჩამორბენას? ვპოულობ წამლების ყუთს, ყველაფერია საბავშვო პარაცეტამოლის გარდა. ყუთს ვისვრი იატაკზე და ავრბივარ კიბეებზე.

ტელეფონს ვიღებ, რომ სასწრაფო გამოვიძახო, მაგრამ ტელეფონი დასატვირთია.

ვპოულობ სატვირთს ჩემს ჩანთაში, ვაერთებ და ვრეკავ. მოდის ექთანი თუ ექიმი, სამზარეულოში გზას იკვლევს წვალებით და ჩემს მობოდიშებაზე იღიმის, ახალი სახლი ეს არის, სანამ დალაგდებიო. როდის გაუზომე სიცხე, მეკითხება. არ გამიზომია, უბრალოდ ცხელი იყო და ვიცი, რომ სიცხე აქვს – ვპასუხობ სხაპასხუპით.

წამალს აძლევს, ნახევარ საათში დავარდება სიცხე, ნუ გეშინიაო, მიღიმის კიდევ.

ბენჯამინს არც სძინავს, არც ღვიძავს. თვალები დახუჭული აქვს.

პატარა მუცელში ბორგავს, როდის ელოდები? 4 კვირაში, ვპასუხობ სხაპასხუპით. ბენჯამინთან ვჯდები და მის პატარა ხელს ვიჭერ ხელებში.

ნუ გეშინია, მალე დაუწევს სიცხე, ბევრი სითხეები ასვი, გახადე ეგ ზედა და ქვედა, არ ჭირდება არაფერი. კი, მაგრამ ცივა სახლში – ვეწინააღმდეგები.

ბენჯამინი რაღაცას ამბობს. ვხდი პატარა ზოლებიან შარვალს, მანქანებიან წინდებს, რომელიც თვითონ აირჩია ჩასაცმელად, გუშინ დილით, ზოლებიან ზედას და უჩანს პატა-

რა მხრები და მხარზე ის ხალი, რომელსაც ბანაობის დროს ეძებს, რომ მაჩვენოს. ქართულად იწყებს სიმღერას. არადა, ქართულად არასოდეს უმღერია. ჭიამაია მაპოვნინეს მღერის, მიხარია, რომ მღერის, ჩუმად მღერის, მაგრამ მე მესმის. აი, უკეთაა უკვე, წყალი დალიე, აბა, ბენ, რომ უფრო კარგად იმღერო. სვამს ნელ – ნელა და აგრძელებს თან. რა გინდა რომ გაპოვნინოს ჭიამაიამ? ვეკითხები. ვშიშობ არ მიპასუხოს ის, რაც არ მინდა, რომ მიპასუხოს და არც მპასუხობს. მხრებს იჩეჩავს ოდნავ.

მერე, ხელს ითავისუფლებს და მეკითხება, რომ გავიღვიძებ და ვისაუზმებ, მამასთან წავალთო?

* * *

– აი, ესაა ჩემი მოთხრობა. დავიწყე, მაგრამ ვერ ვამთავრებ. ვეუბნები ჯონს.

– ...

– ალაგ-ალაგ კი ვიტირე, მაგრამ არ გეგონოს, როცა დავშორდებით, გამიჭირდება ისე, როგორც აქ, მოთხრობაში ვწერ. უბრალოდ, ბენი მეცოდება, ასე რომ უყვარხარ და ვიცი, როგორ გაუჭირდება.

ხმას არ იღებს. ღვინოს წრუპავს ნელა და სახეში მომჩერებია.

– ადვილი იყო ამ მოთხრობის დაწერა, ერთ საათში დავწერე რა. . ადვილი იმიტომ, რომ წარმომიდგენია, რა და როგორ იქნება, როცა დავშორდებით. ბენჯამინს, ვიცი, რომ გაუჭირდება, მე-ცოტა ხანს, მაგრამ მერე, ბავშვების გულისთვის გავმაგრდები და ვიქნები ნორმალურად.

თვალს თვალში ვუყრი და მიჭრელდება თვალები. მეცოდება ჩემი თავიც, ბენჯამინიც და პატარაც, მუცელში ღამ-ღამობით რომ ტრიალებს, ბორგავს. ვიტყოდი თამაშობს- მეთქი, ან ხტუნავს- მეთქი, ან ცეკვავს -მეთქი, მაგრამ, ვიცი, რომ

გრძნობს, ვიცი, რომ ხვდება. ჩემშია, გულთანაა ლამის ამოსული, და გრძნობს, როგორ ვერა.

– ნახე, როგორ ხტუნავს ბავშვი. ვეუბნები და მუცელზე ვანიშნებ.

– კი, ვხედავ.

მუცელი მარჯვნიდან მარცხნივ იზნიქება, მერე მარცხნიდან- მარჯვნივ. მერე ჩერდება.

– ახლავე მოვალ, ბენჯამინს დავხედავ, დაიძინა თუ არა, ან სახეზე მარლა ხომ არ აფარია, და მოვალ.

ფანჯარაში ჩემს ჩრდილს ვხედავ, მუცელგამოზნექილს, მხრებჩამოყრილს და ჩემს უკან ჯონს, ღვინის ჭიქით ხელში. ზის ამაყად. ისე, თითქოს მისი გადაწყვეტილება არ იყოს ჩვენი დაშორება. ისე, თითქოს ეგ არ იყოს ტკივილს რომ მაყენებდეს. ისე, თითქოს მისი ბრალი არ იყოს, ბენჯამინი რომ უმამოდ უნდა გაიზარდოს. ისე, თითქოს რაღაც ჰქონდეს სასიხარულო. ვჯდები ბენჯამინის საწოლის გვერდით, ხალიჩაზე.

ბენჯამინს სძინავს.

ყველაფერი კარგადაა ახლა... აი, ამ ღამეს. -ვეუბნები ჩემს თავს და ცრემლებს არ ვმალავ. - ბენჯამინს ყავს დედაც და მამაც ერთ სახლში, ერთ ჭერქვეშ.

გარეთ წვიმს. დიდ ბრიტანეთში ნოემბერში სულ წვიმს, მით უმეტეს ღამ-ღამობით.

მხარზე ხელს მადებს, მერე თმაზე მისვამს ხელს, მერე ბენჯამინის მრგვალ ლოყებს ადებს ხელს. „მალე, სამი წლის გახდება!“ თვალს არ აშორებს.

ჩაბარგებული ჩანთები და ყუთები ალაგია ერთმანეთზე. ხვალ დილით მოვა მანქანა და შეყრის ვიღაც გამხდარი ბიჭი (როცა არ ვუყურებ) და ყურადღებით შეალაგებს ყუთებსაც და ცელოფნებსაც, როცა ვუყურებთ, რომ არ ვუსაყვედუროთ ან მე ან ჯონმა.

ხვალ ბენჯამინი და მე ჩავსხდებით ამავე მანქანაში და წავალთ. მერე, შეიძლება მოვენატროთ, შეიძლება არ მოვენატროთ, ვერ გავიგებთ, რადგან მამამისს არ უყვარს გრძნობებზე და ემოციებზე ლაპარაკი.

თუმცა, ამღამ, ისევ ერთად ვართ შეკრული ჩანთებითა და პირმოკუმული დარდებით.

დილამდე 10 საათია კიდევ და დილამდე ერთად ვართ...

ბავშვი ხტუნავს მუცელში, ხტუნავს იმედით.

ბენჯამინი სიზმარში რაღაცას ხედავს და იღიმება.

ვწევართ გვერდიგვერდ. რადიოზე განათებულ საათს ვუყურებ. ჯონს ან სძინავს ან- არა, მაგრამ არაფერს ამბობს.

მერე, მეძინება და ვხედავ დედაჩემს. მოდის ჩემთან და ხელს მადებს შუბლზე. შენზე ვდარდობო, მიბოდიშებს. რატომ- მეთქი, სიზმარში ვღელავ. იცის ნეტავ, რომ ვშორდებით მე და ჯონი- მეთქი? არ იცის და წყნარი ხმით ამბობს. აი, შენი შვილები რომ გაიზრდებიან და თუ გადაწყვეტენ სხვა ქვეყანაში წასვლას, მერე მიხვდები ჩემს სადარდებელსო. ამოვისუნთქე, გამიხარდა რომ სადარდებელზე სადარდებელი არ დავუმატე. დედა ვიყავი უკვე და ვიცოდი რა და როგორ, სიზმარშიც და ცხადშიც.

... და სიმარტოვისაც აღარ მეშინოდა, დედაჩემის ხელისგულები თბილი იყო, ნამდვილი, ჩემი.

მარი კვეზერელი /სალომე გოგოლაძე/
II პრიზი. იტალია

TERRA NOSTRA
(ჩვენი მიწა)

ქალაქში წვიმდა. სადგურთან ახლოს, ალდო მოროს მოედანზე, შადრევანი უზარმაზარი მარმალილოს ლარნაკზე ბუჩქივით გადმოედინებოდა. ბაღში მაღალი პალმის ხეები მარაოსავით შლიდნენ მწვანე ტოტებს და მზის ათინათებს

ეთამაშებოდნენ. ასფალტზე მტრედების გუნდი ირეოდა და კუთხეში, კარდონის ყუთზე გაშხლართულ, თავთით აბგა ამოჩრილ ზანგის ჭრელპერანგა კაცს ლამის ზედ ასკინტლავდნენ. მტედებიც კი ადამიანებზე თამამად დააბიჯებდნენ აქ.

ქუჩის გადაღმა დიდი ბაღია, სადაც ხუთშაბათობით ქართველების ტევა არაა. საბრალო ერის შვილები, ისე უმწეონი ჩანან ამ, „მწარე ევროპის“ ფონზე, როგორც ტყის ბინადარნი ვოლიერებში. თავისუფალ დროს, როცა გამოდიან, იქვე, ქვის სკამებზე სხდებიან. უმეტესობა ქალბატონია, შუახნის ასაკისა. ზოგი მოხუციც ურევია. სამოსზე მიხვდებით, რომ აქაურები არ არიან. რაღაცნაირი, ფემინური ჩაცმულობა აქვთ, ზემდეტად ქალურ ნაკვთებს რომ უსმევს ხაზს. ხანდახან მეშინია მათთვის თვალებში ჩახედვისა, რომელშიც დიდ ტკივილთან ერთად მტანჯველი მონატრებაც ერთვის, რომელსაც ვერავინ გაიგებს და მიხვდება, გარდა მათივე მსგავსისა. რატომღაც, მეც შიში მიპყრობს და ვფიქრობ – დრო რომ გავა, ალბათ მეც ასეთი თვალები მექნება, ორმოსავით ცარიელი, შიშნარევი და მსუსხავი.

ქართველი კაცები შორი ახლოს დგანან. უმეტესად უსაქმურად, ჯიბეში ხელჩაწყობილნი, მხრებში აწურულნი. ალბათ, ვიღაცის ქმრები, ვიღაცის შვილები და ვიღაცის სატრფოები,

ისევ ქართველი ქალის იმედად. ერთი მხრივ, ეს დიდი თავგანწირვაცაა ქალისათვის. აქ იშვიათია მათი საქმე. ზოგიერთნი არაფერს ერიდებიან, არც ცუდს არც კარგ საქმეს, ოღონდ თავი გაიტანონ უცხო ქვეყანაში. იტალიელები „ნამდვილ ქართველებს“, მგონი არც იცნობენ, ყველა მათგანი

თაღლითი, მატყუარა და გაქნილი ჰგონიათ. მოდი და გაამტყუნე. ქართველი კაცის „პატივდებული ხელობა“ უცხოობაში სწორედ ეს გამხდარა, რომელსაც ასე სამარცხვინოდ თვლიდა და გაურბოდა ძველად ქართველი.

დროთა განმავლობაში, ერთი-ორი სიტყვა მეც ვისწავლე იტალიურად და თავგამოდებით ვცდილობ ავუხსნა უცნობსა და ნაცნობს თუ ვინ ვართ, საიდან მოვედით და როგორია ჩვენი ქვეყნის კულტურა და ისტორია. ვეუბნები -უხსოვარი დროიდან ცივილიზებულ ერად ვითველებით. სახელგანთქმულნი ვართ ჩვენი მწერლობითა და უძველესი არქიტექტურული ნიმუშებით. მათი რეაქცია – ნული. იტალიელს სულ ფეხზე კიდია ეს ამბავი და ცოტა არ იყოს, განაწყენებულს ხმაში ბზარი მეპარება, როცა ვხვდები, რომ არაფერი არ იციან ჩვენს შესახებ ერთი რამის მეტი, რომ ქართველები მიმოფანტულნი არიან მთელს ევროპაში. კაცები საშიშები არიან, ხოლო ქალები კი საუკეთესო მოსამსახურეები და მათი ბებია- ბაბუების იაფი მომვლელები. ამიტომ, როგორც გინდა მოიხმარე ეს მეტად უცნაური ნაცია, თავისი ზნითა და ტრადიციით რომ გამიჯვნია მსოფლიოს.

ევროპა მრუში ქალია. ასეა აღწერილი უხსოვარ ლეგენდაში, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ შეიქმნა ეს კონტინენტი. მითი გადმოგვცემს, თუ როგორ მოიტაცა ხარადქცეულმა ზევსმა ფინიკიის მეფის, აგინორის ქალიშვილი, ევროპა, გაიტაცა ზღვით, დღევანდელ კუნძულ კრეტაზე, გააუპატიურა იგი და შემდეგ კი მისგან ეყოლა შვილები. მას თაყვანს სცემდნენ,

როგორც ქალღმერთს. სწორედ ამ ქალის სახელი დაერქვა ევროპის კონტინენტს. ეს მოკლე მიმოხილვა მეუბნება იმას, რომ ქვეყანა, რომელმაც მიმასპინძლა, არც თუ ისე გულშემატკივარი იქნებოდა ჩემი ქართული სისხლისა და ხასიათისა, ჩემი რელიგიისა და ჩემი ღმერთისა, რომელსაც უხსოვარი დროიდან ეწირებოდნენ ქართველები.

როგორც იქნა, დიდი ლოდინისა და წვალების მერე, ვიშოვე სამსახური. ერთმა ქართველმა დამდო პატივი. მანამდე, ჩემი ნათესავი ქალი, მისსავე სამსახურში მმალავდა დიდი ტანსაცმლის კარადაში შეყუჟულს. ცოტა არ იყოს, უხერხულად კი ვგრძნობდი თავს, მაგრამ რას ვიზამდი. მე ახლა, ერთი ჩვეულებრივი „ბადანდე“ ვარ. ოჯახი, რომელმაც მომცა სარჩო-საბადებელი და მომცა თავშესაფარი, მკაცრი დედინაცვალი აღმოჩნდა. დილიდან დაღამებამდე მუხლჩაუხრელად ვშრომობ და მხოლოდ საღამოობით ძლივს მივათრევ დაქანცულ სხეულს ლოგინამდე. ამ ბოლო დროს, სულ ჩემი სოფელი მესიზმრება. მეჩვენება რომ იქ ვარ, გაზაფხულია, ხეები ყვავიან და მათ სურნელსაც კი ვგრძნობ. როგორ მონატრებით – ვეფერები მიწის ყოველ გოჯს და ვტირი სიხარულისგან. გაღვიძებულს ბედნიერების განცდის შეგრძნება დამყვება მთელი დღის განმავლობაში.

ცენტრალული ზონიდან არც თუ ისე შორსაა ჩემი სამსახური. სახლიდან ზღვა და პლიაჟი მოჩანს. დილაობით, შორიდან თვალს ვადევნებ, როგორ ირეკლავს ხოლმე იგი ზურმუხტისფერ ზედაპირზე მზის სხივებს და როგორ დაფარფატებენ თოლიების გუნდები ზღვის ტალღებში. ხანდახან, უზარმაზარი ხომალდი გამოჩნდება, როგორც ოცნების ლურჯი ფრინველი და ნარნარად მიირწევა მძინარე ვეშაპის მკერდზე. მე, ფიქრებით მივყვები ამ ხომალდს შორს, ძალიან შორს, სადაც ჩემი სამშობლოს ცისფერი სანაპირო მელოდება.

ჩემს სენიორას აივანზე საუცხოო მცენარეები დაურგავს. საერთოდ, აქ ეს ტრადიციად არის მიჩნეული. წელიწადის თითქმის ყველა დროს ჯერანები ყვავის სახლის აივნებზე. ვარდისფერი, თეთრი, წითელ ბუტკო გაშლილნი- საუცხოო სანახავია. სურვილი მიჩნდება, რომ ოდესმე ჩემი სახლის აივანზე, რომელის არ მაქვს, ამგვარ ბაღს გავაშენებ, მერე დილაობით დავჯდები მოქანავე, ზურგ გადაგდებულ სკამზე და გავიხსენებ უცხო ქალაქს, როგორც გამარჯვებული მრავლისმნახველი მოგზაური დალაშქრულ ქვეყნებს.

სინიორა დორას რომ ჰკითხო, გული არაფერზე სწყდება ცხოვრებაში, ერთი რამის გარდა, რომ საუკეთესო წლები მხოლოდ ჯიბე გაფხეკილ კაცს შეალია, რომლის მიმართაც სულ ჰქონდა დაუცხრომელი ეჭვი და ვნება. ახლა კი, ძველ დროს რომ იხსენებს, გულდათუქული მაძლევს რჩევას, არამც და არამც სიყვარულს არ აჰყვე და გულის ხმას არ დაუჯეროო. ისეთი ადამიანი მოძებნე, ვისაც შენი ფასი ეცოდონებაო! ალბათ მართალია ჩემი სინიორა, მაგრამ გულს ვერ უბრძანებ და ჩემი აზრით, არც მაიმც და მაინც სიმდიდრეშია ბედნიერება.

ზაფხულობით, როცა ქალაქში გაუსაძლისი სიცხე და ბუღია, ყველა რჯულის ადამიანი ზღვის ნაპირს აწყდება. მე იშვიათად დავდივარ სანაპიროზე. ჩემი სინიორა მოხუცია. თუმცა, ეს არ შეუშლიდა ხელს, საწოლს რომ არ იყოს მიჯაჯვული, სულ ფრენით ჩავიდოდა ზღვის ნაპირზე, გაიშხლართებოდა სილაზე და თავის დამჭკნარ ძუძუებს მცხუნვარე მზეს მიუშვერდა ნებიერა, სიამის კატასავით. ახლა კი, მხოლოდ მის ბებრულ კვნესა -ურვას ვიზიარებ და ვისმენ ამბებს, თუ როგორ დადიოდა საღამოობით ვილაზე საცეკვაოდ და ვისკის წრუპვითა და ტანგოს ცეკვით ირთობდა თავს.

ჩემს სინიორას სამი ქალიშვილი ჰყავს. ყოველ კვირას მოდიან, განკუთვნილ დღეებში რიგრიგობით, დედის სანახავად.

მოვლენ, ცივად გადაკოცნიან, მოიკითხავენ, ჭამა -სმის საკითხს გაარკვევენ, ერთ- ორს დაიჩივლებენ შვილებზე -ოჯახზე და მალევე გარბიან. მე თითქოს ვერ მამჩნევენ, არ ვარ. მერე, როგორც იქნება, გავახსენდები მათაც იმიტომ, რომ დედას საპირფარეშოში მოუნდება გასვლა და ცივი ხმით დამიძახებენ:

– vieni Maria prendi seniora il banio! – და გულდასმით დაუწყებენ ყურებას ჩემს მოძრაობას. ვინიცობაა და არა სწორად გავუწმინდო, ვინიცობაა და ვატკინო, ღმერთმა ნუ ქნას და იმ დღეს „არ ქნა“, მთელი სანათესაო გებულობს, რომ საბრალო ქალბატონ დორას რაღაც ისეთი ვაჭამე, რომ კუჭის შეკრულობა დავმართე. იწყება მერე გაუთავებელი რეკვა და სწავლება, რომ ამისათვის კარგია შავი ქლიავის ჩირი, კივი, თხლად მოხარშული პასტინა და, არამც და არამც, მსუყე და გემრიელი სპაგეტი ან სუგო.

ლამაზი ხარო! – ერთ დღეს შეამჩნია ჩემმა სინიორამ და გაკვირვებულმა მითხრა: როგორ, არავინ არა გყავს?, – არამეთქი გავუქნიე თავი. „ non hai ne suno!“- თუმცა, მივხვდი, რომ არ დამიჯერა. - „ mama mia! „ შემოირტყა თავში ხელები და მაღლა ახედა ცას.

– შენს ასაკში უკვე სამი შეყვარებული მყავდა გამოცვლილი. მე და ჩემი მეუღლე გვიან შევხვდით ერთმანეთს, როცა ვნებები მოლეული გვქონდა. ორმოცს ვიყავი მიახლოებული. მე გათხოვება მინდოდა, მას კი ცოლის შერთვა სჭირდებოდა და ასე შევქმენით ოჯახი.

– კი მაგრამ, სიყვარული?!. . ვუთხარი გაკვირვებულმა და თვალები გამიფართოვდა.

– ხო, სიყვარული კი მერე, მერე მოვიდა, გვიან. მითხრა ღიმილიანი სახით.

– საერთოდ კი, იცოდე, ქალი ყვავილია, რომელიც მამაკაც-

მა უნდა მორწყას, რომ დიდხანს იხაროს. მე არ მესმის თქვენი, ან რაში გარგიათ ასეთი სიცოცხლე?! „მამა მია! ნონ კაპისკო ნიენტე!“ თქვა და გადაბრუნდა.

მეც ბევრი რამ არ მესმოდა ამ ჩემი ყოფისა. რა უნდა მეთქვა ჩემი სინიორასათვის, როცა გადასაკარგავში წამოსულს, საკუთარ ბედს შეჭიდებულს, მხოლოდ, ღმერთის იმედად მყოფს, ამ ქვეყნად არაფერი მებადა ჩემი უბადრუკი სამშოლოს მეტი, სადაც ფეხის დასადგმელი ადგილიც არ დამრჩენოდა, არა თუ ვინმე გულშემატკივარი.

აქ დრო ისე მიდის, როგორც საფლავში მწოლიარესათვის საუკუნე. ჩემს მკვდარ სხეულს ხანდახან ჩემივე ხელის შეხებით ვაცოცხლებ. ქალი ვარ, სიყვარული მწურია.

მე კი ისე ლამაზი ვარ ახლა, როგორც არასოდეს. კერტებ დაბერილი, აბრეშუმის კანიანი. ღამღამობით, როცა უძილობა ამიტანს წარმოვიდგენ, რომ ის მოვიდა. ის, რომელიც უნდა მოვიდეს და დააგვიანდა. ცხელ ტუჩებს დიდი ხანია დაავიწყდათ კოცნის გემო და მხოლოდ მარილიანი ცრემლი თუ მბანს. სიცივე ატანილი ვკანკალებ და ვერ ვთბები ერთი თხელი საბნის ამარა დარჩენილი. ვდგები და რაც მაბადია, ყველაფერს ვიცმევ... და მშურს მანდ დარჩენილი ქალებისა, რომელთაც ღამღამობით შეუძლიათ გახელდნენ სასურველი მამაკაცის მკერდზე. ესეც ერთი გაუმხელელი ტკივილია, რომელზეც არავინ საუბრობს... ჩუ- მეთქი, აქ არავინ საუბრობს! მხოლოს თვალის სიღრმეში თუ ჩახედავ მათ, მიხვდები – რა უბედურია ახალგაზრდა ქალი უსიყვარულოდ და უსამშობლოდ. ამ „უდაბნოში“ მშრალ, უსახო დღეებს ობის გემო აქვთ, კედლებიდან კი თითქოს, ამოლესილი სიცივე მომშტერებია. მე სხეულით ვარ აქ, სული ისევ იქ დადის, ჩემი თბილი სამშობლოს ქუჩებში დააბიჯებს და ეფერება, როგორ ეფერება ყველა კუთხესა და კუნჭულს. მე თითქოს ამ მიწის ნაგლეჯი ვარ და ვერაფრით

ვიხშობ ტკივილს, რომელიც სადღაც გულის სიღრმიდან ამოდის და ხმის იოგებთან მეჩხირება.

მოვიხედე და სამი წელი გასულა. ერთადერთი შიში, რაც მაქვს ისაა, რომ უცხო მიწაზე არ ამომხდეს სული. ხო, აქ ასეთი აზრები ხშირია. მიწა, ჩემი სამობლოს მიწა, პატარა ნაჭრის ტომსიკაში მაქვს გამოკრული და ყველგან თან დამაქვს ჩანთით. ამას წინათ, ქალაქში რომ გავედი, კარაბინიერები ყველა უცხოელს ჩხრეკდნენ, განსაკუთრებით კი „ კლანდესტინებს“ – უსაბუთოებს აჩერებდნენ. ალბათ, რაიმე შემთხვევა თუ მოხდა, ან ძარცვა ან მკვლელობა. ასე მწარედ მაშინ დაგვერევიან ხოლმე. ვკანკალებ და მეშინია, ხელი არ დამავლონ და იქ არ გამამწესონ, „სადაც ჯერ არს“. უეცრად, მესმის ზუგს უკან ხმამაღალი ხმა და სისხლი მეყინება.

– salve, prendere documenti!

ჩემს წინ აბჯარ ასხმული, წელში რეზინის ხელკეტიანი შუახნის კარაბინიერი დგას და თეთრ ხელთათმანს ისწორებს. ჩანთა გავხსენი და ვითომ საბუთებს დავუწყე ძებნა. ფეხი არ მოუცვლია, იდგა და მიყურებდა ცივი გამომეტყველებით. უცებ, ჩანთიდან ჩემი პატარა, თეთრი ტომსიკა გადმომივარდა, სადაც ქართული მიწა მქონდა სათუთად გამოკრული. მაშინ გაუფართოვდა თვალები და ხელი სტაცა. ეგონა, რაიმე ნარკოტიკულ ნივთიერებას, უფრო, კოკაინს თუ ვმალავდი. ტომსიკა გახსნა და ხელზე გადმოიყარა.

– ce cosa?- რა არის ესო? – მკითხა გაკვირვებულმა.

– qvesta, terra nostra, Giorgana!

ვეუბნები, ჩვენი მიწაა – მეთქი, ქართული მიწა. ვხედავ, უფრო უფართოვდება თვალები და ხან მე მიყურებს, ხან მიწას და ვერაფრით ხვდება, რატომ დამაქვს ჩვეულებრივი მიწა ასე გამოკრული, როცა ის ყველგან თავზესაყრელია. მგონი იფიქრა, რომ ვერ ვიყავი მთლად დალაგებული და ამ საკითხს

მარტო ის ვერ გადაწყვეტდა. გადარეკა რაციით და აცნობა, რომ დაკავებულია ქალბატონი, რომელსაც ჩანთაში აღმოაჩნდა ჩვეულებრივი მიწა. არის უსაბუთო, ფსიქიკური გადახრები არ აღენიშნება. გარდა იმისა, რომ მთელი მონდომებით ცდილობს დაიბრუნოს ნივთმტკიცება.

იქედან კი ისმის სიცილნარევი პასუხი: „დღეს ასეთი ქალბატონები ხუთი დავაკავეთ, ეს ქართველების ერთ- ერთი ფანდია, რომლითაც ცდილობენ შეცდომაში შეგვიყვანონ. ისინი ამით უფრო დიდ საიდუმლოს მალავენ, რომელსაც ჩვენ აუცილებლად მივაკვლევთ, კოდური სახელია „terra nostra... "

– რა უცნაური ერი ხართო ეს ქართველებიო, თქვენ არავის გავხართო. არც ევროპელები ხართ, არც აზიელებიო! – მითხრა ერთხელ ბებიას შვილმა, სავერიომ.

– ეს დამწერლობა თქვენია თუ რუსებისგამ ისესხეთ?-

– ჩვენია, ბატონო თქვენ გეშლებათ. ესაა, უხსოვარი დროიდან რაც შემოგვრჩა და ვამაყობთ ამით. საერთოდ, რა იცით ჩვენს სამშობლოზე, საქართველოზე?

– კი, ვიცი. სტალინი, შევარდნაძე და კიდევ... ჰო, მედეა. მედეა ვიცი! ის ლეგენდაც ვიცი, სადაც ჩანს რომ, თქვენ, ქართველ ქალებს შვილის მოკვლა შეგძლებიათ.

– არა, არ დაუჯეროთ ევრიპიდეს, სინიორ! ევრიპიდემ ბერძნების დასაცავად დაწერა ეს სამარცხვინი ნაწარმოები, რომელიც აგერ, საუკუნეებია ჩირქს გვცხებს ქართველებს. მედეა ამას ვერ იზამდა, ვერა, იმიტომ, რომ ქართველი ქალები შვილებს არ ვკლავთ, პირიქით, მათ ვეწირებით.

– არ ვიცი, არ ვიცი, მაგრამ ევრიპიდესი მე ჯერა. თქვა დამაჯერებელი სახით.

ამ გაცხარებულ კამათში კი ბებია დორას საპირფარეშოში მოუნდა და ცივი ხმით დაიჩხავლა.

– volio far pipi !

თქვა და დამთავრდა მედეას და ქართველი ქალების დამცველის როლის თამაში. ბებია წავიყვანე ისევ მედეაზე ფიქრმიცემულმა. მოხუცმა ბიდეში ჩაარაკრაკა და კმაყოფილსახიანი მომიბრუნდა და მითხრა:

– თქვენ, ქართველ ქალებს ყველას გაქვთ დამთავრებული მოხუცების მოვლის სკოლა?. .

აი, იქ დამთავრდა ყველაფერი და უცებ გამოვეთიშე ევრიპიდესა და მედეას... მწარედ, ძალზედ მწარედ გამეცინა და თავი დავუქნიე სახეგაბადრულ მოხუცს.

– კი, რა თქმა უნდა, ამას ჩვენ თითქმის ბავშვობიდან გვასწავლიან.

– bravi, molto bravi qvesti Giorgani!- დამიდასტურა მან და უკანალი მომიშვირა საცვლის ამოსაწევად.

რატომღაც ბებიაჩემი გამახსენდა. აკანკალებულ ხელებიანი, თბილსახიანი მოხუცი, რომელიც ეზო-ეზო ისე დააბიჯებდა, თითქოს ეშინოდა, ხიდან ნაადრევად ჩამოცვენილი ფოთლები არ გაესრისა. მერე კი, ბებიაჩემის გახსენებაზე, ის ეკლესია გამახსენდა... ძველი, დაფხავებული, ჩვენი სოფლის ეკლესია, რომელიც ძლივს იდგა ფეხზე ქარში და წვიმაში და თოვლი მის გუმბათოვან სახურავს დაუდობლად აზიანებდა. რაღაცნაირად, მეტკინა გულის სიღრმეში და თვალზე მომდგარი ცრემლი სასწრაფოდ მოვიწმინდე ცალი ხელით, რომ ვინმეს არ დაენახა.

ბებია დორა მზით განათებულ აივანზე გავიყვანე. აივნიდან კი ვხედავდი, როგორ იკლაკნებოდნენ საავდროდ გამზადებული ზღვის ტალღები შემოდგომის რუხი ცის ქვეშ.

– რა შორსაა ჩემი სამშობლო და რა ახლოა უფალი ჩემთან!

გავიფიქრე გულში და ცას ავხედე, როგორც უკანასკნელ თავშესაფარს.

გიგარიონ ცაგა /გივი ცაგარეიშვილი/
III პრიზი. /იტალია/

სინიორ ჯო

(მატარებელში საკითხავი ისტორიებიდან)

– ჩართე ერთი, გიოია, ტელევიზორი თუ ძმა ხარ. გევიგოთ, რა ხთება ქვეყანაზე. იქნება ომი დეიწყო?

– ჩავრთო თორე, შენც ყველაფერი არ გაიგო. ნახატებს უნდა უყურო და მერე იმარჩიელო, არა?

– ე ბიჯო შენ ჩართე და მერე მე ვიცი ჩემი საქმე...

– კაი რა, თუ ძმა ხარ. არ იცი ეხლა, რეებიც იქნება? მიგრანტები შემოგვესია, ჩაუკეტოთ საზღვრები, მოკლეს, მო**ნეს, ავარია, აფეთქება. აი ნახავ თუ არა.

უთხრა ნერვებ მოშლილმა გიომ და პულტი სამზარეულოდან პირდაპირ, მისაღები ოთახის ფანჯარასთან მდგარ დაგლეჯილ დივანზე წამოწოლილ ჯოს გადაუგდო.

ჯო, ქუთაისელი ჯონია ფუთურიძეა. კომუნისტების დროს, ქუთაისის ავტოქარხანაში შეჭედილი „კაზ“-ებს კარების საკეტებს უმონტაჟებდა. მერე, ქვეყანა რომ აირია და საქართველო უკუნეთის გზას დაადგა, ჯონიაც იძულებული გახდა ქარხნიდან ცხვირი გამოეყო და როგორც თვითონ ამბობს, ტრაკი გაენძრია. ასე იძულებით მოუწია ჯონია ფუთურიძეს „სვარკის“ (შედუღაბების) სწავლა და მშობლიური მამაქალაქიდან, დედაქალაქში გადასახლება.

რკინის „ცეხში“ ათწლიანმა, მძიმე შრომამ და რკინის კარებების კეთებამ, ჯონიას კარის საკეტების ხელობაც შეასწავლა. ერთი- ორჯერ მეგობრებსაც დაეხმარა ჩაკეტილი კარის გახსნაში და ზუსტად მაშინ, მესამედ თუ მეოთხედ რომ აღებდა რომელიღაც მეგობრის შემთხვევით ჩაკეტილ კარებს, და-

აჯდა ის ეშმაკუნები ტვინის რომელიღაც ნახევარსფეროზე, რომლებმაც აფიქრებინეს: – მაინც სიბნელე და უფსკურულია, სხვისი სახლის კარების გახსნასაც ვცდი, რაიცი რა დამხვდესო. სცადა კიდეც. შეძვრა სხვის სახლში... ერთი ორჯერ გამოუვიდა და რომ შეხედა ყველაფერი „ჯიგრულად“ მიდოდა და თან ფულიც „საკაიფოდ“ იშოვებოდა, ყურადღებაც მოადუნა. მოადუნა და ამოყო კიდეც თავი გეგუთის ციხის კეთილ მოწყობილი საკნის კარს მიღმა, ხუთ წლიან შვებულებაში. გეგუთის ჯოჯოხეთში გატარბული ხუთი წელი საკმარისი დრო აღმოჩნდა იმისთვის, რომ ყველაფერზე დაფიქრებულიყო. ყველაფერი უფრო კარგად აეწონ- დაეწონა. ცოტა გარეთ დარჩენილ ცოლშვილზეც ეფიქრა. და როცა გამოვიდა, ისევ თბილისში დატოვებულ რკინის „ცეხს“ მიაშურა. როგორც თვითონ ყვება, კლიენტებიც საკმაოდ ჰყოლია, მაგრამ ამ საქმეს ახალი თვალთახედვით გული ვეღარ დაუდო და ცოლშვილს განუცხადა, საზღვარგარეთ უნდა წავიდე სამუშაოთო. იმის მოყოლისგან თავს იკავებს, თუ როგორ შეხვდა ამ ამბავს ცოლ- შვილი. ყოველ შემთხვევაში, არ მგონია ჯონიას ცოლს იმაზე მეტად ენერვიულა მისი ევროპაში გამოშვება, ვიდრე იგი გეგუთის ციხეში რომ გააცილა. ასე იყო თუ ისე, ჯონია ფუთურიძე 45 წლისა პრაღაში გახდა. როგორც თავად ყვება, ჩეხეთში პოლიტიკური მოტივით ჩაბარებია სახელმწიფოს, მაგრამ უარი უთხრეს. – შენ პოლიტიკური დევნის არაფერი გეტყობაო და იძულებული გამხდარა, ავსტრიაში გაპარულიყო. სწორედ ეს ქვეყანა გახდა ჯონია ფუთურიძის თავიდან დაბადების ადგილი და რა საკვირველია, როგორც ყველა ახალ შობილს, მასაც სახელი „ქირურგი ჯო“ დაარქვეს. ქირურგი იმიტომ შეარქვეს, რომ კარების საკეტების შიგთავსის მოწყობილობა, ზედმიწევნით პროფესიონალურ დონეზე ჰქონდა შესწავლილი. ამისთვის იგი ყიდულობდა სხვადასხვა ზომის, ფორმის და სირთუ-

ლის საკეტებს. ამაგრებდა თავისივე ხელით სახელდახელოდ მოწყობილ სამაგრზე, შლიდა და საათობით სწავლობდა საკეტის მექანიზმებს. თავისთავად ცხადია ეს იმისთვის სჭირდებოდა, რომ ნებისმიერი სირთულის საკეტი, რაც შეიძლება ადვილად და სწრაფად გაეღო. თან, ეს ისე უნდა მომხდარიყო, რომ ხმაურიც არ გამოეწვია. მხოლოდ მის დაუზოგავ შრომას, მონდომებას და პროფესიონალიზმს შეიძლება მივაწეროთ მის მიერ 1, 36 წამში გაღებული ნებისმიერი სახლის კარი. გარდა ამისა, სამსახურში წასვლის წინ, იგი მუდმივად ყიდულობდა სამედიცინო ხელთათმანებს, რაც გარანტია იყო იმისა, რომ თითის ანაბეჭდები კარების საკეტზე არ დარჩებოდა.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ემიგრანტებში სამედიცინო ხელთათმანი არა მედიცინასთან, არამედ სახლის მძარცველებთან ასოცირდება და ალბათ ამიტომაც არ არის გასაკვირი მათთვის, ტელევიზიით ყოველ დღე გამოცხადებული ათობით სახლის გაძარცვისთვის ვერავის, რომ ვერ აკავებენ კვალის არ ქონის გამო. მაგრამ, როგორც ერთი ქართული გამოთქმა ამბობს, „რაც არ გერგება არ შეგერგებაო“. მათი მთელი ნაქურდალი (როგორც თავად ეძახიან – ნამუშევარი) ან ქალებში ან წამალში ან არადა ერთმანეთის ხოცვა ჟლეტას ხმარდება. თავად ამ ადამიანებს, რომ ჰკითხოთ, მდიდრებს ვპარავთ და ღარიბებს ვუგზავნით საქართველოშიო. მე კი სულ მინდა ხოლმე ვკითხო, ვისაც უგზავნიან, იმათთვის თუ უკითხავთ ოდესმე, უნდათ რო ესეთი ფული? თუმცა, არ მგონია, დიდად ენერვიულა ჯონია ფუთურიძის ცოლს იმაზე, რომ მისი შვილი მოპარული ფულით იზრდებოდა.

მერე, ძალიან რომ აიკლებენ იმ ქალაქს ან რეგიონს, იძულებული ხდებიან გადავიდნენ სხვა ქალაქში ან სულაც სხვა ქვეყანაში. ხოდა, არც ჯოს დაედგომებოდა ავსტრიაში მისი

დაბადებიდან სამი წლის თავზე და რაღა ექნა, ბარში ბარმენთან და მარკეტში მოლარესთან ნასწავლი გერმანულით, გერმანიის გზას დაადგა. გერმანიამ ჯოს არ გაუმართლა იმედები. შესული არ იყო ქვეყანაში, იმ დღესვე დააკავეს. როგორც ჯო ჰყვება: – დაგვიჭერდენ, ბიჯო, აბა, რა იქნებოდა... ვინცხა უკრაინელმა გვითხრა, საზღვარზე ველოსიპედისტებს არ აჩერებენო. ჩვენც წევედით და მევიპარეთ რაცხა ჯართები. მერე ჩევიცვით ეს რაცხა უჯიშო ტანსაცმელი და მასე ვიარეთ ერთი სამოცი კილომეტრი. წარმოგიდგენია ახლა, მე რო დამინახავდა პოლიცია, რას იფიქრებდა? ენა ჩვენ არ ვიცოდით, არაფერი ჩვენ არ ვიცოდით. ერთი, რაც შევძელი, ხელით ვანიშნე მშია და დაძინება მინდათქვა. . და ქე წაგვიყვანეს მიუნხენში, მშვენიერ აზილში.

აზილი, ემიგრანტებისთვის სპეციალურად გამოყოფილი თავშესაფრებია, სადაც მათი დაპურება, პიროვნების დაზუსტება და სამედიცინო მომსახურეობა ხდება. ამ ადგილის მთავარი შეზღუდვა, ტერიტორიის დატოვება და სხვაგან წასვლაა.

– ერთი ორი კვირა რო მევითქვით სული, ქე მოგვინდა მერე გაპარვა. აბა, იქანა რა გამაჩერებდა, ბიჯო. მთელი დედამიწის ძაღლი და ღორი იქანა იყო. საშინელი ადგილია ძმაო.

გაიპარა ქირურგი ჯო თავის ორ თანამომპარავთან ერთად აზილიდან და დიდ ბერლინში იმის იმედით ჩავიდა, იქნება რამე მდიდრულ სახლს გადავაწყდეო.

– დევიღალე ბიჯო, გიგაია. მეთქვი, რაცხა წესიერს გადავაწყდები და წავალ ცოლშვილთან და დევისვენებ-თქვა, მარა, ვინ გაცალა, ბიჯო!. .

დილის რვა საათზე, ბერლინის ქუჩები უკვე გადაჭედილია ხალხით. ზოგი სასწავლებელში მიიჩქარის, ზოგიც, სამსახურში დაგვიანების შიშით, ადრე გამოდის სახლიდან. მოკლედ ეს ის დროა, როცა ჯო და მისი ძმები წინა ღამით დანიშნულ სახ-

ლებს უნდა დაეცნენ, იმის იმედით, რომ რამე ძალიან კარგი დახვდებათ იქ.

ასე, ჩვეულებრივი სამუშაო დღეც გათენდა ბერლინში, ერთ- ერთი უბნის ამბულატორიის დარაჯად მომუშავე ქართველ სტუდენტთან არალეგალურად შეფარებული ჯოსთვისაც და წავიდა სამუშაოდ. გზაში, ის ორი ნარკომანი ძმაც შემოუერთდა, ბოლო ხუთი წელიწადია რომ უნდათ, როგორმე, წამლის კეთებას თავი დაანებონ, მაგრამ ვერაფერს რომ ვერ უხერხებენ საკუთარ თავს... და ავტობუსში ავიდნენ წინა დღისით, მაღაზიაში მოპარულ თეთრ პერანგებში, ლევისის ძვირადღირებული ჯინსის შარვლებში და სახლებიდან მოპარული უძვირესი არმანის ბოტასებში გამოზმანული ქართველი მძარცველები.

იარეს ასე, სამი გაჩერების მანძილზე ავტობუსით, კვალის დასაფარად. მეტი დამაჯერებლობისთვის ბილეთიც დასტამბეს. მშვიდი ტონით, კიდევ ერთხელ გაიარეს ძარცვის გეგმა. ვინ სად უნდა დამდგარიყო, ვის როდის უნდა დაერეკა ერთჯერადად ნაყიდი ლაიკის ქსელის ნომრით და რა დროში უნდა ჩატეულიყვნენ. ავტობუსიც ზუსტად იმ სახლის წინ გაჩერდა, ჯონია ფუთურიძეს რომ სიმდიდრე ეგულებოდა. სანამ ჯო სადარბაზოს კარებს მიადგა, დანარჩენი ორი გადანაწილდა სხვადასხვა სტრატეგიულ ადგილებზე, შემდეგი მოქმედებებისთვის. აბა ჯონია ფუთურიძე რისი ქირურგი იყო, სადარბაზოს კარებს შეეჩერებინა. აიქნია თავის ჯადოსნური ჩხირები და პირველი ბარიერი ისე არხეინად შეაღო, საკუთარ სახლში მიდისო ეგონებოდა კაცს. შევიდა ჯო მეორე მთავარი ბარიერის გადასალახად და შეყვა მეორეც. მესამე სართულზე ასულები არ იყვნენ, მეორედან ვიღაც ახალგაზრდა სტუდენტი გოგო გამოვიდა და თავაზიანად მიესალმა. როგორც წესი, დიდ ქალაქებში მეზობლები ერთმანეთს არ იცნობენ. მით უმეტეს

სტუდენტები, რომლებიც დრობით ცხოვრობენ, სწავლის დამთავრებამდე. ამიტომ, ქერა თმიან გერმანელს აზრადაც არ გაუვლია, სოლიდურად გამოწყობილი შუახნის მამაკაცები თუ მძარცველები იქნებოდნენ. ამათმაც გაუღიმეს და მიესალმნენ. ისე მიდიოდნენ, სჯეროდათ, რომ საკუთრი სახლის შემთხვევით ჩაკეტილი კარების გასაღებად ადიოდნენ. სულ სამი წუთი ჰქონდათ ყველაფრის მოსათავებლად და უკან დასაბრუნებლად. თან ჩქარობდნენ და თანაც ნელა, ჩუმად მოძრაობდნენ, ყველაფერს სიზუსტე სჭირდებოდა. წუთნახევარში, ჯო და მისი ნარკუშა დამლაგებელი ძმა სახლში იყვნენ. . ორ წუთში სახლში ისეთი ამბავი იყო, ალბათ, პატრონი რომ იქ არ ყოფილიყო, საკუთარ სახლს ვერც იცნობდა. პატრონი კი, ნამდვილად იქ იყო და თანაც ტუალეტში. ტუალეტიდან გამოსულმა ორ მეტრიანმა კალათბურთელმა გერმანელმა ორი თეთრ პერანგიანი, სოლიდურად გამოწკეპილი, ერთი გამწლეული თვალებ ჩაცვენილი, მეორე კი ოდნავ პუტკუნა, ცისფერთვალება, ჭაღარა კაცი რომ დაინახა, გაუკვირდა. თავიდან შეიძლება იფიქრა კიდეც, მძინავსო მაგრამ მერე ჯოს ხელებში მისი ტელეფონი და ოქროს საათი რომ დაინახა, მიხვდა ეტყობა საქმე უფრო რთულადაა ვიდრე ძილში, ცუდი სიზმრისასო და ინსტიქტურად დასცხო ორივეს უშველებელი ტორები.

რომელი მძარცველი არ ინატრებდა იმ დროს, იმ სახლიდან გაქცევას, მით უმეტეს, თუ სახლში ამხელა მონსტრი დახვდება, მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ სახლის პატრონი კარებში ჩადგა და მძარცველებს გარეთ აღარ უშვებდა. ჯოს კიდე სახლის საკეტების გასაღებად წამოღებული მავთულების მეტი არაფერი ედო ჯიბეში, რომ შეეშინებინა მაინც. ეგეც არ იყოს, სახლის პატრონი ჯოსთვის გაუგებარ ენაზე ღრიალებდა რაღაცას. ბოლო ბოლო, ვერაფერი რომ ვერ მოიფიქრეს, ნარკომანი სამზარეულოში შევარდა დიდი პურის საჭრელი დანა

აიღო და გამოვიდა. . ის დანა კი იმხელა იყო, მესამე რაიხის ჯარისკაცსაც კი შეაშინებდა. მით უმეტეს, ტრუსიკიან კალათბურთელს. დიდი ომის მერე, დააღწიეს კალათბურთელის ტყვეობას თავი და ის იყო, სამშვიდობოს ვართო, უნდა ეთქვათ, რომ პოლიციის საყვირის ხმა გაიგეს. გაიგეს და აუჩქარეს კიდეც ფეხს. მაგრამ დაავიწყდათ, რომ ბერლინში იყვნენ და არა ნეაპოლში, სადაც პოლიციას შეიძლება დაეზაროს შენი დაჭერა.

ასე აღმოჩნდა ჯონი ვასილის ძე ფუთურიძე ბერლინის პოლიციის განყოფილებაში, სადაც წინასწარი ორთვიანი პატიმრობის შემდეგ, სასამართლომ გამოუტანა განაჩენი, გაედეპორტებინათ იმ ქვეყანაში, საიდანაც შემოიპარა. ჩასვეს ბორკილებდადებული სასჯელ აღსრულების დახურულ მანქანაში და თვალები აუხვიეს. წაიყვანეს ჩეხეთის საზღვართან, მერე ბორკილები შეუხსნეს და მანქანიდან წიხლის კვრით გადააგდეს. თვალებიდან სახვევი რომ მოიხსნა, ეგონა, დაბრმავდა. უკუნი სიბნელე იყო. შიშის კანკალმა აიტანა, სრულიად მარტო, სადღაც დააგდეს. ერთადერთი ის გაარჩია, რომ მეჩხერ ტყეში იყო და ფეხზე მხოლოდ წინდები ეცვა. სხვა გზა არ იყო, უნდა ევლო. გაჩერება არ იქნებოდა. თორემ ახლა ჩეხები დაიჭერდნენ და საქართველოში გაადეპორტებდნენ. ასე გაღატაკებულს კი ცოლიც არ მიიღებდა. ეს სიკვდილის ტოლფასი იყო მისთვის. იარა, სანამ შეძლო. სამი დღე და ღამე დაკარგულმა, ფეხშიშველმა, უორიენტაციოდ სადღაც იარა. გაჩერება არც უფიქრია, მაგრამ შიმშილმა დააგდო. სადღაც ჩაეძინა და სწორედ მაშინ, რაღაც სიზმარივით, ფიქრივით, რაღაც მძიმე დააწვა ჯოს.

ცხოვრება თავიდან გაიარა, ხელმეორედ დაიტანჯა საკუთარი ცხოვრების გზაზე და მაშინ, როცა ისევ იმ ადგილზე მივიდა აი ზუსტად იმ ადგილზე სადაც გერმანელებმა გადმოაგ-

დეს მანქანიდან... ცივი წყალი გადაასხეს.

უკრაინელი ემიგრანტები, ჩეხეთის გავლით, სხვადასხვა ქვეყნებში გადასასვლელ გზებს ეძებდნენ. სპეციალურად დაქირავებული გიდები, ფულის სანაცვლოდ გადასაპარ ბილიკებს ასწავლიან გასაცოდავებულ ხალხს. 500 ევროდ ჩეხეთიდან, შემოვლითი, საიდუმლო ბილიკებით, ემიგრანტები ევროპის სხვადასხვა ქვეყებში გადაჰყავთ.

ჯოს რომ დაადგნენ, გიდს არც გაჰკვირვებია, ნათელი იყო მისთვის ეს სანახაობა. პირველი არ იყო და როგორც ყველა ადამიანის ოდნავ მოყვარული მოიქცეოდა, მანაც წყალი და ცოტა საჭმელი მიაწოდა. ჯო, ცოტა რომ მოსულიერდა და ხმა ამოიღო, საერთო ენაც გამონახა უკრანელ ხალხთან. იმათაც, აქ მარტო ხომ არ დაგტოვებთო და თან წაიყვანეს. . თავიდან არც უკითხავს, საით მიდიხართო. იფიქრა, საითაც არ უნდა მიდიოდეთ, მე მაინც ერთი გზა მაქვს, შვილი მელოდებაო.

საქართველოში ჩასულ ჯოს, ყველაფერი სხვაგვარად ეჩვენა. ისეთი აღარ იყო, როგორიც დატოვა, როგორსაც ელოდა. ინახულა მეგობრებიც, რომლებიც საერთოდ აღარ იყვნენ მისი მეგობრები და მხოლოდ ძველი ამბების გამოღა შეხვდნენ კარგათ. იქეიფეს კიდეც, მოილხინეს, გაიხსენეს ძველი ამბებიც, მაგრამ ის გრძნობდა, რომ იგი აღარ იყო ის ჯონია ფუთურიძე, რომელიც მეგობრებმა გააცილეს. და იგი აღარ იყო არც ქირურგი ჯო, ავსტრიაში რომ მონათლეს ახალმა მეგობრებმა.

ცოლს მალევე გაეყარა. არ ვიყავით ჩვენ ერთმანეთისთვის გაჩენილიო. საქართველოში ხუთი წლის ყოფნის შემდეგ, ქუთაისში მამამისის დანატოვარი და თბილისში ნაქურდალი ფულით ნაყიდი სახლები გაყიდა, საკუთარ შვილს მოკიდა ხელი და იტალიის სამხრეთში, პატარა სოფელში, თავის ბავშვობის მეგობარს გიორგის დაადგა.

– რაო ჯონსონ, რას აცხადებენ?

დამცინავი ტონით შეეკითხა სამზარეულოდან გიო და თან საქმიანად დააყოლა.

– ადე, ადე, ვჭამოთ და გავედით. ჯაკომო გვყავს სანახავი, ფართის და შენი საბუთების ამბები გვაქვს გასარკვევი. მერე, იმ მცხობელს უნდა დაურეკოთ, კახეთში. ჩავიდეს თბილისში, საბუთები მიიტანოს... და კიდე, შროშაშიც უნდა შევეხმიანოთ, თონის ამბებზე. წამოღების პრობლემა მოგვარებულია. ჩემი ძმაკაცი ჩამოგვიტანს იაფად. გუშინ საღამოს ველაპარაკე. ისე, ის მცხობელი კაი ტიპია? პატიოსანი კაცია? ლოთი ხომ არაა?

დაეჭვებული სახით გახედა გიომ ჯონსონს და პასუხსაც არ დალოდებია ისე გააგრძელა.

– ერთმა ჩემმა ახლობელმა, ლევანმა, გახსნა ეგრე ქართული თონე, შუა პრაღაში. ქართველი მცხობელი ჩამოუყვანია სპეციალურად და ლოთი არ აღმოჩნდა!. . რა უნდა ექნა? ადგა და გაუშვა. მერე კიდე ის საცოდავი ქუჩაში უპოვია მძინარე. შუა პრაღაში. წარმოგიდგენია?

ჯონი გაოგნებული სახით უსმენდა გიოს. წარმოდგენაც არ ჰქონდა რა უნდა ეთქვა.

– მერე?

ძლივს ამოღერღა ჯონიმ, რომელსაც თავისმა პრაღამაც გაუელვა წამიერათ.

– მერე ის რომ წაუყვანია ისევ სახლში.

– სად სახლში? დაიბნა ჯონი.

სად და საქართველოში. აუღო ბილეთი და გაუშვა უკან. მერე რა მოუვიდა, არ ვიცი. კაი ხანია, აღარ შევხმიანებივარ ლევანს.

– ისე, შენ რო არ მყოლოდი, გიოია, მე რა მეშველებოდა, არ ვიცი ძმაო. იტალიაში ქართული თონე კიარა, რა იქნებოდა საერთოდ არ ვიცი.

უთხრა ჯონიმ და ღრმად ამოისუნთქა. თითქოს, გააყოლაო მთელი თავისი წარსული ამ ამოხვნეშას.

– მთავარია, გამოვიდეს ძმაო. შენ დათუნა გეზრდება. სწავლა-განათლება სჭირდება მაგ ბავშვს. ჯერ ყველაფერი წინ არის. მთავარი ეხლა იწყება. დღეიდან შენ ხარ სინიორ ჯო. მე კიდე, სინიორ ჯორჯო და ჯერ არსად არ ვაპირებ წასვლას, ძმაო. თქვა გიომ და მაგიდისკენ მიუთითა.

– დაჯე, დაჯე, ვჭამოთ. დათუნა, მოდი, გემრიელი გუფთის სუპი გამოვიდა, მე მგონი. სანამ თამრო ჩამოვა, მანამდე მოგვიწევს საჭმელის კეთება.

დღეს დილით, მზე ისე სასწაულად ამოცურდა ჰორიზონტზე, მატარებელში ისეთი ჰარმონიული სიტუაცია იდგა, ყველა ახალი დღის დასაწყებად ემზადებოდა. ერთი გაფიქრება გავიფიქრე კიდეც, რომ დღეიდან ყველას ეყვარებოდა ერთმანეთი, მაგრამ მერე, ჩემი კურსელი, დამიანო კოლეტი ამოვიდა ქუარტოდალტინოს გაჩერებაზე და მთელი დღე იმაზე ვფიქრობდი, რამ მაფიქრებინა ეს სისულელე.

/მზე/ ეკა ოთარაშვილი
იტალია

გაქცევით შეჩერებულები

ჭერს მივჩერებოდი. არ იყო კუთხოვანი, როგორც იქ, ჩვენთან. თაღოვანი სახლები ყოველთვის სხვა გრძნობას მიჩენს და ფიქრს მივყვები. ვცდილობ, განყენებულ საკითხზე ვიფიქრო, მაგრამ ეს მხოლოდ წუთით. მზერა ოთახს მოვავლე, მარტო ვიჯექი ცივ, გაყინულ ოთახში. თანმიმდევრული სიზუსტით იყო განლაგებული რიტუალის მოწყობილობა. პირდაპირ, ტილო იყო გაკრული. ღვთისმშობელი მარიამი და ჩვილი იესო. („Madona e Cristo“) დიდი კანდელები შემორიგებული. კედლების გასწვრივ დალაგებულ სკამებს დავუწყე შესწორება. მეორე ოთახში ჩემი მეგობარი მეგულებოდა. დამფრთხალი და შეშინებული ვზივარ... სუდარა დაცურებულა. ავდექი და შევუსწორე. ცრემლი თავისით მოდის. ნათელში იყოს მისი სული. ჯერ შეჩვევა. მერე, სიყვარულში გადაგვდის თანაცხოვრება მოხუცებთან და გვიჭირს განშორება, ოჯახებს მოცილებულებს. მათთან ვეძებთ იმას, რაც იქ, შინ დაგვრჩა და მიკედლებულები ვართ ყველასგან მიტოვებულებივით. არ ვიშურებთ მოფერებას და სითბოს, ვეფერებით შვილის, შვილიშვილის, ქმრის, დედის, მამის წილი სიყვარულით და მათთან ვცდილობთ დავიხარჯოთ და მათგანვე გვინდა სულ ცოტა სითბოს მიღება. ვთხოვე დაველოცეთ თავისუფლება გაყიდული ყველა ქართველი, სხვისთვის კარგად და ჩვენთვის „ტეხილად“ რომ გამოვიყურებით. დავტიროდი სხვის ბებოს, სხვის სისხლს და ხორცს და მეგონა, ჩემები საფლავში ტრიალებდნენ. გამახსენდა, ბავშვობაში დედას დავუსვი კითხვა, რატომ ეძახდნენ მარგალიტა ბებოს ბერძენს. ხო, ასეა. ის ქალი

საქართველოში ჩამოსულიყო ემიგრანტად და თავისი ბედიც ეპოვა, მე კი დიდხანს დავდიოდი გაოცებული...

გამიგია, დიდი ვნება სიკვდილშიაო. როცა პირთან მოსული სუნთქვა გაიყინება, საკუთარი სხეულის ფეთქვით ხვდები, რომ დრო ილუზიაა.

ადამიანში, როცა საკუთარ არსების რაღაც ნაწილს დებ, ვერ ეგუები მის სიკვდილს ისე, რომ თავადაც არ მოკვდე. არა, რა სისულეებს ვფიქრობ.

კარების ხმაზე მოვიხედე და იტალიელი წყვილი შემოვიდა სამძიმარზე. მე, ყველას მაგიერი ჭირისუფალი, ავდექი ფეხზე და ჩემი მეგობარიც გამოვიდა ფერმკრთალი და ატირებული სამძიმრის მისაღებად.

საშინელია ჩემოდნებით ხელში თავშესაფრის და სამსახურის ძებნა... ამ დროს ჩვენ, „ბადანტეები“ ორს ვტირივართგარდაცვლილს და ჩვენს თავს... და რა ვიცოდი, რამოდენიმე დღის შემდეგ, მეც ჩემი მეგობარივით დავიტირებდი ჩემს ბებოს და მეც ჩემოდანზე „შემომჯდარი“, „ბაბაიაგასავით» შემოვასკდებოდი ქალაქებს სამსახურის ძებნაში. (ბაბაიაგა იტალიაში პერსონაა, რომლის საზეიმო დღეც კი არის დაწესებული და ამ დღეს იგი საჩუქრებს არიგებს. მე კი ვიცი ბავშვობიდან, ცოცხზე გადამჯდარი ბაბაიაგა როგორ დაფრინავს.)

ფიქრი... ფიქრი... მძივივით ამესხა... . .

მატარებელში მეგობარი შემხვდა, მოვიკითხეთ ერთმანეთი. მონაყოლმა არ გამაოცა, მეტკინა, ამტკივდა. სიუხეშე ვისწავლე, რადგან გარემოება მქონდა ისეთი, მის გარეშე ვერ გადავრჩებოდიო.

რაოდენ დასაფიქრებელია... .

შეგრძნებები სხვადასხვა განზომილებებს იძენს... . .

გავურბივარ ყველაფერზე მსჯელობას, ვცდილობ ზედაპირულ ფიქრს, ალბად მეც გადარჩენისთვის.

კარგია, როცა სიბნელე ავსებს პირდაღებული ოთახის სივ-

რცეს და ცუდია, როცა სველ ხელებს ყოველთვის ვერ შეიმ-შრალებ.

ცხოვრებას ბევრი დრო აკერია, ზოგისთვის დიბა ატლასით და ზოგისთვის კი ნაკუწებით აკინძული საკერებელით. მე უკ-ვე ვიცი, ჩემი როგორც გამოიყურება და დუმილს ვარჩევ... .

ერთხელაც, ვიღაც გეტყვის, „შენი თვალები გაუცხოვების დღეებით კვდება. დადგება დრო, ამოკენკავ სათითაოდ სული-დან ტკივილს და ეს ტკივილი შენ თვითონ გაგაძლიერებს... და შედგები მაღალ ფეხებზე სამყაროს განუზომელი რწმენით“... ვინ გაცლის ფიქრს... ცოდვა გამხელილი ჯობია, ამდენი დრო ჯერ არ მქონია ფიქრისთვის და ოცნებისთვის. შემოვიდნენ ვიტო და მიმა. შვილი და რძალი, რომლებიც საქმეებს აგვარებდნენ. მე-ორე დღეს გადაასვენებდნენ ეკლესიაში, მესა ჩატარდებოდა და მერე მოათავსებდნენ საგვარეულო აკლდამაში. ამ დროს ხვდე-ბი, რომ ისევ უმნიშვნელო ნივთს გავხარ და შეიძლება იქვე და-ავიწყდე ოჯახს. (თუმცა, ოჯახს გააჩნია. მე და ჩემი მეგობარი, ასევე, მისი მეგობრებიც ნამდვილად არ დავავიწყდით ოჯახს და ყველა მათგანისგან დიდი მადლობაც მივიღეთ.)

„პადრე“ მოვიდაო და ყველანი რიტუალისთვის მოვემზა-დეთ. მოკრძალებით ვიკითხეთ – ორთოდოქსები გახლავართ და... პადრემ თბილი მზერით თავი დაგვიკრა... – Santa Maria, madre dio...

თვალებშია მოქცეული მთელი ცხოვრება. თვალებია, რო-მელსაც ტყუილი არ შეუძლია და გულწრფელია, როგორც არავინ. მოდით და ჩამხედეთ თვალებში, არც დღესა

მონატრებული ჩახუტების, უდარდელი სიცილის, დაკარგული სილაღის და უიმედობის ტირილი. ვტიროდი და მეგონა, ფრთებით სადღაც მივფრინავდი და ტირილის შვება უფრო და უფრო მიმაქანებდა არარსებულ სამყაროსკენ, რომელიც თითქოს ჩემთვის შექმნილი მელოდებოდა.

ჩემს ოთახში შემოსულმა, გავიხადე დაღლილი სხეული და დავაგდე საწოლზე. ემბრიონის ფორმა მიღებულს დავყურებ შეციებულივით. დამნაშავის გრძნობით შეწუხებულს მეცოდება, როგორ გდია დაღლილი ნერვით და დაღლილი ქსოვილით. ამოხედვის თავიც აღარა აქვს, მაგრძნობინოს რა მივაფარო, რომ არ შესცივდეს, ამდენი ადამიანის საცერში გაცრილი მზერით შეციებულს. მერე, ისევ თავიდან... . გადავიცვამ სარჩულივით ჩემს სხეულს და arivos ძახილით გავაგრძელებთ სუნთქვას წუთიდან წუთამდე, ფანჯრიდან ფანჯარამდე, ოთახიდან ოთახამდე და დიდი- დიდი, ეზოდან ეზომდე... და მივალთ აქოშინებამდე.

მეორე დღეა. ეკლესიაში მესა დამთავრდა. ჩვენ ჩუმად ვლოცულობთ „დაუმკვიდრე უფალო წმინდანთა სასუფეველი“ და სიტყვების გარეშე მოვდივართ ეკლესიიდან. მდუმარედ, ერთმანეთს არიდებული მზერით, ნელი და დაღლილი ნაბიჯით მივყვებით მარმარილოს ფილებიან ქუჩას და არვინ არაფერი ვიცით – ვინ (როგორ, სად, როდის) იქნება შემდეგი?

ნახევარი საათია, ბაღში ვზივარ. ფანტანის ხმა აღარ მიშვებს და თავისკენ მიხმობს. თავი მტკივა რატომღაც. რა იქნება ხვალ?! არასოდეს იცი, დღეს რა მოაქვს და ღამეს რა მიაქვს... მითუმეტეს ემიგრაციაში.

შეიძლება გაიქცე... წახვიდე ათასობით კილომეტრის დაშორებით, ისწავლო უამრავი რამ, მოისმინო უამრავი სიტყვა, ფრაზა, და ვერ იპოვო ის, რასაც ეძებ... და ყოველგვარი გაცნობიერების გარეშე დაკარგო ის, რაც გაგაჩნდა.

შეჩერდით და გვნახავთ... გაქცევით შეჩერებულებს.

ნანა მეფარიშვილი
აშშ

წუხელის, უშგული დამესიზმრა...

ხშირად მესიზმრება ხოლმე დედულეთი. .

ნატრული სიზმრებია. ალბათ, ისე ხშირად რომ არ დავდიოდი ხოლმე, იმის ბრალია.

მე გაზაფხულზე ვიყავი უშგულს...

სად შემიძლია იმ სილამაზის გადმოცემა?! თამარის კოშკის შემოგარენი წარუშლელად მახსოვს. თამარ დედოფლის კაბებიც ვნახე მაშინ...

ბრიყვულად შევეხე. არც კი გამიაზრებია, რას ვკიდებდი ხელს. მისი სუნიც მახსოვს...

ვერ გეტყვით, რომ საქართველო მოვლილი მაქვს, (ამას აწი ვაპირებ, მონანული...) მაგრამ მსგავსი ხავერდის მოლი, რომელიც უშგულის მთა-გორებზე ვნახე, არსად მინახავს, არასოდეს...

უფლის სამყოფელის მგვანი, თეთრი ღრუბლების ქულათა ჩრდილები ეფინა მთის კალთებზე...

მზე ხან უკან ამოუდგებოდა ამ ქათქათა ღუბლებს, ხან თავს გამოჰყოფდა და თვალ მიპაჭუნებდა...

და ეს ყველაფერი ისე ახლოს იყო, მაშინ...

მახსოვს, ცხენზე დამსვეს სვანის ბიჭებმა...

შავი ცხენი იყო, ძალიან მაღალი ფეხებით...

წელში რომ გავსწორდი, ისე ახლოს ვიყავი ცასთან, წამიერად გული გაჩერდა. მეგონა, მთამ ამიტაცა ხელში ჩემი ცხენიანად და ახლა, იმ ღრუბლებზე მომადენინებს-მეთქი ზღართანს...

ეს ზღაპარს ჰგავდა...

და მე კიდევ მინდა ვნახო ეს ზღაპარი...

კიდევ რამდენი მსგავსი ადგილი გვაქვს!. .

საოცარი მხატვარია ღმერთი. მის ფერებში არაფერია ხელოვნური. ეს თვალხილული სასწაულებია. ისე, როგორც თავად ჩემი სამშობლოა ერთი დიდი სასწაული...

როცა საქართველო გამახსენდება, წამიერად, ჩემში რაღაც ძალა შემოდის. მერე სულის შეკვრამდე მატირებს... ისე მაგრად მატირებს, ეს წუთამდე რომ გაგრძელდეს, გული ნაფლეთებად მექცევა...

ნეტავ ოდესმე შევძლებდე ვთქვა, რა ძალიან მიყვარხარ, ჩემო საქართველოვ, ჩემო დედულ-მამულო!

წუხელის უშგული დამესიზმრა...

და დღეს სამოთხიდან გამოგდებულივით დავიარები...

შორენა თამაზაშვილი
ჰერეთი /აზერბაიჯანი/

სინათლე

თქვენ გადაგიკვეთავთ საზღვარი საქართველოდან საქართველოში? მე – კი! თქვენ უთენია აგირბენიათ ქართული ტაძრისაკენ მიმავალი ბილიკი, სხვა გადამთიელმა არ დამასწროსო? მე – კი! თქვენთვის დაჟინებით უმტკიცებიათ, შენი ისტორია სხვისიაო? ჩემთვის – კი! თქვენ მწარედ გიტირიათ მიწის გამო? მე-კი! თქვენთვის სხვა რჯულის კაცს მოუძახებია „გურჯი“ და თქვენივე ქართველს – თათარი ხარო? ჩემთვის-კი! თქვენ მოძღვარი ბევრჯერ წაგართვეს? მე – კი! თქვენ გაგაჩუქეს? მე – კი! თქვენი ეკლესიები დაკეტილია? ჩემი – კი! თქვენს წინაპართა საფლავებს ხავსი ადევს?

ჩემსას – კი! თქვენ ქართულ წიგნებს ხელიდან გგლეჯენ? მე – კი! თქვენ ახლა ჩემს გამო გული გტკივათ? მეც (გაჩენის დღიდან) – კი!!!

გადაწყდა... მივდივარ, ჩემს ერთერთ საყვარელ ნათლულთან მივდივარ სტუმრად, ეს გამგზავრება რაღაც განსაკუთრებულია. სამარშრუტო ტაქსიდანვე იწყება ჩემი განწყობა, ყველა იმ სოფლის მკვიდრია, სადაც მივდივარ. თბილად, ღიმილით – ოდნავ შეცვლილი ჰერული დიალექტით ესალმებიან ერთმანეთს... მერე ჩვენ გვიყურებენ ცნობისმოყვარედ:

– ესენი მინ არიანა?

– იზოი სტუმრებია.

ილიმებიან, უხარიათ და გვეფერებიან.

აი, მდინარე უხახი, მათი სავიზიტო ბარათი... მოდის, მოდუდუნებს ათასი ჭირვარამის, სისხლის, ცრემლის, ცეცხლის და ბრძოლის უტყვი მოწმე.

სოფლის ცენტრში ვართ, ველოდებით მასპინძელს... უცებ ძალიან ხმამაღლა ისმის რაღაც ხმა. ჩვენთვის გაუგებარ ენაზე, გაუგებარ მოტივზე კითხულობს სოფლის მეჩეთში ლოცვას მოლა... თვალებს ვხუჭავ, ჭიანჭველებივით ფუთფუთებს ჩემს სხეულში ყველა ძარღვი, დუღს ქართული სისხლი. ბურანში ჩამესმის ცხენების ფლოქვების თქარათქური, თითქოს დღეს იყო, სპარსებთან ბრძოლაგამოვლილი ერეკლე მეფე ამალით რომ მოჰქროდა გამარჯვებული და აი, აქვე, ხეზე ჩასაფრებული ელოდებოდა გოგონა, ამაყად რომ გადმოეყარა სპარსულ ქუდზე ქლიავი.

– დედა, ეს რა ხმაა? – მაფხიზლებს ირაკლის შეშინებული ხმა.

– დედა!. . – ჩურჩულებს ელენეც.

სათქმელს თავს ვერ ვუყრი:

– აი, აქ არის ქართველობა ძნელი!

ვამბობ და ვიღიმები, შვილების გამო ვიღიმები, ტკვივლის დამალვის გამოც...

უფალო, ეს რა ტკივილიანი მიწა მარგუნე სამშობლოდ, რა მძიმე ტვირთი ამკიდე მხრებზე, როგორ ვატარო, როგორ მოვერიო!. .

უკვე ოჯახში ვართ. ჯერ მორიდებით ვათვალიერებ ეზოკარს. . აქეთ ვაზი გაბედულად შემოხვევია ჭიგოს და იმედიანად შრიალებს. იქით თონეა. ხვალ ქართულ შოთებს დააცხობს ოჯახის დიასახლისი. სკებში ფუტკრები ზუზუნებენ. ეზოს ერთ კუთხეში ჯეჯიმია გაშლილი. ჰერული წინდა გაუფენიათ მზეზე. ვინ იცის, რამხელა დარდს და სევდას აქსოვდა ამ ორნამენტებში ჰერელი ქალი.

– მოით, მოით, სტუმარი ღვთისაა. . ზურა, თამაზ, ნინო, მარიამ, მოით, სტუმრები მოსულანო, მეზობლებო, ნანასაც დოვზახეთ!

ისმის ერთმანეთში გადაძახილი... იშლება დიდი სუფრა.

გვიანობამდე გრძელდება ქეიფი ქართული ტრადიციული სადღეგრძელოების თანხლებით.

ფიალები ივსება წინაპართა სადღეგრძელოზე. ვყვებით ისტორიას, ვყვებით სევდას, წარსულს, ტკივილს...

„– დედა, ეს რა ხმაა?“ მახსენდება ირაკლის ნათქვამი. .

მცივა. ახლოდან ისმის მდინარის ბუტბუტი. ცრემლებზე ჰყვება, ჭირ-ვარამზე, სისხლზე და ბრძოლებზე, ხანჯლით და წამებით წართმეულ ქრისტიანობაზე ტირის უხახი.

ობლები ვართ, მაგრამ დედაც გვყავს და დედინაცვალიც... დედა საშინლად გულგრილი გვყავს, დედინაცვალს კი ვეზედმეტებით გერები! ამ სათქმელშია ჩემი ცრემლიც, მიწაც, ტკივილიც, საზღვარიც, მამულიც, ჩემი ქურმუხიც, ჩემი ალაზანსაქეთ უიმედოდ მომზირალი ხალხიც, ჩემი უსუსურობაც, უკვე მერამდენედ სანთელჩამქრალი, სულგანაბული ეკლესიაც... ისმინე ჩემი ვედრება, საქართველო, შენი შვილი ხომ უღვთოდ გამაჩუქეს!!!

გასაქცევად მზად ვარ. ვდგები და სინათლეს ვხედავ. სინათლეს, ჩემი ნათლულის გულზე ჯვრად მოციმციმეს. . ზუსტად, ზუსტად მას ჰგავდა ის ინგილო გოგო, გაბედულად და ამაყად რომ იჯდა ქლიავის ხის ტოტებში და ერეკლე მეფეს ელოდებოდა. თვალს ვერ ვაშორებ მის სახეს, თითქოს პეშვში ჩამოფშვნილ მიწის ბელტთან ერთად მოუქცევია შეუპოვრობა, გმირობა, ბრძოლის ჟინი, უკან არ დახევა, სიყვარული... ამ პატარა გოგონაში ჩანს ჩვენი დაკარგული კუთხის არდაკარგვის იმედი.

დიახ, მას ჰგავს!. .

მან ხმლით და მახვილით რწმენაწართმეულ თავის კუთხეში ჯვარი ააციმციმა სინათლედ და ერთ დღესაც კალთას გაივსებს, რათა ქლიავი გადმოაყროს თავის სოფელს.

ვიღიმები. ვერ წაგვშალეს! ვერ დაგვავიწყეს! ვერ ამოგვძირკვეს!

ნათია გრიგალაშვილი
იტალია

გზა ლაბირინთებში

მაშინ, შემოდგომა ის-ის იყო პირველ ნაბიჯებს დგამდა ჩემი ლამაზი ქალაქის ქუჩებსა და ხეივნებში... თქვენ გინახავთ ფაზისური შემოდგომა? როგორ ეურჩებიან ფოთოლცვენას ეგზოტიკური პალმები, ჭადრები, ლუგუსტრინები და ქაფურის ხეები, ფიჭვის კორომები?. .

თქვენ გინახავთ, როგორ იზამთრებენ აქ თეთრკუდა არწივები, შავი ყარყატები, დიდი თეთრი ყანჩები, ხუჭუჭა ვარხვები, თეთრშუბლა ბატები, მყივანა გედები, გარეული იხვები? ოქტომბრის თვეში, აქ სამხრეთისკენ შავი ზღვის სანაპიროს სხვადასხვა სიმაღლეზე და სხვადასხვა სისწრაფით ლივლივებენ კაკაჩები, ძერები, კირკიტები, ძელქორები, თეთრკუდა და ბექობის არწივები. ზოგჯერ, შესაძლებელია გადამფრენ შაკის თევზზე ნადირობის დანახვა. ხოლო, ზღვის ნაპირთან, ტალღების მოტანილი მოლუსკებისა და უხერხემლოების ძიებაში, მაღალ ფეხებზე შემდგარი მექვიშიები დარბიან. მათ უკან კი, ზღვაში სხვადასხვა სახეობის თოლიები და თევზიყლაპიები ნადირობენ. ზამთარში, ჩრდილოეთიდან იხვების, ბატებისა და გედების გუნდები მოფრინავენ.

თქვენ გსმენიათ, რომ ქალღმერთმა ნეფელემ, ცით მოავლინა ოქროსმატყლიანი ვერძი? ვერძმა ფრიქსე შავი ზღვის ნაპირზე მდებარე აიაში ანუ კოლხეთში მიიყვანა. კოლხთა მეფემ, აიეტმა, ფრიქსე სასახლეში შეიფარა. ვერძი ღმერთებს შესწირეს მსხვერპლად, ხოლო მისი ოქროსმატყლიანი ტყავი ანუ ოქროს საწმისი მდ. ფაზისის (რიონის) ნაპირას, არესის ჭალაში, დიდ მუხაზე ჩამოკიდეს. ვერძმა ფრიქსე შავი ზღვის

ნაპირზე მდებარე აიაში, ანუ კოლხეთში მიიყვანა. იასონმა კი ორმოცდაათხოფიანი ხომალდი «არგო» ააგებინა, ჩასხა შიგ ელადის რჩეული ვაჟკაცები და პონტოს ევქსინოსაკენ გაემართა. ხანგრძლივი ცურვის შემდეგ, «არგო» ფასისის შესართავს მიადგა.

თქვენ გსმენიათ, რომ კოლხი მედეა წამალს პრომეთეს (ამირანი) სისხლით ნაპოხ მიწაზე აღმოცენებული ყვავილებისაგან ამზადებდა? ასეა მონათხრობი მითში. სწორედ აქ ხარობდა ის სამკურნალო მცენარეები: კოთხოჯი, ზამბახი, ლაფანი, მოცვი, წყლის სამყურა, პიტნა, მატიტელა, ჩიტისთვალა...

ეს თქვენ არ გსმენიათ, ალბათ. თქვენ ბევრი რამ არ იცით და მიტომ გიკვირთ, რატომ ვარ ასეთი მოწყენილი და მონატრებული ჩემს ლამაზ საქართველოს, ჩემს ზღვისფერთვალება ქალაქს...

თქვენი ალპების სამხრეთული ფერდობები, თქვენი მონბლანი. ლიგურიის, კოტის, გრაის, პენინის და ლეპონტინის ალპებიც ლამაზია. მაგრამ ჩემი სულ სხვაა, ჩემი საქართველოს მთები, „დაბინდული ქლიავისფერია“...

სამუშაოს შემდეგ, შესვენებისას ასე ვესაუბრები სან ბენედეტოში ჩემი ქუჩის გადაღმა სკვერში ქოლგისებრვარჯიან ალბიციებს. პირამიდულა კვიპაროსებს, როზმარინებს... როცა გამოვრბივარ უცხო, პირქუში სახლიდან, სადაც ჩემეული არაფერია... იქ მხოლოდ ვალდებულებებია. ცივია კედლები, ჭერი, გისოსები... ალბათ, ასეთია ციხეც თავისუფლებააღკვეთილისთვის, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ როცა შესვენებისას ქუჩაში გამოვდივარ, ბადრაგი არ მომყვება. .

– თქვენ იცით, ხეებო?!

იქ, ჩემს პატარა საქართველოში, მის პატარა, კოხტა ქალაქში, ზღვის პირას ერთი ლამაზი, თბილი სახლია, იმ სახლში ჩემი გულის ორი ნახევარსფერო დარჩა... ჩემი წითელბაფთე-

ბიანი ტყუპი... ჰო, იმ დღეს წითელი ბაფთები ეკეთათ, მე რომ გამომაცილეს... ეზოში ჩემი ცრემლიანი დედა დარჩა... ტყუპ-ჩახუტებული...

ასევე დარჩა ბებია, რომელმაც ტრადიციულად სამჯერ წაღმა დამატრიალა მშვიდობიანი გზის გარანტად და ავი თვალისგან დაცვის იმედით. ჭიშკრამდე არმისულს, მისი ბუტბუტი მომესმა. – ღმერთო, მაცოცხლე მის ჩამოსვლამდე!

თითქოს არც გამიგია, გზა განვაგრძე, უკან არც მომიხედავს, თვალის გუგებში ჩამალული ცრემლი რომ არ ენახათ მათ, რომელთაც იმ წუთს ძალიან სჭირდებოდათ იმის დაჯერება, რომ მე ყოჩაღად ვარ!

დედიკოოო! ეს იყო დუეტში შესრულებული სევდიანი რეფრენი, რომელიც ჩემს ყურს ჩაესმა და დღემდე თან ვატარებ, ყურით, გულით და მერე ამით სულს ვითბობ, ნელა-ნელა ვიზოგავ, ოღონდ არ ვიცი, სანამ მეყოფა. .

მახსოვს, მოვდიოდი საქართველოდან და იმ დღეს, შემოდგომა დაბრძანდებოდა... ქარი ფოთლებს გზადაგზა ფანტავდა და მეც ფოთლებივით მწყდებოდნენ იმედები, ოცნებები, სიხარულები...

ფიქრმა იძალა, დაუსრულებელ ძაფად გადაიქცა და თითქოს ერთ გორგალზე დაეხვია... ჩემთვის უცნობი იყო, იტალიის რომელ ქალაქში მოვხვდებოდი საბოლოოდ. რა გარემოში. რა უნდა მეკეთებინა, როგორი სამუშაო შემხვდებოდა... მივდიოდი უსასრულო ლაბირინთისკენ. . არ ვიცოდი, გორგალზე დახვეული ძაფის ბოლო სად მიმიყვანდა. . თუმცა კი ის ნამდვილად ვიცოდი, რომ საითაც არ უნდა წავსულიყავი, ძაფის მეორე ბოლო ისევ იქ დამაბრუნებდა. . ჩემს ლამაზ სახლში, ჩემი სულისა და სხეულის ნაწილებთან და ისევ გავმთელდებოდი. . ეს იმედი არასდროს დამიკარგავს. . არიადნეს გორგალს მე ვინ მომცემდა. . წვალებით უნდა გამეკვლია გზა ლა-

ბირინთებში. .

ამ ფიქრებით დავტოვე ჩემი ქვეყანა, ჩემი დედაქალაქი და უცხო მხარეში „პეგასუსის“ დაშვებულ ფრთებთან ერთად მოეკეცა ფრთები ჩემს ოცნებებს. .

ოცნებებს, რომელსაც მთელი ბავშვობა გულდაგულ ვაწებებდი ერთმანეთს, მაგრამ თურმე, ფრთები ვერ დავუმაგრე ნამდვილი. . ცვილის ფრთები აღმოჩნდა. . მზის მცხუნვარებას ვერ გაუძლო, ჩამოდნა და საბოლოოდ დავეშვი მიწაზე. .

ახლა, დროებით უნდა დავივიწყო ის, რომ დედამ ყველაფერი იღონა, ჩემი კარგი განათლების მისაღებად და მეც არ გამიცრუებია მისი იმედები... რომ წარმატებით დავამთავრე სამედიცინო ინსტიტუტი, სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის რეზიდენტურა, რომ წარმატებით ჩავაბარე სალიცენზიო გამოცდები თერაპიაში და ქირურგიაში. . რომ ხუთი წელი ვიმაუშავე ექიმ-სტომატოლოგად.

დროებით უნდა დავივიწყო ის, რომ ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია, მიყვარს ჩემი თეთრი ხალათი, რომელსაც უკანასკნელად შევავლე ხელი წამოსვლამდე და ჩემი ოთახის ყველაზე ძნელად ხელმისაწვდომ ადგილას ჩავმალე, დედას ხშირად რომ არ ენახა და ტკივილები რომ არ განახლებოდა. .

დროებით უნდა დავივიწყო ის, რომ მე მყავდნენ ჩემი მადლიერი პაციენტებიც, რომლებიც ახლაც მეკონტაქტებიან და მკითხულობენ. მე მათ ვუხსნი, რომ ჩემი ოჯახის ეკონომიკურმა მდგომარეობამ ასე მოითხოვა, რომ ყველაფერი დროებითია და მალე გაივლის, რომ დავბრუნდები და ყველას, ყველას ვაკოცებ და ჩავეხუტები. . მე მათ ასე ვუხსნი და მერე, გულის სიღრმეში ჩემს თავს ვეკითხები-მართლა? მერე, ისევე ვამშვიდებ – აბა როგორ, რა თქმა უნდა!

ერთადერთი შვება – სკაიპით საუბარია ჩემთვის. საღამოს, როცა ყველა საქმეს მოვრჩები, უდაბნოს ბედუინივით ვეწაფე-

ბი მონატრების წყაროს და ვიდეოთვალიდან ოთხ კიკინას როცა ვნახავ, ვმშვიდდები, ვწყნარდები, თითქოს ყველაფერი მის ადგილზეა. თითქოს აქვე არიან, ჩემთან ახლოს და ასე ძალიან შორს. მინდა, ხელი შევახო, გულში ჩავიკრა, ვკოცნო მათი ფუმფულა ლოყები. ძალიან მინდა... მინდა, დედაჩემის სევდიან თვალებში შუქი ვიხილო. მინდა, როცა ჩამოვალ, უკვე ავადმყოფი ბებია ცოცხალი დამხვდეს და მარჯვნივ ისევ სამჯერ დამატრიალოს, ჩემს ოჯახთან სამუდამოდ დარჩენის ნიშნად.

მინდა, ისევ, ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულზე, ჩვენი ლამაზი ტრადიციით, ნათლიასთან მისაყვან წითელ მამალს ბიბილოზე წითელი ლენტი გავუკეთო და ჩემს უსაყვარლეს ბიცოლას მოულოდნელად შევეჭრა სახლში შეძახილით- „შოკო-მოკო“ – (ასე ვეძახი მოფერებით) ეს შენ! იმდენი კარგი რამ დამანათლე, არასდროს დაგივიწყებ: სილამაზე, კეთილშობილება, სიბრძნე და სიყვარული მეთქი!“ – ვეტყვი ნახევრადხუმრობით. ბიცოლაჩემი გულიანად გადაიხარხარებს და ლამაზ ყუთში შეფუთულ „რაღაცას“ გამომიტანს. .

მისი დათქმით, სახლში მისვლამდე არ უნდა გავხსნა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიცემს გული სახლში მისვლამდე. ყოველთვის, ამ შეფუთულში არის ის, რა ნივთიც იმ წუთს ყველაზე მეტად მჭირდება ხოლმე. ბიცოლა-ნათლიამ ეს ყველაზე კარგად იცის.

– თქვენ ეს არ იცით, პირამიდულა კვიპაროსებო, როზმარინებო!

გუშინ, ჩემმა ტყუპებმა მითხრეს, რომ ახალი ცეკვა ისწავლეს და ვიდეოთვალით ვნახე. თურმე, ძალიან გაზრდილან სიმაღლეში. ჩემს ახალგაზრდობასთან ერთად, როგორ მეპარება თვალსა და ხელს შუა მათი ბავშვობაც!

დედამ მითხრა, რომ საახალწლოდ ყველა ჩემი ნივთი გაასუფთავა და მოაწესრიგა. მითხრა, რომ შავი, ნატის პიჯაკი

ჯიბესთან დასაკემსი იყო და დაკემსა, რომ ახალივითაა და ისევ ჩამოკიდა გარდერობში. მითხრა, რომ სუნამო, რომელსაც ხშირად ვისხამდი, კარგად თავმოკრული არ ყოფილა და თითქმის აორთქლდა, რომ დარჩენილ ნაწილს შემინახავს, ასევე მითხრა, რომ რაც წავედი, ის კერძი, რომელიც ძალიან მიყვარს, არ გაუკეთებია. მითხრა, რომ აჯაფანდალს ჩემს მოსვლამდე არ შეჭამს.

– იცით, დედა როგორ ამზადებს? ვერც წარმოიდგენთ, კვიპაროსებო!

დედამ ყველაფერი მითხრა, ყველა ნივთს და კერძს შეეხო საუბარში. მხოლოდ, არაფერი უთქვამს თეთრ ხალათზე, რომელიც საგულდაგულოდ გადავმალე, მაგრამ ისიც ვიცი, დედას სახლის და ნივთების დალაგებისას არცერთი კუთხე-კუნჭული არ გამორჩება შეუხები. უბრალოდ, თავადაც ისე ფიქრობს, როგორც მე... ტკივილს არ მიმძაფრებს...

– პირამიდულა კვიპაროსებო, როზმარინებო! თქვენ იცით? რომ მე მჯერა, მალე ჩემს ქვეყანაში ყველაფერი კარგად იქნება. მეც შევძლებ ჩემი პროფესიით გავუძღვე ოჯახს, არ მოვისმენ ჩემი პაციენტებიგან იმას, რომ მათმა მეზობელმა ძალაყინით თვითონ ამოიღო კბილი, რადგან ძალიან ასტკივდა და რადგან ექიმისთვის გადასახდელი ფული არ ჰქონდა.

მჯერა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტული თანამოძმეები სამშობლოში დაბრუნდებიან. განა არწივები ბუდეებს არ უბრუნდებიან?!

... ვინ იცის, იქნებ დამარცხებული არწივი უფრო ბედნიერია, ვიდრე გამარჯვებული გნოლი. .

მეც ბედნიერი ვარ! ბედნიერი ვარ იმით, რომ ქართველი ვარ, მიუხედავად ამდენი ტკივილისა, სევდისა და მონატრებისა!

– ცოტაც, სულ ცოტაც. . პირამიდულა კვიპაროსებო, როზ-

მარინებო!

ცოტა დამაცადეთ და მე გავფრინდები, ამჯერად „პეგასუსის“ გაშლილი ფრთებით და პირველი, რასაც გავაკეთებ- მიწას ვაკოცებ, რომელსაც ზეციდან დაშვებისას აცახცახებული ტერფებით შევეხები! ჩემი სამშობლოს მიწას! მერე კი თეთრკუდა არწივებს, შავ ყარყატებს, თეთრ ყანჩებს, ხუჭუჭა ვარხვებს, თეთრშუბლა ბატებს და მყივანა გედებს ფაზისისაკენ ავედევნები და არასდროს, არასდროს დავტოვებ ზღვისპირა სახლს, სადაც ჩემი გულის ორი ნახევარსფერო მოლოდინით და მონატრებით ფეთქავს. .

– ბიცოლა-ნათლია, ვიცი, შენ ახლა გრძნობ, რა მჭირდება ამ წუთს, ყველაზე მეტად.

დიდი იმედი შეფუთე და გამომიგზავნე „სან ბენედეტოში!“

გპირდები, ამანათს გზაში არ გავხსნი!. .

თქვენი ნ. გ.

მზია თვალაბეიშვილი
ზელგია

ხეები ადამიანებივით კვდებიან /ტოტემი/

კვიცივით მიკუნტრუშებდა პატარა ნიკო თოვლიან გზაზე. ციცქნა, ცივი ხელით მამის კოჟრიან, თბილ ხელს ებღაუჭებოდა. პირველად მიჰყვებოდა ტყეში. ხან ქვას წაჰკრავდა ფეხს, ხან გამხმარ ტოტს წაეპოტინებოდა. ანცობდა.

დიდხანს იარეს. ტყის სიღრმეში შევიდნენ. ბოლოს ორ ნაძვს მიადგნენ, ერთს – მაღალსა და ძლიერს, მეორეს კი – პატარასა და სუსტს. მამამ გაუღიმა შვილს, მიუახლოვდა მაღალ, სურნელოვან ნაძვს და მძლავრად მოხვია ღონიერი მკლავები. ნიკომაც მიბაძა მამას და პატარა ნაძვს ჩაეხუტა. თბილმა ტალღამ გადაუარა, სრულიად დაფარა და შთანთქა. სასიამოვნოდ გააჟრჟოლა. ენერგიით აივსო, ძალა მოემატა, ხალისი იგრძნო. კარგა ხანს იდგნენ ასე. მერე ჩამოუშვეს მკლავები და ერთმანეთს გაუღიმეს. პირთამდე სავსე იყო ბედნიერებით ნიკო.

ტყიდან მობრუნებულმა შეშფოთებით ჰკითხა მამას:

– მამი, ჩვენი ნაძვები რომ მოჭრან?

– არა, შვილო, ვერ მოჭრიან. ხეები არავის მიუშვებენ ახლოს.

– არა?

– არა...

და ორივემ გულიანად გაიცინა. საერთო საიდუმლო ჰქონდათ. შეთქმულებივით დაბრუნდნენ შინ.

დღეს დღე, თვეს თვე და წელიწადს წელიწადი მისდევდა. იზრდებოდა ნიკო, მამა კი ბერდებოდა.

დავაჟკაცდა ნიკო და მოტყდა მამა. ერთხელაც, ტყეში მისულებს, მამის ნაძვი გამხმარი დახვდათ. ჩემი დრო მოსულაო,

სევდიანად ჩაილაპარაკა მამამ. ნაძვს ხელის გულები შეახო, დაემშვიდობა და გამობრუნდა. დაუძლურდა გზაში, ნიკოს დაეყრდნო და ასე წვალებით მივიდნენ შინ. დაწვა მამა და სამარადისოდ ჩაიძინა.

დაობლდა ნიკო. დათრგუნა მარტოობამ, დროც მოვიდა და ცოლად მარუსაანთ ნინო, სოფლის თვალი, მოიყვანა. გაუტკბა თაფლობა, გადაავიწყდა თავისი საიდუმლო. მაშინღა გაახსენდა, როცა ტყეში შეშაზე გახდა წასასვლელი. მიაკითხა ნაძვს, მოეხვია, მოეფერა, უამბო ახალი ამბები, სიკეთით დაიმუხტა და გამომშვიდობებისას, იქვე, გვერდზე ციცქნა ნაძვი შენიშნა. მიხვდა, ნინოს სხეულში სიცოცხლე ფეთქავდა. გახარებულმა აკოცა პაწაწა ნაძვს, შეჰყვირა: – ეჰეჰეჰეიییییییییი, – და სახლისკენ გაიქცა. არ შემცდარა. ცხრა თვეში ბიჭი – გიორგი მოიგეს.

ერთი სული ჰქონდა, როდის წამოიზრდებოდა გიორგი და როდის წაიყვანდა ტყეში, ზუსტად ისე, როგორც მამას დაჰყავდა. ეს დროც მოვიდა და გაუდგნენ მხიარულად გზას. მიიყვანა შვილი ნაძვებთან, აზიარა საგვარეულო საიდუმლოს. წინაპართა წინაშე მოიხადა ვალი. მას შემდეგ ერთად დადიოდნენ ტყეში და ნაძვის სურნელსაც ერთად დაატარებდნენ.

მერე ?... მერე, ყველაფერი შეიცვალა. გიორგი ჯერ სასწავლებლად წავიდა ქალაქში, შემდეგ კი სამუშაოდ გაემგზავრა უცხო ქვეყანაში. ნიკომ იმ ქვეყნის სახელიც კი ვერ დაიმახსოვრა. მალე დავბრუნდებიო, აიმედებდა მშობლებს. დაღონდა მამა. შვილთან განშორება სტკიოდა. დარდობდა. ეფიქრებოდა- როგორ ცხოვრობდა მშობლებთან გაყრილი გიორგი. ან როგორ სძლებდა უნაძვოდ. თავიდან ხშირად იწერებოდა წერილებს. ნიკო კი ყოველ საღამოს ხმამაღლა კითხულობდა გიორგის თავგადასავლებს, როგორ უჭირდა. მერე მუშაობა დაიწყო. ცოტა ხანში უკეთესი სამსახურიც იშოვა. ცალკე ბინაც

იქირავა, კმაყოფილი იყო. ფულსაც უგზავნიდათ. რაც უფრო მოკეთდა და დასახლდა, მით უფრო იკლო წერილებმა. მერე კი, სულ შეწყდა. ნიკო კი, ტრადიციულად, მაინც კითხულობდა გიორგის წერილებს. ნინოც გულდასმით უსმენდა. ერთ საღამოს კი ნინომ ჩაილაპარაკა:

– ეგა, აღარ ჩამოვა. ტაბუდადებული სიტყვებისგან გაითავისუფლა სული.

– წავიდა და წავიდა.

დასევდიანდა ნიკო, თითქოს მეორედ დაობლდა. აღარც წერილებს კითხულობდა. კაცებს შესჩივლა ერთადერთი შვილის მონატრება. ვერ გაუგეს, სიტყვები პირში შეატოვეს:

– შენ რა გიჭირს, ბიჭი ზაგრამანიცაში გყავს და ფულსაც გიგზავნისო.

შვილს დანატრებულმა ნინომაც უღალატა. მიატოვა ნიკო. გიორგის წერილებჩახუტებული მიიცვალა ჩუმად და წყნარად, შვილის მოლოდინში გალეული. ვერ ჩამოვიდა გიორგი, ვერ დამარხა დედა. ბლომად ფული და მთელი მწუხარება მამას აჩუქა. დარჩა ნიკო სულ მარტო. ნაძვიღა შერჩა სანუგეშოდ. მიაკითხავდა და დაღონებული უყვებოდა დაობებული მარტოობის ამბებს.

შეუთვალა შვილს: – მამა-პაპურ სახლს ბოქლომს ნუ დაადებ და ეზოს ნუ გაავერანებო! პასუხიც კი არ აღირსა გიორგიმ.

თითქოს, დროც გაურბოდა ნიკოს, თვალს არიდებდა.

ერთ დღესაც, ტყეში მისულმა, გიორგის ხის გვერდით, ოდნავ ამოწვერილი, პაწაწა ნაძვი შენიშნა. გაიხარა, მიხვდა, სადღაც შორს, შორს, მისი შვილიშვილი ემზადებოდა ამ ქვეყნად მოსასვლელად. აკოცა ნაძვს, დალოცა. ერთიც შესძახა: – ეჰეჰეჰეიიიიიი... მომავალ შვილიშვილს და ციცქნა ნაძვს ნიკო დაარქვა, გახარებული, ამაყად წელგამართული გაეშურა შინისკენ.

მარტოკაცად ცხოვრობდა. ერთი კაცისას შრომობდა და ერთი კაცისას ჭამდა. ბოლოს დროსაც მობეზრდა და მიატოვა ნიკო.

მაინცდამაინც დიდთოვლობაში მოინატრა ნაძვი. თან გაუსაძლისად მოინატრა. ადგა, ჯარისკაცულად გამოეწყო, მამის ფარაჯა და ჩექმები ჩაიცვა, ხის მძლავრი ტოტი დაიჭირა, გაიხურა კარი და წავიდა. გაუჭირდა სიარული, მაგრამ არ დაიხია უკან. მიადგა ხეს, შეხედა და, რასაც გული უგრძნობდა, ის იხილა. გამხმარიყო მისი ტოლი და სწორი. დაღონდა, ხელის გულები შეახო. ვეღარაფერი იგრძნო, სიცივის გარდა. მადლობა უთხრა, თავი დაუკრა და დაემშვიდობა. შვილის და შვილიშვილის ნაძვებს მიეფერა, აკოცა, დალოცა. ცრემლით აევსო თვალები. წასასვლელად შემობრუნდა და უეცრად დაძაბუნდა. ხელის ცეცებით ძლივს იპოვა თოვლში ჩაკარგული ტოტი. დაეყრდნო, მეორე ხელი წელზე დაიბჯინა და სახლისკენ წატორტმანდა. ბავშვობა გაახსენდა. როგორ მოკუნტრუშებდა პირველად ამ გზაზე. გაუღიმა იმ შორეულ ბედნიერებას, უკანასკნელად გაუღიმა.

ძლივს მიაღწია თავის ბუხარჩამქრალ და კერაგაციებულ სახლამდე. საწოლთან დაიჩოქა, ილოცა. გაჭირვებით წამოიმართა. არც ჩექმები გაუხდია და არც ფარაჯა, ისევე ჩაწვა ლოგინში, წაიხურა საბანი და სამუდამოდ დაიძინა.

წითელმა მამალმა იყივლა. ყვითელგულა მზე ამოგორდა. გაფერადდა და ახმაურდა ქვეყანა. სადღაც შორს, უცხო ქვეყანაში ნიკოს შვილიშვილი, ციცქნა ნიკო დაიბადა.

მარი აპატია/მარიანა პეტრიაშვილი/
ავსტრია

ნაცრისფერი
(ვუძღვნი მამაჩემის ხსოვნას)

– ალო, გისმენთ.

– ავსტრიის საელჩოდან გირეკავთ, თქვენი ვიზა მზად არის, შეგიძლიათ წაიღოთ.

– ვაიმე, ერთი წუთი დავაზუსტებ, ანუ ჩემი ვიზა მზად არის და შემიძლია უკვე წაღება?

– დიახ, შეგიძლიათ მობრძანდეთ და წაიღოთ.

ხტუნაობას ვიწყებ და ვცდილობ, არ ვიყვირო სიხარულისგან ტელეფონში. ძლივს ვუყრი თავს ინგლისურად ორ სიტყვას, მღელვარებისგან. მადლობას ვუხდი და ტელეფონს ვთიშავ. შემდეგ კი, გავრბივარ სამზარეულოში, სადაც მამაჩემი ზის და სადილობს და თვალებანთებული, ხელების ქნევით ვუყვები რომ ბაქოდან დამირეკეს და ჩემი ვიზა მზად არის. მამაჩემი უცებ ვერ აანალიზებს ამ ყველაფერს. ისევე, როგორც მე და ისიც ხელმეორედ მეკითხება.

– ანუ?

– ანუ, ავსტრიაში მივდივარ, მამა! როგორც იქნა გამოვიდა! ვაიმე როგორ მიხარია!

და ისევ ხტუნვას ვიწყებ.

მახსოვს, მამაჩემმა როგორ შეწყვიტა ჭამა, ჩაღუნა თავი და მხოლოდ, თავისთვის, ჩუმად ჩაილაპარაკა-აბა მე მკითხე, როგორ მიხარია!

ჭამა აღარ გაუგრძელებია, სამზარეულოდან გამოვიდა, მისაღებ ოთახში შევიდა, სავარძელში ჩაჯდა და ცარიელი თვალებით გააგრძელა ტელევიზორის ყურება. მივხვდი, რომ იმ

მომენტში, მისი ფიქრები სულ სხვაგან იყო. სახე დაუმძიმდა და ცრემლებსაც ძლივს იკავებდა. არ უნდოდა, შეემჩნია ჩემთან. ალბათ, ისიც არ უნდოდა, რომ ჩემი ეს ბედნიერი წუთები ჩაეშხამებინა. ხმა აღარ ამოუღია, მხოლოდ ნახევარი საათი შემდეგ შემოვიდა ჩემს ოთახში და მკითხა, როდის ვაპირებდი წასვლას. რაც შეიძლება, მალე – იყო ჩემი პასუხი.

მაშინ ჯერ კიდევ ვერ ვხვდებოდი, ვერ ვაცნობიერებდი, რამხელა ნაბიჯს ვდგამდი ჩემს ცხოვრებაში, რამხელა ცვლილებებს გამოიწვევდა ეს ყველაფერი. ჩემი ოჯახი დარჩებოდა ჩემგან შორს, ჩემი მეგობრები უჩემოდ შექმნიდნენ ახალ თავგადასავლებს, აქ დრო გავიდოდა უჩემოდ და უფრო შორეული გახდებოდა ეს ყველაფერი და უფრო მიუღებელი, ვიდრე მანამდე იყო. არ ვიცოდი, რა უნდა მექნა იმ შედეგისთვის, რისთვისაც ამდენი ვიბრძოლე: ბაქოში სამჯერ ჩასვლა-ჩამოსვლა, საბუთების გროვება, ერთი სამინისტროდან-მეორეში სირბილი, ოჯახის ძებნა, ფულზე ფიქრი და როცა ეს ყველაფერი მიღწეული აღმოჩნდა, სწორედ მაშინ გავაცნობიერე, რომ საერთოდ არ ვიცოდი, რა ნაბიჯს ვდგამდი. საერთოდ არ ვიცოდი, რა მომავალს ვუმზადებდი საკუთარ თავს და რაოდენ ალოგიკურადაც არ უნდა ჟღერდეს, თურმე საერთოდ არ ვიცოდი, რომ წასვლას ვაპირებდი. აღმოვჩნდი მარტო, საკუთარი თავის წინაშე, საკუთარი მიზნების წინაშე, დამოუკიდებლობის შენების პირველი აგურით ხელში და შემეშინდა.

როცა მოვდიოდი, ვფიქრობდი, რომ ნებისმიერ დროს დავბრუნდებოდი. ჩემს თავს ვეუბნებოდი: -ვინ დაგაკავებს? აღარ მოგინდება ჩამოხვალ. ვერ ააწყობ ცხოვრებას-ჩამოხვალ, ვერ გაუგებ ხალხს და ტრადიციებს-ჩამოხვალ! ამასვე ვეუბნებოდი საკუთარ თავს აეროპორტშიც, როცა ძალით ვირთობდი თავს და არ მინდოდა შემემჩნია, არ მინდოდა გამეცნობიერებინა, რომ საშინლად მიჭირდა ჩემი ადამიანების საქართველოში დატოვება.

დედაჩემი ტიროდა. ჩემ ძმას უკვე ვენატრებოდი, ამას ვხედავდი. ვიღასღა დაუწყებდა ჩხუბს, კომპიუტერთან ნუ ჭამო. ან დროზე ადექი, ახლა მე უნდა დავჯდეო. ერთი კომპიუტერი გვქონდა, ისიც მის ოთახში და ამის გამო, მუდმივად ვხოცავდით ერთმანეთს.

მეგობრები მამხნევებდნენ.

მამაჩემი კი თავისთვის იჯდა წარბებშეკრული და ჩუმად, უხმოდ განიცდიდა. რთული ყოფილა ამდენი საყვარელი ადამიანის გვერდით ყოფნა.

რა თქმა უნდა, თვითმფრინავში ვიტირე. მიხაროდა და თან მწყინდა, რომ მარტო დავრჩი, რომ შემეძლო მეტირა, შემეძლო გამომეხატა მთელი ჩემი შიში, ნერვიულობა, დარდი და ამით კიდევ უფრო მეტად არ დამემძიმებინა სხვები. ვტიროდი და თან მეშინოდა, მეშინოდა ყველაფრის. როგორ ჩავფრინდებოდი, ვინ დამხვდებოდა, სად ვიცხოვრებდი, როგორი იქნებოდა ის ოჯახი, სადაც კონტრაქტის მიხედვით ათი თვე უნდა მეცხოვრა. ან შევძლებდი კი ამას? მაგრამ თავს ვიმხნევებდი და ვიხსენებდი იმ ადამიანებს, ვინც ეს შეძლო, ვინც წავიდა და რაღაცას მიაღწია, ვინც წავიდა და გარისკა. ვიხსენებდი მწერლებსაც, რომლებმაც დატოვეს თავიანთი სამშობლო და სხვაგან მიიღეს ის, რაც უნდოდათ. მეც მინდოდა, გავმხდარიყავი ღირებული მწერალი. ბოლოს და ბოლოს, მთელი ცხოვრება ვწერდი. ხან კარგად, ხან ცუდად. ვკითხულობდი და ვწერდი. მყავდა სამეგობრო, რომელიც მაძლევდა ინსპირაციას. მქონდა ქუჩები, რომლებითაც ვიკვებებოდი. მყავდნენ ავტორები, რომლებიც რაღაც ახლის ძიებაში მეხმარებოდნენ და ვფიქრობდი რომ, თუ წავიდოდი რომელიმე სხვა ქვეყანაში, თუ ვნახავდი უფრო მეტს და უფრო განსხვავებულს, თუ ვისწავლიდი სხვაგან, შევძლებდი უკეთესად დამეწერა ის, რასაც მანამდე ვერ ვახერხებდი. შევძლებდი, გარდამექმნა საკუ-

თარი აზროვნება, ხედვა. გამეხადა უფრო მრავალფეროვანი. მიმელო უფრო მეტი ინფორმაცია, ვიდრე მანამდე გამაჩნდა. სწორედ ამიტომაც გადავწყვიტე წამოსვლა ავსტრიაში. ვენაში ხომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტებია. თანაც, ოპერის პროგრამით ბევრად მარტივი იქნებოდა აქ ჩამოსვლა, ვიდრე პირდაპირ სწავლის დასაწყებად. ეს დიდ ხარჯებთან იყო და არის დაკავშირებული. თუმცა, პირველი გზაც არ გამოდგა ისეთი მარტივი, როგორც წარმომედგინა.

ვფიქრობდი, ამ ყველაფერს თვითმფრინავში. მანამდეც, ერთი წელი და თავს ვიიმედებდი, რომ მეც შევძლებდი იმას, რაც ჩემამდე ბევრმა შეძლო. ბოლოს და ბოლოს, გერმანულ ენას შევეჭიდე ოცნების ასასრულებლად. ამაზე რთული რაღა უნდა ყოფილიყო?!

თურქეთის გავლით, მრავალსაათიანი ფრენის და ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, ჩამოვფრინდი ავსტრიაში. არ ვიცი რატომ, მაგრამ ყოველთვის მეშინოდა დაკარგვის და აქაც არ დააყოვნა ამ შიშმა. მეგონა, ავსტრიის აეროპორტში დავიკარგებოდი. ვერ შევხვდებოდი ოჯახს და შევრჩებოდი ასე, უცხო მიწას მარტოდმარტო. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაფერი უფრო მარტივად მოხდა: ვიპოვე ოჯახი, ჩავჯექით მანქანაში და გავეშურეთ სხვა ქალაქისკენ. ნერვიულობით დაღლილს მძლია ძილმა და გავითიშე.

უცხო ქვეყანა.

უცხო ქალაქი.

უცხო ხალხი.

უცხო სახლი.

უცხო ოთახი.

ვფიქრობდი, ღმერთო, ოღონდაც ახლა არ დავყარო ყველაფერი და ისევ უკან არ გავბრუნდე და თუ გინდა, ერთი თვე ვიმარხულებ-მეთქი.

მახსოვს, ბავშობაში საკუთარ თავს ხშირად ვეთამაშებოდი ასე. ან საკუთარ ღმერთს. შეიძლება, არ ვიცი. როცა რაღაც ძალიან მინდოდა, ჩემთვის, გულში ვეტყოდი ხოლმე. – ღმერთო, ოღონდ ახლა ეს ამიხდინე და ერთი კვირა შოკოლადს არ შევჭამ-მეთქი. ერთხელ, მახსოვს აივნიდან შოკოლადიც კი გადავაგდე, ამის უფრო დასამტკიცებლად. ასე მოხდა ავსტრიაში პირველი ჩამოსვლის დღესაც.

ღმერთმა პირობა შეასრულა. მე დავარღვიე. დავრჩი, არსად გავქცეულვარ.

ზუსტად მახსოვს, როგორი შეგრძნება მქონდა პირველ დღეს. თითქოს სქელი, უხეში ნაქსოვი ჯემპრი მეცვა და მგუდავდა. ვერ ვსუნთქავდი. მინდოდა, კანი შემომეხია და გავთავისუფლებულიყავი. თვალებს ვხუჭავდი და სასწაულს ველოდებოდი. ჩემთვის ჩუმად ვიმეორებდი: – რა მოხდება, რომ ეს სიზმარი იყოს. რა მოხდება, რომ ეხლა ისევ საქართველოში, ჩემს სახლში აღმოვჩნდე? ოღონდაც, ოღონდაც ახლა იქ გავჩნდე და თუნდაც ერთ კვირაში, ისევ აქ ამოვყო თავი!

– ოღონდაც, ახლა იქ და არა აქ!

– ოღონდაც, ახლა იქ და არა აქ!

სასწაული არ მოხდა და უცხო, მაგრამ უკვე საკუთარ ლოგინს თავი ჩავაჭედე. პირველი ერთი თვე, ალბათ, რობოტივით ვმუშაობდი. არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი. არ ვიცოდი, სად ვიყავი და უკვე აღაც ის ვიცოდი, ვინ ვიყავი.

დავდიოდი ქუჩებში, საკუთარ თავთან ხელჩაკიდებული და ვაკვირდებოდი ადამიანებს. ვნახულობდი ახალ ადგილებს, გაოცებული სახე კი არ მშორდებოდა. არც ამ უცხო ადამიანებს, ჩემს შემხედვარეთ. იმდენად პატარა ქალაქი იყო, რომ ყველა ყველას იცნობდა. ერთი დიდი ოჯახივით ცხოვრობდნენ. მე კი, ახალი გამოვჩნდი. თანაც ხვეული, გაწეწილი თმით, თავზე ჩაფხუტივით რომ მეხურა და ყველა გამვლელი მე მაშტერდე-

ბოდა. თავიდან. დაძაბული ვიყავი ამის გამო. ხან მრცხვენოდა, ვკომპლექსდებოდი, მაგრამ შემდეგ შევეჩვიე და მიხაროდა კიდეც, რომ ამ საერთო ავსტრიულ იერში რაღაც განსხვავებული ვიყავი, ჩემი დიდი თავითა და არც თუ ისე ლამაზი ცხვირით.

ღამეები კი, ვერაფრით შევიყვარე. მძულდა დაღამება. ჩემს მარტოსულობას ხარისხი ემატებოდა. ადამიანები შორს რჩებოდნენ ჩემგან, ხმაურიც დასაძინებლად იყო მომართული. მხოლოდ და მხოლოდ ფიქრები იწყებდნენ გაღვიძებას და ჩემს ტვინში ქაოსის მოწყობას, რაც ხშირად მათი გამარჯვებით და ჩემი ტირილით მთავრდებოდა. ყველაზე მეტად რაც მიხაროდა, იყო ის, რომ არ ვიცი რატომ, მაგრამ დრო აქ ძალიან სწრაფად გადიოდა. ერთი თვე ისე მიილია, ვერაფერი გავიგე. მეორეც მიჰყვა და მოახლოვდა შობა. ევროპული თუ ამერიკული შობის დღესასწაულით ყოველთვის გაოცებული ვიყავი და სულ მინდოდა ამ დღეს, სადმე სხვა ქვეყანაში შევსწრებოდი, ამ ყველაფრის მონაწილე გავმხდარიყავი. საახალწლო ამერიკული ფილმები, ალბათ ყველას გვაქვს ნანახი და ისიც თუ, რა ლამაზად რთავდნენ სახლებს, როგორი ლამაზი განწყობით ხვდებოდნენ დღესასწაულს და ამ ყველაფერს როგორ აგვირგვინებდა თოვლი. ბავშვობიდან მოყოლებული ვუყურებდი ტელევიზორში და ვფიქრობდი, რომ ერთ დღესაც, მეც აუცილებლად აღმოვჩნდებოდი ტელევიზორის შიგნითა მხარეს.

თითქმის, ვერ დავიძინე მთელი ღამე. როგორც კი გარიჟრაჟდა, ავიღე ჩანდა და გავწიე ავტობუსის გაჩერებისკენ. იმისდა მიუხედავად, რომ ორი თვე ვიყავი ავსტრიაში, ვენა ნანახი არ მქონდა თუ არ ჩავთვლით აეროპორტიდან გამოსვლას და ცაზე თვალის შევლებას, რადგანაც ირგვლივ სხვა მეტი არაფერი იყო. ახლა კი, მეძლეოდა შანსი, შობას ვენაში შევხვედროდი, ჩემს ავსტრიელ მეგობართან ერთად.

ავტობუსი-მატარებელი,
მატარებელი-ვენა.

არასდროს დამავიწყდება ის პირველი ემოცია, როდესაც გამოვედი ქუჩაში და დავინახე გოთური და რომაული ნაგებობები. მათგან უმეტესობას მუზეუმები, თეატრები, ოპერა, ეკლესიები წარმოადგენდა. მათი აგებულება, განსაკუთრებით კი ეკლესიების, თითეული ფრაგმენტი დღემდე უდიდეს ემოციას და განცვიფრებას იწვევს ჩემში.

მაგრამ იმედი კი გამიცრუვდა. თოვლი არ მოვიდა. არც სახლები იყო ისე მორთული, როგორც ჩემს ფანტაზიებში წარმოვიდგენდი ხოლმე. ან როგორც ამერიკულ ფილმებში იყო... მაგრამ, რა თქმა უნდა, ქუჩები თავისი საახალწლო განათებებით ულამაზეს სანახაობას ქმნიდნენ. ერთი დღეც და შობა მოვიდოდა. ჩემი პირველი შობა სხვა ქვეყანაში, სხვა ხალხთან, სხვა სიტუაციებით.

პირველად ვიქნებოდი ტელევიზორის შიგნით და არა სავარძელში, ტელევიზორთან მჯდარი.

მაგრამ, ხანდახან კი არა, ხშირად არ ხდება ისე, როგორც ჩვენ გვინდა. ხანდახან, ისეც ხდება, როგორც ჩვენ გვინდა, მაგრამ დიდი ბრძოლების, დიდი ძალისხმევის შემდეგ. ხანდახან კიდევ, მაშინ ხდება, როცა აღარ გვინდა.

შობის წინა საღამოს, მოულოდნელად, ჩემმა ძმამ დამირეკა. თავიდან ვიფიქრე, ალბათ რომ არ მივწერე ვენაში კარგად ჩამოვედი, ინერვულეს და ამბის გასაგებად მირეკავენ-მეთქი. მაგრამ შევცდი. მამაჩემი აღმოჩნდა ცუდად.

ბოლოს რაც გავიგე, ის იყო მხოლოდ, რომ როგორც კი შევძლებდი, უნდა ჩავფრენილიყავი და რაც შეიძლება მალე. თუმცა საგანგაშო არაფერი იყო.

მეორე დღეს, უკვე თვითმფრინავში ვიჯექი. უფრო სწორად, ჩემი სხეული იჯდა. ჩემი ტვინი, გული, სული საქართვე-

ლოში იყო. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ სუნთქვას ვიკავებდი და მხოლოდ იქ შევძლებდი ამოსუნთქვას.

ბარგი არ წამიღია. ასე მითხრეს. ამიტომაც ბარგზე ლოდინი არ დამჭირდა და პირდაპირ, სასწრაფოდ გავემართე გასასვლელისკენ.

ისევ დავინახე ჩემი მეგობრები. ისევ დავინახე ჩემი ძმა. ყველანი მელოდებოდნენ. მაგრამ არსად ჩანდა დედაჩემი. არსად ჩანდა მამაჩემი. არავის მათგან არ ეხატა სახეზე სიხარული ჩემი ნახვის გამო. არავინ იღიმოდა და შავი ფერი, შავი ფერი იყო ყველაზე გულისმოსაკლავი რაც თვალში მომხვდა.

შავი ჯემპრი.

შავი ქურთუკი.

შავი შარვალი.

იდგა ჩემი ძმა და ფერწასული მიყურებდა.

მახსოვს, როგორ გავბრაზდი ღმერთზე. მახსოვს, როგორ დავუშინე წიხლები და მუშტები მანქანას. მახსოვს, როგორ ვყვიროდი და რამხელა ძალას ვგრძნობდი. შემეძლო დამენგრია მთელი სამყარო, შემეცვალა ყველაფერი. მაგრამ ვერ შევძელი. არც ისეთი ძლიერი აღმოვჩნდი.

არასდროს ვუჯერებდი ჩემს ძმას, არასდროს ვუთმობდი და ასევე თითქმის არასდროს ვეთანხმებოდი. ალბათ, ეს ის ერთადერთი შემთხვევა იყო, რომ დავუჯერე, როცა მითხრა, რომ ცოტა თავი ხელში ამეყვანა სახლში მისვლის დროს, რადგან დედა ძალიან ნერვიულობდა ჩემს გამო და მასაც რომ რამე დამართნოდა, ჩვენ რა გვეშველებოდა. დავუჯერე და მდინარეებად ვყლაპე ცრემლები. დავუჯერე და უდაბნოდ ვიქციე თვალები. დავუჯერე და ისე დავდუმდი, როგორც დუმს ხოლმე უსასრულობა, როცა წიხლს გაჭერს.

მაგრამ ბოლომდე ვერ შევუსრულე პირობა. შევედი სახლში და ძველი შენობასავით ჩამოვიქეცი, ჩამოვინგრიე.

დადგა ჩემ ცხოვრებაში ყველაზე საშინელი დღები. ბოლო არ უჩანდა მათ დამთავრებას. მიდიოდნენ და მოდიოდნენ ადამიანები. საკუთარი თავი კი არ მტოვებდა. აწმყოც გვერდით მედგა ჯალათივით და სულს მხდიდა.

პირველად იყო, რომ არ ვიცოდი რა მექნა. არ ვიცოდი როგორ გამეგრძელებინა ცხოვრება ან სად გამეგრძელებინა. ყველაზე მეტად კი რაც მტანჯავდა იყო ფიქრი:

– რომ არ წავსულიყავი მაშინ?

– რა მოხდებოდა რომ არ წავსულიყავი?

– ხომ შევძლებდი, ვყოფილიყავი ჩემს ოჯახთან ერთად. იქნებ, ასე არ მომხდარიყო?!

მიდიოდნენ თავისით დღეები, როგორც გაბუტული ბავშვები და სიტყვები უფრო და უფრო იმარხებოდნენ შიგნით. არ უჩანდა ბოლო გაურკვევლობას.

არ დამტოვეს. მითხრეს, რომ ჩემი აქ დარჩენა ვერაფერს შეცვლიდა, რომ საკუთარი მომავლისთვის უნდა მიმეხედა. რომ უარი არ უნდა მეთქვა იმ მიზანზე, რომლის გამოც ამდენი ვიწვალე. დავნებდი და სამი კვირის შემდეგ, უკან, ავსტრიაში დავბრუნდი.

ისევ ოჯახის გარეშე.

ისევ უმეგობროდ.

ისევ მარტო

და უფრო მეტი ტვირთით.

ჩამოვედი და ეს ტვირთიც უფრო დამძიმდა. საკუთარმა თავმა ვერ მაპატია.

საკუთარ თავს ვერ ვაპატიე. არიან მარტოსული ადამიანები და არიან ადამიანები, რომლებიც ვეღარ გრძნობენ რომ მარტონი არიან.

გავაგრძელე ცხოვრება იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად მინდოდა ალბათ ყოფნა. ვადანაშაულებდი ქვეყანას, ხალხს, ქა-

ლაქებს. თითქოს, მათი ბრალი ყოფილიყოს რაც მოხდა; თითქოს, მათ მაიძულეს მაშინ, რომ აქ ჩამოვსულიყავი.

წერა შევწყვიტე. თვეები ისე გადიოდა, ერთ ხაზსაც კი არ ვწერდი და ერთ დღესაც მივხვდი, რომ ვცდებოდი, როცა ვფიქრობდი, აქ უფრო მეტ საწერ მასალას ვნახავდი, რომ აქ უფრო შევავსებდი ჩემს ტვინს. მოხდა პირიქით. დავცარიელდი, გამოვიფიტე. არაფერს მაძლევდნენ უცხო ქუჩები, არაფერს მაძლევდნენ ის ადამიანები, რომელთაც ვხვდებოდი. დავჯდებოდი ხოლმე საათობით, გადაშლილი ბლოკნოტით ხელში და ვფიქრობდი. ვცდილობდი, რამე დამეწერა, მაგრამ- არაფერი. მხოლოდ სიცარიელე ეხვია ჩემს თითებს გარშემო, როგორც მტრედების გუნდი მოედანს.

მხოლოდ ერთადერთხელ, როცა გამოვედი გარეთ, თითქოს, ამდენი ხნის შემდეგ მაშინ გამოვფხიზლებულიყავი; თითქოს, სწორედ იმ დღეს აღმომეჩინა, რომ აქ არ ლაპარაკობენ ქართულად და რომ გარშემო მხოლოდ გერმანული ისმის. სწორედ მაშინ ჩავინიშნე ეს რამდენიმე ხაზი:

„სანგარია შენი გვამი,
როცა უცხო ენა გესხმის თავს
და იყუჩებ... “

მას შემდეგ გავიდა ორი წელი. მე ისევ აქ ვარ. ხან მგონია, რომ შევეჩვიე ამ ყველაფერს, ხან მგონია, რომ ვერასდროს შევეჩვევი. რთულია, იცხოვრო საკუთარ თავთან მუდმივ ბრძოლაში. ხანდახან კი, იმხელა სურვილი მძლევს ხოლმე, მივატოვო ყველაფერი, გავიქცე და უარი ვთქვა ჩემს ოცნებებზე, მიზნებზე, რომლებიც ჯერ კიდევ შორს არიან რეალობისგან. მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ იქაც ველარ გავძლებ, რომ იქაც ველარ ვიცხოვრობ. რომ ის ყველაფერი, რაც იქ ხდება, ძალიან უცხო გახდა ჩემთვის, რომ იმ ყველაფერს გადავეჩვიე. თუმცა იმასაც ხშირად ვფიქრობ, აქ რომ დავბადებულიყავი, მოვინ-

დომებდი კი აქ დარჩენას? ალბათ მაინც სხვაგან წავიდოდი, იმიტომ რომ ხანდახან ქვეყანას არ აქვს მნიშვნელობა. უბრალოდ, ადამიანებს გვბეზრდება ნანახი და ერთიდაიგივე ცხოვრება და ვცდილობთ შევქმნათ ახალი და სხვაგან.

მაგრამ ყველაზე მეტად ის მწყინს, რომ რომელ ქვეყანაშიც არ უნდა წავიდე, რომელი ქალაქიც არ უნდა ვნახო, აღარაფერი მაოცებს. თითქოს, ერთიდაიგივე გახდა ყველაფერი და ისევ ისეთი მოსაბეზრებელი ჩემთვის, როგორც მაშინ, აქ ჩამოსვლამდე.

შევიცვალე. აღარ ვარ ისეთი, როგორიც ვიყავი. ის ძალა და ნებისყოფაც სადღაც გაქრა. ხანდახან კი, საკუთარ თავს ეჭვით ვუყურებ, როცა მახსენდება რამდენი ვიბრძოლე ამ ყველაფრისთვის და გაოცებული ვეკითხები.

– როგორ შეძელი ამდენი ?!

მაგრამ რაღაცეები ისევ ისე დარჩა, როგორც მანამდე იყო:

ქართული სამზარეულო ისევ პირველ ადგილზეა.

ჩემი მეგობრები ისევ ჩემი მეგობრები არიან. თანაც შეუცვლელები.

ჩემ ძმასთან ისევ ვკამათობ, ოღონდ როცა ჩავდივარ.

და ისევ ველაპარაკები ჩემს ღმერთს:

– ღმერთო, ოღონდაც ჩემს მიზანს მივაღწიო და თუ გინდა, ადამიანები უფრო მეტად მეყვარება...

ვახტანგ მშვილდაძე /ქუთაისელი/
კანადა

ტაიგა

ფაჩუნმა გამომაღვიძა... ხელი ინსტიქტურად ამოვყავი საძილედან და იქვე მიდებული რემინგტონი მოვსინჯე... ტყის თაგვია... ვერ გამოვლიე, ან რას გამოლევ?! 50 წლის ხის ქოხია, თაგვს როგორ დააკავებ?! მახეში თითო-ორს ყოველღამე ვაბამ. მგონია, მივეჩვიე ტყეში მარტო ღამისთევას, მაგრამ ეტყობა ის დათვი, რომლის ნაკვალევსაც ქოხის გარშემო ვპოულობ და 5-6 სულიანი მგლის ხროვა (ხროვა უარყოფითად ჟღერს, გული მეთანაღრება მგლების მიმართ რომ ვიყენებ) აქედან კილომეტრნახევარში რომ დასუნსულებს (მგლებს მოვესიყვარულე, თორემ „დაძუნძულებს“ უფრო შეეფერებათ), ქვეცნობიერად მაშფოთებს, განსაკუთრებით ღამით. მოდი და ნუ შეშფოთდები, კარები ძაფივით წვრილი მავთულით მაქვს მიმაგრებული იქვე, დირეზე მიჭედებულ ლურსმანზე. მიხურულია, რა...

ღამის ორი საათია. სახურავზე წვიმა არაკუნდა. კაი მოსასმენია. მოუმატა. რა კაი გრძნობაა, როცა გარეთ წვიმს და შენ მშრალში, საძილეში ჩამთბარი, სადღაც მიყრუებულ ტაიგაში ნებივრობ. ფიქრი ხან აღმა წაგიყვანს, ხან დაღმა ჩამოგყვება. რა ყალბად შემზარავი ხდება პეიზაჟი ქოხის ირგვლივ, მზის ჩასვლისთანავე. მოქუფრული, ბნელი, ხიფათის შეგრძნების მქონე სივრცე. არადა, რა ულამაზესია იგივე სივრცე დილით! მკვდარსაც კი დაუბრუნებს სიცოცხლის ხალისს. ქოხის წინ დიდი ტბაა- კუნძულების ტბა ჰქვია და შუაში მართლაც წიწვოვანით დახუნძლული კუნძულია ამოზნექილი. ხეები სიბერისგან წყლისკენ დახრილან, ზოგიც უკვე ჩაძირულა ნაპირ-

თანვე. ტბის გარშემო სოჭის და ნაძვის ტყეებია... კიდე რომ არ აქვთ, ისეთი ტყეები. მზეც ზუსტად მაქედან ამოდის. ქოხის უკან პატარა ჭაობია, რომელიც დიდ გუბეს (თუ პატარა ტბას) უერთდება. მის ირგვლივ შერეული ტყეა, არყი და ნეკერჩხალი ყვითელ-წითლად ელავს დილაობით. ზუსტად მაგ ჭაობში გადავაწყდი ამ დილით დედა ცხენირემს. ორი ხბო ახლდა... კაი ნაადრევად დაბადებული ხბოები უკვე მოზრდილები იყვნენ. ქოხისკენ გზა ტბის ნაპირის გასწვრივ, ტყის კალთაზე გადის და ტბას ჩუმად მივადექი, იხვის მოლოდინში. ამ დროს, გავიგონე წყალში დგაფუნით გადაადგილების ხმა და რას ვხედავ!. . არადა, ნადირობის სეზონი ერთი კვირის წინ დავხურე ხელცარიელმა. ჯერ შორიდან ვუღე სურათები ტოტებშორის დარჩენილი, სულ პატარა ღიობიდან. მერე გავთამამდი და მიპარვა ვცადე (მძიმე ზურგჩანთით და თოფით, დაქანებულ, ვიწრო ბილიკზე მდგომი, ვერ ვიღებდი კარგად). დედა ცხენირემმა ორ-სამჯერ ასწია თავი და ჩემ მხარეს გამოიხედა. ვერ მხედავდა და სუნსაც ვერ აიღებდა, მაგრამ ხმა მიწვდა ალბათ. ჭაობში ჩვენს მიერ დატოვებულ ქვამარილს ლოკავდნენ სამივენი დიდი სიამოვნებით. თან წყალს აყოლებდნენ. როგორც იქნა სამოცდაათ მეტრამდე მივუახლოვდი და ფერდზე მივწექი ზურგჩანთიანად. ვითომც არაფერი, ბალახს წიწკნიდნენ, მარილს და წყალს აყოლებდნენ. მთლად მონადირული ჟინი აღარ გაქვს, როცა იცი, რომ სროლა არ შეიძლება, მაგრამ გონებაში რამდენჯერმე „მივაზომე'' კარაბინის ოპტიკური სამიზნის ჯვარი ხბოს. ერთი კვირის წინ რომ მენახა...

ჯერ დედა შეერია ტყეს, მერე ნელნელა ხბოებიც მიჰყვნენ. უბედნიერესი ვიყავი... ზურგჩანთა ქოხში დავაგდე და ქვემოთ, ერთ კილომეტრში ბიჭებთან ჩავედი. ბოგირებს აგებდნენ ღელეზე, კვადროციკლის გადმოსასვლელად. სანადირო სექტორს უკვე გაისისთვის ვამზადებთ. ტყეს შევუყევი, მზე

კარგად ანათებდა. ამ დროს, ჟრუნი მზიან ფერდობში გამოდის, ქათამივით იქექება. ნახევარ კილომეტრში ავიყვანე ორი ცალი. კაი ბობოლა ჟრუნები, მათ შორის ერთს ყვითელი თითი აღმოაჩნდა ორივე ფეხზე (არ ვიცი, რისი ნიშანია). საღამოსკენ, ბიჭებს ერთი ბოგირი დაემთავრებინათ და მეორისთვის ჭრიდნენ მორებს. რადგან ღამის გასათევად სხვა ბანაკში უნდა გადასულიყვნენ (სამ კილომეტრში), დავემშიდობე და ქოხისკენ წამოვედი.

მზის ჩასვლას მივუსწარი. ჩამავალი მზის ნათელი დიდ ტბას ადგა და მწვანე ტყეს მუქ ნარინჯისფერს ხდიდა. სანამ არ დაბნელდა, თვალი ვერ მოვაცილე... ხოო, კიდევ რა მოხდა დღეს?!.. ხო, სოჭს ვესროლე ჟაკანი. უსიამოდ ჩამრჩა. ჟაკანის მიტანა მინდოდა მენახა და იქვე 35 მეტრში აშოლტილი სოჭის ტანზე, შეთეთრებულ ლაქას ვესროლე. რომ მივუახლოვდი მაგრად გამიტყდა, მაგრამ გვიან იყო. სქლად ამოხეთქილი ღრმული დავუტოვე. არ უნდა მესროლა.

საღამოს, ღუმელი ოდნავ შევანთე. წყანარად ვივახშმე. შებოლილი ორაგულის სენდვიჩი, ყველით (სენდვიჩი კი არა ნახევარი ბაგეტი იყო), გურული ჩაი და ლინდტის თეთრი შოკოლადი... მერე ჩავუწექი. ჰოდა, აგერ, თაგვმა გამომაღვიძა და როგორც იმერლები იტყვიან, ქე ვაყვლიპინებ თვალებს. წვიმა მონოტონურში გადავიდა, მართლა კაი მოსასმენია.

ჩემები ალბათ, რთველს ამზადებენ. ცოლიკოურში, წესით, მზე ჩადგა უკვე. ობჩიდან გადმოტანილ, ბაბუაჩემის მამის ნაქონ, კაჟიანი ჭურების კედლებს გაუდით ალბათ ხიხინ-ხიხინი მამაჩემის „კრაზანიან“ ხელში. ნეტავ, მწყერი თუ დაფაჩუნებს ისევ, ჩვენს ჭალაში?!

ისევ ნადირობას დავუბრუნდი...

ნეტავ, რატომ მიყვარს ასე ტყე, იარაღი და რატომ უნდა

მსიამოვნებდეს სადღაც მიყრუებულ ტაიგაში მარტოდმარტო ხეტიალი და ღამისთევა?!

ბაბუის მამის, დიდი მონადირის, ნიკოს ბრალია, ალბათ. ეტყობა, მისი სისხლი ჭარბად გადმოგვყვა მე და ჩემს ძმას... .

ამანდა, რა თქმა უნდა, ფსიქოლოგს მირჩევდა (მის კლინიკაში, რასაკვირველია). მარა, დავიჯერო საფსიქოლოგოდ მაქვს საქმე?!

– რას გაიგებ...

ლანა მანველი
I პრიზი. საქართველო

ვიდრე მზე ჩავიდოდეს
(პატარა ლიზის დღიური)

12 ივლისი. ერზრუმი. სოფელი.

ჩემო კარგო მამა, სულ რამდენიმე დღეა, რაც ბაბამ ერზრუმში ჩამოგვიყვანა. არ გეწყინოს რა, ბაბა რომ დავწერე. მასე თბილისშივე დავუძახე. საძინებელში გავედი და ისე. პირდაპირ თქმა მომერიდა. არ ვიცი გაუხარდა თუ არა, მაგრამ დედას კი ესიამოვნა. გამიღიმა და თავზე ხელი გადამისვა. მუდამ სევდიან თვალებშიც სითბო ჩაუდგა. ბარბებით თამაშის უფლებაც მომცა და მეორე დღეს, სკოლაშიც წამიყვანა ჩუმად. ბაბა არ აძლევს გარეთ გასვლის უფლებას. რაც დაქორწინდნენ, მას შემდეგ ასეა. მუსულმანებს, სხვანაირი წესები აქვთო. – დედამ.

სოფელში ღამით ამოვედით. ბაბას მამა, დედა, დები და მამიდა დაგვხვდნენ. გაცნობის შემდეგ, ბალიშებზე დაგვსვეს, ძირს. დედა ბაბას გვერდით დაჯდა და მეც გვერდით მომისვა. ის კი, მაშინვე წამოხტა და სხვაგან გადაჯდა: „არ შეიძლებაო მამაჩემის თანდასწრებით!" ყველამ გაიცინა, მე და დედა გავწითლდით.

გუშინ, ვსადილობდით აქ, სოფელში. ისევ დაბლა ვისხედით- ხალიჩაზე, პატარა მრგვალი მაგიდის გარშემო. გარედან დაიძახეს. ბაბას ბიძაშვილები იყვნენ. მამიდებმა (ბაბას დებმა) სასწრაფოდ ააყენეს დედა და სამზარეულოში გაიყვანეს თავისი თეფშით. იქ არც მაგიდაა და არც სადმე ჩამოსაჯდომი. მეც მინდოდა გავყოლოდი, მაგრამ უფლება არ მომცეს. თავზე

მოსახვევი ეხვია, მაგრამ მაინც დამალეს.

სადილის შემდეგ, ყველანი ჩანჩქერთან წავედით მანქანით, დედას გარდა. მოვიკითხე და სძინავსო, მიპასუხეს. იქ ხილი ვჭამეთ. ვაშლის გაჭრა მინდოდა და თითი გავიჭერი. შემრცხვა, ვერავის ვერ ვუთხარი. გასისხლიანებული ხელი ჯიბეში ჩავიდე...

დედამ იტირა, რომ მნახა. თითზე მაკოცა და შემიხვია. ბაბას უსაყვედურა. მან კი, მერე რა მოხდა, ბავშვიაო!

წყაროზე სულ ტირილით გამირეცხა ჯინსის შორტი. წითელ ნაკადს ოხვრით აყოლებდა გულს...

13 ივლისი. ერზრუმი. სოფელი.

დღეს დედას თურქი ქალივით ჩააცვეს, მამა! სახლის საქმეებსაც მას აკეთებინებენ. იმდენს, რომ მე ველარ მაქცევს ყურადღებას. ჩემმა ახალმა ძმამ ჯინსის გარეცხვა სთხოვა. დედამ წყალი რომ გაამზადა, მამიდებმა მთელი ოჯახის სარეცხი დაუხვავეს. წელან, ეზოში ჩამოჯდა დასასვენებლად, ქვის დასაჯდომზე. თავზე კი ჰქონდა მოსახვევი მოხვეული, მაგრამ პირზეც ააფარეს: „მეჩეთიდან კაცები ჩამოივლიან და სირცხვილიაო!"

დედა ხმას არ იღებს, მაგრამ ვხვდები- უჭირს. რა უნდა ქნას?! საქართველოში მე და დედას არაფერი გვაქვს. ბებოც თავისებურია. მე კი ძალიან ვუყვარვარ, მაგრამ დედასთან სულ ჩხუბობს. მარტო უყვარს ცხოვრება.

18 ივლისი. სტამბოლი

მამა, სტამბოლში ჩამოვედით უკვე. ბაბას ძმა იზმირში დაბრუნდა ოჯახით და ჩვენ მათ ნაქირავებ ბინაში შევედით. ერთი ძველი კარადა დაგვიტოვეს, დანარჩენი ყველაფერი წაიღეს. ბაბამ ჯერჯერობით მხოლოდ საჭირო ავეჯი იყიდა. ვიდრე წა-

ვიდოდნენ, ორი დღე ერთად ვიყავით. დედამ, ბიძაჩემის ჩემ-ხელა გოგო აბანავა. თმაში საჭმელები ჰქონდა მიმხმარი და მაგიტომ. მერე ჩემი კაბა ჩააცვა და თავისები გაურეცხა. სა-რეცხს რომ რეცხავდა, ბიცოლაჩემმა თავისი ქმრის შარვალი მიუტანა. დედამ: „მე სხვა კაცის შარვალს არ გავრეცხავო!" მას კი ეწყინა და მარტომ დალია ჩაი აივანზე. დედა არ მიიწ-ვია.

ხვალ სკოლაში უნდა მივიდეთ.

19 ივლისი. სტამბოლი

დღეს, ვიდრე ჩვენი უბნის სკოლაში წავიდოდით საბუთე-ბის შესატანად, დედამ ჩემი დაბადების მოწმობა ვეღარ იპოვა. არადა, არასოდეს არაფერს კარგავს. ბაბამ: – ლიზის ახალ და-ბადების მოწმობას ავუღებთ, ჩემი გვარითო. დედა არ დაეთ-ანხმა. მე შენს გვარზე მინდა დავრჩე, მამა!

სკოლის დირექტორი სულ ბაბას ელაპარაკებოდა. რამდენ-ჯერაც დედამ ხმა ამოიღო, იმდენჯერ შეაწყვეტინა. პოლიკ-ლინიკაშიც ასე მოხდა, ექიმს ყურადღებაც არ მიუქცევია დე-დასთვის. გამსინჯა, ოღონდ პერანგი არ აუწევია, ისე... გარე-დან. სხეულზე თითქმის არ შემხებია. ბაბა კმაყოფილი დარჩა. ექიმი კაცი იყო. დედა რაღაც დაპატარავებული მეჩვენა, ეს მოსახვევიც როგორ აუშნოვებს. გრძელი თმა უხდებოდა. მან კი შეიჭრა, რა აზრი აქვსო. სალონში კი არა, ბაბამ შეაჭრა სახ-ლში.

21 ივლისი. სტამბოლი

იცი, მამა, მეზობელი ბავშვები გავიცანი. ერთად ვთამა-შობთ. თურქული კარგად უნდა ვისწავლო, თორემ ისევ პირ-ველ კლასში დამსვამენ. ეზოდან დედას რომ ვეძახი, ბავშვებიც იმეორებენ „დედა»-ს. ისე, თურქულად დედა „ანნეა", ქართულ

სახელს ჰგავს, ანას. დედა ვერ მპასუხობს, ბაბამ აუკრძალა. თურმე, სხვა კაცებმა არ უნდა გაიგონ, როგორი ხმა აქვს. გამომხედავს-ხოლმე მხოლოდ. მართლა, კინაღამ დამავიწყდა, დღეს მე და დედა ბაზარში ვიყავით. ძალიან ლამაზი წითელი, გვირილებიანი სარაფანი მიყიდა. ჩემს ახალ ძმებს სპორტული ზედები უყიდა. უფროსს არ მოეწონა: -მე ბაზარში ნაყიდ რაღაცეებს არ ჩავიცვამო!. . ვიდრე მამაჩემი შენ შეგირთავდა, ყველაფერი უკეთესი მქონდაო!- დედამ იტირა. პატარა ძმამ ჩაიცვა, ოღონდ იმანაც გააპროტესტა. ჩემი კარადა გამოხსნა და ლიზის რამდენი ტანსაცმელი აქვს, მე კი არაო! დედამ აუხსნა, რომ იქედან მამამისის ნაყიდი არაფერი იყო. მან კი ყურებზე ხელი მიიფარა და ოთახიდან გავარდა.

22 ივლისი. სტამბოლი

ბაბამ ჩემი ახალი სარაფანი ნახა. არ მოეწონა. ზემოდან აუცილებლად რამე მოიცვი, ასე მოშიშვლებული მკლავებით ვერ ივლიო, – გამაფრთხილა. დედა შეედავა, მაგრამ ბაბამ უყვირა.

დედამ, ჩვენ მუსულმანები არ ვართო!

ბაბამ, ამ ქვეყნად ყველა მუსულმანიაო!

23 ივლისი. სტამბოლი

მამიკო, უკვე დაღამდა. ლოგინში ვწევარ, მაგრამ ვერ ვიძინებ. ნეტა, სულ არ გაყოლოდა დედა ამ კაცს. ტირილისგან თვალები მაქვს დასიებული და ძლივს ვახელ. დედა აივანზე ზის, სიბნელეში. იმათ ილოცეს და ახლა სძინავთ.

დღეს, ეზოში იმ სარაფანით ვიყავი ჩასული. „ის" ადრე მოვიდა და მოსაცმელის ჩაცმა ვერ მოვასწარი. ყვირილით ამომიყვანა სახლში. გამხადა, დახია და ნაგლეჯები ტუალეტში შეყარა. დედა ცდილობდა ხელი შეეშალა, მაგრამ მაგას რო-

გორ მოერეოდა?! აქაურობა შემჯავრდა! მაგისი ბიჭებიც სულ ბუზღუნებენ, დედას ცუდად ელაპარაკებიან. ისიც არ მოსწონთ, მე რომ ჩემი ოთახი მაქვს და იმათ სასტუმრო ოთახში სძინავთ. მაგათმა მამამ ჩხუბის შემდეგ გამოაცხადა: „ხვლიდან ყველა ერთად სასტუმრო ოთახში დაიძინებსო!"

ნეტავ, საქართველოში დავბრუნდებოდეთ! ნეტა!

24 ივლისი. სტამბოლი

გუშინ, დედამ ჩემთან დაიძინა. ეგონა, მეძინა და არ მესმოდა, როგორ მეფერებოდა. დღესაც ჩემთან უნდოდა დაწოლა, მაგრამ იმან არ მისცა უფლება. ბავშვებს ყველას ერთად გვძინავს სასტუმრო ოთახში. მამამ და შვილებმა ჩაი დალიეს, იცინეს, მერე იჭიდავეს, ილოცეს და დაწვნენ. მამიკო, ამათი დედა კიბოთი მომკვდარა 7 წლის წინ. ვერ ვიძინებ. საბნის ქვეშ ფანარი მინთია და შენ გწერ.

26 ივლისი. სტამბოლი

გუშინ, დედამისი და მაგის პატარა და ჩამოვიდნენ ერზრუმიდან. დედამ თავის კარადაში გამოუნთავისუფლა ადგილი და იქ შეალაგებინა ტანსაცმელი. სადილი გაამზადა. ვიდრე სამზარეულოს მოაწესრიგებდა, ქვაბებითვე გაიტანეს საჭმელი ოთახში. მე სალათის თეფში წავიღე. ვიდრე დედა გამოვიდოდა, ქვაბებში აღარაფერი არ დატოვეს.

– ცოტა დედასაც დაუტოვეთ – მეთქი.

– შენ ენა მოიმოკლეო! – დედამისმა.

ავდექი და დედასთან წავედი სამზარეულოში. ამ კაცმა ჩემი თეფში აიღო და მესროლა. მამიკო, დედამ ისევ ვერ დამიცვა, აქეთ გვეჩხუბნენ.

31 ივლისი. სტამბოლი

დედას არ ელაპარაკებიან, მის გაკეთებულ საჭმელს კი კარგად ჭამენ. რაც ესენი ჩამოვიდნენ, სტუმრებიც ბევრნი მოდიან. დედა ძლივს დგას ფეხზე. ცალ – ცალკე სუფრებს შლის, კაცებისთვის და ქალებისთვის. სარეცხსაც ხელით რეცხავს. ჩემი ამხანაგების დედებს სარეცხი მანქანები აქვთ. იმათი მამებიც ისე არ იქცევიან, როგორც ეს ჩვენ გვექცევა. დედამისი მთელი დღე ზის და ხმამაღლა ყურანს კითხულობს, თან სულ ერთ ადგილს. ერთი არ წააშველებს დედას ხელს. იმ დღეს დავინახე, როგორ დამალა ხილი უჯრაში, ტილოების ქვეშ.

5 აგვისტო. სტამბოლი

გუშინ, ორი დღით ყველანი იზმირში წავიდნენ, ვიღაცის ქორწილში. იზმირი სხვა ქალაქია. მე და დედა მარტო დავრჩით. ისევ პატარა ოთახში გამიყვანა. იქ მომიწყო საწოლი. კედლებზე ჟურნალებიდან ამოჭრილი ყვავილების სურათები და ჩემი ფოტო გამიკრა. მამიკო, იცი, დედამ ნამცხვარი გამომიცხო. კრემს რომ ურევდა „ყვავილების ქვეყანას" მღეროდა. ეტყობა, ხმამაღლა მოუვიდა, ცოტა ხანში ზედა სართულიდან, სახლის პატრონის ბიჭი ჩამოვიდა და სიმღერა შეაწყვეტინა: – ბებიაჩემს სძინავსო!. .

ჩვენ მაინც კარგად გავერთეთ. ხან ვიცეკვეთ, ხან ვიმღერეთ. ტანსაცმელებს ვიცვლიდი და ვმსახიობობდი. დედა აცხადებდა, თან მაყურებელიც იყო. კარგი დღე გვქონდა. ოთახი კი მომიწყო, მაგრამ თავისთან დამაწვინა. ზღაპრები მოვაყოლე, აღარც მახსოვს როდის ჩამეძინა. ნეტა, მე და დედა ისევ მარტოკები ვცხოვრობდეთ, სტუდქალაქში.

9 აგვისტო. სტამბოლი

მამიკო! ჩემო მამიკო! ძალიან ცუდი რამ მოხდა. მე დედა

აღარ მყავს!!! ახლა, იმათ ნათესავთან ვარ სახლში. გუშინვე მომიყვანეს, რაც ის უბედურება მოხდა. არ ვიცი რა მელოდება, დედას თუ მაჩვენებენ? საქართველოში წამიყვანენ? იქნებ უპატრონო ბავშვთა სახლში ჩამაბარონ? ბებოს დაურეკავთ-მეთქი? – ვიკითხე, მაგრამ არავინ მიპასუხა. ამასწინათ, ვიღაც ამათი ნათესავი მოკვდა და მეორე დღესვე დამარხეს მზის ჩასვლამდე...

გარეთ გავიხედე. მზე ჯერ არ ჩასულა, იქნებ მაჩვენონ დედაჩემი? ემინე აბლასთან გავედი, ქალები ლოცულობდნენ და ვერაფერი ვუთხარი.

მამიკო, გეფიცები, ყველაფერი იმ თურქის ბრალია, ბაბას რომ ვეძახდი! იზმირიდან რომ დაბრუნდნენ, ტელევიზორში საბავშვო ფილმს ვუყურებდი. პულტი მომეციო!

– ფილმი დამთავრდეს და მოგცემ – მეთქი.

– მომეციო!.. – დამიყვირა.

– ნეტა, სულ არ ჩამოსულიყავით-მეთქი და წამომაგდო სკამიდან. ცემა დამიწყო, მამიკო! დედა გულგახეთქილი შემოვარდა ოთახში. ჩემ დახსნას ცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. წიოდა, დახმარებას ითხოვდა. იმისმა დედამ და დამ აქეთ დაუწყეს ჩხუბი, – უზრდელი შვილი გაგიზრდიაო! მე ვტიროდი, დედას ვეძახდი. მერე გაჩერდა, აღარ მარტყამდა, მაგრამ ისე ვყავდი მომწყვდეული, დედა ვერ მწვდებოდა. მე შიშისგან ხმას ვეღარ ვიღებდი. არაფერი მტკიოდა, მხოლოდ თავი დამიმძიმდა. სადღაც შორიდან მომესმა დედას ყვირილი: – დაანებე ჩემს შვილს თავიო! მერე ვერ გავიგე რა მოხდა, უკბინა თუ დაარტყა დედამ. იმ კაცმა ჯერ დაიყვირა, მერე ცუდი სიტყვა თქვა. ერთი ხელით მე გამაკავა მძლავრად, მეორეთი დედა გადააგდო. მარმარილოს მაგიდის კუთხეს ჯერ დედას თავი დაასკდა, მერე სისხლი გადაესხა. მაშინ კი ერთიანად ამტკივდა მუშტმოხვედრილი ადგილები.

დედამისმა დაუყვირა: – რას შვრები, გაგიჟდიო?!

მისი დაც რაღაცას ყვიროდა. მე აღარავინ მაკავებდა, მაგრამ ხელ – ფეხი არ მემორჩილებოდა, მერე თვალებიც დამეხუჭა.

პოლიცია რომ მოვიდა, მე უკვე ემინე აბლას ქმრის, იბრაჰიმის მანქანაში მსვამდნენ. მინდოდა ყველაფერი მომეყოლა, მაგრამ ლაპარაკის თავი არ მქონდა. თავი მიხურდა, პირი მიშრებოდა. გულს ბაგა – ბუგი გაუდიოდა. დედასთან მინდოდა მისვლა და ეგეც ვერ ვთქვი.

მამიკო, ნეტა არ მომკვდარიყავი!.. მაშინ ხომ არ წავიდოდით მე და დედა თბილისში?! ხომ არ მივიდოდა დედა თურქებთან სამუშაოდ?! ხომ არ გაჰყვებოდა ცოლად ამ ცუდ კაცს?! მამიკო!..

მამიკო, იცი, მზე ისევ ანათებს, ჯერ კიდევ დროა, იქნებ წამიყვანონ ჩემს მკვდარ დედასთან?!

ზელიმხან მაღრაძე
II პრიზი. საქართველო

არა ამბორსგყო

მურჯახეთის ტრაგედია

საკირედან ურმით ბრუნდებოდა ზაზა წინწკალაძე ცოლთან გვანცასთან და ხუთი წლის შვილთან ერთად. დიდი ქორწილი გადაუხადა სიმამრმა თავის უმცროს ვაჟიშვილს. გაზაფხულზე სტუმრობდა ცოლის ძმა. სათესლე პური გამოლეოდათ და აბა სად უნდა წასულიყვნენ თუ არა ჯავახეთში. ერთი ორად გაუმასპინძლდა პურის მომყვანი ჯავახი ვაჟკაცი. – ამხელა ურემს ტყუილად ხომ არ ატარებო? ჰოდა, ახლაც დროულად გათიბეს, გალეწეს და პურით დატვირთული ურმით ცოლშვილთან ერთად დათქმულ დროზე ადრე ეწვია ქორწილში. – ქორწილმა ხარჯი იცის და ღვთის მადლით პური ბევრი გვაქვს და გამეტებით ჭამეთო. ხუმრობით მიმართა სიმამრს.

სიამაყით და სიყვარულით გაბადრული გვანცა თვალებში შესცი‌ცინებდა საყვარელ ქმარს და თან დროდადრო გადახედავდა ურემში გაშლილ ნამჯაზე მძინარე 5 წლის ვაჟიშვილს.

მზე უკვე ჩასვლას ლამობდა, როცა მურჯახეთის მიდამოებს მიადგნენ. სოფლის ნახირი დამდგარიყო სოფლისაკენ მიმავალ შარაზე და მტვრის კორიანრტელი ასდიოდა იქაურობას. ისედაც დაღლილი ხარები ააჩქარეს, რომ ნახირისთვის მიესწროთ. უცებ, რამდენიმე თოფ- დამბაჩა გავარდა ზედიზედ და მოშიშვლებულ ყანებში მოფანტული ყვავები დააფრთხო. მწყემსები ისროდნენ აშკარად; ცოტაც და შარაზე პიორდაპირ მათკენ ექვსიოდ ცხენოსანი მოაჭენებდა. ზაზას ცუდად ენიშნა ეს ყოველივე და სასწრაფოდ, მძინარე ბავშვი ცოლთან ერთად ნამჯის ბუნულთან გადასხა. ზედ ნამჯის ბუნული გა-

დააბრუნა, თვითონ კი შიშველი ხმლით წინ წაუძრვა ურემს. მისი ვარაუდი გამართლდა, ცხენოსნები ლეკები აღმოჩნდნენ. ისინი ასე დაწანწალებდნენ მშიერი ტურებივით და სისხლისაგან დაცლილ სამცხე-საჯავახოს სათითაოდ აცლიდნენ ყმაწვილ კაცებს. ახლაც მწყემსებს დასხმოდნენ თავს და ხელმოცარულნი, თავქუდმოგლეჯილნი გამორბოდნენ. სანამ სოფელი ფეხზე დადგებოდა, გასწრებას ლამობდნენ; აქ კი, ზაზა წინწკალაძე გადაეღობათ წინ. ახალგაზრდა ლეკმა შავი ულაყი ზედ მიაგდო ურემზე, მაგრამ ზაზას მოქნეულმა ხმალმა მოცელა ულაყი. თავზარდაცემული ლეკი წამოდგა ერთბაშად, მაგრამ მეორედ მოქნეულმა ხმალმა გაუჩეხა თავი. შემდეგი წამი საბედისწერო გამოდგა ზაზასთვის. ზედიზედ ორი დამბაჩა გავარდა მის უკან. ერთი კი შეტორტმანდა, მაგრამ არ წაქცულა. თვალი ნამჯის ბუნულისკენ გაექცა, სადაც ცოლშვილი ეგულებოდა. მერე ლეკებისკენ შემოტრიალდა, ხმლის აწევა სცადა, მაგრამ მუხლებზე დაეცა და ხმალს დაეყრდნო...

გვანცამ პირზე ხელი ააფარა ძილგამფრთხალ შვილს. თვალებიდან მუდარა გამოსჭვიოდა, მისდა გასაკვირად, ბავშვი არ ატირებულა.

– ღვთისმშობელო ქალწულო, შენთვის მომინდია ჩემი შვილი, დაიცავი და დაიფარე, ნუ დამარხავ უცხო მიწაზე. შენ დაიცავი ღვთისმშობელო... მერე ძუ ვეფხვივით ერთი შეჰკივლა და თვალის დახამხამებაში ქმარს შეუჯდა მხარ ქვეშ- არ მისცა საშუალება წაქცევის. ზაზამ ერთი კი გადახედა თავის რჩეულს, თან თითქოს საყვედურობდა, სამალავიდან რატომ გამოხვედიო. რაღაცის თქმაც დააპირა, მაგრამ პირიდან სისხლიღა წამოუვიდა. მერე სისხლიანი ხმალი ცოლს შეატოვა და უსულოდ დაეცა მიწაზე.

უაზროდ იქნევდა აქეთ-იქით ხმალს გვანცა. თავის დაცვას ლამობდა, თან ცდილობდა შორს გაეტყეუბინა მომხდურნი;

შვილი არ შეამჩნიონო. თვალის დახამხამებაში ლეკების ტყვეობაში აღმოჩნდა წინწკალაძეების რჩეული რძალი. ასე მტირალი ნახეს თავგაჩეხილ ლეკსა და მამის ცხედარს შუა პატარა იოანე, რომელმაც კარგად ნახა ყვლაფერი, რაც მერე მთელი ცხოვრება თან გაჰყვება და მისი თანამგზავრი იქნება სულ...

გიორგი წინწკალაძე და იოანე

ზაზას ამბავი მთელმა ჯავახეთმა გაიგო. გლოვამ გაღმა, ზედათმოგვშიც მიაღწია, სადაც მისი ბიძაშვილი გიორგი ცხოვრობდა. იგი ორი წლის იყო, როცა ადგილობრივ თურქთა მუხანათობით, უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა მამამისი. ობლად დარჩენილი შვილი დედასთან ერთად მურჯახეთში ცხოვრობდა მოსახელე პაპასთან, გიორგისთან. დედა, გოგაშნელი გოხაძეების ქალი, თავის მხრივ, არ აკლებდა სანთელ საკმეველს ქმრის საფლავს. წლისთავზე გოგაშენიდან მამამ ჩამოაკითხა და მოყვარეს სთხოვა- ცოტა ხნით გამოუშვით გოგაშენში, შვილიშვილით ჩვენც გავიხაროთო ცოტა. ბავშვი დედიანად შეისვა ცხენზე და ვითომდა სტუმრად წაიყვანა თავისთან, მაგრამ მესამე დღეს, ქალმა რომ გაიღვიძა, მისი ძაძები ბუხარში იწვოდა უკვე. ზედა თმოგვიდან გადმოსულ მაღრაძეს შეუსვეს ცხენზე და საღამოპირას ეკლესიაში შეაყენეს ამბიონზე, ჯვრის დასაწერად. ასე იქცა პატარა წინწკალაძე-გიორგი მაღრაძედ.

ახლა კი, უკვე 18 წლის ვაჟკაცი, სამი შვილის პატრონი, (მას 11 შვილი ეყოლა, შერჩათ 8) სინანულით ირტყამდა მჯიღს გულმკერდზე და იოანეს ბედით თავზარდაცემული ეხვეწებოდა ბიძამისს და პაპამისს, დაეთმოთ მისთვის იოანე. – წავიყვან და კაცად გავზრდი. მერე, მამამისის და მამაჩემის მაგივრად რომ იცხოვროს, ჩამოვიყვან მურჯახეთში და დავასახლებ, უარს ნუ მეტყვითო.

მაშინვე დაითანხმა მოხუცი მოსახელე. მამისეული ქონებიდან ერთი უღელი ხარი წამოიყვანა. პატარა იოანემ, მამის საფლავზე წამიყვანეო, სთხოვა ბიძამისს. ცხენიდან ჩამოხტა, ქალამანი წაიძრო, წინდაში საფლავიდან მიწა ჩაყარა და ასე, ქილდის გავლით, უკვე საღამოპირას ზედა თმოგვში მოასწრეს ასვლა.

ეკლესიის სიდიადემ დაატყვევა იოანე. მაშინვე ეკელესიის ეზოში გაჩნდა და რომ არა გიორგის დაჟინებული თხოვნა, სახლში არც აპირებდა წასვლას. სოფლის მოძღვარმა შენიშნა ხატებთან მობუტბუტე ბავშვი. გიორგის სთხოვა – დამითმეო !. . მაშინ, 5 წლის მორბედი დიდი რამ იყო. 5-6 წლის ბავშვი თავის პურს თვითონ გამოიმუშავებდა, მაგრამ გიორგიმ თანხმობა მისცა მღვდელს. ერთი წლის შემდეგ, იოანე აოცებდა ყველას თავისი შესაძლებლობებით. უკვე გამართულად კითხულობდა და ზეპირად იცოდა ლოცვები. იგი ყოველდღე აიძულებდა მღვდელს პარაკლისი გადაეხადა დედის სახელზე და პანაშვიდი მამის სახელზე, ხოლო თვითონ ეკლესიდან არც გამოდიოდა, თითქმის.

რვა წლის რომ გახდა, სოფელ ზედათმოგვს ბორჯომიდან ეპისკოპოსი ეწვია. იმ დროს, სასულიერო პირის ასე აშკარა გადაადგილება სამცხე ჯავახეთში სიკვდილის ტოლფასი იყო, მაგრამ ისედაც თითზე ჩამოსათვლელი სოფლებიღა იყო დარჩენილი, სადაც მართმადიდებელი ეკლესია მოქმედებდა. მათთან გასამხნევებლად დროდადრო ეპისკოპოსები ღამით, გლეხის ტანსაცმელში გადაცმულები გადაადგილდებოდნენ. ეგ კი არა, თუ სხვა სოფლიდან მოჰყავდათ პატარძალი, მაყრიონი ძალზედ მოკრძალებული უნდა ყოფილიყო. პატარძალი ხშირად მამაკაცის ტანსაცმელში იყო გადაცმული. თუ მათ სოფელში ეკლესია არ იყო, გზად ისეთ სოფელში გაივლიდნენ, სადაც შეიძლებოდა ჯვარი დაეწერათ. სახელდახელოდ დაად-

გამდნენ ჩიხტი-კოპს პატარძალს, ჯვარს დაწერდნენ და მერე, ისევ ისეთი მასკარადით აგრძელებდნენ გზას.

ეპისკოპოსმა, რომ ნახა იოანეს განათლება და მონდომება, აღტაცება ვერ დამალა. ოთხი დღე ეხვეწნენ გიორგის მღვდელთან ერთად, ბავშვი გაეტანებინა მეუფისთვის. აქაც გადამწყვეტი სიტყვა იოანემ თქვა. (ჩვენ ვიცით, რომ უკვე ბერს ერქვა იოანე. სინამდვილეში, მას ბავშობაში რა ერქვაარ ვიცით) იგი მოკრძალებით მივიდა ეპისკოპოსთან, ემთხვია ხელზე და განუცხადა, რომ იგი თანახმაა გაჰყვეს, თუკი მეუფე მისცემს საშუალებას და დაეხმარება დედის – გვანცას ძებნაში; აქ გიორგიმ ფარხმალი დაჰყარა და გზა დაულოცა ბავშვს. იოანე შესვეს ვირზე, ეპისკოპოსი – ჯორზე და სოფლის რჩეულმა ვაჟკაცებმა ღამით ატენამდე მიაცილეს, ხოლო ატენელებმა – საკირემდე. იქ დედის ძმები მოინახულა იოანემ და რვა წლის ჭაბუკი მეუფეს ეახლა მორჩილად.

13 წლის იოანე ბერად აკურთხა უკვე სნეულმა ეპისკოპოსმა. ასე გამოეთხოვა იოანე საერო ცხოვრებას, საიდანაც თან მიჰქონდა მიწა მამის საფლავიდან და ერთადერთი იმედი იმისა, რომ ოდესმე დედის კვალს მიაგნებდა და დაიხსნიდა. მეუფის სარეცელს არ მოშორებია ჭაბუკი ბერი, ბოლოს მის ხელში მიაბარა სული უფალს მეუფემ ისე, რომ საბოლოო კურთხევა აიღო იოანემ მეუფისაგან – წასულიყო იერუსალიმში...

ხაშურის მახლობლად, მონასტერში უღვაწია 11 წელიწადს. კარგად შეუსწავლია ბერძნული და ლათინური. ბოლოს მოკრძალებული საგზალით დასდგომია იერუსალიმისაკენ მიმავალ გზას. ოღონდ, კვიპროსში მოხვედრილა ჯერ. მერე ათონზე. იქიდან, კვლავ კვიპროსში და 60 წლის ასაკში გადასულა იერუსალიმში – ქართულ მონასტერში, სადაც ბერძნები დამკვიდრებულიყვნენ. იქ ძალიან ფრთხილად განაგრძობდა დედის ძებნას. მისი ცოდვაც ეს იყო, იგი ჭაბუკობაშივე მოს-

წყდა ყოველივეს და ყველას. რაც საერო ცხოვრებაში დარჩა, ყველაფერი ამოშანთა გონებიდან, მაგრამ ის, რაც ხუთი წლის ბავშვს ჩაებეჭდა გონებაში – დედის განწირული თვალები, სულ თვალწინ ედგა, სულ თან დაათრევდა ძველმანივით, ცოდვებთან ერთად, დედის ბედ-იღბალს. ვერ შეელია, ვერ დაივიწყა... აგერ უკვე 2 წელია, რაც სქემაში შემოსეს და იგი მდუმარებაში იმყოფებოდა. ცალკე პატარა სენაკში განაგძობდა ასკეტურ ღვაწლს და ლოცვას. მისი ბაგენი აღარაფერს წარმოთქვამდნენ...

გ ზ ა

აღდგომის დღესასწულს ზეიმობდნენ მონასტერში: ღამენათევი და ნაზიარები ბერები კმაყოფილნი ბრუნდებოდნენ სენაკში და გზად კიდევ ერთხელ ულოცავდნენ ერთმანეთს აღდგომის ბრწყინვალე დღესსწაულს. სენაკში, სამადლობელ ლოცვას კითხულობდა იოანე, როცა მუხლ მოყრილ ბერს ზეციური ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა, რომ მას ელის გზა გრძელი და სახიფათო, რომ ის უნდა დაბრუნდეს ივერიაში და იქ აუხდებოდა თხოვნა, რომელსაც მთელი ცხოვრება ევედრებოდა უფალს და რომ იქ მოიპოვებს სულიერ სიმშვიდეს, რომ მისი დედის ლოცვა შეისმინა უფალმა.

ცრემლით მადლობდა და შეწყალებას სთხოვდა მხცოვანი ბერი და ადიდებდა უფალს. ასე, ამ ლოცვაში ჩასძინებოდა ფიცარნაგზე იოანეს. დილით, მორჩილი აახლა მონასტრის იღუმენმა და იოანე თავისთან იხმო. აღელვებული აედევნა იოანე ახალგაზრდა ბერძენ მორჩილს...

დუმილი წინამძღვარმა დაარღვია, მაგრამ ჩანდა, ისიც აღელვებული იყო. არ იცოდა, საიდან დაეწყო საუბარი. ბოლოს პირდაპირ მიახალა: – მამაო, ორი დღეა, მე უღირსს, უფლის ანგელოზი გამომეცხადა და მაუწყა უფლის ნება, რომ შენ,

იოანე ივერიელი უნდა წახვიდე შენს სმშობლოში. - იქ, სადაც პირველად ეკლესიაში დაიწყე მოღვაწეობა და იქ აღესრულო. რამდენად უსაფრთხო იქნება გზა არ ვიცი, მაგრამ უფლის თანადგომით, არაფერი გაგიჭირდება. ასეთია მისი ნება და ჩვენ, მისი მხედრიონნი, მის ნებას უნდა ვმორჩილებდეთ; ახლა კი, მოდით, ვილოცოთ... წინამძღვარმა რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა იოანესკენ. ერთმანეთს მხარზე ამბორჰყვეს ცრემლმორეულებმა და ლოცვა აღავლინეს...

მეორე დღეს, მთელი მონასტერი დადგა ლოცვად. წირვის შემდეგ, ნაზიარები იოანე დაემშვიდობა საძმოს და ჩრდილოაღმოსავლეთით მიმავალ გზას დაადგა ოთხმოცდაათი წლის, გალეული, მდუმარე, უფლის ერთგული, უფლის რწმენით აბჯარასხმული მხედარი, რომელსაც საგზლად მოხალული ხორბალი, ცოტაოდენი ნაკურთხი წყალი და გამხმარი ხილი მიჰქონდა. ასე, სოფლების და ქალაქების გავლით, ლოცვაში გართული მიაბიჯებდა მოსიარულე მდუმარება. უკბილობის გამო ის ყველაფერს ქვაზე ნაყავდა – ფესვებს თუ გამხმარ ხილს. ზოგჯერ თუ ვინმე დაემგზავრებოდა, პურითაც უმასპინძლდებოდნენ საკვირველ მოხუცს. ათენებდა იქ, სადაც დაუღამდებოდა. უმეტესწილად – ლოცვაში. დღისით კი – ქარში თუ წვიმაში, ის მხოლოდ წინ მიდიოდა – საქართველოში, ზედა თმოგვში. ყმაწვილკაცივით უძგერდა გული ჯვარზე დაყრდნობილ იოანე ბერს. კეთილი ხალხის წყალობით, ზოგჯერ ურმითაც მოუხდა საკმაო გზის გავლა. ხან ვირზეც შესვეს. თვითონაც ვერ გაიგო, ისე აღმოჩნდა თურქეთის შუაგულში. მთლიანად უფალს მინდობილი, მაინც ფხიზლობდა და ხშირად დასახლებულ მიდამოებს გვერდს აუვლიდა. იგი ზედმიწევნით წინასწარ გრძნობდა ადამიანების განწყობას. ღვთის წყალობით, ამხელა გზა მშვიდობიანად გაიარა და ზაფხულის მიწურულს ქართულ სოფელში (ხახულში) წაადგა დიდებულ

ქართულ ეკლესიას... აუღწერელი ნეტარება იგრძნო... უცებ, ყველაფერი გადაავიწყდა. ტაძრის ნახვამ ცრემლები მოჰგვარა და მუხლმოყრილი, უკვე მერამდენედ უვლიდა ტაძარს ლოცვით და გალობით.

რამდენი წელიწადი მას ქართულად არ უგალობია, არ ულოცია, თუმცა კი, ბერძნების გარემოცვაში, შინაგანად ქართულად ლოცულობდა. მაგრამ ახლა – აქ, სიხარულისგან გულაჩუყებულს, კვლავ გაეღვიძა მასში მიძინებული გრძნობები. ამდენი ხანი, გზად არც ერთი ეკლესია არ შეხვედრია და ახლა, თავისი გაფიცხებული, დამჭკნარი ბაგეებით ამბორს ყოფდა თავისივე ცრემლით დანამულ ჩუქურთმებს.

სწრაფად გავარდა ხმა სოფლად უცნობი და უცნაური ბერის შესახებ. მისი ლოცვის შემყურნეს, ბევრს ცრემლი მოადგა თვალთ და გაუღვიძა მათი გონებიდან ძალით თუ ვერაგობით ამოშლილი სარწმოუნოების სიდიადის გრძნობა, მაგრამ ახლოს მისვლას და თანაგრძნობის გამოხატვას ვერავინ ბედავდა. პატარა ბავშვის ხელით პურს უგზავნიდნენ ზოგ-ზოგები მომლოცველ ბერს... საღამოს კი, როცა მნახველები სახლებში გაიკრიფებოდნენ, იოანე ბერი მწუხრის ლოცვებს წარმოსთქვამდა, საკურთხევლის წინ. და აი, უცებ, ვიღაცის ღონიერმა მკლავებმა შეჰკრეს იგი. ჯერ ხელში აიტაცეს, მერე ძირს დასცეს, აითრიეს და თან წაიყოლეს ლოცვაში მობუტბუტე იოანე, რომელსაც მიუხედავად ამისა, ლოცვა არ შეუწყვეტია. იქვე, სოფლის განაპირა, საკმაოდ მოზრდილ, მიწური სახლის ბნელ ოდაში შეათრია მოძალადემ. ცოტა ხნის შემდეგ, ჭრაქის შუქზე, ცალ ფეხზე ჯაჭვით ბოძზე მობმული დატოვა ასე 40-43 წლის მამაკაცმა, რომელიც არაფერს ამბობდა, თუ რას ემართლებოდა მოხუც იოანეს. შემდეგ, თივა შემოიტანა, ფეხთ დაუყარა და ანიშნა, რომ ეს იქნებოდა მისი ლოგინი, რის პასუხადაც იოანე ჯერ წამოდგა და შემდეგ სამადლობელოდ

იატაკამდე დაიხარა და მადლობდა უფალს... მოძალადე უმალ გაუჩინარდა.

მკაცრი, ასკეტური ცხოვრება იოანესთვის ჩვეულ წესად ქცეულიყო; მდუმარებით და ლოცვით ვეღარ კმაყოფილდებოდა. თითქოს, მისი სული ერთ გამჭვირვალე ჭურჭელში საგულდაგულოდ მოეთავსებინათ, ასევე დალექილიყო ფსკერზე, ერთსახოვანი ფორმა მიეღო და ის მძიმე ასკეტური უღელი, რომელსაც ბერ-მონაზვნები ეწევიან, იოანესთვის ჩვეულ, მშვიდ ცხოვრებად ქცეულიყო. ახლა კი, როცა მას თმა-წვერში სწვდნენ და დილეგამდე მიათრიეს, თითქოს ეს ჭურჭელიც მთელი ძალით შეანჯღრიეს რათა, ნამდვილი ფერი მიეღო ჭურჭელში ორად გაყოფილ სითხეს. ყოველი დარტყმა სხეულზე, მის სულსა და გულს შეხორცებულ იარაზე ნეტარ ქავილივით ედებოდა და მადლობდა უფალს, რომ მისი უღირსი ხორცი ანთებულ ნაკვერჩხალზე დადეს გამოსაწრთობად, გასავარვარებლად და მთელი არსებით მზად იყო, სამსხვერპლოზე დაედო საკუთარი სიცოცხლე, თუკი ეს ღვთის ნება იქნებოდა.

კედლის გასწვრივ, ფიცრის ტახტი იყო ბოძებს შუა გაკეთებული, რომელზეც ორიოდე წლის ბავშვს ეძინა საკმაოდ კარგად მორთულ ქვეშაგ- საბანზე. ხოლო ოდნავ ღრმად კედლისკენ მუხლმოყრილი და პირქვე დამხობილი ქალის მკრთალი ლანდი მოჩანდა ჭრაქის შუქზე, რომელიც აქამდე შეშფოთებული უყურებდა იოანეს ბორკილდასხმას. იოანე ბერმა მშვიდად შეათვალიერა სივრცე, ისე რომ თივა არც გაუსწორებია, მუხლმოყრილმა განაგრძო ლოცვა. ლოცვაში მყოფი ბერის ყურადღება ბავშვის სულის სიღრმიდან ამომხდარმა ამოოხვრამ მიიქცია, რასაც პასუხად დედის ტიტინი მოჰყვა. იგი ეფერებოდა, ამშვიდებდა ბავშვს და ძილისკენ მოუწოდებდა. ხოლო, როცა ბავშვმა მშვიდი ძილით სუნთქვა გააგრძელა,

ქალის ხმა გაისმა, უკვე მკაფიოდ. იგი საშველად მოუხმობდა ღმერთს, ციურ დედოფალს, ყოვლად წმინდანთ. იგი სთხოვდა მათ, დაეხსნათ მისი შვილი განსაცდელისაგან, რომ იგი თავის თავს ნაკლებად სჩიოდა, ოღონდ მისი ყრმა დაეხსნათ მომავალი ტანჯვა- წამებისაგან და მონობისაგან, რომ ყრმას ენახა თავისი სამშობლო და მამამისი და რომ არა მისი შვილი, ამდენ ტანჯვას ვერ გავუძლებო, მიმართა ღვთისმსობელს და თუ მე მოვკვდე, ჩემი შვილი შენთვის გადმომილოციაო:- ზეციურო დედოფალო, შენ განკარგე მისი ბედი და მომავალი და იყოს ნება უფლისა, რამეთუ მე მისთვის შემიწირავსო ჩემი ყრმა. ნუ დამარხავ უცხო მხარეში მას მაინც, თუკი მე აქ მიწერიაო სიკვდილი...

ბერი სახტად დარჩა. ამ სიტყვებმა ააფორიაქა იოანე. ეს ხომ მისი დედის -გვანცას ვედრება იყო, როცა ნამჯის ქვეშ მიატოვა იოანე და მამის საშველად გავარდა სამალავიდან.

თავანკარა ქართულმა მეტყველებამ და ღაღადისმა წამოაყენა დამხობილი ბერი; უკვე რამდენი წელიწადია, რაც ნანატრ ენაზე წარმოთქმული სიტყვა არ გაუგია, ახლა ამ ღაღადისმა ააღელვა მოხუცი.

დიდხანს სდუმდა. აგერ თითქმის ოთხმოცი წელიწადი გადიოდა, რაც ბერის სამოსელით ცხოვრობდა. ამ ხნის მანძილზე მრავალ ცდუნებას გაუძლო და მრავალ ვნებათა ღელვას გაუმკლავდა, მდუმარების ფიცი დადო სქემოსანმა და მთელი მისი არსებით უფალს მინდობილი ბერი კვლავ ცდილობდა ჩაკეტილიყო თავის ლოცვაში. მაგრამ ყმაწვილი ქალის ღაღადისი უფრო მკაფიოდ იღვრებოდა სივრცეში. ეს არ იყო ჩვეულებრივი ლოცვა. მას თან ახლდა მუდარა. აუღწერელი, სასოებით გაჟღენთილი, უფლისადმი ღრმა, დამაჯერებელი რწმენა ბურჯად რომ ჰყავთ ხოლმე შეყენებული უაღრესად გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს, რომლებიც

მარტო კონკრეტულ ქმედებას კი არ სთხოვენ უფალს, არამედ შეწყალებას, რამეთუ ყოველი განსაცდელი უფლისგანაა დაშვებული და უფლისგანვე შეიწყალება. .

ამან წარიტაცა იოანე ბერის ყურადღება. თავიდან, შეეცადა განთავისუფლებულიყო ყოველგვარი ცდუნებისაგან, რომელიც ლოცვისგან განაშორებდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ყმაწვილ ქალთან ერთად მის ლოცვას იმეორებდა და ისე, რომ თვითონაც ვერ იგრძნო, მისი ნების გარეშე აღმოხდა გულის სიღრმიდან, როგორც კი წამით დადუმდნენ ქალის ბაგენი...

– უფალი იესო ქრისტე გფარავდეს შვილო ჩემო; მე უღირსი გავკადნიერდები და გკითხავ, ვინა ხარ და სადაური, ან აქ რამ მოგიყვანა და რაში მდგომარებს შენი გასაჭირი?

თავის ხმა თვითონვე ეუცხოვა მოხუცს. . რამდენი წელი იქნებოდა, რაც ქართულად ლოცვის გარდა არ წარმოუქვამს არც ერთი წინადადება და ახლა, როცა თავისდაუნებურად, შეთქმული მდუმარება დაარღვია, ამან უფრი შეაკრთო, მაგრამ უფლის ნებად მიიღო და მოემზადა პასუხის მოსასმენად.

ქალი ერთბაშად წამოვარდა ფეხზე, თითქოს ქვესკნელში მყოფ ადამიანს სარკმელი გაუჭრესო, ისე მოაწყდა ფიცარნაგის ბოლოს და იოანემ შენიშნა, რომ ისიც მასავით ჯაჭვით იყო ბოძზე მიბმული. ჯაჭვი დაიჭიმა და ქალმა იქვე მოადინა ზღართანი, მაგრამ იმწამსვე წამოჯდა და იოანეს მიაძახა:

– მამაო, შენ ხომ არა ხარ ის ბერი, რომელზეც ყველა ლაპარაკობს! მე ხომ შენთან ბიჭი გამოვაგზავნე პურით. შიგ წერილი იყო, ნუთუ არ წაიკითხე? ან აქ როგორ მოხვდი, ნუთუ ამ ურჯულომ შენც ბორკილი დაგასხა, ნუთუ შენც აქ მოხვდი. ჩემი ბოლო იმედი ხომ შენ იყავი!!! ვიფიქრე, წერილს სამშობლოში ჩაიტანდი, ჩემ ქმარს აცნობებდი, რომ აქ, ტყვეობაში აგერ უკვე სამი წელიწადია ვიტანჯები, მეგონა ჩამოვიდოდა ჩემი იმედი და დამიხსნიდა... ახლა კი ყველაფერი გათავდა, მე

ველარასოდეს დავაღწევ თავს აქედან. მე მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე ამ ურჯულოს ცოლობა ვიტვირთო. ღმერთო დიდებულო, დამიფარე ღვთისმშობელო! ჩემ შვილს მაინც მიეცი გზა სამშობლოში დასაბრუნებლად, მე თუ აქ მიწერია სიკვდილი... – აქ ხმა ჩაუწყდა და აქვითინდა.

იოანე კვლავ შეკრთა, მას თვალწინ წარმოუდგა თავის დედის განწირული თვალები, როცა ლეკებთან უაზროდ იქნევდა მამისეულ ხმალს. ისიც გაახსენდა, ლეკის მარწუხებში მყოფი როგორ იმედიანად ემშვიდობებოდა ზვინში სახელდახელოდ დამალულ შვილს, გახარებული იმით, რომ შვილი მაინც გადაურჩა ტყვეობას...

– შეუცნობია უფლის ნება და გზანი მისი, შვილო ჩემო. მივენდოთ მის ნებას და ვილოცოთ. გაისმა იოანეს მშვიდი და აუღელვებელი ხმა.

– იგი არ მიგვატოვებს განსაცდელში. თუ დავიმსახურეთ, ამ ბორკილებს აგვყრის და მტრედებივით თავისუფალნი გავუდგებით სამშობლოს გზას. დამშვიდდი და მიენდე მის ნებას, რამეთუ მისი არს ძალი და დიდება ქვეყნის დასაწყისიდან უკუნისამდე.

– მაგრამ მე მეშინია, დიდხანს ველარ გავუძლებ ტანჯვას იმის შიშით, რომ ჩემი შვილი არ გამომაცალონ ხელიდან, ან ჩემი შემყურე სასტიკი და ულმობელი არ გაიზარდოს შემდგომში ადამიანების მიმართ. ამისი გაფიქრებაც მრავალ განსაცდელში მაგდებს. ყოველდღე ჩემს წამებას რომ უყურებს, ამისაც მეშინია. ის იზრდება და მისთვისაც აუტანელი ხდება როგორც ჩემი, ისე მისი მდგომარეობა.

– ნუ გეშინია, შვილო ჩემო. კვლავ მშვიდად მიუგო ბერმა – აუტანელი არაფერია; ამისთვისაც უფალმა იზრუნა წინასწარ ადამიანზე. როცა ტკივილი უმაღლეს ზღვარს მიაღწევს, ადამიანი კარგავს გონებას. ამ დროს ტვინში რაღაც ხდება.

მერე თუნდაც კიდური მოაჭრან, ვერაფერს გრძნობს. ხოლო, როცა უფლის თანადგომას კარგავს ადამიანი, მაშინ ყველაფერი სხვაგვარადაა. ეს კაცი ჩემი და შენი სულის საწრთობადაა უფლისგან მოვლენილი და თუ ეს ასეა, მაშ, ღირსეულად მივიღოთ უფლისგან გამოგზავნილი დესპანი და მადლობა შევწიროთ ღმერთს ესოდენ დიდი ყურადღებისათვის, მისი ყურადღების უღირსთა მიმართ. ახლა კი ვილოცოთ.

ასეთი დამაჯერებლობით ნათქვამმა ბერის სიტყვამ ქალი ერთბაშად გაახევა. სიმშვიდემ კი ძალა შემატა და სიმხნევე მისცა...

ჯავარი

ოთხი თვის ახლად გათხოვილი სურამელი ურთქმელიძის ქალი ქვიშხეთში, სოფლის განაპირა ადგილას, მშვიდი ცხოვრებით ცხოვრობდა ქმარსა და დედამთილ-მამამთილთან ერთად. მამამისი დიაკონი ყოფილა და ჯვართამაღლების დღეს დაბადებულ ქალიშვილს, რომლის მშობიარობასაც თან გადაჰყვა მთელი სურამის მშვენება, სახელად ჯავარი დაარქვა. საბედნიეროდ ძმის ცოლიც ახლადნამშობიარები ყოფილა და ერთი ძუძუთი დაუზრდია მზრუნველ ქალს თავისი და მაზლის შვილიც. 14 წლის შემდეგ, ეს ქალიც რაღაცა ავადმყოფობის მსხვერპლი გამხდარა და ორი ოჯახის დიასახლისობა ჯავარის მხრებს დასწოლია, სანამ მის ძუძუმტე ბიძაშვილს ცოლი არ მოუყვანია. ჯავარის მამა საღმრთო სჯულით ზრდიდა ერთადერთ ქალს. ხანდახან მამას თან დასდევდა სოფელ-სოფელ წირვალოცვაზე და დროდადრო მონასტერში წასვლაზე ჩამოუგდებდა მამას სიტყვას, მამამისი კი – „იყოსო ნება ღვთისა“ უპასუხებდა მხოლოდ. მაგრამ ერთხელ, ქვიშხეთში ყოფნისას, ეკლესიაში გადაეყარა საცრისოდენა თვალებიან ჭაბუკს და ვერც ერთმა თვალი ვერ მოაშორეს ერთმანეთს. მერე ჯირით-

ში გამარჯვებულმა ქაბუკმა ცხენი მამა-შვილის ფერხთ მიაგდო, მკვრცხლ ჩამოხტა და მოულოდნელობისაგან სახტად დარჩენილი დიაკვნის წინ მუხლმოყრილმა, ჯავარის ხელი სთხოვა...

ხერთვისიდან აყრილი ნადირაძეების ნაწილი ზემო იმერეთში დასახლდნენ, ხოლო ბექა ნადირაძის პაპამ ბინა დედისეულ ქვიშხეთში დაიდო. დროდადრო, მამა-პაპისეულ მიწაზე, საფლავებს მაინც დავხედავთო... ასე გახდა ნადირაძეების რძალი, უკვე 20 წელს მიღწეული ჯავარი..

ზაფხული ცხელი და დაუნდობელი იყო. მზე ჩასვლას ლამობდა. ქმარი და მამამთილი ხარ-ურმით დილიდან გასულები ჯერ არ ჩანდნენ. სახლში ჭრაქი აანთეს და ვახშმის მომზადება დაიწყეს ქალებმა. ხევის პირას, ათიოდ ცხენოსანი გამოჩნდა ტყიდან და პირდაპირ შემოაბოტეს ეზოში. შემოსვლისთანავე თოფ-იარაღი მოიმარჯვეს და დაერივნენ სახლში მყოფთ. 11 წლის მაზლი და ჯავარი ხელ-პირ გაკრულნი უკვე ცხენზე ჰყავდათ, როცა დედამთილმა სახეში მდუღარე წყალი შეასხა მომხვდურს, მისსავე მოქნეულ ხმალს შეაგება გულ-მკერდი და იქვე განუტევა სული... ტყე-ტყე გადმოიყვანეს ახალციხის მიდამოებში, სადაც სტამბულიდან ჩამოსული ვაჭრები ელოდნენ. იქვე, ტყეში, რამოდენიმე ათეული სომეხი ტყვე და თორმეტიოდე ქალ-ვაჟი ჩაუთვალეს და ისევ გაუჩინარდნენ.

გზად, ჯავარმა მუცელში საამო თრთოლვა იგრძნო და სასონარკვეთილებაში ჩავარდნილი ქალი სიცოცხლეს ჩაებღაუჭა. ასე აქლემზე შემომჯდარი სტოვებდა მშობლიურ მიწა-წყალს, როცა ტყვეებით მოვაჭრეთა შორის, ერთ-ერთმა გათათრებულმა ქართველმა, წითელაშვილმა ჯავარს დაადგა თვალი და სტამბულელ სოვდაგარს, რომელსაც თან ახლდა, ჯავარის წილ ორი სომეხი ახალგაზრდა ტყვე შეაძლია. ვაჭრობაში გამოცდილი წუწურაქი თურქი სოვდაგარის თვალს

არ გამოჰპარვია, როგორ აუბნია თავ-გზა ჯავარის დანახვამ წითელაშვილს და მკაცრი უარი განუცხადა. რაც უფრო იზრდებოდა წითელაშვილის ნდომა, მით მაღლა ადიოდა ჯავარის ფასიც. ჯერ კიდევ შუა გზაში ჩხუბი მოუვიდათ, მაგრამ თათარი თავისაზე იდგა. თავისი წილი ათივე ტყვე დაუთმო ბოლოს წითელაშვილმა ჯავარის სანაცვლოდ და ასე, აქლემზე შემომჯდარი ჩამოიყვანა მეოთხე ცოლად.

გადარჯულებული ქართველის ნდომა რომ შეიტყო ჯავარმა, კედლიდან კედელს აწყდებოდა, მერე სახლიდან თანწამოყოლილი ნაყოფის თრთოლვამ შეახსენა თავი და თანდათან დაწყნარდა, ისევ ლოცვა მოიშველია და მომავალ შვილზე დაიწყო ზრუნვა.

ჯავარის სიმშვიდე ომარ წითელაშვილმა თანხმობად მიიღო, მაგრამ ცოლთა შორის უფროსმა გასცა ჯავარის საიდუმლო.

ამიერიდან, ჯავარს უვლიდნენ და თავს ევლებოდნენ ომარის ცოლები. მათ შორის, ერთი აბაშიძის ქალი, ერთი ბერძენი, ასევე ტყვეობიდან გამოსყიდული, რომლებიც სიტკბოში გარეულ შხამივით დროდადრო აწვეთებდნენ ტვინში- ბედს შერიგებოდა.

ამიტომ, ჯავარმა მთელი თავისი ყურადღება ლოცვაზე გადაიტანა და ძნელი იყო მისი დანახვა ლოცვის გარეშე. ამით დიდი პატივისცემა დაიმსახურა ქალებში და შეჰნატროდნენ კიდეც მის ნებისყოფას. ცოტა ხანში, ქალებმა პირიქით, ქმარს დაუწყეს ხვეწნა, რომ ხელი აეღო საკუთარ განზრახვაზე, მაგრამ ამაოდ. სულის სიღრმეში, იგი თვითონაც თანაუგრძნობდა ტყვე ქალს, მაგრამ სულით და ხორცით წუწურაქს, ჯავარის სანაცვლოდ გაცემული სიმდიდრის დათმობა ენანებოდა. მეორეს მხრივ, ჯავარის სილამაზეს ვერ ელეოდა. მერე, ჯავარის სიმტკიცე აცოფებდა და ამ სიმტკიცეში საკუთარ უნი-

ათობას რომ ხედავდა, ამის დაჯერება არ უნდოდა და უფრო ეშურებოდა საწადელს. ომარ წითელაშვილს ჯავარის ლოცვა გარკვეულ წილად პატივისცემისკენ მოუწოდებდა და მამაპაპისეულ სარწმუნოებას ახსენებდა. აკი, ბებიამისი სულ ქრისტეს მცნებებზე ზრდიდა კიდეც, მაგრამ როცა წამოიზარდა, მოსთხოვეს მაჰმადის რჯულზე მონათლულიყო. მერე ცოლი შერთეს, აბაშიძის ქალი. ისიც გათათრებული. მერე, მეორე ცოლიც შერთეს. მერე, სულ დაუბნელდა გონება და ტყვეებით მოვაჭრე სტამბულელ ვაჭრებს გადაეკიდა. იქ ერთი ბერძენი გოგონა მოეწონა ტყვეთა შორის. სულ ნორჩი, 12 წლის მტირალი გოგო წამოიყვანა და ცოლად შეირთო. ახლა, ჯავარი დაუჯდა ათი ტყვე ვაჟკაცის ფასი. მაგრამ ვერ წარმოიდგენდა, თუ ასეთ წინააღმდეგობას წააწყდებოდა...

ერთის მხრივ, ჯავარის შემყურე, მზად იყო, ყველაფერი მიეტოვებინა- მაჰმადის რჯულიც და უკუნეთშიც წაჰყვებოდა ამ ქალს, მაგრამ ჯვარდაწერილი ჯავარი უდიდესი მოწიწებით უფრთხილდებოდა და ებღაუჭებოდა ჯვრისწერის საიდუმლოს. ამიტომაც, ომარს ისევ მაჰმადიანობისკენ ეჭირა თვალი. აქ მას გზა ხსნილი ჰქონდა, თუნდაც 10 ცოლი ჰყოლოდა. ამასობაში, იოანე ბერი გამოჩნდა სოფლად, რომელმაც ჯავარი სულიერად განამტკიცა ისე, რომ ჯავარი მზად იყო, თამამად შესულიყო ცეცხლშიც კი, ოღონდ თავისას არ დასთმობდა. ერთხელ, ომარ წითელაშვილმა ასეთ საუბარს მოჰკრა ყური. ბერი მოძღვრავდა ჯავარს:

– განა სანთელი რომ იწვის, სხეული არ ნადგურდება? მისი სიცოცხლის ხანგრძლიობა იმდენია, სანამ იწვის. სხვა შემთხვევაში, ის საგანია, არაფრის მთქმელი საგანი. განა ქვა, რომელიც ტაძრის ქვაკურთხედად დადეს, არ გათალეს და წერაქვით არ გვემეს? სანთელი სხეულია, სინათლე კი სული. ყოველი ქვა, რომელიც ტაძრის მთლიანობას ემსახურე-

ბა, გაკეთილშობილებულია თავისი მსახურებით ტაძრისადმი; თუ არა, ვინ დაუწყებს კოცნას ამ ქვებს, რომლითაც ეს შენობაა აშენებული ჩვენდა საპყრობილედ? ასე რომ, იყუჩე და ყოველი შეურაცხყოფა ნეტარებად მიიღე, ყოველი წყლული სიმდიდრედ. ერთი დიდი უპირატესობა აქვს სხეულს. მასზე, როგორც ეტრატზე, ისე აღიბეჭდება წყლულები. ყოველი დარტყმა სხეულზე იარებს იწვევს. რაც მეტია იარები, მით უფრო მდიდარია ჩემი სხეულიც და სულიც; მით უფრო, თუ იგი ქრისტეს რჯულისთვისაა მიყენებული. ო, როგორ ზრუნავს უფალი, რომ საშუალებას გვაძლევს, დავიმდაბლოთ თავი, რომ გვგვემონ მისთვის, რადგან სამსხვერპლოზე, უფლის სამსხვერპლოზე ამაზე დიდ სიმდიდრეს ვერ მივიტანთ შესაწირად. მსხვერპლის გაღება და თავგანწირვა ხომ უდიდესი გამოვლინებაა ადამიანის მიერ ადამიანობისა და ყოველი დამღა სხეულზე – სულს სამკაულებით მოოჭვილ გვირგვინივით ადგას თავზე, მაგრამ ეს არ არის მიზანი. ადამიანი შექმნილია უფლის ხატებად და მისი დანიშნულება სიყვარულის უნარია. მაგრამ თუკი მას სძინავს?! აი, რა არის ცდუნება – ძილი! ძილი და სიამაყე, რომელიც არ აძლევს საშუალებას ადამიანს, იყოს სულის საცხონებლად მსხვერპლის გამღები... მშობიარობას ტკივილი რომ არ ახლდეს სიყვარულის სახსენებელიც კი არ იქნებოდა ამ ქვეყნად. ასე, რომ ახლა ჩვენი დროა. გამხნევდი, შვილო ჩემო...

ომარი მიხვდა, რომ მთავარი ბრძოლა ბერთან უნდა ეწარმოებინა და გადაწყვიტა იოანეს გამაჰმადიანება, თუმცა იმასაც კი გრძნობდა, რომ ეს ბრძოლა მას უკვე წაგებული ჰქონდა, მაგრამ მაინც, წითელაშვილის აზრით, ბერის გადმობირებით მაჰმადის რჯულზე, ჯავარის რწმენაც შეირყეოდა, რომელიც ახირებად მიაჩნდა, ხოლო თუ ჯავარის შვილსაც გაამაჰმადიანებდა, მერე მის ნდომას წინ აღარაფერი აღუდგებოდა. მაგ-

რამ, მოხდა პირიქით. ბერის გამოჩენით, ჯავარმა მთავარი დასაყრდენი იხილა. იოანე ბერი ის ბურჯი იყო, რომელსაც უნდა დაეცვა წარწყმედისაგან. უფრო მეტიც, ომარის უფროსი ვაჟი მთელ თავისუფალ დროს მამა იოანეს გარშემო ატარებდა და ჩუმად მართლმადიდებლურ რწმენაზე გადასვლასაც გეგმავდა. აქამდე თუ ორჯერ ჯავარის გაპარება სცადა, ახლა, მამა იოანესთან ერთად სამივენი საქართველოში რომ წასულიყვნენ, იმაზე ალაპარაკდა ბიჭი ჯავართან. ამას ისიც დაემატა, რომ ომარის უმცროსი ცოლი – ბერძენი ქალი მესამე შვილის მშობიარობას გადაჰყვა და თოთო შვილი შერჩათ ხელში. ეს ყველაფერი იოანე ბერს დააბრალა; მეტიც, თავის სილაჩრეს ვეღარ მალავდა. ერთხელ, მლოცველ ბერს წაადგა ზურგიდან და წიხლები წაუშინა.

ძუ ლომივით გმინავდა ჯავარი ამის შემხედვარე. ჯავარის შვილი ისტერიულ ტირილს მოჰყვა. იოანეს ცემით რომ გული იჯერა, ახლა ყმაწვილ ქალს ეცა გამძვინვარებული, თარაქამადქცეული მოძალადე და აქამდე, თუ ჯავარს თვალსაც ვერ უსწორებდა, ახლა პირველად ასწია ხელი მასზე.

არანაკლებ გამძვინვარებული ჯავარი კბილებით ჩააფრინდა მხრის თავზე და ახლა ყვირილი წითელაშვილს აღმოხდა, მერე ქალის მოშორება სცადა და მოიქნია. ჯავარს კბილებში შერჩა მოძალადის ხორცი. ამან უფრო გააშმაგა და მახვილი იშიშვლა. ის იყო, ხანჯლით ლამობდა ქალის ასხეპვას, ამ დროს მთელი მისი საჯალაბო ღია კარში შემოცვივდა და ფეხებზე შემოეხვივნენ. აბაშიძის ქალი შუაში ჩადგა. ჯავარმა გასისხლიანებული პირისახე მოიწმინდა და შვილს ჩაეკონა.

ომარმა ზურგსუკან უფროსი ვაჟიშვილის გამჭოლავი მზერა იგრძნო და შემოტრიალდა. ვაჟი მოხუც იოანე ბერს ეცა და ფოთოლივით გამხმარი მოხუცი ხელში აიყვანა. იოანე ლოცვას განაგრძობდა. ბიჭმა გასისხლიანებული შუბლი მოს-

წმინდა და დემონსტრაციულად მის წინ მუხლებზე მდგარმა, რამოდენიმეჯერ პირჯვარი გადაიწერა და შენდობა სთხოვა მამა იოანეს. ეს კი მეტისიმეტი იყო... ომარი ელვის სისწრაფით მისი შვილის წინ გაჩნდა და მახვილი მკერდში უმარჯვა. გაკვირვება წაიკითხა საკუთარი შვილის თვალებში და ახლა უკვე სულთმებრძოლი შვილის ფეხზე წამოყენებას ლამობდა. აბაშიძის ქალი გულწასული ეგდო მიწაზე; ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა. ჭაბუკი მამა იოანეს უხმობდა და მამის მარწუხებიდან ცდილობდა განთავისუფლებას. ომარმა შვილი ბერის მუხლებზე გადააწვინა, თვითონაც მუხლებზე დავარდა და მამა იოანეს სთხოვდა, იქნება შენმა ლოცვამ იხსნასო შვილი სიკვდილისაგან...

ბიჭი ნათლისღებას სთხოვდა ბერს; მერე, მამამისს გამოხედა და მამა იოანეს განთავისუფლება სთხოვა ჯავართან ერთად.

– მამავ ბატონო, ჩვენ ოდესღაც ქრისტიანები ვყოფილვართ და გთხოვ, ნუ შეეწინააღმდეგები ჩემ უკანასკნელ სურვილს, მოვინათლო და ქრისტიანად მოვკვდე; გთხოვ, შენც მოინათლეო და ამით გაახარებო ჩემს სულს. მერე მამა იოანეს სთხოვა:

– მამაო, მომნათლე მართლმადიდებლურად. გთხოვ, იჩქარე, სანამ ჯერ კიდევ სული მიდგას...

ახლა მთელი ოჯახი დადგა მუდარით და თხოვნით ბერის წინაშე, შეასრულეო ჭაბუკის თხოვნა.

ომარი გააოგნა ამის ხილვამ. ამ თითისტოლა ქალმა, სულ რაღაც სამ წელიწადში, მთელი ოჯახი ქრისტესკენ შემოაბრუნა და თვითონ ვერც კი ამჩნევდა ამას. ბოლოს, უფროსმა ცოლმა უსარგებლო ნივთივით მისწია გვერდზე და შვილის და ბერის წინ დაემხო.

იოანემ ნათლობის ლოცვა წაიკითხა; აი ის, მომაკვდავთ

რომ უკითხავენ ხოლმე. მერე, აბგიდან საგულდაგულოდ გადანახული ნაკურთხი წყალი ამოიღო და შუბლზე აპკურა. მერე, თვითონაც შუბლზე ეამბორა ჭაბუკს და დიდხანს ლოცულობდა და ამხნევებდა სულთმებრძოლს, რომელსაც სახელად გიორგი უწოდა...

შენობაში სამარისებური სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ გიორგის კვნესა ისმოდა. მის წინ დაყუდებული ბერი განაგრძობდა ლოცვას. ომარმა ჯიბიდან გასაღები ამოიღო და მლოცველ ბერს ჯაჭვი შეხსნა ფეხიდან, ჯავარისკენ შემოტრიალდა. მაგრამ მის ახლოს მისვლა და შეხება ვერ გადაწყვიტა. მისმა ქალიშვილმა ჩამოართვა გასაღები და ჯავარს გადასცა.

თვალებს უკოცნიდა და მადლობდა ჯავარი ჭაბუკ მომაკვდავს. აბაშიძის ქალი და ჯავარი ერთმანეთს ჩაეკონნენ და ტიროდნენ. ტიროდა მთელი ოჯახი...

დამხობილი ბერი ერთბაშად წამოიმართა და გიორგის არაფრისმთქმელი თვალები დაუხუჭა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ჭაბუკი მიიცვალა...

მთელი სახლი გოდებამ მოიცვა, ომარი აღარსად ჩანდა, არც მისი ცხენი; გასისხლიანებული მახვილი დაერჭო მიწაზე, ეზოდან გასასვლელი ჭიშკრისკენ მიმავალ ბილიკზე.

ოდისეა იოანესი

შემოდგომას ყავლი გასდიოდა უკვე. ამ დროს ჯავახეთის ზეგანი გადამწვარ-გადახრუკულ ველსა ჰგავს; აქა- იქ ნამჯის ზვინები თუკი შემორჩება ხოლმე კიდევ. ისე, მთელი მინდვრები აქამდე საქონლისგან განაძოვია და როგორც კი პურის მოსავალს აიღებენ, მთელი საქონელი განათიბ ყანებს შეესევა და მთლიანად რომ გაიძოვება, ზამთარიც დაიდგამს თავის ტახტს. ყანები მხოლოდ ყვავების არენად რჩება და აქა იქ კაკბების გუნდიც თუ გადაიფრენს.

ორი ცხენოსანი სოფელ აფნიას სამხრეთიდან მოადგა. განთიადი იყო. სოფლამდე საკმაოდ შორს იყო კიდევ. იქვე, ვიღაცის მადლიან ხელს დაედგა საკმაოდ მოზრდილი ქოხი, თივა-ნამჯისგან სახელდახელოდ აშენებული. ეტყობა გლეხებს მოეწყოთ სადღეღამისო სადგომი, ყოველწუთას სოფელში რომ არ ევლოთ ღამის გასათევად, სანამ ხორბალს არ დააბინავებნენ.

ცხენოსანნი ამ სადგომს მიადგნენ. ცხენები პირდაპირ თივაზე მიუშვეს და თვითონ ნელ-ნელა დაიწყეს ძირს ჩამოსვლა...

მენახირეებმა შორიდანვე შენიშნეს შაოსანნი და მათკენ გაემართნენ არა ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, არამედ, ყოველი მხრიდან გამომართული, ათიოდე ძაღლის მოსაგერიებლად. შორიდანვე, მხედართა შორის შეიცნეს ქალი და ბავშვი. მოხუცი, თავ-პირშეხვეული მამაკაცი უკვე ნამჯაზე პირაღმა იწვა და თვაელებმილულული ძლივს სუნთქავდა...

ძაღლებს შეუტიეს და ყოველშემთხვევისთვის თურქულად სალამი მისცეს. პასუხად დუმილი შერჩათ. უფრო ახლოს მივიდნენ. მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა ცხენებს მიუახლოვდა და ვაჭრის თვალით შეათვალიერა გაოფლილი ცხენები. ბავშვმა დედას მოუხმო თავისთან, რომელიც მოხუცის ფეხებთან მოკალათებულიყო და სიცივისგან გათოშილი ხელები იღლიებქვეშ ამოეჩარა.

– ქართველები ხართ? ჩაეკითხა ბოლოს ერთ-ერთი, როცა ბავშვის მეტყველება გაიგო.

ქალს მღელვარებისგან კინაღამ გული წაუვიდა. მოხუცი არას ამბობდა, თვალებიდან ცრემლები ჩამოსდიოდა და დაწყლულებულ, დახეთქილ ტუჩებს უხმოდ ამოძრავებდა.

სახელდახელოდ ცეცხლი აუნთეს ტალ-კვესით და თუკი რამ საგზლად წამოღებული ჰქონდათ, გაუმასპინძლდნენ მადლიანი ჯავახები. – მომეხმარეთო, სთხოვა ბოლოს ქალ-

მა. მოხუცი ბერია, იერუსალიმიდან მომავალი ბერი. ჩვენ მივემგზავრებით სოფელ ზედა თმოგვში და ვჩქარობთ, რადგან მოხუცი მომაკვდავია და აგერ, მესამე დღეა გაუჩერებლივ მოვდივართ. მადლობა ღმერთს, გზა არ აგვერია და ქართული სიტყვა გვესმის, ცხენებიც დაიღალნენ და დაიმშნენ, მათი დაკავება სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება, საძოვარზე იწევენ, ჩვენ კი...

– გამყოლი გინდათ აუცილებლად, ხვალ გიორგობის დღესასწაულია და თარაქამების მრავალი ჯგუფი დაძრწის გზებზე და თუ წააწყდით, კარგს არაფერს უნდა მოელოდეთო, გამოტყდა მათ შორის ყველაზე ძლიერი აღნაგობის ვაჟკაცი. ჩვენც ვცდილობთ, ასეთ დღეებში საქონელი გარეთ არ გავუშვათ, მაგრამ ზამთარი დიდი გველის და ამიტომ ვისაც მუხლი გვერჩის, მინდორში ვართ ჩვენი მონაგარის დასაცავად.

ეს მგზავრები იოანე ბერი და და ჯავარი იყო, თავის შვილთან ერთად.

– მოარეკეო საქონელი – ბრძანა მათ შორის უხუცესმა – დღეს ეტყობა მოგვიწევს ბაგაზე დაბმა, წამოდგა და დააჩქარა ახალგაზრდები...

დიდი პატივით მიიღეს მოსიძეებმა სტუმრები. რამდენი ხანი იყო, მათ სოფელში სასულიერო პირს არც გაეჭაჭანა. თავს ევლებოდნენ და ტიროდნენ. სასწრაფოდ დაბანეს და შეუხვიეს ჭრილობები იოანეს. დედა-შვილს ძვირფასი ლოგინი გაუშალეს და თბილ ოდაში ძილი ნებისა უსურვეს, დაღამებამდე რომ დაესვენათ და გამოეძინათ. ცხენებს ხომ საგანგებოდ ბიჭები მიუჩინეს და ქერი მიუყარეს.

გვიან შემოდგომით, ჯავახეთში მზე მალე ჩადის. ერთი ჩაესვენება მთის მიღმა და თუ მთვარე არ მოჰყვა კუდში, ისეთი უკუნი ჩამოწვება, თვალში რომ თითი მიიტანოს, თვალს გამოითხრის კაცი. მზე ჩაესვენა თუ არა, შვიდიოდ გამორჩეული

ვაჟკაცი ამოუდგნენ გვერდი-გვერდ ცხენებს, ფეხებზე ჩააცვეს ნაბდები, ჯერ ერთი, რომ არ ეხმაურათ და მეორეც, ყინული თუ სადმე შეხვდებოდათ დაღმართზე, ფეხი არ ასცურებოდა პირუტყვს. მთვარე ჯერ არსად ჩანდა.

ჩუმად ჩამოუარეს პირქუშ ვარძიის მონასტერს, სადაც თურქ მწყემსებს გამოქვაბულებში ცხვარი ჰყავდათ დაბანაკებული ჯერ კიდევ და აქა-იქ ჭრაქის შუქზე მოსჩანდა ადამიანის ლანდები, ცხვრის ბღავილი, ფრუტუნი.

ძაღლებმა ყეფა ასტეხეს და გამოეენთნენ. ამას მოჰყვა მწყემსების სტვენა და ძახილი. ბოლოს ყველაფერი დაწყნარდა და ხეობა გაიტრუნა. იდუმალებით მოცულ სამყაროს დაემსგავსა იქაურობა.

მგზავრებმა ვარძიას მტკვრისგაღმა მხრიდან ჩაუარეს და ალაგურთან წყალს მიაყენეს ცხენები. ორი გამორჩეული ყმაწვილი ცხენებს ყინულივით ცივ წყალში შეუძღვა.

ახლა ალაგურში ატყდა ყეფა და გნიასი, სტვენა და ძახილი. ბოლოს სამშვიდობოს გავიდნენ და მთვარემაც ამოანათა.

აქ კი, სტუმრები ზედა თმოგველებმა ჩაიბარეს. ცოტაოდენი თათბირის შემდეგ გადაწყდა, რომ ზედა თმოგვამდე კვლავ აფნიელი ბიჭები გააცილებდნენ. ორი ვაჟკაცი მოსიძეების გვარიდან წაუძღვნენ ალაგურიდან ციცაბოს თავზე გამავალ ბილიკებს. ეს ბილიკები მათთვისაც კარგად ნაცნობი იყო იმიტომ, რომ გარშემო ორი ძლიერი სოფელი იყო ქართული: ერთი გვერდითვე- გოგაშენი, ხოლო მეორე გაღმა, ვარძიის მთის მიღმა, ციხესავით შეუვალი და გაუტეხელი ზედა თმოგვი. ამიტომ, ახლო ნათესაობა ჰქონდათ ერთმანეთთან და მიმოსვლაც მათ შორის ხშირი იყო.

შუაღამისას წაადგნენ თავზე აღმოსავლეთიდან, ძილსმიცემულ სოფელს. იოანე ერთბაშდ გამოფხიზლდა და აქამდე მიმქრალი სხეული გამართა. ცივი ნიავი სისინებდა მის წვერულვაშში.

– ეკლესიის ეზოში მიმიყვანეთო, ბრძანა მოხუცმა და მღვდელს უხმეთო, სასწრაფოდ!.

მოსიძის ვაჟმა ზარს შემოჰკრა; როგორც ერთი, ისე გამოცვივდა ხალხი სახლებიდან, წმინდა გიორგის დღესასწაული თენდებოდა და ზარის ხმაზე დიდიან- პატარიანად მიიჩქაროდნენ ეკლესიის ეზოში. ხანშიშესული მღვდელი ბერ იოანეს ეახლა და ეკლესიაში შეუძღვა.

ტაძარში არაფერი შეცვლილიყო. იოანემ ხარბად მოავლო თვალი იქაურობას და სათითაოდ ემთხვია და მეტანიობდა ხატების წინაშე. ამ გამშრალ გამოფიტულ სხეულიდან როგორ მოდიოდა ამდენი ცრემლი; ან რა ძალამ გამოაფხიზლა და გამოაცოცხლა, რომ გალობასაც კი მოჰყვა. მერე წინწკალაძენი იხმო თავისთან. გიორგი ოცი წლის გარდაცვლილი იყო. ოთხმა მამაკაცმა მოიყარა მუხლი მოხუცის ფეხებთან. ლოცავდა და მადლობდა უფალს, მათი ნახვით გახარებული. ერთი კი დაუწუნა, რომ თავიანთი გვარი ვერ დაებრუნებინათ და უცხო გვარს ატარებდნენ, მაგრამ ბოლოს დალოცა და მღვდელთან საკურთხევლის წინ დადგა აღსარების სათქმელად.

ოთხი საათი აბარებდა აღსარებას მხცოვანი და თუკი რამ ახსოვდა და მას თავისი ცხოვრება ზედმიწევით კარგად ახსოვდა, ყველაფერი სააშკარაოდ გამოიტანა.

დიდი ზეიმით ჩაატარეს გიორგობა. ზედათმოგვის ეკლესია წმ. გიორგის სახელობისაა. ასეთი წირვა არავის ახსოვდა. თითქმის არავინ დარჩენილა სახლში. სულიერი ყველა ეკლესიაში მოვიდა. იოანე ბერი სტიქარჩაცმული, პატარა ყმაწვილივით, როგორც ოდესღაც ემსახურებოდა ოთხმოცდახუთი წლის წინ, ისე მსახურობდა ახლაც. წირვა ჩათავდა და იოანე, ახლა ისევ ბერის სამოსელში, დიდი სქემით შემოსილი წარსდგა საზიარებლად ამბიონის წინ.

– „არა ამბორსგჰყო ვითარცა იუდა...“

აქ კი უკვე ბერიკაცი გამობრუნდა ამბიონის წინიდან, ნაზიარევი. მოხუცს სკამი დაუდგეს იქვე, ახლოს.

წინწკალაძეთა შორის ოთხი ახალგაზრდა გამოარჩია და ჯავარი იხმო. ჯავარის შვილი უნდა მოვნათლოთო, განუცხადა არაქათგამოცლილ მღვდელს და ბავშვის ნათლიად თვითონ დადგა. მერე დედა-შვილი ამ ახალგაზრდებს ჩააბარა და სთხოვა, გაეწიათ განსაკუთრებული სიფრთხილე და მამაცობა, რომ ჯავარი ქვიშხეთში გადაეყვანათ. ახლადმონათლული გიორგი კალთაში ჩაისვა, შემდეგ წინწკალაძეების საფლავთან პანაშვიდი გადაახდევინა მოძღვარს და დასძინა, აქ დამიდევითო ჩემი საძვლე ადგილი და ეკლესიაში შეყვანა ითხოვა.

იქვე, შესასვლელთან ჩაიკეცა იოანე, მშვიდად მოავლო თვალი ტაძარს. დამაწვინეთო, ბრძანა ბოლოს და მღვდლის გამხმარი ხელი დაიდო გულზე. მივდივარო, მამაო – უფალი მეძახის. შენდობას ვითხოვ ყველასგან. ერთბაშად გაირინდა, თვალები მილულა და ასე დაჰყო კარგა ხანს. მერე, უცებ ფართოდ გახსნა დახეთქილი ტუჩები, რომლებიც აქამდე კვლავ ბუტბუტებდნენ: – გვანცა, გვანცა, შენ დაბრუნდი სახლში!!! აღმოხდა ხმამაღლა. მერე, ასე მშვიდად გაღიმებულმა მიაბარა სული უფალს... მისი ბოლო სიტყვა უფალი იყო. მეორე დღეს მიაბარეს მიწას იქ, სადაც თვითონ ისურვა დასაფლავება იოანემ. მთელი სოფელი გლოვობდა, მაგრამ ჯავარი ძლივს ააგლიჯეს საფლავიდან. იგი მღვდელმა შეიფარა სახლში და ერთი კვირა პანაშვიდს უხდიდნენ მიცვალებულს. ყოველდღე მოძღვრავდა მადლიანი მღვდელი და ამხნევებდა. ჯავარი წინწკალაძეების ოჯახიდან ოჯახში გადადიოდა. მათი ზრუნვა ფრთებს ასხამდა ზრუნვა მოკლებულ ქალს და რამდენადაც მეტ ზრუნვას გრძნობდა, იმდენად განვლილი გზა ჯოჯოხეთად აღექმებოდა და უჭირდა. სიყვარულთან და ზრუნვასთან შეხებას უცხოობდა და უფრთხოდა. . ფოფოდიამ

შენიშნა ეს ჯავარის თვალებში და ცდილობდა გაერიდებინა ზედმეტი ცნობისმოყვარე მეზობლებისაგან. მაგრამ, აქ სხვა რაღაცა იყო საჭირო. წინწკალაძებმა, თავის მხრივ კაცი აფრინეს სოფელ ტოლოშში, ნადირაძეებში და ცხენზე შემჯდარი ამოიყვანეს ჭარმაგი ნადირაძეთაგანი. ამან სულ გამოიყვანა წყობიდან ჯავარი... მკერდზე მიეყრდნო და მოსთქვამდა გაუჩერებლად, რატომ-რატომო. მერე თვალებში ჩააშტერდა, შვილს მოუხმო და გვერდში ამოუყენა მოსულს. ჯერ ერთს უყურებდა და მერე მეორეს. ორი დღის შემდეგ კიდევ რამდენიმე ამოვიდნენ ნადირაძეთაგან. ჩვენთან წამოდიო სთხოვეს, ჩვენ გადაგიყვანთო ქვიშხეთში. ჯავარმა შორს დაიჭირა: მე წინწკალაძებმა დამიხსნეს ტყვეობიდან და ისინი მიმაცილებენო. შაბათ საღამოს აღსარებაზე წარსდგა ჯავარი. თავისი განვლილი ცხოვრება როგორც ცოდვა, ისე მოინანია საჯაროდ. მერე მადლობა გადაუხადა სოფელს და კვირას ბარძიმის წინ დადგა დედა-შვილი...

– „არამედ ვითარცა ავაზაკი აღგიარებენ შენ“... ღაპაღუპით მოსდიოდა ცრემლები და ნაზაიარებ შვილს გულში იკრავდა. ყველა ტიროდა მასთან ერთად. ტიროდა მღვდელიც. შემდეგ, წინწკალაძის ბიჭებმა ჯავარი თავის შვილთან ერთად ფარავანისკენ მიმავალ გზას გაუყენეს. სანამ დიდ თოვლობა არ დაწყებულა, უღელტეხილი გადავიაროთო. საკირემდე ჩააღწიეს და იქ იოანეს დედის ძმისშვილებმა ითავეს მისი მარხილით გადაიყვანა. ჯავარი სამშვიდობოს იყო.

ამბობენ, რომ ასე, ოცი წლის შემდეგ დაბრუნებულან დედა-შვილი იოანეს საფლავთან და ის ფიქალი, რომელიც იოანეს საფლავზე დევს, იმ ბიჭს მოუტანია საიდანღაც და დაუდვია საფლავზე. ჯავარი ისევ ისე მოსთქვამდა თურმე, როგორც ოცი წლის წინ. იმასაც ამბობენ, იოანეს დასაფლავებიდან ორი დღის შემდეგ, ღამით, მხედარი უნახავთ იოანეს საფლავთან,

მერე კი ცხენ-კაცი იპოვესო ალაგურის თავზე ქარაფში, ზედა თმოგველები საძაღლეს რომ ეძახიან და უცვნიათ საფლავთან მდგარი მხედარი.

ასე დასრულდა ამბავი, რომელიც მკითხველისათვის მიმინდვია განსასჯელად. თუ რა დღეში იმყოფებოდა სამასწლიან მონობაში მყოფი მესხეთი და შენდობას ვითხოვ, თუკი ვინმემ რაიმე უზუსტობა დაინახოს ამ ჩემ მონაყოლში. ისე კი, ჩემი მიზანია, ქართული საზოგადოება გასცნობოდა სამცხე-ჯავახეთის ჭირ-ვარამს და დაენახა გარდასული ტკივილი, რომელიც დღესაც არ განელებულა და ღმერთს ვთხოვ, დავიწყებას არ მისცემოდეს...

ლევან ლორია
III პრიზი. საქართველო.

წამიყვანეთ!..

გამარჯობა!

მე ერთი გიჟი ვარ. ჭკუა კი ცოტა მაკლია, სამაგიეროდ, უამრავი მწყერები მყავს და დრო და დრო ვაფრენ. თან ფეხებზე მკიდია ყველაფერი, განსაკუთრებით კი ყავისფერი, იმიტომ რომ ყავისფერი „ლოიდის“ ფირმის ტუფლები მაცვია – ამას წინათ ერთი „სექონდ-ჰენდის“ მაღაზიის დირექტორს ძველმანებით სავსე მანქანა დავუცალე. ხოდა ამ ძონძებში კარაქის ყუთში ჩაწყობილი ყავისფერი ფეხსაცმელებიც ერია და გასამარჯელოდ მომცა. რა მაინტერესებს იცი? კარგი, მე გიჟი ვარ და ვიცვამ ამ გამონაცვალს, მაგრამ საქართველოც გაგიჟდა, რომ უგზავნიან უცხოეთიდან ამ ძონძებს?! ჩემი აღშფოთება რომ გამოვხატე და ეს ვუთხარი მაღაზიის დირექტორს, – კაი რა გამანებე თავი, გიჟი ხარო. თვითონ გიჟი! უცხოური ძველმანი ვითომ ძველმანი აღარაა? აბა, ბულბულების გალობაა და ბელურების ჟღურტული? რა, იმათი სანაგვე ვართ, მე მათი ძაან უცხოელი მშობლები?! აღარ დავამთავრებ... ან ზურგსუკან გინება რა პონტია. ერთი უნდა ჩავიდე უცხოეთში... მაგრად ვაგინო ამ ძაან უცხოელებს თავის მშობლებიანადან. ან მშობლებმა რა დააშავეს? ალბათ დააშავეს. ისე, სხვათა შორის, სადღაც წავიკითხე (კითხვა ვიცი), რომ ბელურა და ბულბული ერთი გვარისანი არიან, ე. ი. სახლიკაცები არიან, რა... ასეა, ოჯახში ზოგი მომღერალი გამოერევა, ზოგი გიჟი. ისა ვარ მე. ისე, სიმღერაც ვიცი. მთლად ბოჩელივით ვერა, ზედა ნოტები მიჭირს ცოტა. ქვევით, იცოცხლე, ვგულაობ... ვიმღერო? არა? კაი აბა...

დილით სახაშეში ვიყავი. ცხელი ხაში-ზედ ლავაში. მერე ნივრის სუნი და ძირს ღორის გრიპი, მაღლა-ცა, გაუმარჯოს ხაშს და ვაშლს, ვაშაა! ახლა არ მკითხო, ვაშლი რა შუაშიაო, – ვაშლს ჰკითხე. ან ხაში საიდან, ამას ფული არ უნდაო? უნდა. ჩემთვის არ უნდა. მე ჩემი ანგარიშები მაქვს, გაიგე? ახლა მკითხავ, რა ანგარიშებიო? რა ანგარიშები და „ „მილანი“ – „ლაციო“ 2:1. ერთი წუთით, ჩემი ძველი ნაცნობია.

– გაუმარჯოს! – მესალმება. ვერ გავიგე, რა პარადია, ყველა ნაცნობი რომ მესალმება? და საერთოდ მჭირდება ახლა ამის სალამი?! მაგარი ძუნწი ვიღაცაა. ზამთარში თოვლს არ გაიმეტებს. გუშინ, ორი ლარი მასესხე მეთქი, ვთხოვე. როდის დამიბრუნებ, რომ გასესხოო? – მეუბნება. ზეგ -მეთქი, ვუთხარი. არ მაქვსო. არა და პერანგის გულის ჯიბეში აშკარად ილანდებოდა ხუთლარიანი. მე შემრცხვა მის მაგივრად და გავწილთლდი. ივანე ჯავახიშვილს ხომ შერცხვებოდა და შერცხვებოდა და მორიდებული მზერა, უფრო მორიდებული გაუხდებოდა.

– კარგად იყავი! ვეუბნები.

ცოტა გაკვირვებული მიყურებს. ნეტა რას ფიქრობს? სულ უბის წიგნაკზე არ მახატია, რას ფიქრობს?!. . წავიდა. წავიდეს რა, ბევრი წასულა. ზოგი მოსულა, ზოგიც გასულა გაღმა, იოდიან მარილზე. ხო, ამ იოდიან მარილზე გამახსენდა. მისმენ? იოდიანი მარილის დეფიციტიაო, აგიო, იგიო. ჭკვიანო და ბრძენო, იოდი ხომ არის?! დაასხი მარილს და იქნება იოდიანი მარილი. ამას რომ ვერ მოიფიქრებს კაცი... ჰოდა ჩემო პატივცემულო და განათლებულო, წესიერ და კულტურულ ოჯახში სუფრაზე უნდა მიიტანონ ცალკე მარილი და ცალკე იოდი, გემოვნებით. არ იქნება და დაიძახე რიხიანად: „იოდი არაა სუფრაზე, იოდი!. . “ ჰოდა მოიტანენ. თან, ხომ შეიძლება, უცებ დანით ხელი გაიჭრა ან ჩანგალი შეგერჭოს ჭამის დროს ყურ-

ში?!- იოდი იქვე იქნება და არ დაგჭირდება ძებნა და სასწრაფოს გამოძახება. ერთი წუთით, რა ლამაზი გოგოა! ნეტა ვის ელოდება? იქნებ და მე?! ახლავე გავარკვევ. ყარაჩოღლური მიხვრა-მოხვრით ვუახლოვდები, თითქოს, აქეთ- იქედან სავსე ვედრებით წყალი მიმქონდეს და ვეკითხები:

– უკაცრავად გოგონი, თქვენ მე მელოდებით?

– ა-არა. რა თავაზიანია, ოღონდ ცოტა ენაბლუა, თან აშკარად დაბნეულია, მე მგონი მოვეწონე!

– მაშინ, ხომ ვერ მეტყვით, რომელი საათია? – არ ვაცლი აბნევას, ანუ გონს მოსვლას. ეს გაცნობის უძველესი მეთოდია, სადღაც მითხრეს, პირველყოფილი თემური წყობილების დროსაც ასე ეცნობოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მე მართლა მაინტერესებს რომელი საათია. მერე რა, რომ ორივე ხელზე საათი მიკეთია, ცნობა რომ არ ვიცი?! რა ჩემი ბრალია თუ განათლების სამინისტრომ სასკოლო პროგრამაში არ შეიტანა საათის ცნობის შესწავლა პირველ კლასში. მაშინ, საათი რად გინდაო?- მკითხავ ახლა. შენ ხომ იცი ?- დახედავ ჩემ საათს და მეტყვი. ახლა არ დამიწყო, ორი საათი რად გინდოდაო?! აბა, რატომაა ორ მოტორიანი თვითმფრინავები? ერთი რომ გამიფუჭდეს, ან დავკარგო? ის კი არა, ახლა ოთხმოტორიანი თვითმფრინავებიც სერავენ ცას. კიდე ორი საათი სად ვიშოვო, თორემ იმათაც გავიკეთებდი! სადილი ზუსტად 14 საათსა და 35 წუთზე და კიდევ რამდენიმე წამზე მაქვს. კარგი, ამ რამდენიმე წამს ნუ მივიღებთ მხედველობაში, მაგრამ ამ საათებსა და წუთებს რა ვუყო, გაგიჟდი შენ? დავაგვიანო?! გოგონა მაჯაზე მიყურებს. ეტყობა საათები შეამჩნია.

– თქვენ ცოტა ხომ არ გაკლიათ?! – მპასუხობს.

რა ზრდილობიანი გოგოა. აი ხედავ, თქვენობით მელაპარაკება. კიდევ იტყვიან- რა ცუდი თაობა მოდისო. სტოპ, მამა, ერთი წუთით, ერთი წუთით. მოიცა! რა მითხრა, „გაკლიათო?“

კარგი ბატონო, მიხვდა, რომ მაკლია, მაგრამ ასე უცებ უნდა მოეხალა? რა, მოხალული მზესუმზირაა? ხომ შეიძლება ეს საათები არ მუშაობდეს? რა, ცოტა საათი არ მუშაობს?! თუ არ მუშაობს, მაშინ ხელზე რატომ გიკეთია, ბრიყვო? წაიღე რა, იაპონიაში. იქ საათს კი არა კოსმოსურ ხომალდს დაშლიან და ააწყობენ და ნაწილებიც დარჩებათ. არ მიგაქვს? გააგზავნე მაინც. არც აგზავნი?- ე. ი. გიჟი ხარ. მოიცა, ხომ შეიძლება მუშაობდეს, მაგრამ ერთი ლონდონის დროს აჩვენებდეს, მეორე კი ვაშინგტონის?. . მითუმეტეს, ძალიან მიყვარს ფორთოხალი! სხვათაშორის, ძალიან მარგებელი ყოფილა! ხოდა, გეოგრაფიაშიც ცუდად ერკვევი და ოცდაოთხი საათის ფარგლებში მიმატება-გამოკლება გიჭირს. გიჭირს და გიჟი ხარ, ყველა ვარიანტში გიჟი ხარ. ესაა ცხოვრება. გულის რომელიღაც (მე მგონი მარცხენა, ოღონდ ჩემგან) პარკუჭის შეკუმშვა ვიგრძენი. ალბათ, ამაზე თუ ამბობენ, გული დაწყდაო.

– კი, ცოტა. მაგრამ თქვენ ისეთი ლამაზი ხართ, რომ სიტყვები არ მყოფნის და სასვენ ნიშნებს საერთოდ არ ვიყენებ იმიტომ, რომ პუნქტუაცია ძალიან ცუდად ვიცი. თუმცა კი, ძალიან პუნქტუალური ვარ და სადილს ყოველთვის 14 საათსა, 35 წუთზე და კიდევ რამდენიმე წამზე გეახლებით. თან, საათის ცნობა არ ვიცი. თუ თქვენ არა გაქვთ, მაშინ ჩემს საათებს დახედეთ და ძლიან გთხოვთ მითხრათ, რომელი საათია?! – ვეუბნები. გოგომ საკუთარ საათს დახედა.

– პირველს აკლია თხუთმეტი წუთი! – მპასუხობს და ინტერსით მიყურებს. აშკარად მოვეწონე. სიმსუბუქე ვიგრძენი. სიხარულმა ამამჩატა. თან ფრენის სურვილმაც შემიღუტუნა მხრებთან. მე მგონი, ჩემი არცთუ შორეული წინაპარი არწივი თუ არა, შევარდენი მაინც იქნებოდა. შეშურდეს დარვინს, მამამისი ახლაც მაიმუნი რომ ჰგონია.

– აი, ხედავთ, პირველსაც აკლია! ახლა ცოტა რომ მაკლდეს,

დიდად არაფერი დააკლდება ქვეყანას... და თქვენ რა გქვიათ? – ვეუბნები და წინასწარ ჟრუანტელი მივლის, სიმღერა მინდება. გოგოს სახელს გავიგებ.

– ჟუჟუნა!

– ჟუჟუნა წვიმა მო-ვი-დაა... – დავიწყე სიმღერა, – თუმცა შემეშინდა, გოგო არ დავაყრუო-მეთქი და ისევ საუბარზე გადავედი.

– უი, რა მაგრობაა, ჟუჟუნა რომ გქვიათ. მე ისე, მე უფრო სახელი ნატაშა მომწონს. თუმცა, ძალიან არ მომწონს რუსეთის პოლიტიკა ჩვენს მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მომწონს რუსული სიტყვა „კალაკალა“, თუმცა მაინც ქართული „ზარი“ მირჩევნია, თავზარი დაეცეს და ერთად ვნახე ამოწყვეტილი შენი, ჩემი და საქართველოს მტრები...

ახლად გაცნობილი ჟუჟუნა ისე მიყურებს, როგორც უცხო პლანეტელს, თუმცა დარწმუნებული ვარ უცხოპლანეტელი ჯერ არა აქვს ნანახი, ანუ მოვლენებს გაუსწრო. აქვე, ახლოს ჩვენთან, ვერცხლისფერი ლექსუსი ჩერდება, მერე კარი იღება და ვიღაც ტიპი, არაუცხოპლანეტელი, ჟუჟუნასკენ მოდის და კოცნის. ვფიქრობ – ვაფეთო?

– ნათია, მაპატიე, რა, საშინელი პრობკებია!

ნათიად გადაქცეული ჟუჟუნა ყურში რაღაცას ეჩურჩულება და ჩემსკენ იყურება. ალბათ ეუბნება, ეს სიმპატიური ახალგაზრდა ჩემი ახალი მეგობარია (რა თქმა უნდა, ჩემს შესახებ) და შენ დაგაგვიანდაო. ბიჭი ახლა ჩემსკენ იყურება. რატომღაც ვფიქრობ, მეც მაკოცებს. ვერ ვიტან რა, კაცების კოცნაობას. ხოდა, ფეთების სურვილი უფრო და უფრო მიმძაფრდება.

– ბიჭო, შენ რამე ხო არ გეშლება?! – მეუბნება.

– მე კი არა, შენ გეშლება, ამ გოგოს ჟუჟუნა ქვია! – მიკვირს.

– მე პირადად, ხანდახან კუჭი მეშლება და შემდეგ ცხელ მოხარშულ კარტოფილს ვჭამ და ასო ბგერა „რრრუ“-ს გამოთქმა მიჭირს... და შენ არ გეწყინოს და არ ვამბობ...

– ბიჭო, შენ რა ბევრს ბაზრობ, ეეე, ჩემი დედა... – იმას რაც მერე თქვა, ვერც გეტყვი, ვერც დავწერ. სურვილი მიჩნდება, ვკითხო – რატომ?! ვეკითხები:

– შენა და, ბავშვობაში აკვნიდან გადმოვარდნა ხომ არ გახსოვს, ან საერთოდ აკვანი გახსოვს?!

ამასობაში, ჩვენს ირგვლივ ხალხი გროვდება. რა უნდა ხალხს მეტი, სეირი და შემწვარი კარტოფილი. ბიჭი აგრესიული ხდება და ჩემსკენ იწევს. ჟუჟუნა-ნათია აწყნარებს...

– გაანებე რა თავი, ვერ ხედავ, გიჟია!. .

პატრულის მანქანაც გამოჩნდა ანთებული ციმციმათი და აგვაციმცმიმა. მერე, მანქანისკენ ასე ციმცმიმ მიყავს, სხდებიან და მიდიან. ხალხიც იშლება.

რა ეწყინათ? რა ხალხია, რა... საათს ვერავის ჰკითხავ. ეწყინათ და ცივი წყალი დალიონ, ყელი თუ ეტკინებათ და ევკალიპტის ნაყენი გამოივლონ, ინჰალაცია ჩაიტარონ, ერიტრომიცინი ან სტრეპტოციდი დააყოლონ და ყელი თბილად შეიხვიონ... ხო, მართლა დალევაზე გამახსენდა. აწი, წესით უნდა მომშივდეს, რადგან მალე სადილობის დრო იქნება. სადილს ერთ კაფეში გეახლებით. იმ კაფეშიც ჩემი ანგარიშები მაქვს. რა ანგარიში? „ვესტ-ჰემი“ – „არსენალი“ 2:1. ეს ის „ვესტ-ჰემი“-ა, ჩვენმა „დინამომ“ ლონდონში რომ 4:1 მოუგო. რა მაგრები ვართ ქართველები, ხანდახან. დიდგორის ომიც ხო მოვიგეთ. ახლა, არ გეგონოთ რამეს გიმალავდე ან ტოტალიზატორს ვთამაშობდე – მთლად კი არ გადავრეულვარ?! უბრალოდ, სახაშეშიც, კაფეშიც და კიდევ ერთ – ერთ სასწრაფოში, ანუ „ბისტროში“ მტვირთავად ვმუშაობ. ხელფასია დღეში ერთი ჭამა. დილას სახაშე, შუადღეზე კაფე, ღამე ბევრი ჭამა არ არის სასარგებლო და „ბისტრო“. მეტი რა მინდა, ნამშიერები

კი არა ვარ! ფულს არ ვღებულობ. რად მინდა? ხო მაინც დამეხარჯება. ამას წინათ ხუთი ლარი მქონდა (ერთ ტიპს სახლში კედელი მოვუნგრიე, იმან მომცა) და გადავწყვიტე შვეიცარიის ბანკში ანგარიში გამეხსნა, მაგრამ რა გინდა? თურმე, შვეიცარიის არცერთი ბანკი საქართველოში არ არის. ეს ქართული ტუფტა-ტუფტა ბანკები კი, არ მევასება. რა მინდა იცი? ეს ქართული ბანკები გადავიტანო შვეიცარიაში და იქაური ბანკები აქ გადმოვიტანო. ხოდა, სანამ ამ სურვილს ავიხდენ, მეც ავდექი და მეტროში ჩავედი. სულ წკარა-წკური ავუტეხე ჩემი „ლოიდის“ ტუფლებს. თან მიყვარს მატარებლის ბორბლების ხმა. არადა, გამოდის, მაგრად მივქარე, იმიტომ რომ მეტროდან ისევ დღის სინათლეზე რომ ამოვედი, ფული აღარა მქონდა. მოუპარავთ, ვირიშვილებს. არა, ვირებს რას ვერჩი! შეიძლება ამომივარდა, ან იქნებ ჩამივარდა, იმიტომ რომ ჯიბეს თურმე ოზონივოთ გასჩენოდა ხვრელი. დიდი ვერაფერი შვება ვიგრძენი. მთავარია, ხუთი ლარი დავკარგე. მეტროდან ამოსულმა გამწარებულ გულზე, – არა რა, აქ ცხოვრება აღარ შეიძლება მეთქი და უცხოურ, არაყვითელ ავტობუსს დავუქნიე ხელი. გაჩერდა, კარები გააღო, შენა ხარო? – მძღოლი მეკითხება. აბა, როგორ მეთქვა, სხვა ვარ? კი-მეთქი. მეზობელი იყო. ადრე დიდი ბაღჩა დავუბარე. დამპირდა, ლონდონში წაგიყვანო. სად მიდიხარ-მეთქი. – ინგლისშიო. წამიყვანე, თორემ იმ დაბარულ მიწას ისევ დაგიტკეპნი-მეთქი. წაგიყვან, ოღონდ ბაგაჟნიაში უნდა ჩაგსვა, ჰაერი გექნებაო... წყალი კიდე კოკა-კოლის 2 ლიტრიანი ბოთლით აიღეო...

ახლა, ლონდონში ვარ. იქედან მივხვდი, რომ ბიგ ბენი ვნახე. მეგონა საათს ერქვა. თურმე, კოშკის ყველაზე დიდ ზარს ქვია. იცოდი? – მე არა. მერე დავდიოდი და ყველას ვაგინებდი. – მე თქვენი, ... ისა და ძონძებს რატომ გვიგზავნით-მეთქი. ისინი კი იცინოდნენ. ჩემზე გიჟები, ესენი... ქართულის აზრზე არ არიან. გაუნათლებლები. გინებით რომ გული მოვიოხე,

ლონდონიდან ახლა დეპრესიაში წავედი... გიჟი ვარ, გიჟი... რა მინდოდა აქ! ყველაფერი მქონდა თავზე საყრელად – ქართული მიწა, ქართული წყალი, ქართული ცა... ახლა, ის საქართველოს მტვრიანი ჰაერიც კი მენატრება, ავტობუსის ბაგაჟნიაში რომ ვისუნთქავდი. ის ნაცნობი მძღოლიც სადღაც ამეთესა... ლონდონის ჰითროუს აეროპორტში მივედი ფეხით... აქედან, ამბობენ, საქართველო ერთი ხელის გაწვდენაზეაო...

ერთი წუთით, თვალი მატყუებს?! ეს ჩემი კლასელია, შალვა – შალიკო. მეორე კლასში ერთად ვსწავლობდით, მერე ის მესამეში გადავიდა, მე მეორეში დავრჩი, იმიტომ, რომ საკონტროლო წერას მხოლოდ თარიღი დავაწერე, იმიტომ, რომ იმ დღეს გაკვეთილების დროს მოხეტიალე ცირკი „შაპიტო“ წარმოდგენას ატარებდა ჩვენს ქუჩაზე მდებარე სკვერში.

– ვა, შალიკო?! – ნაღდად მიხარია.

– რომელი ხარ, ძმა?! – ამბობს შალიკო, მგონი ვერ მიცნო. გავმდიდრდები, ანუ ფულს ვიშოვნი, ბილეთს ვიყიდი და საქართველოში ჰერი, ჰერი!. . შეიძლება, ვინმე ქართველიც წავიყოლო თან. აქ უამრავი ქართველი მხვდება- ყველა ჩემსავით დეპრესიაში.

– მეორე კლასი, გატეხილი ფანჯარა, უყვავილო ქოთანი.

– გამახსენდა, ძმა. როგორა ხარ? აქ როგორ მოხვდი?!

– დამაყაჩაღესა. ხუთი ლარი ამახიეს, გავბრაზდი და წამოვედი. მე რა ვიცოდი, თურმე სამშობლოზე არ უნდა გაბრაზდე. შენ სად მიდიხარ, საქართველოში?

– საქართველოში რა მინდა, გიჟი კი არა ვარ!

მერე, ვიღაცას ხელს უწევს და მიდის ისე, რომ კარგად იყავიო, არც მეუბნება. ვიქნები კი, კარგად? აი, მე გიჟი ვარ და მინდა საქართველოში... ისევ მტვირთავად ვიმუშავებ. იმას რა სჯობს, საკუთარ სამშობლოს რომ გადმოუტვირთავ რამეს!. .

– ბიძია, წამიყვან საქართველოში?!

ლაშა ბიბიჩაძე
საქართველო

ჭიანჭველები

თვალები გაახილა თუ არა, მე გადმომხედა, მერე კედელზე ერთ წერტილს გაუშტერა მზერა, ნახევარი საათი რაღაცას აკვირდებოდა, თითქოს მის წინ ცისფერი ეკრანი დოკუმენტურ ან შემეცნებით ფილმს გადმოსცემდა. დამაინტერესა ბავშვის ასეთმა რეაქციამ და ინსტინქტურად მეც გადავერთე მის სიხშირეზე. საბას თვალების სხივებს გავყევი და გაცრეცილი შპალერის ორნამენტებში ჩავიკარგე. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მოულოდნელად თავი მუხლამდე ტალახში ამოვყავი და ორნამენტის ჭრილებში დავიწყე სირბილი. ჩვენი კედელი გაბრტყელებულ გლობუსს ჰგავდა, ალაგ-ალაგ გიტარის სიმებივით სწორი ხაზებით გაფორმებული, ალაგ-ალაგ დაბრეცილი ხაზებით, როგორიც ჩვენი მეზობლის პუდელის, კლაუდიას თმებია. ეს ხაზები კი სხვადასხვა ფერის მისტიკური ყვავილებით ბოლოვდებოდა. დრომ ერთი-ორ ადგილას ჩვენი მშვენიერი კედლის სუდარაც კი შელახა და აგურებს მშიერი ნადირივით გადმოაყრევინა ეშვები, რომლებიც ცემენტის ჩიჩიით იყო გამოტენილი, წვიმის დროს კი, სისველე დორბლივით გადმოსდიოდა სახეზე.

არ ვიცი, რამდენი ხანი ვიყავით ჩუმად, მხოლოდ ის ვიცი, რომ ხუთი წლის ბავშვისგან მოულოდნელმა კითხვამ დამაბრუნა რეალობაში და ისევ იმ საწოლზე დამანარცხა, რომელშიც უკვე ოცდახუთი წელია ვიღვიძებ.

– მამა, იქ, აი, ჭიანჭველები, რატომ არ ჩერდებიან ერთ ადგილას? – და ხელი ისევ „ცისფერი ეკრანისკენ“ გაიშვირა.

– შენ იცი, რა არის ბრძოლა?

– კი, სპაიდერმენი ვიცი, ბეტმენიც...

– არა, ამათ სულ სხვა ბრძოლა აქვთ, მათი ბრძოლის იდეა სიმშვიდეა. - დავიწყე ფილოსოფიური შეტევა ბავშვზე.

– და სიმშვიდე რა არის?

– მე და შენ ხომ გვიყვარს ერთმანეთი? ჩვენ ხომ ერთად ვართ? ერთად ვსაუზმობთ, ვთამაშობთ, გვძინავს, ესაა სიმშვიდე. კიდევ, მეზობელთან რომ მიდიხარ სათამაშოდ და გიხარიათ ერთად ყოფნა, აი, ესაა. ხომ ხედავ, ჭიანჭველები როგორ დაბარბაცებენ შეწუხებული. როგორც კი ისინი ჩვენნაირად თბილ სახლში იცხოვრებენ და კარგი მეზობლები ეყოლებათ, დაწყნარდებიან და ამდენს აღარ ირბენენ.

საბა წამოხტა, ხელში ფანქარი აიღო და კედელზე ხაზების გავლება დაიწყო.

– რას აკეთებ?- ჩუმად ვეკითხები, რომ არ შევუშალო ხელი.

– წესრიგს.

– რას ნიშნავს წესრიგი?

– ნახე, აი ასე, ოთხკუთხედებს დავხაზავ და თითო ოთხკუთხედში ოცი ჭიანჭველა იცხოვრებს, მერე ერთმანეთს აღარ ეჩხუბებიან.

***

წინა დღეს ჭიშკართან მანქანა გაჩერდა, საიდანაც ორი ოცდაათწლამდე ბიჭი და სამოცდაათს მიღწეული მოხუცი გადმოვიდა. რომ არა ქუდი ამ მოხუცის თავზე, მიუხვედრელობაში ჩავვარდებოდი, მაგრამ მისმა გარეგნობამ მაშინვე გამარკვია მათი სტუმრობის მიზეზში. აივნიდანვე დავუძახე, ეზოში შემობრძანდით-მეთქი. ალაყაფს გადმოაბიჯეს თუ არა, ჯერ აქეთ-იქით დაიწყო თვალების გადაყრა მოხუცმა, შემდეგ ჩემთვის გაუგებარ ენაზე გააბა საუბარი თანამგზავრებთან. მივხვდი, რაღაცას იხსენებდა, თითქოს ბავშობისას ან ახალ-

გაზრდობისას გადამხდარ ამბებს, თანაც დაწვრილებით, რომ-ლებსაც, ყველას ერთად, ადესის ტალავერის ჩრდილში მოუყ-არა თავი. სიბერისგან დაბზარული თვალები მაინც სარკისე-ბურად ირეკლავდნენ მის გარშემო ხეებს და ბალახებს, ქვებს და ღობეებს, ქათმებს და ეზოს გადაღმა დაბმულ მეზობლის ცალრქიან უშობელს.

მე ისევ იქ ვიდექი და სიტყვის დაძვრასაც კი არ ვცდილობ-დი მათი მიმართულებით. თითქოს დუელში აღმოვჩნდი, პირ-ველი გასროლის უფლება კი სტუმრებს ეკუთვნოდათ. ჩემი ერთადერთი სეკუნდანტი, საბა, მუხლზე სუროსავით მყავდა აცოცებული და ჩემთან ერთად ელოდებოდა, მომხვდებოდა თუ არა მათი ნასროლი – „შალომ“.

***

ყოველ ზაფხულს ჩამოდიან ხოლმე ებრაელები ჩვენს სო-ფელში, კულაშში. აქ მათი ჩაყრილი საძირკველია, რომელიც შიმშილობის და უმოქმედობის დროს, ზოგს ძალითა თვისითა და ზოგს ძალითა მხედრიონისათა დაატოვებინეს. მათ სახ-ლებში ადგილობრივები შესახლდნენ, გაძარცვეს, გამოაპარ-ტახეს, გულ-მუცელი გამოუღეს, ათეულობით სახლი აგურ-აგურ გაყიდეს და მიწის ნაკვეთები სათხილე პლანტაციებად აქციეს. დაახლოებით ათი წლის წინ მსგავსი ვანდალიზმის-თვის განწირული ეზო-კარი ბაბუაჩემმა იყიდა ქართველისგან, შემდეგ, როგორც თაობათა ცვლას სჩვევია, მამამ „ჯადოქრის ხელი“ შეავლო და ხელოვნურ სუნთქვაზე შეერთებული ბებე-რი კედლები მიწის ყბებს გამოსტაცა.

ახლა ახალი ვენახი გვაქვს, ხეხილიც, სახურავიც და რო-გორც არს...

მე და ჩემი ზემოთხსენებული სეკუნდანტი ზაფხულის თა-ვისუფალ დღეებს აქ კოტრიალში და თამაშში ვატარებთ.

– გაგიმარჯოთ! – ხელახალი სალამი დავუბრუნე სტუმრებს.

– თქვენ აქ ცხოვრობთ? რა გქვიათ? უფროსები სახლში არიან? ძველებიდან ვინმე

დარჩა სოფელში? ეს ხე ვინ დარგო? ეს ხე როდის გახმა?. .

ამ და კიდევ ათასი მსგავსი ტყვიის გავარდნას არ ველოდი პირდაპირ მდგომი მოხუცის პირიდან. დამჭრა, მიზანში მომარტყა. ამ ჩამომხმარს დამიხედეთ ერთი, როგორი მოპაექრე ყოფილა, ლამის ჩავიკეცე, ცალი ხელით მოაჯირს დავეყრდენი, მეორე საბას ავაფარე სახეზე, ზურგს უკან მივმალე მოპარული მამალივით. თავში უამრავი აზრი მიტრიალებდა, – ვაითუ, თავიანთი ქონების დასაბრუნებლად ჩამოვიდნენ ამხელა გზაზე-მეთქი. ყველას მაინც საკუთარი მატერიალიზმი გვაწუხებს. ცოტა ხანში გონი და აზარტი მოვიკრიბე და ვცადე საპასუხო იერიშის მიტანა:

– დიახ, აქ ვცხოვრობთ! ლაშა მქვია, უფროსიც მე ვარ და უმცროსიც! მეზობლებიც გვყავს და, სხვათა შორის, არც სახლები აქვთ დაკეტილი, ყანაში გახლავან სამუშაოდ გასულები, ეს ხე ბაბუაჩემმა დარგო, ეს ვენახი მამაჩემმა, ის კი როდის გახმა, საერთოდ არ მახსოვს, ბატონო!

როგორც აღმოჩნდა, პატივცემულ სტუმარს მთელი ოცდათხუთმეტი წელი ამ ეზოში გაეტარებინა, ადრე სხვა სახლი ჰქონიათ, ხის. 1983 წელს დაუშლიათ და ის კედლები ჩაუთესიათ, რომელშიც ჩემი ოჯახი ვიძინებთ და ვიღვიძებთ. მისი ორი თანამგზავრი შვილიშვილები აღმოჩნდნენ და სულაც არ ყოფილან სამტროდ მოსულები. დიდი დრო არ ჰქონდათ, ამიტომ სულ რაღაც ნახევარ საათში ჩაატია ფიალისქუდიანმა მოხუცმა მთელი ოცდათხუთმეტი წლის გახსენება. როგორ ცხოვრობდნენ, როგორ გაჰქონდათ თავი ფონს ქართველებთან ერთად, როგორ სწავლობდნენ ქართველებისგან ყველა-

ფერს და როგორ არ იღებდნენ მათ გამოცდილებას ქართველები. როგორ ჩამოანგრიეს თავზე ამდენი ნაშრომ-ნაჯაფარი და როგორ აიძულეს დაეტოვებინათ საქართველო.

და ახლა, ორი ათეული წლის შემდეგ იმდენი მოახერხა ამ ჩამოფერთხილმა კაცმა, რომ ამხელა გზა გამოიარა, შვილიშვილებს საკუთარი ისტორია აჩვენა, ვიდეოკადრებიც მოაგროვა, აღბეჭდა, ჩვენ და ჩვენს საუბარს შემოსწრებულ მეზობლებს ფინანსური დახმარებაც შემოგვთავაზა და უკან, ისრაელში გულდამშვიდებული, დალოცვაშერგებული, იმედით სავსე, ამაყი და ჩურჩხელა-ტყემალ-ჯონჯოლ-მჭადისფქვილით ხელდამშვენებული ბრუნდება.

***

საბა ისევ ფანქრით ხაზავს ჩვენს გეოგრაფიულ კედელზე ტერიტორიებს და ჭიანჭველებს ანაწილებს კუთვნილი კვადრატულობის მიხედვით. ახლაღა მივხვდი მისი გართობა-წესრიგის დამყარების მიზეზს. როგორც იქნა, დაასრულა და მეც ჩავეძიე:

– აბა, რა ქენი?

– მამა, ნახე?! პირველ ოთხკუთხედში ოცი ჭიანჭველაა, მეორეშიც, მესამეშიც და ყველგან. თუ რომელიმედან სხვაგან წავლენ, მე სხვა ადგილებიდან გადმოვიყვან თავისუფალ ოთხკუთხედში ჭიანჭველებს და აქ იცხოვრებენ. დღეიდან ამათი გზის მასწავლებელი ვიქნები. მერე კი, როცა სხვაგან ყოფნა მოსწყინდებათ და ბევრი შვილები ეყოლებათ, უკან დაბრუნდებიან, მე კი ახალ სახლებს ავუშენებ, რომ ყველა დაეტიოს, სიმშვიდეც ექნებათ, წესრიგიც და მადლობასაც გადამიხდიან.

ლიკა ყიფშიძე
საქართველო

ჩემი ემიგრანტი

... რა ვერ მივეცი, რა?!

მშვენიერ ბინაში ვაცხოვრებ, არაფერს ვაკლებ, აგარაკიც მაქვს და სოფელიც... ზღვაც და სიმწვანეც... ზღვაზე წავალთ და შავ ზღვას მისტირის, სოფელში წავალთ და–თავის სოფელს... ქალაქის აივნიდან იყურება და... ჩვენი ეზოოო... ასე გაიძახის!

არ მენახა მაინც მაგათი ეზო, მაგათი სახლები–პატარები, ვაგონები, ასანთის ყუთები... რომ მაჩუქონ არ მინდა, მანდ როგორ უნდა ვიცხოვრო!ნერვები მეშლებოდა, ძველ მეზობლებს რომ ეკითხებოდა, ვინმე ხომ არ ყიდისო!ეზოს კიდევ არა უშავდა, გამწვანება მაინც ქონდა და სივრცე, მაგრამ ამ პაწაწინა კოლოფებში იმდენი ხალხი იყო შეყრილი, საღამოს რომ გამოეფინებოდა, მიტინგი გეგონებოდათ...

ჩართავს კომპიუტერს და, თუ ვინმეს ესაუბრება, ეზოში გადამახედე, რა ხდებაო?

არადა, ცოტა დრო გავიდა? თორმეტ წელზე მეტია, ჩემი ცოლია... თორმეტ წელზე მეტია, ვაკვდები. ისეთი ვერანდა გავუშენე, ზამთარ–ზაფხულ ყვავილობს...

არა, არა, მადლობელი ვარ! ღმერთს მადლობას ვწირავ, მათ ქვეყანაში ისე რომ აირია ცხოვრება, აქ მოუხდა ჩამოსვლა! ბოროტივით გამოდის, მაგრამ, სხვამხრივ მე ბედნიერი ვერ ვიქნებოდი!

არადა, ვარ!

ზუსტად მაშინ ჩამოვიდა, პირველი ცოლი რომ გარდამეცვალა... ჩემი ცოლი ჩემზე ათი წლით დიდი იყო. ეს კი არაფერ

შუაშია, მაგრამ, არ მიყვარდა, ვერ შევძელი. რატომ და რისთვის მოვიყვანე, ახლა მაგაზე საუბარი ზედმეტია. დიდი ხანი ვიცხოვრეთ ერთად. გოგოც გავათხოვეთ. შვილიშვილებსაც მოესწრო... მოკლედ, ერთი სრულყოფილი ცხოვრება მოვილიე... ჰმ... სრულყოფილიო? სრულყოფილება რა ყოფილა ახლა გავიგე. უზომოდ შემიყვარდა ჩემი ემიგრანტი. მეგობრის ქალმა გამაცნო...

გამიმართლა. გამიმართლა ცოლად რომ გამომყვა... ღმერთო, რა ქალები დაბერტყა ქვეყნიდან გაჭირვებამ. სულ მიკვირს, ისე როგორ ვერ უნდა ააწყო სახელმწიფომ საქმე, შენი ქალები გარეთ არ გაუშვა (გაყაროო, მინდოდა მეთქვა, მაგრამ ესენი ისეთი ლამაზები, განათლებულები, ზრდილობიანები და კარგები არიან, ენა უნდა მოგძვრეს კაცს, რომ აუგად ახსენო!)

ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ ძალიან ბედნიერი და მადლიერი ვარ ცხოვრების.

გოგო ყავს. ისიც ჩამოვაყვანინე... ისიც კაი ჩიტია, მშვენიერი ბიჭები ეძლეოდნენ, ჩავიდა სამშობლოში და მაინც მისიანს გაყვა... დაფუძნებულიყო აქ...

ახლა კი არის ჩემთან. ბავშვიც გააჩინა. მალე წავლენ. ამაზე სულ ვირევი. ეს, ჩემი, ისევ იქ ეძებს ბინას! მე იქ ვერ ვიცხოვრებ. სად შემიძლია არასტაბილურ ქვეყანაში ყოფნა, გარემოს რომ თავი დაანებო.

პირველად რომ ჩავედი, მაშინ ატყდა ბომბების ბათქა–ბუთქი, თან ისეთ ადგილზე ვცხოვრობდით, გვერდით სკდებოდა ყუმბარები...

არა უშავს, მალე დამთავრდებაო!–ასე მამშვიდებდა და მაინც ბედნიერი იყო თავის სამშობლოს მიწაზე რომ ედგა ფეხი...

კი, ძალიან მიყვარს, მაგრამ სიკვდილი მაინც არ მინდოდა. კიდევ კარგი, მართლაც მალე დამთავრდა ომი... მართალია, რესტორანში წვეულება გამიუქმდა, მაგრამ ოფიციალური

ქორწინება მაინც მოვახერხე... რა ბედნიერი ვიყავი ჩემს სამშობლოში რომ მოვდიოდი. ახლაც მეხვეწება, წამოდიო. იქ მეორედ ფეხს როგორ დავადგამ, რაც მე გადავიტანე, მას მერე. თვითონ კი მაინც უხარია. არაფრის ეშინია. კიდევ რომ დაიწყოს ომი? რამე რომ დაემართოს? ვაი, როგორ მიყვარს და როგორ მეშინია...

ყველა კარგია. შვილიც, შვილიშვილიც, მაგრამ ბედნიერება რომ სიყვარულია, რომ ის ადამიანია, ვინც შენს გულს, შენს სხეულს, შენს განცდებს მოერგება, ცოტა გვიან გავიგე. გავიგე და ასე ადვილია შელევა?

არადა, როგორ ავუკრძალო, არ წახვიდე–თქო?! მივდივარო, რომ ამბობს, მხოლოდ მაშინ ისვრის ბედნიერების სხივებს თვალებიდან... რა არ ვეცადე, ის სევდა ვერ გავაქრე მისი მზერიდან, მონატრება რომ ქვია. რა ძალა ყოფლა სამშობლოს სიყვარული!. .

ახლაც აივანზე დგას სევდიანი მზერით. მალე წავა... ვეხუტები... გრძნობს, რომ ვდარდობ. გულში მეკვრის და მეუბნება:

– არაფერია, მალე გავა ორი კვირა, მალე ჩამოვალ. მიყვარხარ!– და მკოცნის...

კარგად მაქვს შესწავლილი მათი ქვეყნის ისტორია და ისიც კარგად ვიცი, ქართველი ქალი საყვარელ მამაკაცს არასოდეს ღალატობს!

მოლოდინიც ბედნიერებაა, როცა უყვარხარ!

ანა ურუშაძე
საქართველო

აქ... იქ...

მარტის კიდევ ერთი უმზეო და უსაქართველო დილა ანკარას ერთ-ერთ ვიწრო ქუჩაში და სახლი, სადაც ცხოვრობს ქართველი (რაც, არც თუ ისე იშვიათი შემთხვევაა). დიახ, ამ ერთ პატარა, ჩაბნელებულ და აღმოსავლურ ყაიდაზე მოწყობილ სახლში ცხოვრობს ქართველი ქალი (საერთოდ თუ შეიძლება ამას ცხოვრება ეწოდოს).

... და ის 55 წლის ქალი, ცხოვრებისეულ სირთულეებს შვილით და შვილისათვის ასე მედგრად შებმული, მე ვარ, ანა დიდებულიძე. მაღალმთიანი სვანეთის კოშკებიდან ერთბაშად ასე უმწეოდ გადმოსროლილი ათასობით კილომეტრს აქეთ. ჰო, აქეთ – აქეთა საქართველოში.

მე მარტო არ ვარ. ჩემს უკან, ჩემს წინ საქართველოა, ჩემშიც საქართველოა. მე ხომ იქ ყველაზე დიდი განძი დავტოვე- ჩემი ქართველები და ჩემი შვილი. ნიკა ახლა 16 წლის ბიჭი იქნება. გაზრდილი, ამაღლებული, დავაჟკაცებული... და მე მას ახლა ყველაზე მეტად ვჭირდები. თუმცა არაუშავს, ათასობით კილომეტრს აქეთაც მას სხეულით ვგრძნობ, კანის თითოეული უჯრედით შევიგრძნობ ჩემს ბიჭს. მარტოდმარტო, სვანეთში დატოვებულს და მაინც...

მე ეს მის გამო გავაკეთე... სამართლიანი გამართლებაც რომ არ მიქარწყლებს ამ საოცარ ტკივილს, რისი ბრალია? ან იქნებ უბრალოდ, სამართლიანობა არ არსებობს? თუმცა, ვხედავ თუ არა ჩემი ოთახის პატარა სარკმლიდან ცას, მაშინვე ვხვდები, რომ მე სამყაროს მეექვსმილიარდედი ნაწილი ვარ და... და ეს ხომ საოცარია, რომ შორს, თუმცა მაინც ყველაზე

ახლოს არის ადამიანი- მსუნთქავი, მოძრავი, თვალებში მზით, რომელსაც მე ვჭირდები. აი, სამართლიანობაც მეტი რა შეიძ-ლება იყოს...

ერდოღანების ოჯახში რამდენიმე თვეა მუშაობა დავიწყე. ყოველგვარი საოჯახო საქმე მე მევალება. მტკივა, მეწვის ყვე-ლაფერი: ხელები, წელი, თავი, მაგრამ ეს ტკივილები არაფ-ერია იმასთან შედარებით, რასაც სულში განვიცდი... იქ ხომ გრძნობათა სტიქიაა, ღირსებათა ზვავია, თავმოყვარეობის ღვარცოფია და წარსულია. განვლილი დღეებია, როდესაც ვი-ყავი წარმატებული ოჯახის განებივრებული ქალიშვილი. რო-ცა ვიყავი ქალბატონი ანა, როცა მქონდა მზე, სუნთქვა, ქარ-თველური, დედასავით ახლო... . სწორედ იმიტომ, რომ მქონდა ასეთი დღეები, ყველაფერი მეწვის, ყველაფერი მტკივა, ჩემი ქართველობაც კი. აქ, თურქულ ბუღსა და მტვერში გათელი-ლი, ფეხქვეშ გალეული...

ტკივილები წარსულიდან, სამშობლოდან. თავს დედისგან მიტოვებული ბავშვივით ვგრძნობ. ახლაც ხელგამოწვდილი ვდგავარ სარკმელთან და დედა-სამშობლოს ვუხმობ, შველას ვთხოვ. მთებს მიღმა მიტოვებულ ჩემ სამშობლოსთან ღრუბ-ლებს სალამს ვატან და იმედით ვიხურავ ფანჯარას, რომ მალე წვიმის წვეთები მიწის გულამდე ჩაიტანს ჩემს სალამს, სიყვა-რულს, მონატრებას უსაზღვროსა და უნაპიროს...

* * *

დილის ექვსი საათი იქნებოდა, კარზე კაკუნის ხმა რომ გა-ვიგონე. ეს უფრო ბრახუნი იყო. ჩემი ბატონი გახლდათ. ხმა-ურით მიხმობდა. თვალების ფშვნეტით გავაღე კარები და მორჩილად თავდახრის ნაცვლად თვალი თვალში გავუყარე. გაკვირვებულმა გადმომხედა და ხელის ქნევით გამაფრთხი-ლა, მეორედ ასე გვიანობამდე ძილი არ გაბედოო. ისევ ყელის

იოგებამდე მოწოლილი პროტესტი, შეუგუებლობა ფეხით გათელვას, ყალყზე შემდგარი თავმოყვარეობა, ქართველობა, ჟრუანტელი და სურვილი, სულის ძახილად ამოხეთქილი, მივატოვო აქაურობა, კარები მაგრად მოვიხურო და წავიდე... წავიდე, შორს, უბრალოდ იქ, სადაც მე, მე ვარ... მე ადამიანი ვარ და იქ, სადაც ძილი დანაშაული არ არის...

* * *

ერდოღანების ოჯახი თურმე სტუმრად მიდიოდა ქალაქგარეთ და მეც სახლში გამგედ დამტოვეს- ყველაფერს მიხედეო. მაგრამ მაინც არ გამახარეს. ზედამხედველად ვიღაც თურქი ქალი დამიტოვეს...

გესმით?! მე, ანა დიდებულიძეს მეთვალყურე განმიწესეს... მე... მე არ მენდობიან და ჩემი ეშინიათ... ისევ უსაზღვრო და უმისამართო პროტესტი და ხელჩაქნეული საყვედური... ეტყობა არ იციან, რომ ადამიანს შეიძლება ენდო, უბრალოდ გჯეროდეს მისი... რომ ადამიანები ერთნი ვართ. გვაქვს საერთო სული... უსაშველოდ ნათელი და მზიანი...

ინნამ მაღაზიაში გამაგზავნა. ჩაფიქრებული გავუყევი ვიწრო, ქვებით მოკირწყლულ ქუჩას. თავზე ჩადრი მეფარა. კიდევ ერთი ძალად თავსმოხვეული და სულის სიღრმემდე ვერ ჩაღწეული კულტურა. არა ჩემი, უბრალოდ არა ქართული და შემზარავი ყვირილი, რომელმაც ერთბაშად გამომაფხიზლა ფიქრებიდან. მაშინვე თვალი ვჰკიდე წელში მოხრილ მოხუც თურქს, მიწაზე დაჩოქილი ხელის კანკალით რომ კრეფდა იქვე მიმოფანტულ მონეტებს და თან გაიძახოდა – „დავიღუპე, დავიღუპე!. . “

მაშინ ვიგრძენი, რომ მე უბრალოდ, ახლა მასთან უნდა მივსულიყავი და მის გვერდით ვყოფილიყავი... ფრთხილად მივუახლოვდი, ხელი მხარზე დავადე და ძლივს ნასწავლი-შეთ-

ვისებული, მაინც ქართული აქცენტით ნათქვამი სიტყვებით ვცადე მისი გამხნევება... მან გაკვირვებულმა გადმომხედა და როდესაც ჩადრიანი ქალი შევრჩი ხელში, ცივად გამეცალა. ისევ საზღვრები, ბარიერები ადამიანურ სულიერებას. ცხოვრება სასტიკი ჯალათიცაა, თუ მოინდომებს, მაგრამ არც იმდენად ძლიერი, რომ წელში გამტეხოს და ყველაფერთან შეგუება მასწავლოს. სიჯიუტე მომეძალა, უკან დავედევნე და ვუთხარი:

– ახლა არავინ გხედავთ და თქვენც შეგიძლიათ იყოთ ადამიანი... ადამიანთან... ხო... მე ჩადრიანი, სუსტი არსება ვდგავარ თქვენ წინაშე და ხელს გიწვდით დასახმარებლად. გპირდებით, გვერდით დაგიდგებით რაც უნდა გჭირდეთ, გტკიოდეთ. იცოდეთ, რომ მარტო არ ხართ. თქვენ გვერდით... ირგვლივ ამდენი ადამიანია. მომიყევით, რა შეგემთხვათ. შვილი დაკარგეთ? ოჯახის წევრები გტკივათ?

– არა. ამოილუღლუღა თურქმა და იქვე უმწეოდ ჩაიკეცა...

მეც გვერდით მივუჯექი და მისი ასეთი მოლბობით გათამამებულმა საუბარი გავაგრძელე:

– მაშ რა დაგემართათ?

– რა და... გახსენებაც მიჭირს. გესმით?! გავკოტრდი, ჩემი ქონება დავკარგე. ახლა ხომ არაფერს წარმოვადგენ?

– და მხოლოდ ამის გამო ხართ ასეთი განადგურებული? ვკითხე გაკვირვებულმა და გაბრაზებულმაც კი.

– ეს მხოლოდაა? ეს ხომ ყველაფერია... და უკვე ყველაფერი დასრულებულია...

– მე კი... უკმაყოფილოდ, ჩემთვის ჩავილაპარაკე

– და თუ თქვენ ფული ყველაფრად მიგაჩნიათ და მართლაც ეს უსუსურობა გტკივათ, მაშ თქვენ აქამდეც არაფერი ყოფილხართ. დიახ... დიახ...

წამოვიყვირე გაბრაზებულმა, ატირებულმა. ზურგი ვაქციე

თურქს, თვალებზე ხელები ავიფარე და სლუკუნით გავაგრძელე:

-თქვენ არ გესმით. საერთოდ არაფერი გესმით... რა უსუსურია თქვენი ცრემლები ჩემს ტკივილთან შედარებით... ხო, ჩემთან, როცა მე უშვილობა მტკივა. და რა თქმა უნდა, იმასაც ვერ ხვდებით, რა მცირედია, რა პატარაა თქვენი სანატრელი ფული იმ ძვირფას ერთადერთობასთან, რასაც შვილი ჰქვია. რასაც ადამიანი ჰქვია. მასთან შედარებით ხომ ეს სამყაროც ძალიან პატარაა.

უმწეოდ ჩავიკეცე. ეს არ იყო გაბრაზება. ეს უფრო ტკივილი იყო. მისი, სხვისი ეგოიზმის გამო. მერე, ვიგრძენი მხარზე ხელის შეხება, მივიხედე და ის თურქი დავინახე, შერცხვენილი, მიხვედრილ-მობოდიშებული... მადლობა გადამიხადა, რომ თვალები ავუხილე და წამით ნათქვამი, გამხელილი ტკივილით ცხოვრება ვასწავლე. ახლა იგი სახლში წასვლას და ოჯახის გულში ჩაკვრას აპირებდა.

* * *

შესვენების დრო იყო და მაღაზია ცარიელი დამიხვდა. თუმცა ახლა სახლში დაბრუნებას ყველაფერი მერჩივნა... სახლი?. . სახლი?. . რა მარაზმია, ო, ღმერთო, რა უაზრო და საერთოდ უყველაფრო აბსურდია. სახლი უკვე დიდი ხანია აღარ მაქვს, რაც წამოვედი, დავტოვე, სამშობლო მივატოვე. .

ამ ფიქრებით გართულმა შევაღე კარები და გავქვავდი... სრულიად ცარიელი, ჩაბნელებული ვიტრინებს მიღმა ადამიანის სილუეტი შევამჩნიე. წელში მოხრილი იქექებოდა და არ ვიცი რას ეძებდა. ეგებ, იმას რაც არასდროს ჰქონია? ან ჰქონდა და მაინც. არ ვიცი ნიღბოსანმა შემამჩნია თუ არა, თუმცა აზრადაც არ მომსვლია, რომ კარი მომეკეტა და ის ამხელა ცოდვის წინაშე მარტო დამეტოვებინა. დღეს რატომღაც დე-

და ტერეზობა მომინდა.,. „წადი, ეს ხომ შენი საქმე არ არის“ – ჩამსისინა სულის ერთმა უჩინარმა და მაინც „ჩემმა“ ნაწილმა. ჯიუტად გავაგრძელე გზა. როგორ მივატოვო ის მარტო. ამის უფლება არ მაქვს. ხომ შეიძლებოდა, ჩემი შვილიც დაენახა ვინმეს, ასეთ მძიმე მდგომარეობაში და მიშველებოდა მას.

მივუახლოვდი ჩემს გზააბნეულ „შვილს“, ხელი დავადე მხარზე და მეც არ ვიცი რატომ- ქართულად ვუთხარი: „მოდი, შვილო, ხელი უშვი მაგას და თუ გშია მე ჩემს სარჩოს გიწილადებ...“ – სიტყვა შევწყვიტე, გაკვირვებულმა მძარცველმა (როგორ მინდოდა ეს სიტყვა არ მეთქვა, ჩვენ ხომ ასეთები არ ვართ!) გადმომხედა. ნიღბის მიღმა თვალებს წავაწყდი და გავშეშდი. მან კი ჩემი ხელი ცივად მოიშორა და დანა მომიღერა... ხელი უთრთოდა. არ გავდა თავდაჯერებულ და გამოცდილ საქმის ოსტატს. არ შემშინებია. არც მტკენია. იმედი მომეცა („გადაგარჩენ! გიხსნი! იმიტომ, რომ დედა ვარ!) და დავაპირე თურქულად დამემშვიდებინა იგი, თუმცა დანა ხელიდან გაუვარდა, ჩაიკეცა, ხელებში უმწეოდ ჩარგო თავი და ჩუმად ალბათ მხოლოდ ჩემ (დედის) გასაგონად თქვა: – „გთხოვთ, ოღონდ თურქულად არა. ახლა ნამდვილად არ მაქვს იმის ძალა, რომ სხვა ენაზე მოვისმინო ჭეშმარიტება... უბრალოდ ის, რომ არაფერი მეშველება...“ – მერე ნიღაბი მოიძრო და ხელთ 20-ოდე წლის ახალგაზრდა ქართველი ბიჭი შემრჩა... უწარსულოდ, უდედოდ, მაგრამ უსამშობლოდ არა. ვერ წარმოიდგენთ, რამხელა შვება ვიგრძენი და ამავდროულად, როგორ მეტკინა მისი ქართველობა... უფრო სისუსტე და მაინც სიძლიერე. გვერდით ჩამოვუჯექი. მისი გახურებული თავი ხელებში მოვიქციე და სულ დავუკოცნე ათრთოლებულმა, ატირებულმა. ახლა ეს პატარა ბიჭი ცოდვილი, შემცდარი, არასწორ გზაზე მდგარი, იყო ყველაზე წმინდა და უმწიკვლო არსება მთელ სამყაროში ჩემთვის. ის ხომ ქართველი იყო. ახლა ჩემთვის საქართველო

იყო, რომელსაც შემეძლო შევხებოდი. ის ბიჭი მიყვარდა, მესამშობლოებოდა, ვტიროდი ხმამაღლა, შეუსვენებლად. სლუკუნით დავარღვიე ბარიერი, ენა, საზღვრები – „მადლობა, შენ, მადლობა, ჩემო ქართველო... ერთადერთო, შეცდომითაც კი ყველაზე კარგო და განუმეორებელო. ჩემო წარსულო და ჩემო“ – ისევ მოვეხვიე და მაგრად ჩავჭიდე ხელი... მინდოდა მეგრძნო... ბოლომდე შთამენთქა შერჩენილი ნესტითა და ქართველობით...

ჩემი ახლადშეძენილი შვილი, დათო ჩემთან „სახლში“ წავიყვანე, ინასგან (ზედამხედველისგან) მალულად საჭმელი ვაჭამე, თმები დავვარცხნე... რამდენი ხანია თავი დედად აღარ მიგვრძნია... 3 წელი იქნება... ნიკა ხომ... ხომ ჩემი ნიკა... ხუჭუჭა... მერე დათო მეზობელ ოჯახში სამუშაოდ მოვაწყვე... სამშობლო გადავარჩინე... თითქოს სინდისი დავიმშვიდე.

* * *

ორი კვირა მაინც იქნებოდა გასული რაც ერდოღანების ოჯახი სტუმრად იყო წასული. ჩემი და ინას თანაცხოვრება შეგუებადი გახდა. ცხოვრებამ ეს ხომ მაინც ყველაზე კარგად მასწავლა- შეგუება...

იმ დღესაც საოცრად მტვრიანი დილა იყო. ეს მტვრიანობაც მღლიდა, მანძილიც, სიშორეც... თუმცა მაინც ნიკა მაძლიერებდა, დათო მხდიდა უკეთესს. ინამ ერთი მეტისმეტად შეფასებულ-დაფასებული ოთახის გასაღები მომცა და მტვრისგან გაწმენდა დამავალა. დიდი პატივი და დამსახურებული ნდობა...

ოთახი სავსე იყო საოცარი ნივთებით. ნოხებით. ათასფერი ჭურჭლითა და საკრავებით.

ფორტეპიანოს ხელი შევავლე. საუკუნეა არ დამიკრავს. ჩამწყდა ახალგაზრდობა და რაღაც, კლავიშებივით მოუსვენა-

რი და ცელქი. ხელი გადავუსვი კლავიშებს. ტანში ჟრუანტელი ვიგრძენი. ბავშვობა ამეწვა, მამაც, ბავშვობის სანოტო რვეულიც კი. მისდაუნებურად თითებმა შესაფერისი ადგილები დაიკავა და მინორულ ჰანგებად დაიღვარა ოთახში. ვუკრავდი მძლავრად-მტკივნეულად, ძლიერად. თითის ბალიშები მტკიოდა და მაინც. ისე ღრმად, რომ სისხლიც დავიდინე, მაგრამ მსიამოვნებდა. ვტიროდი შეუსვენებლად, ხმამაღლა. ხელებს შერჩენილი ობი მოვიშორე. ამდენი ხნის უმოქმედობა, დახავსებული კულტურა გავაღვიძე და მხოლოდ ცოტა ხანში შევამჩნიე, რომ ჩემდაუნებურად „იავნანას“ ვუკრავდი. „იავნანას“- დედათა საგალობელს, ნიკას აკვანთან ჩემს სულში ჩაწნულს. პირველად ასი პროცენტით შევიგრძენი დედობა.

ისე ვიყავი მუსიკაში ჩაძირული, რომ ვერც შევამჩნიე როგორ შემოვიდნენ ღია კარებში ინა და ბატონი და ქალბატონი ერდოღანი, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ დაბრუნებულიყვნენ. გაქვავებულები იდგნენ და თვალს არ მაცილებდნენ. მათი მოსვლა შევამჩნიე თუ არა მაშინვე შევწყვიტე დაკვრა, ფეხზე წამოვდექი, შავი კაბის კალთით ცრემლები შევიწმინდე და ბოდიშის მოხდით გარეთ გასვლა დავაპირე. მათ გამაჩერეს... ოღონდ ახლა არა! ახლა ვერ ავიტან ჩემს თავმოყვარეობას რომ ცოტათი მაინც შეეხონ... ახლა ხომ მათ წინაშე დგას ქალბატონი ანა დიდებულიძე, რომელსაც 40 წლის მონატრება სულში ჰქონია და თითებით უტარებია... ბატონმა ერდოღანმა ჩემდა გასაკვირად, არ მისაყვედურა, პირიქით მოწონებაც კი გამოხატა და გაკვირვებულმა მკითხა: „არ გვეგონა დაკვრაც თუ იცოდიო?!“- გამეცინა, ო, ღმერთო, თქვენ საერთოდ რა იცით ჩემზე... ქართველ ქალზე, საოცარი ბავშვობითა და სულში ჩანერგილი კულტურით. სიტყვის უთქმელად გავედი ოთახიდან.

* * *

მეორე დილით, უკვე მზად ვიყავი. ჩემოდნით ხელში წარ-ვსდექი ბატონების წინაშე. ჩემთვის განკუთვნილი თანხა მი-ვიღე, მერე ინას მოვეხვი, ქართულად დავემშვიდობე. ბატონ-მა ერდოღანმა მთხოვა, წასვლის წინ მისთვის რამე დამეკრა ფორტეპიანოზე. თავიდან ვიუარე, თუმცა წავაწყდი თუ არა მის თვალებში საქართველოს, მაშინვე ფრთხილად მივუჯე-ქი როიალს და „მთვარის სონატის“ საოცარი ჰანგებით გა-მოვეთხოვე ცხოვრების ამ კიდევ ერთ გამოცდას, განვლილს, განცდილს-ნატკენს და მაინც, ღირებულად დასაფასებელს.

მერე იყო თვითმფრინავის დაუსრულებლად მრავალსა-ფეხურიანი ტრაპი. სივრცე, მზღუდველი და მაინც დრო, ასე ჯიუტად რომ ცდილობდა და ვერ მოახერხა ჩემი დაშორება სამშობლოსთან, ნიკასთან... უსაზღვრო ცა და სიხარული ამ უსაზღვრობის გამო. . და იყო საბოლოოდ ისევ მშობლიურ ბუ-დეს დაბრუნებული მერცხალი... ზამთარ-ზაფხულ თავგამე-ტებული და დღეიდან სულ საქართველოში მყოფი...

სოფი რაფაელა
საქართველო

გზა

ნოტიო ჰაერს მზის სხივები აორთქლებდა და სულს უხუთავდა... ფიქრი, დარდი, ეჭვი, მომავლის იმედი ერთმანეთში არეულიყო და მრგვალ ნიკაპთან პატარა ნაკადულს ჰქმნიდა... ტიროდა. თან თავს იმხნევებდა და შვილის კითხვაზე- დედიკო რატომ ტირიო, მზემ თვალი მომჭრაო-პასუხობდა.

მიდიოდა!

საგზლად მიჰქონდა გარდასულ დღეთა მოგონებები და სიყვარული. ოცნებებად დაღვრილ უძილო ღამეებში ჩაკარგული განცდა და ემოცია...

ჩაალაგა!

პატარა ჩემოდანში რას არ ნახავდი. ყოველდღიური ნივთების, ოჯახის წევრების ფოტოების გვერდით მაგნიტივით მოეთავსებინა შვილის მაისური, პირველი საწოვარა და ხელის ანაბეჭდი...

დაიცალა...

კი არ დაიღალა, დაიცალა. რაც აძლიერებდა, გულთან სამარადჟამოდ მოთავსებული ჯვარი და ფსალმუნი იყო. მოწიწებით ემთხვია ბიბლიას, წმინდა ნინოს ხატს და ისე ჩადო, გული ჩააყოლა...

საათი უმოწყალოდ ითვლიდა წამებს. ახლოვდებოდა წუთი, რომელიც მის სიძლიერეს დაამტკიცებდა. ერთხელ კიდევ ჩაირბინა ეზოში. ჭიდან ოწინარზე მიბმული საწყაოთი წყალი ამოიღო, ხარბად დაეწაფა, ჩაიხედა ჭაში და თავის ანარეკლს დაუწყო ჩუმი საუბარი:

– ნინო, შენ ძლიერი ხარ, ყველაფერს შეძლებ. მოთმინება გმართებს.

მიეფერა ეზოში კანტი კუნტად მოსიარულე წიწილებს. საკენკი დაუყარა. მწვანე, ნამიან ბალახზე წამოწვა, ზეცას დაუწყო ცქერა. ფიქრიც აღარ შეეძლო... იწვა და უსმენდა... ნიავის ხმაც კი ესმოდა. იმახსოვრებდა და ტკბებოდა...

მოდღევდა.

მზე თითქმის გამხმარი კაკლის წვერზე მოექცა. წასვლის დრო მოახლოვდა. მშვიდი, მტკიცე ნაბიჯებით გადააბიჯა ზღურბლს. ერთხანს შეჩერდა, მიმოავლო თვალი მანქანების გამონაბოლქვით გახურებულ შარა-გზას, მშობლიურ მთებს, მეზობლის ჩამონგრეულ ქვის ღობეს, რომელიც ყორედ ქცეულიყო. აქ ბავშვობაში საათობით იჯდა და ხან მაღაზიობანას თამაშობდა, ხან კი სცენად იყენებდა და წარმოდგენებს მართავდა ჭირნახულის მოსაყვანად მიწასთან ჭიდილში გადაქანცული, ხელებდაკოჟრილი გლეხებისათვის. ხან მასწავლებელი იყო, ხან-ექიმი. ხან კი, უბრალოდ, იჯდა და ბედნიერ მომავალზე ოცნებობდა. ამ ღობის შიგნით, მწვანე ბალახით მოფენილ მინდორზე მდგარ პატარა სახლში ოზრდებოდა მისი გულის სწორი. ჯაბა ერქვა. მოზარდობაშივე ეტყობოდა, როგორი შრომისმოყვარე იქნებოდა. დღენიადაგ თავჩარგული მუშაობდა და სხვადასხვა ხილის ნერგი გამოჰყავდა. მამა ადრე გარდაცვლოდა. სიფრიფანა, ტანთხელი დედა ზრდიდა.

ის ქვის ყორე ხელიხლებელი დარჩა მათი შეუღლების მერეც. ჯაბას დედაც ადრე გარდაეცვალა და დედისერთა ნინოს მშობლებმა მოკრძალებული ქორწილის მერე სახლში გადაიყვანეს, ჩაისიძეს. ჯაბა სიდედრ-სიმამრს თავს ევლებოდა, მაგრამ... ნინომ მამა მძიმე სენით დაკარგა. ჩაუდგა ოჯახს სათავეში ჯაბა. ფეხზე წამოაყენა. პატარა ბიჭი ეყოლათ, ლოყებღაჟღაჟა, თეთრი, ოქროსფერნარევი კულულებით. დღე დღეს მიჰყვებოდა. თვე-თვეს...

იმ დღეს, შემოდგომის სუსხნარევი თბილი დილა იდგა. მთე-

ლი ღამე ხმა არ ამოუღია ჯაბას. არც უწრიალია. იწვა თავქვეშ ხელამოდებული, თვალგახელილი ფიქრობდა.

დილით კი, გადაწყვიტა საქართველოს ჩამოგლეჯილი ნაწილებისთვის ებრძოლა და სისხლის ბოლო წვეთამდე გაძალიანებოდა პირდაღებულ, ცეცხლის მფრქვეველ გველეშაპს. თუ ვერ გავიმარჯვებ, გმირობას მაინც დავუტოვებ ჩემს ვაჟკაცს მემკვიდრეობადო.

წავიდა და წავიდა...

დარჩა... ოდესღაც ღიმილით აფაკლულ, ვარდისფერ ღაწვებს ყვითელი ფერი დაედო. ბავშვის ტანისამოსს ნაკემსები დაეტყო. ფეხსაცმელს კი მწყურვალი მგელივით პირი დაეღო და ხაპავდა და ხაპავდა ნიაღვრებს. პატარა, ბუნჩულა ხელები და წითელი, ღაჟღაჟა ლოყები დაშაშვროდა. თვალისჩინივით უფრთხილდებოდა მეზობლის ნაჩუქარ უბორბლებო, გადაქუცულ, გაცრეცილ სათამაშო მანქანას...

– სანამ ჯანი მოგდევს ბავშვს უნდა მივხედო დედი... უთხრა ნინომ სიცივით აკანკალებულ დედას.

– უნდა წავიდე, ყველა მიდის და იქნებ ჩვენც გაგვიმართლდეს, წელში გავიმართოთო.

იმ ღამეს, არცერთს არ ეძინა... ეძინა მხოლოდ შორს წასულ ბედნიერებას, სიხარულს, სითბოს, სინათლეს. თითქოს მომავალსაც ეძინა... მბჟუტავი ლამფის შუქზე ჩრდილებად ისახებოდა გაყინულ ოთახში ამოოხვრის შედეგად წარმოქმნილი ჰაერი.

გადაწყდა!

უნდა წავიდეს, მაგრამ სად ტოვებს პატარას? დედის სიყვარული უნდა მოაკლდეს. პირველი დღე სკოლაში, პირველი შექება, პირველი სიყვარული... ნუთუ ვერ უნდა გაუზიაროს დედას?! დილით რომ გაიღვიძებს და დედა ვერ ჩაეხუტება, როგორ იქნება?! იტირებს... კიი, იტირებს; რომ წაიქცევა, ვაი

დედიკოო, რომ იტყვის, სად იქნება მაშინ დედა? ნეტავ რა ელ-ით?... ვინ იცის...

ფიქრებიდან გამოერკვა... უახლოვდებოდა მოედანზე მდგომ ავტობუსს. ხალხი ირეოდა. ზოგი ტიროდა, ზოგი-იც-ინოდა. დადუმებულმა და გაოგნებულმა მიაწოდა ჩემოდანი შესანახად და რეგისტრაციამდე იქვე, ქვაზე ჩამოჯდა. ისევ თავის შვილთან წავიდა ფიქრებში. თავის გასამხნევებლად წარმოიდგინა მისი გაცისკროვნებული თვალები, ლამაზი სა-ჩუქრების დანახვაზე და უნებლიეთ ჩაეღიმა.

მოედანს გახედა. თვალში მოხვდა ევროპული ვიზუალის მქონე წარმოსადეგი ქალი. ისიც ავტობუსის გასვლას ელოდა. ნინო ინერციით წავიდა მისკენ. ქალის მზერაში რაღაც მშობ-ლიურს, მეგობრულს და ახლობლურს ხედავდა...

მიუახლოვდა. მორიდებით მიესალმა და სასხვათაშორისოდ ჩაილაპარაკა.

– იცლება საქართველო!

წარმოსადეგმა ქალმა საათზე დაიხედა...

– ნახევარი საათი დარჩა... ბარემ არ გვინდა, მაგრამ ცხოვ-რება მოითხოვს ასე, ჩემო კარგო. ნეტავ შემეძლოს, არასოდ-ეს გავიხედო სხვა ქვეყნისკენ, არასოდეს დავტოვო ჩემი მი-წა-წყალი, მაგრამ სხვა გზა არაა. ამას ვერ გაიგებ, სანამ არ გამოსცდი, რა არის უცხო მიწაზე ცხოვრება. ღმერთმა არ გა-მოგაცდევინოს... ჩაილაპარაკა და ცრემლიანი თვალები სათ-ვალეში შემალა.

– მე ელენე მქვია. ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა.

ნინოს გული შეეკუმშა. მაჯაში ხელი ჩაჰკიდა და ამოილუღ-ლუღა.

– მეც მივდივარ. პატარას მოხუც დედასთან ვტოვებ. მეში-ნია, თვალის გახელის მეშინია!..

ელენემ გულში ჩაიხუტა ნინო. თვალებში ჩახედა-გამაგრდი

და გაძლერდი ჩემო გოგოო.

ნინო ბავშვივით სლუკუნებდა. ერთხანს მიწებებული იყო ელენეს სამოსს. ხელებში ჩაჰფრენოდა და არ უშვებდა. ბოლოს გაბედა და შეეკითხა:

– თქვენც მოდიხართ ამ ავტობუსით?

ელენეს გაეღიმა, თავზე ხელი გადაუსვა და სევდანარევი ხმით მიუგო.

– დღეს არა ჩემო გოგო. მეგობარს ვაცილებ. ესეც ტოვებს საქართველოს.

მარცხნივ, დიდ ჩემოდანზე გაჭაღარავებული ქალი იჯდა. ელენემ გაუღიმა და უთხრა-გაიცანით ერთმანეთი. წინ დიდი გზა გაქვთ. ხმის გამცემი მაინც გეყოლებათო... ჭაღარა ქალმა ნინოს გადახედა და მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა.

– ეჰ შვილო, გზა დიდია, მართალია. მივდივარ, მაგრამ რა ვიცი, ვნახავ კიდევ ამ სილამაზეს?!

ნინომ თვალი მიმოავლო მოდამოს. რამდენიმე წუთიანი დუმილი გამცილებლის ხმამ დაარღვია. მოთავსდით ადგილებზე. მალე გავალთო... ელენემ გულში ჩაიხუტა ჭაღარა ქალბატონი, ნინო. გზა დაულოცა, სამშობლოში ბედნიერად დაბრუნება უსურვა. შებრუნდა და ცრემლები რომ დაემალა, მტკიცე ნაბიჯებით უკანმოუხედავად წავიდა...

მიდიოდა ავტობუსი. მიაცილებდენ გზები, ხეები, ჩიტებიც კი. თითქოს მისძახოდნენ – მალე დაბრუნდითო. ყოველი წუთი და საათი აშორებდათ სამშობლოს. იქ ვიღაცამ ლალე შემოსძახა. გასცდნენ საზღვარს, მაგრამ პატარა საქართველო მაინც გუგუნებდა ავტობუსში...

მეორე დილით, უცნაური ალიაქოთი ატყდა. ჩვენს მეზობლურ გადაძახილ-გადმოძახილს არ ჰგავდა ეს ხმაური. ნინომ თვალი გაახილა. გადაღლილს ისე ჩასძინებოდა, კაი ხანს ვერ გამოერკვა სად იყო. მოაგონდა, მიმოიხედა. ავტობუსი გაჩერე-

ბული იყო და ხალხი ირეოდა. გვერდით მჯდომს შეეკითხა, რატომ გავჩერდითო. სკამის მეზობელმა შემკრთალმა უპასუხა, ხნიერი, ჭაღარა ქალი რომ გვახლდა, როგორც კი საზღვარს გავცდით, შეუძლოდ გახდა და გარდაიცვალაო. სიკვდილის წინ ერთის თქმა მოასწრო, მშვიდობით ჩემო დაცლილო, ტანჯულო საქართველოო და გათავდაო...

ნინოს ტკივილს საზღვარი არ ჰქონდა. ეს ერთი იმედიც მოაკლდა. ისედაც გაცრეცილ თვალებზე ბინდი გადაეკრა და მწარედ ატირდა.

დამღლელი გზა როგორც იქნა დასრულდა. მრგვალ, ფილაქანმოვლებულ მოედანზე გაჩერდა ავტობუსი. სასომიხდილი, გადაღლილი, გაფერმკრთალებული ნინო იდგა. თავზე დაჰყურებდა სხვა ცა, სხვა მზე, სხვა ჰაერს სუნქავდა. პატარა საფულეში ფურცელზე მიწერილი მისამართი მოძებნა მძღოლს სთხოვა დასარეკად ტელეფონი ეთხოვებინა. აკრიფა ნომერი... ტელეფონში მამაკაცის საოცრად თბილი ტემბრი გაისმა...

– მამა ილარიონ დამლოცეთ!

– ღმერთმა დაგლოცის შვილო ჩემო... იყო პასუხი.

– მამა ილარიონ, დღეს ჩამოვედი საქართველოდან. თქვენი ნომერი ქალბატონმა ელენემ მომცა. რომ ჩახვალ, დაურეკეო დამიბარა და მეც გავკადნიერდი და დაგირეკეთ.

– მე ერთ კვირაში ვიქნები ქალაქში შვილო. მანამდე რაღაც მოიფიქრე და მერე მოგხედავ. კვირას, დღის პირველ საათზე დამირეკე. უფალი გფარავდეს!

– მადლობა მამაო.

ნინომ ტელეფონი გათიშა. დაუბრუნა პატრონს და მოცელილივით დაეშვა თავის ბარგზე... ახლა რა მელის? როგორ განვითარდება მოვლენები? თავში დომხალი ჰქონდა. ფიქრები მოსვენებას არ აძლევდნენ. ისევ იქ, სიცივესა და შიმშილში ერჩივნა თავის შვილთან ჩახუტებულს, კუჭაწანწალებულს

დაეძინა, თითებით ეჩიჩქნა მიწა და ბალახი ეჭამა, მაგრამ ვალისთვის რა ექნა? რით გადაეხადა? იმ სახლსაც დაკარგავდა, სადაც დიდი ხანი, ა უპატრონობით მიგდებული ჭერიდან ისევე წვიმდა და თოვდა, როგორც გარეთ. სიგიჟის ზღვარზე მისულს, ხან თავისი შვილის ტირილი ჩაესმოდა ყურში, ხან მოხუცი დედის ძახილი- ნინო, ნინოო!

ხელებში ჰქონდა სახე ჩარგული, ცრემლები ახრჩობდა. მოენატრა ნაცრისფერი, გადახუნებული საქართველო; მოენატრა ლამფის და სანთლის შუქი, შვილის და დედის ცრემლიანი თვალები და უცებ საშინელი დაღლილობა იგრძნო. ძლივს მიათრია მგზავრობისგან დასიებული ფეხები სკვერამდე და სკამზე წამოწვა. მიეძინა. მოსაღამოვებულზე ფორმიანმა ახალგაზრდამ გააღვიძა, როგორც ჩანს, პოლიციის თანამშრომელია-გაიფიქრა ნინომ. ხელების და ფეხების დახმარებით ძლივს გამონახეს საერთო ენა, თუმცა ნინო ვერ ასცდა ადგილობრივ პოლიციაში, ხოლო იქიდან ხალხით გადაჭედილ სოროში გადაყვანას, რომელსაც შეუთავსებელი პირობების მიუხედავად თავშესაფარს უწოდებდნენ. .

შესვლისთანავე იგრძნო საცოდაობის, მარტოობის, განრისხების, გაბოროტების აქოთებული სუნი. იჯდა თავჩაქინდრული და კრიჭა რომ არ შეჰკვროდა, მარჯვენა ხელით ქვედა ნიკაპს იჭერდა. ხელები უკანკალებდა და ცრემლებს ვერ იკავებდა. კევის ღეჭვით, თავზე კიკინა შეკრული ახალგაზრდა მიადგა თანამოაზრესთან ერთად, უცხო ენოვანი, რომელიც გამომეტყველების მიხედვით ფულს სთხოვდა ან საჭმელს. რომ ვერაფერი გააგებინა, ნინოს თმაში სწვდა კიკინიანი. ამოუყარეს ჩემოდნიდან ბარგი. საწოვარაზე და მაისურზე დასცინოდნენ. ნინო შეურაცხყოფილი იჯდა და შეციებული სულის ამარა, თვალებით ეძებდა მხსნელს, გამომსარჩლებელს, თუმცა ხმას არავინ იღებდა. ბოლოს მიხვდნენ, რომ ნინოს

არაფერი ჰქონდა და შეეშვნენ. სხვას მიადგნენ. იმან ხურდები გაიმეტა, ალბათ შეეშინდა იმ ახალგაზრდა ქალის ბედი არ გავიზიაროო.

ის ღამე თეთრად გაათია ნინომ. გზაში ნაყიდი ფუნთუშის პარკიდან ნამცეცები ამოჭამა და სამად სამი ნაფხვენი დაიტოვა დილისთვის. ფიქრებში თავის ქმართან წავიდა. მაშინ რა დიდები ეგონათ თავი, როგორ გეგმავდნენ მომავალს და ბოლოს, სადამდე დავიდნენ. მერე, შიშმა აიტანა. ვაითუ, ჩემი შვილიც წავიდეს ომში და დავკარგოო. რომელიმე თაობა ხომ უნდა გაიზარდოს ბედნიერად, რა წყევლა აქვს ასეთი საქართველოსო. პატარა რომ იყო, მამა უყვებოდა მეორე მსოფლიო ომის ამბავს. როგორ იჯდნენ სქელ ნაჭერგადაფარებული მაგიდის ქვეშ, რომ სახლიდან სინათლის სხივი არ გასულიყო და არ დაებომბათ, როგორ შიოდათ და სციოდათ. მერე, ნინოს ახალგაზრდობა, სამოქალაქო ომი და ისევ დეჟავუ-უშუქობა, სიბნელე და არაფრის მთქმელი ყოველი გათენებული დილა. სიცოცხლის ხალისს მოახლოებული ქორწინება უბრუნებდა. თითქოს გაიხარა – გათხოვდა და ისევ ომი, ისევ სასიკვდილო შიმშილი, ისევ დაძაბულობა, ბოლოს უპატრონობა, გაქცევა და სწორედ საითაც გაიქცა, იქით წაიქცა...

დილა გათენებულიყო. ისიც პოლიციიდან მოტანილი ამანათით შეიტყო. სამ პურს, ორ ლიტრ წყალს და ერთკილოიან ძეხვს ასი მშიერი უნდა დაეპურებინა. აითრია წელი. ხელით ოგრძნო, თვალები დასიებოდა ტირილისგან და სახე უხურდა. აშკარა იყო, მაღალი სიცხე ჰქონდა. კბილს კბილზე აცემინებდა. ერთი კვირა აწამა ავადმყოფობამ. ვერ გაერკვია ვირუსი ჰქონდა თუ დარდისგან სამშობლოდან ათასობით კილომეტრით დაშორებული სხეულის ნაწილებიც კი ტოვებდნენ თავის სამუშაო პოსტს...

უსიტყვოდ დაემორჩილა ბედს. ან რა უნდა ექნა?! ვის-

თან ეთქვა გულის ტკივილი, ვინ იყო მშველელი?! იჯდა მშიერ-მწყურვალი, დაოსებული. სულიდან ამოსულ ისტერიკას ცრემლის გზაც გადაკეტილი ჰქონდა. ერთიანად გახევებულ მზერაში გზააბნეულობის და სიძლიერის ნაპერწკლები ერთად მოსჩანდა.

ერთი კვირის კოშმარი ერთმა შემთხვევამ შეცვალა. . მორიგი რეიდის შემდეგ, ძველი «ნაცნობი» პოლიციელი მოვიდა ახალი ნადავლით. მოიყვანა სიღარიბის, უბედურების, გაჭირვების მძევლები და ის იყო გასასვლელისკენ უნდა აეღო გეზი, როცა ნინომ მხარზე ხელი დაადო და მიმიკით ანიშნა-ტელეფონი მჭირდებაო. ერთადერთი ნათელი წერტილი გამოჩნდა ამ ჭაობში, საიდანაც თავის დაღწევის მინიმალური შანსიც არ იყო. აკანკალებული ხელით აკრიფა ნომერი... ზარი გავიდა. ყოველი უპასუხო წყვეტილი ზარის ხმა მწარე შიშთან აახლოვებდა და ის იყო უნდა გაეთიშა ტელეფონი, გულში ჩაეღვარა თბილი ხმა. ერთ ხანს დამუნჯებული ხმას ვერ იღებდა, ბოლოს გაბედა:

– მამა ილარიონ დამლოცეთ! მე, ის, ნინო, ელენეს გამოგზავნილი... თუ როგორცაა, დავიბენი. მოკლედ, მე ის გზააბნეული ემიგრანტი ვარ, რომელსაც უფლის და თქვენი იმედი-ღა აცოცხლებს მხოლოდ...

მამა ილარიონმა უფლისმიერი სიყვარულით ნინოს გზა უჩვენა. წაიყვანა თავისთან თავშესაფარში და სამსახურის შოვნამდე სამუშაოც გამოუძებნა. სამლოცველოში სასანთლეები და ხატები ვარდის წყლით და ზეთით უნდა გაეწმინდა.

ერთ-ერთი მსახურების დროს, სამლოცველოში ქალი შემოვიდა. მრევლის დიდმა ნაწილმა კდემამოსილი ჩუმი მისალმებით გამოხატა სიხარული. მსახურება გრძელდებოდა. ნინო თავდახრილი უფალს ევედრებოდა შვილის და დედის კეთილდღეობას. მსახურების შემდგომ, მამა ილარიონთან მივიდა შე-

მოსწრებული ქალბატონი. ოლარზე ემთხვია და გაფაციცებით უყვებოდა რაღაცას. დალაგებაში გართულ ნინოს არც მიუქცევია ყურადღება, ფიქრებში წასული, ცხოვრების ავკარგიანობაზე მსჯელობდა საკუთარ მესთან. სიჩუმე მამა ილარიონის შემკაცრებულმა ტონმა დაარღვია. .

– ნინო! ნინო! არ გესმის, რომ გეძახი?

ნინო შეცბა.

– მამაო, მომიტევეთ ჩავფიქრდი.

მამაოს გაეღიმა. -მოდი, ერთი ღვთისნიერი ადამიანი უნდა გაგაცნო.

ნინომ წინსაფარი და თავშალი შეისწორა, თავი დახარა და დაბნეული, აბუზული დადგა ეკას წინაშე. .

ეკა...

მაღალი, მოხდენილი, საოცრად ღრმა მზერის, კეთილი გამომეტყველების ქალბატონი. დიდი ხნის გადახვეწილი თავის ქვეყნიდან, თუმც ყოველთვის საქართველოს და ქართველების სიხარულით ხარობდა და ტკივილით იტანჯებოდა. მამა ილარიონის ხშირი სტუმარი იყო ეკა, მაგრამ ახლა ყველაზე დიდი მიზეზი ჰქონდა, სწვეოდა და ეთხოვა დღედღეზე მოსალოგინებელი ქართველი რძლისათვის პარაკლისი გადაეხადა. თან დასძინა.

– უფალმა წყალობა მოიღოს და ქართველი ძიძა მინდა, რომელიც ჩემს რძალს შეუმსუბუქებს ჯაფას და რაც მთავარია, შვილიშვილს ნამდვილ ქართველად გამიზრდისო.

მამა ილარიონმა ნინოს შეხედა მოწყალე თვალებით და...

დაიბადა პატარა ლილე. მზესავით ნათელი და კაშკაშა. ნინო მოსაცდელში იჯდა და ახსენდებოდა ის ბედნიერი დღეები, როცა თავისი პატარა, ახალშობილი ცოტნე ხელში აიყვანა. მონატრების და სიხარულის ცრემლები ერთმანეთს სცვლიდა. უზარმაზარ ქვეყანაში, სადაც ნემსის სიმძიმე და წონა გაქვს,

ქართველი იბადება. სიცოცხლის ხე ფესვებს იდგამს და უცხო მიწას ეკვრება. პირმშო ჩნდებოდა. ქართული სისხლით და ჯიშით, გენით გაჟღენთილი სხეული ევლინებოდა დედამიწას. სასიხარულო ხმაურის შემდეგ გამოერკვა ნინო, ხალათი შემოიცვა და ეკასთან შევიდა.

– ლილე დაიბადა, ნინო. ქართველი დაიბადა.

ემოციებს ვერ იკავებდა ეკა. ხან შვილს ხან ნინოს ეხვეოდა. ჩანთა გახსნა, პატარა ტომსიკა ამოიღო და ექთანს დაუძახა. აი, ამ შესახვევში გამიხვიეთ ჩემი ლილეო. ექთანი ეკას გაოცებული უყურებდა, როცა მის თვალწინ საქართველოს დროშამ ამოანათა. ლილე საქართველოს დროშაზე დააგორეს და ამით ამცნეს სამყაროს, რომ ყველაზე ძლიერი ქართული სისხლია და ყველაზე დიდი სიამაყე – სამშობლოს სიყვარული.

ლილეს გაჩენამ ნინოს სევდა შეუმსუბუქა. ისიც მოახერხა, თავისი შვილისთვის და დედისთვის ყურადღება მიექცია მაგრამ... დარდი სტანჯავდა. ქართული სიმღერის გაგონებაზე მუხლები ეკვეთებოდა. მიდიოდა კვირაობით იმ მოედანზე, სადაც საქართველოს სუნი ტრიალებდა. ეხვეოდა უცნობ ადამიანებს და ეკითხებოდა, როგორი ამინდი იყო მზიანეთში, როგორ ჩახჩახებდა ოქროს პურის ყანა და როგორ დაჰკიოდა ქარი ღრუბლებს გაფანტულიყვნენ და სინათლე მოჰფენოდა ქვეყანას. ცრემლით თენდებოდა და ღამდებოდა. ფულს ფულზე ადებდა, რომ თავის ვაჟკაცად ქცეული, უკვე სტუდენტი შვილისთვის არაფერი მოეკლო, თუმცა დედის დანაკლისს ვერაფერი შეუვსებდა.

ლილე გაიზარდა, დამშვენდა. დღეს დაბადების დღე აქვს ჩემს პატარა ქალბატონს. «გილოცავ, ჩემო საყვარელო. ბედნიერებას გისურვებ. საქართველოს ქართველი შვილები გაუზარდე, ესაა მთავარი. არ დაივიწყო შენი მიწა-წყალი იმიტომ, რომ საქართველოს დასაკარგი შვილები არ ჰყავს. მადლობა

ჩემო ეკა, ჩემო დად ნაფიცო და იმედო. მიყვარხართ, თქვენი ნინო!»

მაგიდაზე გაზაფხულის ნიავი აფრიალებდა ჭიქით დამაგრებულ წერილის კიდეს და როცა მზემ გამხმარი კაკლის წვერზე მიაღწია, ბედნიერი მზერით, წელში გამართული და ღიმილიანი ქალი ამაყად მივიდა საქართველოში მიმავალ ავტობუსთან, ჩანთა შეაგდო, კიბეზე ცალი ფეხი ადგა, უკან მიიხედა, ჩაიღიმა და ავიდა...

თენგიზ გაგოშიძე
საქართველო

გნატრობ!..

მარტო ეს ერთი სიტყვაც რომ გენახა ამ ფურცელზე, დარწმუნებული ვარ, ჩამოჯდებოდი ჩვენს ერთადერთ სავარძელზე და დანარჩენს შენი ემოციებით გააგრძელებდი, მაგრამ მე ეგოისტურად გართმევ ამ სიამოვნებას და თვითონვე მივეცემი ქაღალდზე ეიფორიას.

ეიფორიაზე გამახსენდა, შენც რა დაგავიწყებს... ქობულეთი, ზღვისპირა კაფე, მხოლოდ ყავა, ერთმანეთის პირისპირ ვზივართ. მე შენ გიყურებ და ზღვას, შენ-მხოლოდ მე და ყავას წრუპავ... ჟრუანტელი უცებ მოვიდა და გთხოვ, ადგილები გავცვალოთ... ახლა, მე ვწრუპავ ყავას, გიყურებ და შენი ფიქრებით ვტკბები. შენ დაინახე იგივე, რაც მე. – ლურჯ ზღვაში წითელი მზის დახრჩობა... ასე უბრალოდ არ იხრჩობოდა მანათობელი, ლამაზი იყო უსაშველოდ და მიბნედილი თვალებით ამბობდა: – მე კიდევ მოვალ, თქვენთვის მოვალ ისევ... და ამას მარტო ჩვენ გვეუბნებოდა... და მოვიდა კიდეც მზე ჩვენთან, ქობულეთშიც და თბილისშიც – ჩვენს პატარა კერიაში...

მომენატრა საქართველოს მზე. სულ სხვანაირად ანათებს, როგორც არ უნდა ბნელოდეს ქვემოთ. ყველასათვის გამოზომილად. ოღონდ, სამწუხაროდ, ყველა ვერ ხედავს მზეს...

ვიცი, საყვედურისთვის არ გამიმეტებ, მაგრამ რა მექნა?! ეზოპესი არ იყოს, ზღვას დავლევდი კოვზით, მასში ჩამავალ მდინარეებს და წვიმებს რომ არ შეეშალათ ხელი. ორწელიწადნახევარია, რაც გერმანიაში ჩამოვედი, ზუსტად იმდენი, რამდენიც ჩვენ ვიყავით ერთად. მინდა, ყველა ჩვენი დღე გავიხსენო, მიჭირს, მაგრამ მსიამოვნებს. ახლაც მეცინება, მეზობლის

მონაყოლი რომ მახსენდება. როგორ გაუსწორდი ჩემს მოვალეს, კარზე რომ მოგადგა მარტოს. მაგ მოვალეს ჩემი იმხელა ვალი ჰქონდა სიყვარულის, ვერანაირი გროშები რომ ვერ აიწონიდნენ. იცოდი შენ ეს და ამან გაგაბედინა. ისე, მაინც ვერ წარმოვიდგენდი, შენისთანა ნაზი ქალი თუ... არა, შენ ალბათ, დეკაბრისტებს რომ წაყვნენ გადასახლებაში ცოლები, ისეთი ხარ. ახლა, ქებამ არ გაწყინოს. ისიც კარგად მახსოვს, ახალი შეუღლებულები ვიყავით, სახლმმართველობიდან მოსულმა კაცმა რომ გკითხა – უფროსები შინ არიანო? როგორი სლუკუნით დამხვდი.

ნუთუ, ისევ ბავშვს ვგავარ ოცდაოთხი წლის ქალიო? მერე და, რა გატირებდა?! იმას რა სჯობს, როცა ადამიანი სიცოცხლის ბოლომდე ბავშვი რჩება და მის სისუფთავეს ვერაფერს აკლებს ვერც სიდუხჭირე და ვერც ადამიანების ნაირფეროვნება ირგვლივ...

გუშინ შენი პორტრეტი დავამთავრე. დიდხანს ვხატავდი. წინა საღამოს კურტი შემომესწრო. ხომ გახსოვს? გწერდი. ჩემი გერმანელი კოლეგა და მეგობარია. მეკითხება სურათზე -ეს ვინ არისო? ვეუბნები, ქართველი მადონაა-თქო და რაღაცნაირი იდუმალებით, ჩაფიქრებულმა მითხრა. – თუ ორი მაინც არის საქართველოში ასეთი მადონა, შენთან ერთად მოვდივარ თბილისშიო. იმედი გადავუწურე. – ერთია და ისიც ჩემთან, სახლში-თქო.

დაწყდა გული, თითქოს მისი ცოლი ულამაზო იყოს ან ცუდი მეოჯახე. ოღონდ საჭმელებს აკეთებენ სახლში იშვიათად ამათი ცოლები... შენი გაკეთებული ნებისმიერი კერძი მომენატრა. იცი, რატომ გამოგდის ასე კარგი? ყველაფერში გულს დებ, ალალად. ქართული კერძები კი სხვაზე მეტად იმიტომ გვეგემრიელება, რომ ჩვენი მზის ენერგია აქვს, ჩვენი მიწის, წყლის და ჰაერის. ისე უხვადაა ამ „უფასო“ სიამეებით ნასაზ-

რდოები, ვერ ვთმობთ. ისევე, როგორც სამშობლოს ჩვენსას.

ამ გემოსა და სამშობლოზე რა კარგად ამბობს ჩვენი „ჰუმანოიდი“ მწერალი: „სამშობლო... ხაჭაპური არ არის, მარტო ყველი რომ გიყვარდეს შიგ და ქერქი არა. არც ქიშმიშიანი ნამცხვარია სამშობლო, ქიშმიში რომ ამოარჩიო შიგ და დანარჩენი გადაყარო, სამშობლო ყველაფრიანად უნდა გიყვარდეს: ქერქიანად, ნახშირიანად, ნაცრიანად, მტვრიანად, ნაკლითა და უნაკლოდ“...

ესეც რომ არ მცოდნოდა, შენსავით ლოგიკურად ვერავინ ამიხსნიდა ჩემი საქართველოში დარჩენის უპირატესობას. იმას, რომ მხოლოდ შენ არ იყავი ის, ვისაც გვერდით ვჭირდებოდი, რომ სწორედ ღარიბი და ავადმყოფი არ უნდა მიატოვო და პირიქით, მის ახლოს უნდა იყო, მოუარო და შენი წვლილი შეიტანო მის გამოჯანმრთელებაში... მაგრამ...

რა კარგი ვქენი, შენი რჩევა რომ გავითვალისწინე და ქართული წიგნები წამოვიღე.

ხანდახან კურტი რილკეს მიკითხავს. იცის, რომ მომწონს. ერთხელ გალაკტიონის „ნიკორწმინდა“ წავუკითხე და იმის მერე აღარ წაუკითხავს რილკე. რომ ვთხოვე, ასე მითხრა: – თქვენ, ქართველებს პოეტები სულ სხვა გალაკტიკიდან გყავთ და რილკე და გოეთე რა მოსატანიაო? მოეწონა გალაკტიონის ტკბილხმოვანება და ლექსის შინაარსი რომ განვუმარტე, მეუბნება. – ახლა ნამდვილად წამოვალ საქართველოში. მაგ ძეგლი მაინც ხომ არ არის მარტო შენიო. ლაღი იუმორი აქვთ გერმანელებს. ჩვენთან ბევრს ჰგონია, რომ ცივი ხალხია, მაგრამ როგორ შეიძლება, ბეთჰოვენის, რემარკის თანამემამულენი ცივები იყვნენ? მართალი უთქვამს აინშტაინს-არ გიყვარს ის, რაც არ იციო...

შენ პორტრეტს წამოვიღებ. არ გავიტან გამოფენაზე. ოღონდ, საბაჟოზე თუ გამომატანეს. თბილისიდან რომ მოვფრი-

ნავდი, მებაჟეებმა ჩვენი ბიჭის პორტრეტი მინახეს, შენი დახატული. არ მატანდნენ. მერე გამახსენდა, თქვენი ფოტო ვანახე და...

ჩემი ძმაკაცები რას შვრებიან, ცხვირა, ჩქოლა, კინთა? ამ ცოტა ხნის წინ, ცხვირამ მომწერა – რა ბედნიერი ხარ, აქედან რომ გააღწიეო. ვიცი, მთლად „გულახდილი“ არ იყო მისი ეს ნათქვამი. მაგან ჩემზე კარგად იცის სამშობლოს ფასიც, მეგობრის მონატრებაც და მთავარი- ის ურთიერთობები, რითაც ქართველები განვსხვავდებით სხვებისგან. რამდენჯერ დაუმსახურებია შენი გულისწყრომა, დილის შვიდ საათზე რომ დამადგებოდა ხაშზე დასაპატიჟებლად. აბა, თუ ბიჭია, გერმანელ მეგობარს ესტუმროს გაუფრთხილებლად, თუნდაც, საღამოს შვიდ საათზე... აქ არც ფული იშოვნება ადვილად წესიერი ხალხისთვის და არც ისეთი სტუმართმოყვარენი არიან, ჩვენ რომ ვიცით გადამეტებულად. გერმანელებზე რა მოგახსენო, ქართველიც კი ისე გიყურებს აქ, როგორც მგელი ცხვარს. მე შედარებით გამიმართლა, შემოქმედ ადამიანებში რომ მოვხვდი. განათლებული ადამიანის ფსიქიკა მაინც უფრო სიკეთისკენაა მომართული. შემოქმედება ხომ თვით შემოქმედის სიყვარულია...

შენ კი... შენ როგორ ძლებ უჩემოდ, გვერდით რომ კაცი არა გყავს?.. ვიცი, კითხულობ ამას და მიწყრები: არ გრცხვენია, ბიჭო? – ჰო, მრცხვენია, მაგრამ ამით მხოლოდ შენს დარდს თანავუგრძნობ. გახსოვს, ერთ გერმანელ პოეტს რომ გითარგმნიდი, იქ ასე იყო დედანში: „სველი თევზები სველ ქვიშაში ეძლევიან სიყვარულს თამამს“. მე კი ასე გითარგმნიდი: – სველი თევზები სველ ქვიშაში ეძლევიან მასტურბაციას... მატყუებ, უზრდელო – მეუბნებოდი და იცინოდი. ვიცი, მოგწონდა ჩემი „პოეტური უზრდელობა“ და მაინც, მხოლოდ თითს მიქნევდი მიმტევებლურად. ისე, ერთხელ მართლა ჩავიჭერი შენ-

თან ტყუილში. ჩემს ახლობელს საავადმყოფოში ჩვენი ოჯახის ნაგროვები ფული მთლიანად რომ მივუტანე, შენ კი გითხარი, სამსახურისთვის მჭირდება-თქო. გაიგე სიმართლე და მითხარი, მეც ასე მოვიქცეოდიო. მაშინ მივხვდი, არ უნდა დამემალა, არ უნდა მომეტყუებინა შენთვის...

ლამაზი საყურე გიყიდე აქ. ოქროსი არ არის, მაგრამ ძალიან ლამაზია. იმის სამაგიერო, შენ რომ ძალით გამაყიდინე. ვერ ვიფიქრებდი მაშინ, თუ რომელიმე ქალი ოქროს სამკაულს შეელეოდა. ეს მხოლოდ შენა ხარ ასეთი. შენ თვითონა ხარ სამკაული და როგორ უნდა დავეჭვდე, რომ ჩემს სიშორეს მატერიალური სიკეთე აგატანინებს...

ახლა არ გათამამდე ! აქ იცი, რამდენი ლამაზი ქალია, თანაც, ორი შენხელები? ტუჩებს იბზუებ, გხედავ. დამშვიდდი, ხომ იცი, მე ყოველთვის პატარა ქალები მომწონდა, მინიატურულები. ალბათ იმიტომ, რომ ყოველთვის ვფიქრობდი: – ქალის ხელში აყვანა უნდა შეგეძლოს კაცს და მერე, მთელი ცხოვრება ხელით ატარო. მე კი რომელი ტარიელი მნახე?. .

კიდევ რა გითხრა? ჰო, ვსვამ, ოღონდ მხოლოდ ლუდს, ისიც საღამოობით. გერმანელებს არაყიც უყვართ, მაგრამ მე არ ვეკარები. უკვირს კურტს, მაგრამ რა იცის, თუ დავიწყეე... არ მავიწყდება, პირველად რომ დავრჩი უმუშევარი, თვეზე მეტი რომ გადავაბი, როგორი მოვდიოდი და როგორ მივლიდი. – ჩემი ლოთი ქმარი, ჩემი ტალახიანი... კიდევ რა ეპითეტებით მამკობდი, მაგრამ მაინც როგორ გიყვარდი. მჯერა, სწორედ ეს არის სიყვარული. აბა, ლორდზე და ბაირონზე რომელი ქალი იტყოდა უარს?. .

ამდენს რომ ვწერ, არ იფიქრო, ნოსტალგიაზე უიმედობა დამემატა. უბრალოდ, მწყინს, თუნდაც დროებით, რატომ დაგვაშორა განგებამ? იქნებ იმისთვის, რომ ხელახლა და უფრო ლამაზად განვიცადოთ ერთმანეთთან შეერთება? მე მარ-

ტო ჩვენზე რომ არ ვფიქრობ, მიმიხვდები. თუნდაც ის სტატისტიკა, ჩვენივე სამშობლოში რომ ცილდებიან წყვილები ერთმანეთს. ისინი ხომ ჩვენსავით დროებით არ შორდებიან? მთავარი მიზეზი კი ნათელია. გაუსაძლისი, დუხჭირი ყოფა. აღარ მინდა, ჩემს ემიგრანტობას გამართლება მოვუძებნო და ვეშურები მხოლოდ ერთს. ექვსიოდე თვეში შემეძლება, სამშობლოში ჩამოვფრინდე. ჩამოვფრინდე, ამ სიტყვის სრული გაგებით, ჩვენს ბუდეში. შენ და ჩვენ ბარტყს ჩაგეხვევით და... შენ იცი, მე „გამოუსწორებელი“ ქართველი ვიქნები მარად. ჩვენი ოჯახის საღამოს პოლემიკა ხომ მე და შენი სამშობლოს სიყვარულში გაჯიბრება იყო. რამდენჯერ მინატრია, ყველა ქართველის ოჯახში რომ ყოველ საღამოს ისეთივე პოლემიკა და „ჩხუბი“ იყოს, ჩვენ რომ გვქონდა. არა, არ იქნება, ვერ იქნება. უმეტესი ოჯახი ხომ საღამოობით მხოლოდ იმას ფიქრობს, მეორე დღეს პური რით იყიდოს... შიმშილი, სიბნელე... ალბათ, ეს სიბნელე აწყობს ვიღაცას, რათა კაციჭამიები გამოზარდოს დიდი ხომალდისათვის... გადავუხვიე. მაპატიე, ჩვენი პოეტი მახსენდება: „ვისი არი აგი ბავშვი, ჩვენია თუ ალიფაშის, ჩემთვის ვყვები, ძამია“... არ ვყვები ჩემთვის, ვიყვირო, მინდა: – ყველაზე ძვირფასს გაუფრთხილდით, ადამიანებო, – თავისუფლებას!.. აი, ეს კი დამავიწყდა, მიმეწერა ცხვირასთვის. ჩემი ქვეყნიდან „გაღწევაში“ რომ თავისუფლება დაინახა. ეს ხომ მირაჟია, თავის მოტყუება, მაგრამ ვინ დამიჯერებს, როცა სურვილი არ არის დაჯერების...

არ დამავიწყდეს. ჩვენს ვაჟკაცთან მოსაბოდიშებელი მაქვს. გემახსოვრება,

სამშობიაროდან რომ გამომყავდით, პათეტიკურად რომ გავიძახოდი – 26 მაისს დაიბადა და პრეზიდენტი გახდება-თქო... მაპატიოს, უთხარი, შემეშალა. რა ჩვენი საქმეა პრეზიდენტობა, ჩვენ ხომ ის ხალხი არა ვართ, კომფორტი გვჭირდებოდეს

საქმის საკეთებლად, ჩვენ ხომ მოდილიანები ვართ, ზღვის პირას, თუნდაც ყველასგან დავიწყებულ კაფეში შევქმნით ტილოებს და ვიცი – ჩვენს შვილს ნამდვილად ეცოდინება „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“...

ჰო, მართლა. დაბადების დღეს გილოცავ! მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მხოლოდ ჩემთვის დაიბადე... ახლა დაწყნარდი, ვამთავრებ... გნატრობ!..

გიორგი აღნიაშვილი
საქართველო

წერილი დედას

ვიცი, ნაწყენები დარჩით. – „ორი კვირით ჩამოხვედი და ისევ გაიქეცი 20 წლის უნახავი შვილიო“, მითხარით. ალბათ, ცუდად მოვიქეცი, მაგრამ ნუ შეეცდები ჩემი საქციელის ახსნას. არც თანადგომას გთხოვ და არც სიბრალულს. ამ წერილით მინდა აგიხსნა ჩემი საქციელი.

მე მანდ უცხო ვარ

როცა წავედი, ოცი წლის ყმაწვილკაცი ვიყავი, ყველაფერს იმედით და ოპტიმიზმით ვუყურებდი. მეგონა, საწადელს მივაღწევდი ჩემი ნიჭისა და ენერგიის წყალობით. მე სამ ენაზე თავისუფლად ვსაუბრობდი, ვთარგმნიდი, ვწერდი და... ამ ცოდნით საზოგადოებრივი ტუალეტის დამლაგებლად „დამაწინაურეს“. თქვენი სახელოვანი შვილი ხუთი წელი ამ „თანამდებობაზე“ წარმატებით შრომობდა. ხო, ესეც არის, რომ სხვა სამსახურიც ვიშოვე და ფულს ვშოულობდი, ვაგროვებდი და ოჯახში ვგზავნიდი. მერე, აქაური სკოლაც დავამთავრე, სხვადასხვა კურსები გავიარე და ჩემი ემიგრანტობის მეშვიდე წელს, სარკეში რომ ჩავიხედე, პირველად აღვითქვი საკუთარი თავი ადამიანად. ის წლები კი გაფრინდა. იცი, რა მახსოვს? ის, რომ მხოლოდ მოგონებებით ვცხოვრობდი, რადგან რეალობა ჩემთვის ჯოჯოხეთი იყო.

როცა ჩემს ძმებთან ერთად სუფრაზე დავსხედით, შენ ზეპირად იცოდი ვის რა კერძი მოსწონდა, იცოდი მათი მანერები და მხოლოდ მე ვიყავი ამოუცნობი ქარაგმა. მორიდებით მიღიმოდი დეე, არ იცოდი როგორ მომქცეოდი. ჩემი ძმების სიხარულიც ალბათ ნახევარი საათში ჩაეტია.

მე უცხო ვიყავი თქვენთვის. ჩემს ისტორიას ვერავის მოგიყვებოდით. რით მეამაყა? უნიტაზების წმენდით?

საქართველოში ორმოც წელს გადაცილებული კაცი დავბრუნდი, ოცი წლის ჭაბუკის ისტორიით. ჩემმა მეგობრებმა თითქოს გული გამიხსნეს, მაგრამ მათთვის მე მხოლოდ ახალგაზრდობის მოგონება ვიყავი და ისიც რამდენიმე წუთში ჩაეტია.

იმ საღამოს მივხვდი, რომ უკვე სხვა ვიყავი. ორი კვირის თავზე საქმეები მოვიმიზეზე და დავბრუნდი. აქ მე ბიზნესმენი მქვია. საინტერესოა, რომ სამშობლშიც და აქაც ემიგრანტად დავრჩი. ჩემი ადგილი მანდ უკვე აღარ არის. აქ თავიდან დავიბადე ადამიანად, ისტორიის გარეშე. თავად შევქმენი ჩემი პიროვნება და ვერასოდეს ვიტყვი, რომ წარსულიდან მოვდივარ მეთქი. აქაც მახსენებენ ჩემს „ გმირულ ეპოპას“ უნიტაზებთან, იუმორით შეფუთულ გესლს მესვრიან და მეც ასევე ვპასუხობ.

დღეს, მე თავად ვარ დამსაქმებელი. მაგრამ ქართული იერის და წარმომავლობის გარდა, ყველაფერი დავკარგე. ასეა და გთხოვ მკაცრად ნუ განმსჯი. დეე, გთხოვ ეს წერილი მამას და ჩემს ძმებს არ აჩვენო... და კიდევ სიყვარული დამრჩა ქართული. ფული გადმოვრიცხე და მამაჩემისთვის მანქანა გამოვგზავნე, მინდა რომ ბედნიერი იყოს. იცი, „შე მამაძაღლოო“, რომ შემომძახებდა, ისიც მომენატრა... ჩემი შვილები ამაყობენ ქართველობით, მაგრამ ქართული არცერთმა არ იცის. საკვირაო სკოლაში მინდა მივიყვანო. აქ კარგად ორგანიზებული ქართული დიასპორა გვყავს და სკოლაც არის.

მანდ ყველას გადაეცი, რომ ჩვენ, ემიგრანტები აქ, საზღვარგარეთ, ჩვენი ქვეყნის ღირსებას წარმოვადგენთ. ჩვენ დროებამ შეგვქმნა და ნუ უარგვყოფენ, რადგან ჩვენ ჩვენს სულს ორივე ხელით ვებღაუჭებით, რომ გაუცხოვებამ ესეც არ ამოგ-

ვგლიჯოს სხეულიდან და არ გავცარიელდეთ. ემიგრანტების ადგილი აღარ არის საქართველოში. ხანდახან მგონია, რომ სამშობლომ ამოგვგლიჯა თავის წიაღიდან.

აქ ეკლესია გვაქვს, სადაც ვიკრიბებით ემიგრანტები. ვერ წარმოიდგენ, როგორ გვიხარია ერთმანეთის ნახვა. რომელიმე ჩვენთაგანის უმნიშვნელო წარმატებაც კი ზეიმის საბაბი ხდება. ხანდახან, ჩვენვე ვიგონებთ ისტორიებს მეგობრებზე, ოჯახზე, რომ თუნდაც ამ უვნებელი ტყუილით საკუთარ მიწაზე ჩვენი ფესვების ილუზია მაინც შევინარჩუნოთ.

დედა, არ იტირო, გთხოვ! მე ხომ შენი ცელქი ბიჭი ვარ, დეე...

ნახვამდის!

შენი შვილი

მარიამ მარჯანიშვილი
საქართველო

„ჩვენი ლამაზი სამშობლო მეტი ცნობილი იყოს ევროპაში“

„ჩემო დიდად საყვარელო, ტკბილო დედიკონა!

მრწამს, შენც გაგიხარდება შენი შვილი ასე რომ შრომობს. მეორე მხრივ სულელი ვარ, რომ სხვებსავით ქონება არ შევიძინე. აბა, მგონი შენი აზრიც ესეც იქნება: – ყველაზე დიდი ქონება სამშობლოსთვის ზრუნვაა. იქეიფონ სხვებმა!“ (იტცეჰოე 10. 01. 1975).

ამ სიტყვების ავტორს, ნიკოლოზ ჯანელიძეს იმთავითვე გათავისებული ჰქონდა ის უბადლო ჭეშმარიტება, რომ ყოველი ადამიანის თითოეული ნაბიჯი ისტორიაა და იგი მისი სიკვდილის შემდეგაც ისეთი ხანგრძლივობით განაგრძობს სიცოცხლეს, თუ რამდენად ემსახურებოდა თავისი ერის კეთილდღეობას.

ერთი სიცოცხლე, როგორც ყველას, მასაც დედამ აჩუქა – „მე, 1921 წლის 12 თებერვალს, ძველ სამტრედიაში ვარ დაბადებული. ოთხწლედი ქალაქის სასწავლებელში, სასეირნო ბაღთან დავამთავრე. მერმეთ კი, რკინიგზის საშუალო სკოლაში შემიყვანეს. პროკლე ტაბიძე, გალაკტიონის ძმა, იყო ჩემი მასწავლებელი“.

მეორე სიცოცხლე კი – ქერჩთან გერმანელთა ტყვიით დაცხრილურს – ემიგრანტმა თანამემამულემ ლილი პაპე-გეგელაშვილმა აჩუქა, რომელმაც ჯერ გერმანელი ექიმები თავზე დაახვია, თუმცა ცალი ფილტვის რეზექცია მაინც გარდა-

უვალი გახდა... მერე საკონცენტრაციო ბანაკიდანაც იხსნა და გლეხის ოჯახს მიამაგრა...

გაძაღლებულ ყოფაში „ჯანესად მონათლულს“, ყველაზე მეტად ძაძებით მოსილი და ცრემლადქცეული მგლოვიარე დედის წარმოსახვა ტკენდა სულს... გულს უღრნიდა... იქნებ, სიცოცხლე არც კი ღირდა დედის ამდენ ტანჯვად?!...

და მერე, ზოგისთვის დიდი საბჭოთა ბელადის, ზოგისათვის კი ტირანის გარდაცვალების შემდეგ, ჯანელიძეებთან უცნაური წერილით მეორედ მოსვლა დადგა: „ცოცხალი ვარ... კოლია“...

შვილის უგზო-უკვლოდ დაკარგვიდან ცამეტი წლის შემდეგ, ეს შეტყობინება თავზარდამცემიც იყო და გადასარევგასაგიჟებელიც. თუმცა მშობლებს გულის კუნჭულში იმედის ლამპრად ყოველთვის ენთოთ შვილის მოლოდინი...

„კოლია, შვილო, სადაც ხარ, მამა, იქ გაგიმარჯოს!“ – თავის ნაგრამზე პირჯვარის გადაწერისას, ყოველთვის ასე აყოლებდა ხოლმე სილოვან ჯანელიძე...

დედას კი – აკვიატებულად თვალი გამუდმებით ჭიშკრისაკენ ეჭირა. და ვინ მოთვლის, წარმოსახვაში შორიდან დაბრუნებულ შვილის ლანდს რამდენჯერ ელაციცებოდა კიდეც...

ამ დროს, მეორედ დაბადებულსა და ჯანესად ქცეულ ყოფილ საბჭოთა ჯარისკაცს რა არ გადახდა თავს...

როცა ფაშისტური რკალის არეალი შევიწროვდა, მან ჯერ თავი ვატიკანსა და პატრ მიხეილ თარხნიშვილს შეაფარა, სადაც დიდხანს დაყოვნდა... საბოლოო არჩევანს დრო სჭირდებოდა...

ტყვედყოფილისათვის სამშობლოში დაბრუნება სიკვდილის ტოლფასი იყო, ხოლო სასულიერო მისიისათვის ჯერ კი-

დევ სულიერად მოუმზადებელი გახლდათ... თუმცა, გულის სიღრმეში სიცოცხლე მხოლოდ სამშობლოში დაბრუნებისათვის სწყუროდა.

არჩევანი ისევ კონსპირაციასა და ტანჯულ, ნოსტალგიის სენით დაავადებულ ემიგრანტის მძიმე გზაზე შეაჩერა. სასოწარკვეთილისათვის მთავარი მაინც შეუდრეკელი სულის სწრაფვის შენარჩუნება გახლდათ, რადგან სულით დაცემა იგივე სიკვდილს მოასწავებდა მისთვის...

„... კოლია, არ ვიცი, მანდ უკვე იციან თუ არა ქართველებმა, ესპანეთში ირაკლი ბაგრატიონის მცდელობის შესახებ, რომ იქ გადაიყვანოს რამოდენიმე ქართველი იტალიიდან...

პირველივე ფიქრი ჩემი შენ მოგწვდა და ყოველ ღონეს ვიხმარ სტუდენტად წასვლა ესპანეთში მოგიწყო...

მე მგონი, შენ სტუდენტობას მოინდომებ. ესაა ერთადერთი გამოსავალი და ისიც როგორი? – საუკეთესო. სწავლას და განათლებას შეიძენ. ამისათვის პირობები გექნება ესპანეთში. ფულს და საარსებო წყაროს მიიღებ და გამდიდრებაზედ დღეს ჩვენ არ ვფიქრობთ. კოლია, ასე არ არის? ღმერთმა ქნას, რომ ირ. ბაგრატიონმა საქმე დააგვირგვინოს და შენ „კონკურსში“ გაიმარჯვო“

ემიგრანტ გივი გაბლიანის ამ სურვილმა, რომ იტყვიან, „ჩაილურის წყალი დალია“.

მართალია, ომმა, ნგრევამ, ტყვეობამ ჯანესს სულიერი განწყობილება შეურყია, მაგრამ ამან როდი გატეხა იგი.

გულში უკვე ამოჭრილი ჰქონდა, რომ სამშობლოდან მოწყვეტილი დრო თავისი ერის სამსახურში გაელია. ამასთან, მეორე მსოფლიო ომში სულიერად განადგურებული გერმანელი ხალხისა და მისი დიდი შვილების კანტის, გოეთეს, ვაგნე-

რის, ჰაინეს კულტურულ-შემოქმედებითი მემკვიდრეობის აღდგენა-აღორძინებისათვისაც ეზრუნა.

მწერლობისა და ხელოვნების ტვირთი არასოდეს ყოფილა მსუბუქი და არც იქნება. უბრალოდ, ყოველ დროს თავისი სირთულე ახლავს, თავისი გაჭირვება და თავისებური ტკივილები.

ჯანესს მწერლობის საშუალებით ერთა გაერთიანება, ქართველი და გერმანელი ხალხის კულტურული დაახლოება სწყუროდა.

„ჩემო დედიკონა, გენაცვალე! როგორ მყავს შენი საყვარელი თავი – ჩემო ტკბილო, კეთილო დედა?! მე უამრავი სამუშაო მაქვს. ჩემი სიცოცხლის ყოველ წუთს ქართული საქმის საკეთილდღეოდ ვიყენებ. ამის გარეშე, მე ალბათ სულიერად და ტანადურად მკვდარი ვიქნებოდი! მოკითხვა ყველას, გკოცნი ბევრს. შენი შვილი, კოლია“ (იტცეჰოე 30. 11. 1977).

საქართველოდან შორს მყოფი ნიკოლოზ ჯანესი, მუდამ სულიერ კავშირში იყო სამშობლოსთან: „რა ეშმაკად მინდა სიმდიდრე, ... შენ მე სული მიჩვენე, სული... ის რად ღირს, რომ ქართველებს დღემდე შეგვრჩა რაინდობა... რაინდის მაღალი სული... ოქრომ დაიმონა ადამიანის სული, გული მოუკლა... პოეზია გაუქრო“.

ემიგრანტის ნარეკლიანი ცხოვრებისა და დიდი ქართული საქმის ტვირთის ტარება ერთბაშად იკისრა ნიკოლოზ ჯანესმა. იგი ერის მესაჭის, ილიას გაკვალულ გზას – „თქვენი განათლებული და გულშემატკივარი მეცადინეობა ჩვენი გონების ნაწარმოებთა თარგმნისათვის დიდ სამსახურად მიჩნეულ იქნება ყოველის ქართველისაგან“ – დაადგა და საქართველოს სიყვარულს ასწავლიდა გერმანელებს. სწორედ ისეთ სიყვარულს, გერმანელ მწერალს არტურ ლაისტს რომ ჰქონდა დი-

დი ილიასა და მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილ მამულიშვილთა მიმართ.

1961 წელს, კიტა ჩხენკელის გამომცემლობა „ამირანში“ დაიბეჭდა გერმანულ ენაზე თარგმნილი წიგნი, „ნინო მოციქული“. ნიკოლოზ ჯანესს მთარგმნელობით მუშაობაში დახმარებას უწევდა პროფესორი მიხეილ თარხნიშვილი.

მერე, მასთან ერთად, ქართული კულტურის პოპულარიზაციაში ლილი პაპე-გეგელაშვილიც ჩაება.

და თუ ვინმეს წარსულში ჩვენი სამშობლოსათვის ემიგრაციაში სამსახური გაუწევია, სამსახური – უანგარო, წრფელი, თავდადებული, – გაუწევია ნიკოლოზ ჯანესსა და ლილი პაპე-გეგელაშვილს. მათ ღმერთივით უყვარდათ საქართველო.

ამ სიყვარულის გვირგვინი იყო ერთად ნათარგმნი წიგნები: „ქართული სამზარეულო“, „ქართული ზღაპრები“, „პატარა მოთხრობები“, „დედაენა“, „ვეფხისტყაოსნის“ შემოკლებული პროზაული თხრობაც, რომლებიც გერმანულ ენაზე დაიბეჭდა ქალაქ იტცეჰოეს გამომცემლობა „საქართველოში“ („გეორგიშერ ფერლაგ საქართველო“).

„ჩემი და ლილის შედგენილი „ქართული სამზარეულოს წიგნით“ ავალაპარაკეთ მრავალი გერმანული გაზეთი და ახლა ამერიკაშიც შევდივართ! წერილები მოგვდის მოქალაქეებიდან: „გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ ასწლიანი ქართული სამზარეულოს წიგნი“-ო!

ახლა, ტელევიზიაც მოგვადგა და ეს იყო ჩვენი მიზანიც. ჟურნალისტებს ვერ ვიცილებთ სახლიდან. საწყალი ლილი სულ ქართული საჭმელების მზადებასა და ხარშვაში არის, რომელსაც ფერად ფერებში იღებენ და გაზეთებში ბეჭდავენ.

მიხარია და ამაყიც ვართ იმით, რომ შვეციის კვირეულ-

მა ჟურნალმა ლილის და ჩემი სურათი გამოაქვეყნა ფერებში 20/30 სმ. სიდიდით და თარგმნიან „ქართულ სამზარეულოს“ წიგნს შვედურ ენაზე. ამითაც, საქართველოს საშვილიშვილო საქმეც გავუკეთეთ“, ზღაპრებით კი ყველანი გახარებულები არიან“. – წერდა დედას (იტცეჰოე, 10. 01. 73).

„ეს იყო და არის პატარა საჩუქარი საქართველოსა და ქართველი ხალხის, რომელშიდაც ჩვენი საყვარელი დედის მოთმენა, ცდა, ჯავრი, თბილი ცრემლები ურევია და სიყვარული.

ლილისა და ჩემი სახელით კიდევ ერთხელ საქართველოს კარგი სახელი მოვუხვეჭეთ.

მე პირადად, ვათრევ სიცოცხლეს ცხოვრებაში ხან ისე და ხან ასე. სურვილი მრავალი და დიდი მაქვს. ჩვენი ლამაზი სამშობლო, მეტი ცნობილი იყოს ევროპაში“.

უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემულმა ქართული ზღაპრების კრებულმა, გერმანულ პრესაში, მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ბრწყინვალედ ილუსტრირებული ეს წიგნი მკითხველმა სიხარულით მიიღო. პრესამ მას უწოდა „წარმტაცი, კეთილშობილურ მისწრაფებათა ამსახველი უცხო სამყაროს არმაღანი. “

„ჩემო დიდად საყვარელო ტკბილო დედიკონა!

... ზღაპრების წიგნით ყველანი გახარებული არიან. მე საშა გელეიშვილსაც ერთი ზღაპრების წიგნი გამოვუგზავნე, იმედია მიიღებს. თბილისში კი, უნდა დავუგზავნო 25 პროფესორსა და რედაქციებს. მრწამს, შენც გაგიხარდება, შენი შვილი ასე რომ შრომობს. “ (იტცეჰოე 10. 01. 1975).

მოულოდნელად, ლილი პაპე-გეგელაშვილმა საწუთრო დატოვა: „ლილი სამოსახლოში ანგელოზს ჰგავდა თავისი ლამაზი, კეთილშობილი სახითა და ხუჭუჭა, ჟღალი თმით... თბილი-

სიდან 12 სამგლოვიარო დეპეშა მივიღე და ავტირდი. ძალიან დავეცი სულიერად... სული და გული მაქვს ცუდად, თანაც ბრონქიტებიც დაემატა.

ახლა, დედაჩემო, ერთი თხოვნა მაქვს. გამოუშვა ლიზეტა ერთი თვით ჩემთან სტუმრად. შენ თუ შეგიძლია წამოსვლა, ეს ხომ ჩემთვის მეორედ დაბადება იქნებოდა. " (იტცეჰოე 4. 11. 1976).

მძიმე სულიერი დეპრესიის მიუხედავად, ნიკოლოზ ჯანელიძემ თავის მიზანზე ხელი მაინც არ აიღო, რადგან მხოლოდ სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნვა აძლევდა მის ცხოვრებას შინაარს. მალე, მისი ლიტერატურული მოღვაწეობის ნუსხას დაემატა „გერმანულ-ქართული" და „ქართულ-გერმანული" სასაუბრო.

როდესაც კითხულობ ნიკოლოზ ჯანელიძის წერილებს, აშკარად ხედავ საოცარ, ადამიანური ღირსებით შემკულ პიროვნებას, მის მაღალ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, რომელმაც დიდი შრომისუნარიანობით თავისი სიცოცხლე ერის საჭიროებას დაუმორჩილა.

და ამიტომაც აღინიშნა მისი დაუღალავი ღვაწლი „ორი ქვეყნის მეგობრობის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის" 1983 წელს ალბერტ შვაიცერის სახელობის მშვიდობის მედლით.

ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობის მსახური, მიუხედავად მძიმე მატერიალური მდგომარეობისა, მაინც ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ქართული სულიერების წარმოსაჩენად.

„დიდად პატივცემულო ბატონო ალექსანდრევ!

მე მინდოდა აქ, ახალი ჩემი ნათარგმნი ზღაპრების გამო-

ცემა, მაგრამ როგორც აღვნიშნე, დაბეჭვდვა ძალიან ძვირია. ასევე, მზად მაქვს ნ. დუმბაძის „სოფლელი ბიჭი“, მაგრამ სიძვირის გამო გამოცემა არ შემიძლია და დევს თაროზე.

ასეთია აქეთ მდგომარეობა, რის შემდეგაც ძნელი იქნება „დედა ენის“ გამოცემა, რის გამოც ძალიან დაჯავრიანებული ვარ.

ვწერ ამ წერილს და თან ტელევიზორში ვუცქერ ლეილა მესხის ჩონგბურთის თამაშს. დიდი მიღწევით თამაშობს. გულს მიკლავს, რომ აცხადებენ: „საბჭოთა რუსი“. მიკვირს, რატომ არ აცნობენ თავიანთ თავს, როგორც „საბჭოთა ქართველი?“ (იტცეჰოე 10. 05. 1990).

გერმანიაში მოღვაწე ქართველმა პატრიოტმა, მთარგმნელმა და გამომცემელმა, ნიკოლოზ ჯანელიძემ მთელი თავისი საქმიანობის კრედო ლაკონურად ასახა გერმანულ ენაზე დაწერილ ლექსში „ჩვენ და ილია“:

„უცხო ცის ქვეშ ვეხეტები,
ბედის ლახვრით დალახვრული,
მასულდგმულებს საიდუმლო,
ჩვენს ენაში დამარხული.
ქართულ სტამბის გამართვაზე
ჩემი ღონე დაილია...
გოეტეს ხალხს გავაცანი
ნინო, შოთა და ილია.
მე მდიდარი არ გახლავართ -
წლები ჯაფით დაილია...
მთელი ჩემი სიმდიდრეა
საქართველო და ილია. “
(თარგმანი აკაკი გელოვანის)

მთარგმნელობითსა და საგამომცემლო საქმიანობასთან ერთად ნ. ჯანელიძე ასწავლიდა ქართულ ენას ჰამბურგისა და კილის უნივერსიტეტებში.

„ახლა ისევ კარგად ვარ! სწორედ დილის 5 საათსა და 25 წუთზე მატარებელში ჩავჯდები და ქალაქ კილის უნივერსიტეტისაკენ გავემგზავრები“ (იტცეჰოე 10. 01. 1975).

ლექციები უნივერსიტეტებში, რადიოთი „ჯანესის ქართული ზღაპრების საათი“, ქართული პიესები გერმანულ სცენაზე, გამოფენები, ქართული მუსიკის საღამოები... საქართველოს ისტორიასა და მისი კულტურის შესახებ შთამაგონებელი საუბრებით იგი ყველას ისე ხიბლავდა, რომ გეგონებოდათ, გარეგნულად უბრალო კაცი კი არა, ვინმე ზებუნებრივი არსება ლაპარაკობსო. მასში ორი არსება ცხოვრობდა: უაღრესად ადამიანური და უაღრესად შემოქმედებითი.

უანგარო ენთუზიასტი ნიკოლოზ ჯანელიძე, მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, მუდამ მშვიდობასა და ხალხთა კეთილდღეობაზე ფიქრობდა. იგი ყველაფერს აკეთებდა, რაც ერთ უთვისტომო ქართველ კაცს შეეძლო გაეკეთებინა უცხოეთის ცის ქვეშ: „ჩემი დევიზია: ღმერთო, ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას ნუ მოაკლებ ქართველ კაცს შინ თუ გარეთ!“...

საბავშვო ბაღებში დავდივარ. ბავშვებს ზღაპრებს ვუყვები. რომ იცოდეთ, როგორ უყვართ ქართული ზღაპრები! როცა ავად ვარ, ამ საქმეს საავადმყოფოში განვაგრძობ და ავადმყოფები ხუმრობენ: „ქართულმა ზღაპრებმა ფეხზე წამოგვაყენესო!“...

ახლა, ბავშვებს ვუკითხავ თქვენს „ფუტკრის ზღაპარს“. ძლიერ მოსწონთ. ერთმა ქალმა მითხრა: „ასეთი კეთილი ხალხი ალბათ, მხოლოდ საქართველოშიაო!“...

8 წლიდან 12 წლამდე გერმანელ ბავშვებს ვასწავლი სიმღერებს! „ალილო“, „ციცინათელა“, „სულიკო“, „ჭრელო პეპელა“ და სხვ.

ასევე, შევადგინე გუნდი 50 ქალისაგან და ვასწავლი სიმღერებს“.

ნ. ჯანელიძე ყველგან წარმართავდა ქართული ენის კურსებს, სადაც კი ამის საშუალება მიეცემოდა. იგი დიდი პედაგოგიური ოსტატობითა და ორატორული ნიჭით ახერხებდა საქართველოს სიყვარულის მსმენელთათვის გადადებას: „გუშინ საღამოს მქონდა მოხსენება საქართველოზე ერთ უბანში, სადაც 65 მსმენელი მესწრებოდა. საათნახევარი დამჭირდა დროით, რომ აუდიო სურათები საქართველოს ბუნებისა და კულტურის შესახებ მეჩვენებია. “

ნიკოლოზ ჯანელიძემ 21 წელი იცხოვრა სამშობლოში. მის გარეთ, უცხოეთის ცის ქვეშ – 50 წელზე მეტი. წამებული სამშობლოს უებრო ჭირისუფალი და მისი მზიურობის მომღერალი, ემიგრაციაში ასევე ამაღლებდა თანამემამულეთა სულებს, გულს, რწმენასა და იდეალებს.

გაოცებას იწვევდა ის ფაქტი, თუ საიდან მოდიოდა ამ ჯანმრთელობაშერყეულ კაცში ასეთი დიდი ძალა და ენერგია?! რა თქმა უნდა, დიდი მომავლის მოლოდინში, თავისი მისიისა და თავისი საქმიანობის შეგნებაში და ალბათ, იმ ჩვეულებრივ ადამიანურ თანადგომაშიც, რომლის გარეშეც არც დიდსა და არც მცირე საქმეს არ მოებმება თავი.

ბოლო დროს, საავადმყოფოდან თბილისელ მეგობრებს წერდა: „გუშინ, თინა გავაფრთხილე, ჩემი ცხედარი დაფერფლეთ და ქარს გაატანეთ, იქნებ ფერფლმა მაინც ჩააღწიოს-მეთქი საქართველოში...“

სიკვდილის წინ კი, მის სანახავად მისულ გერმანელ ქართველოლოგს, ვინფრიდ ბოედერს ჰკითხა: „ლილიმ, მეორედ რომ სიცოცხლე მაჩუქა, ამით დამწყევლა, თუ... ?!“

პასუხად მოსწავლემ თავის მასწავლებელს გოეთეს სიტყვები შეაგება: „რაც არ უნდა იყვეს, მაინც კარგია სიცოცხლე“-ო.

– ეჰ, ჩემო ბოედერ, დიდ გერმანელ მწერალს, სამწუხაროდ, ქართველთა ატავიზმი გამორჩა მხედველობიდან...

და უცხოეთში, შორს მშობლიურ სახლ-კარიდან, განმარტოებულს, სამშობლოსათვის ფიქრით და დარდით დასერილ სახეზე ცრემლი შეეყინა...

ანდერძის თანახმად, სიმონ ჩიქოვანისა და მარიკას უგონო სიყვარულის დარად, ლილი პაპე-გეგელაშვილის საფლავზე მიმოაპნიეს „მარადიული სატრფოს“ ფერფლი.

იგი ერთი რწმენით წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ მის ფერფლს ქარი ოდესმე მაინც წაიღებდა საქართველოში. ნიკოლოზ ჯანელიძე შემოქმედებითად სიცოცხლეშივე უკვე დაბრუნებული იყო სამშობლოში, თუმცა იგი არ ეძიებდა სიცოცხლეში სახელს და არც სიკვდილის შემდეგ თავისი სახელის უკვდავყოფას.

პოეზია

ეკატერინე ბჟალავა
I პრიზი. ჰოლანდია

კოსმიური პაემანი

დაფიონზე, ქარის ფრთები
ირხევიან, ვით ალვანი
და არ მინდა გულისთქმათა
არც გამხელა, არც მალვანი.
ალი ვარ და ალმური ვარ,
ვიწვი, როგორც მზე და ლალი,
და მაცოცხლებს გაზაფხულზე
ყვავილების კარნავალი.
სულ რომ გაქრეს ბგერის მადლი
და ღვარცოფზე ცეცხლი ენთოს,
მაინც დავწერ ლა ბოჰემას,
ანდანტეს და ალეგრეტოს.
მხიბლავს იგი, რაიც მხიბლავს
და ზღვასავით ვღელავ მარტო,
ალბათ მიტომ, შესატყვისად
რომ ვერ მაცხრობს მოდერატო.
განა მართლა ღრუბელი ვარ,
კამარა ვარ ახლა ლისტის.
ვიცი, ფორტე და პიანო
ცხრა მთას იქით გადამისვრის.
და ის ნატვრა ამიხდება,
წარსულში რომ გულზე მეცხო-
პოეზიის კორიდაზე
მე ვიქნები ინტერმეცო.
ვფიქრობ, ისე გავიშლები,

როგორც ნუში, როგორც ვაზი
და სულ გადასხვაფერდება
სადუეტო ფიანდაზი.
აღინთება წყვილი მზერა,
წყვილი კვარი და კერასი,
და მიმღერებს მზის არიას
იქვე, ხოსე კარერასი...
და იქნება ცა ისეთი,
რომ ელფერით დამიმონებს,
სხივთა ცვენა შეიწირავს
ადაჟიოს და მინორებს.
ყოჩივარდა შეიშლება,
მოიკვეცავს ცვრიან რტოებს
და მჭვირვალე თუთის ჩეროს
უნებურად მიატოვებს.
მაგრამ მერმედ რა იქნება,
რა იქნება მერმედ ნეტავ?!
– საიდუმლოს ამოვიცნობ,
ბედმა თუ არ გამიმეტა.
ქარაფიდან ფრინველივით
გადმოდგება დღე ხალასი
და მსუბუქად გულს შემირხევს
ხან კარუზო, ხან კალასი.
თვით მსუსხავი ნიავქარი
შემომიღებს თბილად კარებს
და არჩევანს ვერ შევკადრებ
ჩუქურთმებს და მინანქარებს.
და თუ ნაღველს დამიმძიმებს
უცხო ბგერა, უცხო რიტმი,
მეც მწუხარე ბულბულივით

„წინწყაროს“ და „ჩელას“ ვიტყვი.
და დავანთებ ფერად კოცონს
მითების და ბალადების;
არც სიკვდილის მეშინია,
არც ხელახლა დაბადების.
ქართლის ზეცის თაღებიდან
მეფერება ჰაეს ანი,
უსათუოდ გაცხადდება
კოსმიური პაემანი.

მელანო ზუკაკიშვილი
II პრიზი. საფრანგეთი

ნილ!

ივლისს ფოთლები შემოადნა აგვისტოს ხვატში.
იწურება და ცა მოღუშულ იერს არ იშლის.
«გაღ დე ლიონის» ცივ ბაქანზე წვიმს, როგორც მაშინ.
ნილ, ამჯერადაც ვერ მოვდივარ.
ვრჩები პარიზში.
ნილ, სულ მინდოდა მომეწერა.
მეთქვა, როგორ ვარ.
რომ გამიხუნდა ღამეები, (ვკეცავ აღმართებს)
და უდარდელი ბავშვობიდან თეთრი გოგონა,
დიდი ხანია მოვკალი და ტბასთან დავმარხე.
ნილ, რომ იცოდე,
რომ იცოდე როგორ ყელშია
კაფე მეზობლად,
მონმარტრი და ღამის «ელისე».
შენ არც კი იცი, ვერ მიხვდები, რატომ მერჩია
მეცქირა, ჩემი სოფლის მთები, თხლად რომ შენისლეს,
ჭალიდან რძისფრად ამოზრდილმა, ჩუმმა ნისლებმა.
ან როცა ფრანგულ ქვაფენილზე წვიმა წკარუნობს,
მე ჩემი მიწის სუნი ვიგრძნო, რატომ მინდება
და რატომ ვნატრობ, ღმერთმა შენი ბედი მარგუნოს?!
ნილ, დამიჯერე, ხმელი პური უფრო ტკბილია,
ვიდრე ეს მსუყე და ფუმფულა კრუასანები.
აქ გაღვიძება სიკვდილივით გრძელი ძილია,
რეალობა კი ბურანი და სიზმარნარევი.
ნილ, შენს თმებს ალბათ ბალახების ნაზი სუნი აქვს

და ეს გერჩიოს სურნელოვან «შანელს», «პუაზონს».
შენი ოთახის დამპალ კედლებს, ძველს და მურიანს
ნუ გაცვლი სხვაზე, რაც შენია მას ნუ უარყოფ.
ნილ, სიმარტოვე ჩემში ახლა ისე იზრდება,
ლამის დავჯდე და ლამპიონებს ველაპარაკო.
დამიმეგობრეს უჩვეულოდ თბილმა სიზმრებმა.
გულის ტკივილმა ჩუმად მკერდზე თავი დამადო.
სიცარიელემ მთელ სხეულში ხელი დამრია
და სული ცივი ყინულების ქვებით მევსება.
ამ ღამისთევებს, სტრიქონ-სტრიქონ ფრთიან, ძარღვიან
ლექსებს ყოველი უჯრედი და წვეთი ნებდება.
ნილ, იოლია ოცნება და ძნელი -ფრთისშესხმა.
თუკი არ მომკლა, არ იფიქრო ძალა შემძინა.
გწერ,
გულს ვიოხებ.
საიდუმლოს უფრო გიმხელ და
შენ არც კი იცი,
რა არ ვნახე...
სად არ მეძინა...
აქაურ ცაზე ნუ გგონია წყვეტენ ვარსკვლავებს.
აქ არსებობა, ნაცრისფერი არის ბოჰემა.
შენ ძალა შეგწევს და სურვილი-
იბრძვი გადარჩე.
მე კი სურვილის და ამ ძალის ძებნა მომბეზრდა.
ნილ, დღეს თუ არა,
ხვალ თუ არა,
იქნებ იყოს ზეგ.
ნილ, იანვრები.
თებერვლები.
იქნებ მარტები.

ნილ, სანუგეშოდ კვლავ უაზრო ლექსებს ვიგონებ.
ნილ, ამ უკუღმართ ბედისწერას მგონი, დავნებდი.
გამცილებლები.
ვაგონები.
ბილეთი.
საშვი.
ამინდი ღრუბლის ფაფუკ პალტოს აღარ გაიხდის.
«გაღ დე ლიონის» ცივ ბაქანზე წვიმს, როგორც მაშინ
და ამჯერადაც ვერ მოვდივარ.
ვრჩები.
(დამისხით)!..

ნანა გოგოლაური
III პრიზი. თურქეთი

* * *

ჰო, ფრაუ მარტა, გსურთ, მოგიყვეთ ერთი ამბავი?!
ოღონდ ნამდვილი... როგორც სუნთქვა, ისე მართალი.
არის ქვეყანა... მასზე მითებს დღესაც ჰყვებიან-
იცით?! – იქ თოვლიც უჩვეულოდ იისფერია.
ცა ფირუზია და ხმელეთი – ფერი ზურმუხტის,
ერი პურადი და გულადი, ლაღი, გულუხვი...
და სიყვარული, სიყვარული როგორ იციან ?
–სიტყვა სიტყვაა, ერთგულება თითქოს ფიცია.
ჰო, ფრაუ მარტა, ამ ქვეყანას მე ახლოს ვიცნობ.
როცა გიამბობთ, ოცნებებით იქა ვარ თითქოს.
არა, რას ამბობთ, სიმართლეა, განა ზღაპარი?!
მხოლოდ მადროვეთ, შეგისწოროთ მხრებთან საბანი...
და თქვენ რომ გიყვართ «მზე შინაო», ჩემი სიმღერა-
იმ ქვეყნაში, მზე მაისში თაფლად იღვრება.
თქვენ უნდა ნახოთ, რა ნაზია ლურჯი აპრილი...
ან ვაზი, ვაზი მსხმოიარე, დალალდაყრილი.
გრემი, იყალთო, ნიკორწმინდა, სვეტიცხოველი...
ოო, მის ხატებთან მუხლის მოყრას რა რიგ მოველი.
არა, რა ცრემლი?! თვალში მტვერი მომხვდა ნამცეცა.
იცით, ქორწილში, ენკენის თვეს, იცით, რა მეცვა ?..
და ტყუპი ბიჭი, მერე გოგო, სამი ნუგეში...
ოჰ, მონატრების ცრემლს ვერ ვმალავ თვალის უპეში.
თქვენ არ ინაღვლოთ, ფრაუ მარტა, გედგებით მცველად.
(ნეტავ მუხლები ისევ სტკივა ჩემ მოხუც დედას?!)
არა, რა მითი?! სიმართლეა, ასეა, მართლა...
იმ ქვეყნის სურნელს კვლავ ინახავს ეს ძველი ჩანთა.
იღიმით ვხედავ, გეთანხმებით, მე გამიმართლა-
ჰო, იმ ლამაზი ქვეყნიდან ვარ,
ჰო, ფრაუ მარტა!..

მარი კვეზერელი (სალომე გოგოლაძე)
იტალია

ბებიის ლოცვა

ხატო ჩემო, გულო ჩემო, სისხლო ჩემო, უცოდველო,
სასთუმალთან მთვარე გიზის, მზე გინათებს გაღმა მდელოს,
მთები ვერცხლის აბჯარიან გმირებს ჰგვანან სასახელოს,
მაგ პატარა ხელის გულზე დაგეტევა საქართველო!
თვალში სხივი უფლის მადლის გეღვენთება ცისფერ შუქად
მუხლმაგარი ბერიკაცი, ტოტებს გიწვდის ძველი მუხა,
შემოგევლე, პაწაწინა, აქ ვგრძნობ შენი გულის ფეთქვას,
სიოს სიზმრად გამოვატან ზღაპარს ულამაზეს ფერთა.
ჭირი იქა, ლხინი აქა, მოსჩქეფს წყარო უკვდავების,
გაღმა ბებრის ნამოსახლარს ჰგვანან სოფლის ყორღანები,
შენ იძინე მშვიდი ძილით, გიდარაჯებს ანგელოზი,
ხატო ჩემო, გულო ჩემო, გამეზარდე სამზეოში.
სული გქონდეს ისე წმინდა, როგორც მტრედის თეთრი ხუნდი,
ვერ მოვქსოვე შენთვის წინდა, ბებო, ისე დავუძლურდი.
მხოლოდ გენი, მხოლოდ სისხლი მაგ ძარღვებში გიდუღს ჩემი,
და თვალები საოცარი, დაგყოლია მამაშენის.
შენ გაბარებ, ამ მთას, ამ ზღვას, უპატრონე, დაიცავი,
და გახსოვდეს, რომ მამული არის ჩვენი საფიცარი.
ხატო ჩემო, გულო ჩემო, სისხლო ჩემო უცოდველო,
მხოლოს შენით, მხოლოდ შენით გაბრწყინდება საქართველო!

მაკა კვერენჩხილაძე-კარტაიზერ
აშშ

მამული

კაშკაშა მზეა,
ხან გრიგალია,
ხან ლურჯი ზღვაა;
ცაში ჩიტების კამარაა,
კლდიდან წყაროა,
უკიდეგანო ოცნებათა გალაქტიკაა,
უბრალოდ სუნთქვა,
ჰაერი
თუ
თვით სამყაროა...
ყველა სიკეთის საწყისია,
დასაბამია,
და სიბოროტის დასასრული
და სამარეა;
ამ უსასრულო არჩევანში მხოლოდ ერთია,
არსებობაა,
სიცოცხლეა,
თავად ღმერთია!!!!

ეკა ოთარაშვილი (მზე)
იტალია

ემიგრანტობიდან

ღამის ბინდბუნდში, მე და ჩემი სილუეტი,
გამოქცეულნი არეული ნაბიჯებიდან,
მიწაზე ფეხის შეხების შიშით, ფეხშიშველნი,
გზააბნეულ ქუჩებს მივყვებით.
მივხვდი,
მე შენთან ღამე უნდა ვილაპარაკო,
რადგან შენ დღისთვის სტუმარი ხარ დანაკარგებით
და უკვე იცი,
ადამიანი გროშიც არ ღირს-ეს ალბად ზოგჯერ...
ირჩევენ, უყვართ, აოცებენ მთელი შეგრძნებით,
თუმცა, სულს ზოგჯერ კიდურები
არ გააჩნია
და კიდეები-ორი, სამი, ზოგჯერაც მეტი,
წარმოიდგინეთ, ზოგჯერ არცერთიც...ზოგჯერ არცერთიც...
ამის მიხედვით გაფასებენ- შეძლებ თუ არა...
ვზივარ პარტერში.
ვხედავ როგორ მათამაშებენ
ლურჯ სცენაზე ვიწრო ჭრილიდან.
წითელი რამპის ანარეკლის ათინათიდან
მიმზერს სიმშვიდე,
რომელსაც ჩემთან აღარ შეეძლო,
რადგან მე ვიყავ პარტერში და სცენაზე ერთად
...და კიდევ სადღაც...
მე ვიღლებოდი
და ღიმილის ნიღაბს ვირგებდი,

არ მქონდა ნიჭი,
სხვა კარების მიღმიერისა
და ძველი კარის გაცვეთილი სახელურიდან,
გახუნებული კადრებივით ვჩანდი პირხმელი,
თუმც აღარ მქონდა ჩემეული ფილოსოფია
და ლურჯი სცენის მტვერში ისევ მდიოდა ზურგზე
ცივი ოფლის ნაკადულები.
რეჟისორი კი, კვლავ ტყუილში მათამაშებდა
და მე ვიცოდი,
რომ სიჩუმეს არ აქვს ტყული...
იქნებ შეცდომით,
ჩემიდან შენში სიჩუმისას დავეძებ კარებს!..

ნინო ბოქოლიშვილი
გერმანია

მეტი ვარ

მეტი ვარ,სიცოცხლეს გავიღებ სამსხვერპლოდ,
იქნება დალაგდნენ გიჟმაჟი ქარები,
არ იყო ყვავილთა კონები საჩემოდ,
ბაღებში დაძრწიან მებაღის ლანდები.
მეტი ვარ,არა და ვიღაა სამყოფი,
გაქვავდა სამყარო უკაცო სოფლების,
ვინ არის ჩვენს შორის საზღვრების დამყოფი,
უთქმელი სასმისით თანდათან ლოთდები.
დაცლილი ქვეყნიდან გეძახის წარსული
და აწმყო გიმალავს გასავალ ბილიკებს,
დროება ომისგან მუდმივად ორსული,
ჯვარს იწერს და იწნავს ტყვიების გვირგვინებს.
სისინა ენებში ჩაყრილი დენთია,
ცეცხლებში იწვიან ფერმკრთალი ქალები,
მაინც ყველას გულში ჯვარცმული ღმერთია,
ღამეში წრეებზე ბრუნავენ ალები.
მეტია, ტილოებს ქარგავენ კაცები,
მე მაინც ვბრუნდები,შევკერავ გაზაფხულს,
სამყარო გვიყურებს შეშლილი თვალებით,
წავედი, წავედი,აქ ვხედავ დასასრულს!

სვეტა მშავანაძე
საბერძნეთი

ქართველი კვლავ იქართველებს!..

„გელათს მუხლი მოვიყარე-
ტაძრად, უფლის მინათითებს...
შენ ქართველი მომიყვანე,
დავითი კვლავ იდავითებს!“

ლაშა ნადარეიშვილი.

ერი ელის დამძახებელს,
ვისაც წარსული აქვს წმინდა,
ვისაც არ დაუკოცნია
„ხონთქარისთვის“ ქოში, წინდა...
ვისაც ჩვენი საქართველო
გულზე ხატად ასვენია
და ვისთვისაც ჩვენი ერი
ფესვხნიერი ქართველია;
ვისთვის ჩვენი დედა ენა
არის ენა ღმერთებისა,
და დუღაბი საქართველოს
ყველა კუთხის ერთობისა;
ვისთვისაც მამული არის
განძი – ფასდაუდებელი,
რწმენა იესო ქრისტესი -
სიმაგრე აუღებელი!...
ვისაც მუდამ სულს უშფოთებს
საქართველო დაკარგული,
ვისი დარდ- საფიქრალია

სხვის მიწაზე გადარგულნი;
ვინც მტერს არ ეკვრის ზავითა,
არ ხიბლავს ვერცხლის ჩხრიალი,
ვის გულს სალბუნად ედება
მშობლიურ ტყეთა შრიალი!
დავითს ელის ერი ჩვენი,
–ჰქმნას „ძლევაი საკვირველი“,
და კვლავ მკვდრეთით აღადგინოს
საქართველო სანატრელი...
ღმერთო, გვაღირსე დავითი,
დიდი ღამის გამთენები
და მჯერა, იქართველებენ
გულზვიადი ქართველები!!!

მარინა ხუჭუა
თურქეთი

შობის ღამევ!

შობის ღამევ, სანთელს გინთებ უცხო მიწის ფანჯრებიდან,
შემაგებე სამშობლოში, მომეგებე კარებიდან.
კონსტანტინეპოლის, ძველის, ხიზანი ვარ მარებიდან,
ქრისტიანთა ნაკვალევზე გულით დამიხანებიხარ.
სადაც უნდა ვეყუდვნოდე, ცოდვა დამაქვს შენგან შორის,
სამშობლოდან გადახვეწილს მტკივა სული მე სიშორის.
აქაც მიწას შეთვის ვკოცნი, მშობელ ზეცას სიზმრად ვყურობ
სული ჩემი, გული ჩემი მხოლოდ შენად დავიგულო.
შობის ღამევ, დამილოცე გზა, მამულის კარებისკენ,
მომასწარი მის სიხარულს, ზარი რეკდეს ხარებისკენ,
გამაგონე ალილო და ქართულ ხმაზე ამღერება,
შობის დილის ცისკრის ლოცვით, სანთლის შუქზე გათენება.
შობის ღამევ, სანთელს გინთებ უცხო მიწის ფანჯრებიდან...

ლალი მიქაია
საგერძნეთი

სამშობლოვ ჩემო!

დარდიანად ნათრევო,
წლებო ახალგაზრდობის,
ნაადევად დაღლილო
მკლავო უცხო მიწაზე,
ეჰ, სამშობლოვ იცოდე,
აქ რამდენი ვიწვალე...
(რაც მეგონა ვიცოდი,
ხელმეორედ ვისწავლე.)
როცა მონატრებებმა
უსაშველოდ იბარტყეს,
საგზლად გამოყოლილი
სიყვარული ვიწამლე.
დარდიანად ნათრევო
წლებო ახალგაზრდობის,
ნაადრევად დაღლილო
მკლავო უცხო მხარეში,
ჩემთვის ისევ უცხოა
გულგრილობის თარეში.
თავი გმირი მგონია,
თუმცა არსად ვიომე.
იქაც ჩემ წილ სიხარულს
შემინახავ, იცოდე!

ლილი გაგულაშვილი-კრიხელი
ისრაელი
/განსაკუთრებული პრიზი ორი ხალხის მეგობრობაში შეტანილი წვლილისათვის/

ორი მოგონება – ორი სიყვარული

მახსოვს, თბილისის ლამაზ ქუჩებში
როგორ გვიყვარდა გასეირნება;
ყველაზე მეტად გვხიბლავდა მეტრო-
ფერად რეკლამის აციმციმება.
ხელჩაკიდულნი ჩვენს გოგონებთან,
ვეშურებოდით,-შევიდეთ, ჩქარა,
უკვე გაივსო საფეხურები,
აღარ დაგვრჩება ადგილი, არა!
შემდეგ კი...შემდეგ, ნაცრათ-ილითი,
მათი ბავშვობის მეორე კერა,
თუმც მივატოვეთ, გავცვალეთ სხვაში,
მე დღესაც მიყვარს, მიყვარს და მჯერა:
რამდენი წელიც უნდა გავიდეს,
ბათ-იამელი მერქვას, რა ვუყოთ!
ნაცრათ-ილითის ერთგულებას
გულით ვატარებ,
მის სილამაზეს ვერასოდეს
ვერვის გავუყოფ.
მის მოხასხასე, მოშრიალე, მწვანე ხეივნებს
ფერად ხალიჩად აყვავებულ
მთებს თუ მდელოებს,
მუდამ ვადარებ საქართველოს
ზურმუხტ მთა და ბარს,

ზღაპრად ვუამბობ მათ მსგავსებას
ჩვენს მომდევნოებს.
რადენი წელიც უნდა გავიდეს,
ბათ-იამელი მერქვას, რა ვუყოთ?!
რუსთველის გამზირს, შხუნათ-შალომს
ვამსგავს-ვადარებ,
საქართველოს და ისრაელის სიყვარულს, ვერა,
ვერასოდეს ვერვის გავუყოფ!

თემურ დანელია
ისრაელი
/განსაკუთრებული პრიზი ორი ხალხის მეგობრობაში შეტანილი წვლილისათვის/

გოდების კედელთან

იერუშალაიმ, ბედმა ინება, ვყოფილიყავ ოლეხადაში,
რომ საქართველოს სიყვარული ამომეტანა
და ერთ სამშობლოს მოწყვეტილი,
მეორესთან დავრჩენილიყავ სევდის ამარა.
ღმერთო, ამას გთხოვ, არ გასწირო საქართველო და ისრაელი,
ორი პატარა, სიკეთისათვის მებრძოლი ერი,
რამეთუ, – ძმობას უშენებია, – იტყვის ქართველი,
–კენ, ასეაო, – ადასტურებს ძმა ებრაელი.
გოდების კედელს მიბჯენილი ღმერთს ვევედრები,
გადამირჩინე შენი რჩეული ეს ორი ერი,
თავისი რწმენით, ქცევით და ყოფით გამორჩეული
გადამირჩინე, გადამირჩინე ეს ორი ერი.

დიანა ლომიძე
I პრიზი. საქართველო

ემიგრანტი

მიბახჩე სულის ცდუნებანი, ღმერთო ჩემო და
ნუ მოიხილავ მიწად მყოფის მზაკვრულ ნაბიჯებს,
ქვეყნად მე შენი არსებობის როცა მჯეროდა,
შენ შვება მაინც ვერ მომანიჭე.
ვერ ამარიდე განსაცდელი,
ვერ შემეხიდე,
ვერ შემინახე სული სუფთა და უცდველი,
ახლა მრუმეა არსებობა,
რაღად შევიდე,
ტაძარში სადაც მიტევება აღარ მომელის...
მიბახჩე სულის ცდუნებანი,
ღმერთო ჩემო და
ასე ურწმუნოს, უფრო მეტად მართობს სოფელი,
გამოქცეულმა დაჩოქილი საქართველოდან,
სულით ვერ ვზიდე გელათი და სვეტიცხოველი.
ამოღამებულ უპეებში დაშრა მდინარე
ცხელი ცრებლების და ღიმილი ისე ხშირია,
ყოველდღიური აბსურდიდან გამომდინარე,
აღარ მანაღვლებს დრო, რომელიც ასე ძვირია...
გენდაკარგული, უთვისტომო ბედი მერგო და
მიბახჩე სულის ცდუნებანი,
ღმერთო მაღალო,
სახლში დავბრუნდი, დაჩოქილი გიხმობ ერდოდან,
რომ სულს სხეულის ნაფლეთები შემოაცალო...

ლაშა ბიბიჩაძე
II პრიზი. საქართველო

ქორონიკონი

ქორონიკონი დაემსგავსა უგზო ხეობებს,
ქართლის ცხოვრება მეწყერმა და ზვავმა დაფარა,
როცა თბილისში ტურისტები „ლილეს“ ღრეობენ,
ჩვენ კი უცხო ტომს უნდა ვთხოვოთ თავშესაფარი...
ფრთამოტეხილი არწივები შევრჩით ირაოს,
გულში ღალატით, მუჭში ვერცხლით, თვალზე ფინგალით,
სოფელი ყანად და საძოვრად გავაქირავეთ,
ზარების ნაცვლად მახათს აწრთობს დღეს ზეინკალი.
უმთვარო ღამეს მერამდენედ ათევს გელათი,
უმრევლო ლოცვით მერამდენედ ფეთქავს ბედია,
წარსულს რომ ვიქებთ, წამებს ვითვლით საფეთქელამდე
და საქართველო ოქროს ხანის მეათედია.
ვტირით სახლიდან გადავარდნილ თითო ემიგრანტს,
სახლი კი ვინმე ოღლუ-ფაშას დაუტაცია,
ყველამ საკუთარ ორეულთან პირი შეიკრა,
სასწორზე დადგა მომავალი და მუტაცია...
საზღვრების გარეთ ვეწაფებით ედემს, უკეთესს
და ორზღვაშუა ნარუკალი დარჩა შაბლონად,
როცა ღვთისმშობელს აფხაზეთი გადავუკეტეთ...
როცა უფალი გავაძევეთ სამაჩაბლოდან...

ნინო მოდრეკილაძე
IIIპრიზი. საქართველო

შვილს, ოკეანისგაღმიდან

მე ჩემყოფილი სხეული დამაქვს,
მგონია, მმოსავს კაბის ნაცვლად – შავი ბისონი,
როგორც მანტია – მეწამული,
ქრისტეს სუდარა.
თენებაჟამზე მზისკენ გავრბივარ,
რათა სხივები,
ბოშა ქალის კაბისფერი ალიონისა,
ღმერთის მზრუნველი ხელებივით,
გამოგიგზავნო.
ჰა, ჩემი ჟამი – აპორია –
ღამიდან – დღემდე, წლიდან – წლამდე,
მარტოსულობით ამომშრალი
დიდლოდიანი მდინარის სევდა.
ჰა, ჩემი ჟამი – აპორია -
გარდაუვალი ბედი და წერა.
ჩაშლილი რგოლი იმ მთელისა,
გაგაჩინე, რისთვისაც, შვილო...
მე, შენ და მამა.
დღეს, ჩემყოფილი სხეული მეწვის,
თითქოს მკლავებში ჩაძინებულს დღემდე ვნანაობ
შენს სიჩვილეს და შუბლს გისინჯავ ნაზად ტუჩებით.
ცეცხლი მაქვს მკერდში,
უშენობის, უყველაფრობის, ანდა ყველაფრის, რაც იწყება,
და არ კვდება დედაშვილობით.

რაც ვერ გითხარი ცხოვრებაზე, ღირს კი სათქმელად?
იცი, ჩემი გზა შენს ბილიკზე უფრო წვრილია.
შენ თავაწეულს გიღიმიან ანგელოზები,
დედისთვის თავად ხარ ავგაროზი, ჯვარი და ზეცა.
და ვფიქრობ: ღმერთო, თუ დადგება დღე, როცა ისევ
ვიქნებით ერთად?

ლიკა ჭელიძე
საქართველო

* * *

ხანდახან ხდება, რომ ყველაფერს ტოვებ და წახვალ,
ბარგივით მიგაქვს საქართველო, ვით სათამაშო,
იცი, ამ გზაზე დაბრუნება ძნელია. ცალყბად
გიღიმის მძიმე მიგრაცია, ცივი საბაჟო.
მაღლიდან ხედავ სამშობლოში დარჩენილ სახლებს,
უაზროდ ცდილობ გაიაზრო ყველა მიმიკა,
იქნება ცდები, სულ ტყუილად გაფიქრებს ხალხი,
რომელიც ვერსად ვერ წავიდა, კერამ მიიკრა.
რადგან ძნელია მიატოვონ აწმყო და უფრო
გაუძნელდებათ შეელიონ საფლავის ხრამებს,
გაუძნელდებათ მიატოვონ ქართული სუფრა,
სადაც წარსულს და მომავალსაც ძვლებივით ხრავენ.
სადაც შვილების პირველ ნაბიჯს აუწყეს ფეხი.
სადაც შიმშილზე უფრო მძიმე არის არყოფნა,
სამშობლო მწარედ დამძიმებულ გულებში ეწვით.
ანდა უბრალოდ წასასვლელად ძალა არ ყოფნით.
ხანდახან ხდება, რომ ყველაფერს ტოვებ და წახვალ,
ბარგივით მიგაქვს საქართველო, ვით სათამაშო,
იცი, ამ გზაზე დაბრუნება ძნელია. ცალყბად
გიღიმის მძიმე მიგრაცია, ცივი საბაჟო.

გივი ჩიღვინაძე
საქართველო

დატირება ტელეფონით

გალია დღენი გამრჯე თამარმა,
სიბერის წლებში მარტოდ მავალმა
და დააფასა თუმცა მრავალმა,
ჭირისუფლებად არ უსხდნენ თავთან
ქალიშვილები თინა და თამთა,
არც ვაჟი ნიკო არ იდგა კართან
(აღარას ვამბობ შვილებზე ძმათა)...

და ბოლოს, როცა ღმერთი ახსენეს
მწვანე ეზოში რომ დაასვენეს
(გადახრილი მზე ადგა აქ სერებს),
ატყდა ზარები მაშინ იქიდან -
ევროპიდან თუ ამერიკიდან,
დები ტიროდნენ, ძმა სკაიპიდან
ყვებოდა, მისთვის თუ რა იყიდა...

მოთქვამდნენ (ალბათ, ცრემლებსაც ღვრიდნენ),
ეცადნენ, მაგრამ ვერ ჩამოვიდნენ
(ამასაც ველარმოსწრებით ხსნიდნენ)...
სოფელს ახსოვდა, რაც უთესია,
დაასაფლავეს, როგორც წესია
(სულმა მიმართა ძველ ეკლესიას),
თამადად დასვეს ბრძენი ბესია...

დრო მიდის – ყველა ჭირის დამტევი
(შორს გაუფრინდა ბევრ ჩიტს ბარტყები),
სევდიანობენ ემიგრანტები...
დაცლილა სახლი, გაცივდა კერა,
აღორძინების ბევრს აღარ სჯერა,
ზოგში იმედი კიაფობს ჯერაც -
კიდევ ელიან ჩონგურის ჟღერას...

ციური მესხიშვილი
საქართველო

ემიგრანტი მერცხლები

(თამილა ჭეიშვილს)

წვიმაა, წვიმაა, – არ დარობს,
მზე გაქრა, დაბნელდა, გოდებს ცა,
დაიმსხვრა ლამაზი სამყარო-
მე და შენ რომ გვქონდა, ოდესღაც.
და მაინც მივტირი შენს ღობეს,
მაისის ვარდებით ხვიარას,
გულზე მიხაკივით ვატარებ
შენი ბაგეების იარას...
აქ მყავხარ, ჩემს გულის კუნჭულში,
ის კუთხე, ბაღნარად შევღობე,
ვახარებ აქ ვარდებს, ჩვენებურს
და მაინც მოვსტირი შენს ღობეს;
ძნელია სხვა კაცის ცოლობა,
კოცნა აქვს უტკბო და მომლაშო,
ნეტავი, ჩვენში თუ აყვავდა
ალუჩა, ატამი, ღოღნაშო?!
აქ უკვე ჰყვავიან ვარდები,
შორს, სადღაც აყვავდა საკურაც,
ნეტავი, მანდ ერთად გვეპოვნა
ხუთფოთოლიანი სამყურა...
ნეტავი, ჰო, შენგან მეჩინა,
ჩემთვის სულ ქართველი „ბუშები“,
ჰო, მერე რა მოხდა, ცოტა ხნით

თუ იჭორავებდნენ ნუშები?!
ჰო, იჭორავებდნენ... მანამდე,
მზეს რომ დაუსტვენდნენ შაშვები,
მე აქ ბელურებად გავზარდე
ჰო, ჩემი უცხო ქმრის ბავშვები...
ვაშა! – კვლავ მოფრინდნენ მერცხლები,
რკალად შემოევლნენ ჩემს ღობეს,
და მათი ფრთა – ნატერფალები
მე, ხვარამზესავით შევღობე.
ჩუ ! გულო, ჩადექი საგულეს,
წამოდი, ვესტუმროთ ცივ წყაროს,
იქ, ჩვენი მერცხლები მღერიან
ტკბილ საქართველოდან წინწყაროს...
შენს ჭიკჭიკს ხმა ვეღარ აუწყვეს
ჩემმა ბელურებმა, მერცხალო
და მაშინ მომინდა ტირილი-
ოჰ! ღმერთო, ჩემს ბედზე შემწყრალო...
ძნელია სხვა კაცის ცოლობა,
კოცნა აქვს უტკბო და მომლაშო,
ნეტავი, ჩვენში თუ აყვავდა
ალუჩა, ატამი, ღოღნაშო?!...

თეონა ქარდავა
საქართველო

ემიგრანტის წერილი სამშობლოს!

სიკვდილი არა ყოფილა ძნელი, სამშობლოვ, თურმე!
ძნელი უფრო ის ყოფილა, იცოცხლო „უცხო-თუნედ»
არავინ დამრჩა ცოცხალი, ომმა წამართვა ყველა...
მარტოდ დარჩენილს მეგონა, სხვაგან მელოდა შველა!!!
მოხეტიალე რაინდის მე გამიტაცა ფიქრმა...
ვიფიქრე- ვივლი, მოვივლი, ხეირი ვნახო ბიჭმა..
რა მქონდა?! – სულ არაფერი, გლახა მეგონა თავი.
ეშმაკი მხარზე დამაჯდა, შემომთავაზა ქრთამი...
ვიარე ბევრი ქვეყანა, ავიც ვნახე და კარგიც...
ზოგჯერ მოლხენით გავერთე – არ მომკლებია დარდიც..
ბევრი ვისწავლე... ვიწვალე... გავიგე შრომის ფასიც;
ბევრს ხელიც გავუწოდე და ქვაზე დავდევი მადლიც!
ასე მოვიწყე ცხოვრება და საწუწუნო არ მაქვს,
მაგრამ იმ სევდას რა ვუყო, მე რომ ამ გულით დამაქვს?!
როგორც არასდროს, მაკლიხარ ჩემი სამშობლოს მიწავ,
ერთხელაც არ დავფიქრდები, ყველაფერს დავთმობ იმ წამს!
ოღონდაც შენ მიმიტევე... ოღონდ ჩამიკარ გულში...
რა ხანძარი მაქვს იცოდე, ამ განაწამებ სულში!
ოცნებავ ჩემო და ლოცვავ, გთხოვ, გამოისხით ფრთები,
უსამშობლობის სენისგან ვჭლექიანდები... ვკვდები!
ყოველღამ მე მესიზმრება, როგორ ჩამოვრეკ ზარებს-
წინ ვეგებები, გზას ვუჭრი შორეთს მიმავალ მგზავრებს..
„არიქა, არსად წახვიდეთ, არ გააციოთ კერა,
მერე რა, თუნდაც არ გყავდეთ და- ძმა, ცოლი და დედა..
სამშობლო მუდამ აქ არის, აქ არის შენი მიწა;

არიქა, არსად წახვიდე, აქ სულ სხვა მადლი გიცავს!..»
და რომ ვიღვიძებ ვტირივარ- უკვე ცრემლებიც გაშრა...
ნეტავ, ჩემთვისაც ეს ეთქვათ- დამხმარებოდა ვინმე,
არც კითხვა გამიჩნდებოდა- ვინა ვარ?!.. ვინ ვარ?!..ვინ-მე!
ასე თენდება.. ღამდება.. გადის დროცა და ჟამიც,
მჯერა, რომ დაგიბრუნდები დადგება ამის წამიც!..

ანა ნიჟარაძე (14წლის)
საქართველო
/კონკურსის ყველაზე პატარა მონაწილის პრიზი/

ემიგრანტის ხვედრი

სასთუმალქვეშ შეაცურა ხელი დაღლილი,
ხელისგულს უთბობს შვილის ფოტო, მიწა ქართული.
პატარა ჩანთა სანუკვარი – გულში ჩაკრული,
დიდი ტკივილი, მწარე სევდა გულში ჩაკლული.
მწარე აწმყო და მოგონება ტკბილი წარსულის,
მონატრებული დედის დარდი, ცხოვრება რთული.
სიყვარული და მონატრება მიწის ქართულის,
მოხუცი მშობლის, მოლანდება შვილის აჩრდილის.
უცხო მხარეში იძულებით ტარება უღლის,
უმისამართოდ გადახვეწა, იმედად უფლის,
სიღარიბე და შვილზე ზრუნვა უკან გზას უჭრის
– ეს არის ხვედრი, რასაც ბედი ემიგრანტს უქმნის.

ლანა მანველი
საქართველო

ემიგრანტ ქალს

არ უნდა მიიხედო უკან, თორემ გადაგიტანს დარდი,
ცხოვრებას მოეფერო მუდამ, გწამდეს უსასრულოდ ზღაპრის,
გულისხმას დაუჯერო მხოლოდ, თუმცა ყველაფერს ვერ გათვლი,
სული დაგილეწოს ქარმა, ნუ შეგეშინდება წასვლის.
ზამთრის სუსხიანი ქროლვა, გადასახლებები თოვლის,
სხვისთვის აკვირტებულ ხეებს, წარსულის სურნელი ასდით,
ბოლო ნაბიჯების სევდა, მიზეზდაკარგული გლოვის,
წადი და ერიდე ხიფათს, ბავშვობის ალალი საგზლით...

შინაარსი

„ემიგრანტის წერილი“ მნიშვნელოვანი ინიციატივაა! ------ 3
რედაქტორისგან ---------- 5

პროზა

ირმა გოდერძიშვილი
ახალი, უცხო ---------- 8
მარი კვეზერელი /სალომე გოგოლაძე/
Terra nostra (ჩვენი მიწა) ---------- 20
გიგარიონ ცაგა /გივი ცაგარეიშვილი/
სინიორ ჯო ---------- 29
/მზე/ ეკა ოთარაშვილი
გაქცევით შეჩერებულები ---------- 39
ნანა მეფარიშვილი
წუხელის, უშგული დამესიზმრა... ---------- 43
შორენა თამაზაშვილი
სინათლე ---------- 45
ნათია გრიგალაშვილი
გზა ლაბირინთებში ---------- 48
მზია თვალაბეიშვილი
ხეები ადამიანებივით კვდებიან /ტოტემი/ ---------- 55
მარი აპატია/მარიანა პეტრიაშვილი/
ნაცრისფერი ---------- 59
ვახტანგ მშვილდაძე /ქუთაისელი/
ტაიგა ---------- 70
ლანა მანველი
ვიდრე მზე ჩავიდოდეს ---------- 74
ზელიმხან მაღრაძე
არა ამბორსგყო ---------- 82
ლევან ლორია
წამიყვანეთ!.. ---------- 109

ლაშა ბიბიჩაძე
ჭიანჭველები ----------117
ლიკა ყიფშიძე
ჩემი ემიგრანტი ----------122
ანა ურუშაძე
აქ... იქ... ----------125
სოფი რაფაელა
გზა ----------134
თენგიზ გაგოშიძე
გნატრობ!.. ----------146
გიორგი აღნიაშვილი
წერილი დედას ----------153
მარიამ მარჯანიშვილი
„ჩვენი ლამაზი სამშობლო მეტი ცნობილი იყოს ევროპაში“ ---156

პოეზია

ეკატერინე ბჟალავა
კოსმიური პაემანი ----------168
მელანო ზუკაკიშვილი
ნილ! ----------171
ნანა გოგოლაური
* * * ----------174
მარი კვეზერელი (სალომე გოგოლაძე)
ბებიის ლოცვა ----------175
მაკა კვერენჩხილაძე-კარტაიზერ
მამული ----------176
ეკა ოთარაშვილი (მზე)
ემიგრანტობიდან ----------177
ნინო ბოქოლიშვილი
მეტი ვარ ----------179

სვეტა მშავანაძე
ქართველი კვლავ იქართველებს!.. ----------180
მარინა ხუჭუა
შობის ღამევ! ----------182
ლალი მიქაია
სამშობლოვ ჩემო! ----------183
ლილი გაგულაშვილი-კრიხელი
ორი მოგონება – ორი სიყვარული ----------184
თემურ დანელია
გოდების კედელთან ----------186
დიანა ლომიძე
ემიგრანტი ----------187
ლაშა ბიბიჩაძე
ქორონიკონი ----------188
ნინო მოდრეკილაძე
შვილს, ოკეანისგაღმიდან ----------189
ლიკა ჭელიძე
* * * ----------191
გივი ჩიღვინაძე
დატირება ტელეფონით ----------192
ციური მესხიშვილი
ემიგრანტი მერცხლები ----------194
თეონა ქარდავა
ემიგრანტის წერილი სამშობლოს! ----------196
ანა ნიშარაძე ----------198
ემიგრანტის ხვედრი ----------198
ლანა მანველი
ემიგრანტ ქალს ----------199